

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY  
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

განათლება

GANATLEBA

ГАНАТЛЕБА

ყოველკვარტალური რეფერირებადი და  
რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

1(17)

2017

# განათლება

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს  
2010 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით (ოქმი №7)

№1 (17), 2017 წელი

**რედაქტორი - ბორის იმნაძე**, სტუ პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

**რედაქტორის მოადგილე - თემურ ჯაგოდნიშვილი**, სტუ პროფესორი, საქართველოს განათლების  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

## სარედაქციო კოლეგია:

**მიქიაშვილი გოჩა** – პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ხახუტაშვილი ელისაბედ** – ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ცინცაძე ალექო** – პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ჩაჩხიანი ზურაბ** – პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**გოცირიძე დავითი** – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პროფესორი, საქართველოს განათლების  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**დარსაველიძე გიორგი** – პროფესორი, სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკური  
ინსტიტუტი

**კვესიტაძე გიორგი** – პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

**რამიშვილი კონსტანტინე** – პროფესორი, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსი

**ჭანუყვაძე ილია** – ასოცირებული პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტი

**ანტონიანი იურა** – პროფესორი, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევო  
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

**ბაკოშ იშტვანი** – პროფესორი, უნგრეთის სეგედის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბედალოვი ჩინგიზ** – პროფესორი, აზერბაიჯანის ენების უნივერსიტეტი

**ბრილი რობერტ დენმარი** – პროფესორი, დამოუკიდებელი მეცნიერი, ინგლისი

**კავალიასკაუსკასი ვიდას** – პროფესორი, ლიტვის ედუკოლოგიური ინსტიტუტი, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტის ლიტვური ენის და კულტურის ცენტრი

**ლასოვსა კაუდია** – რომის უნივერსიტეტის პროფესორი, იტალია

**მაიერი დანიელი** – პროფესორი, ლონდონის ლინკოლნის უნივერსიტეტი, ინგლისი

**რუნგე ტეტრა** – იენის უნივერსიტეტის პროფესორი, გერმანია

**ხაიაში ერიკო** – პროფესორი, გიფუს უნივერსიტეტი, იაპონია

**ხუხუნი გიორგი** – მოსკოვის ლინგვისტური უნივერსიტეტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

**რედაქცია:** ბორის იმნაძე, თემურ ჯაგოდნიშვილი

**გარეკანის დიზაინის ავტორი:** ნინო იმნაძე, ელზა წითლანაძე

**ტექნიკური რედაქტორი:** ალექსანდრე ბენაშვილი

**კორექტორები:**

მ. გელაშვილი, ლ. რუხაძე

მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტელ.: (032) 236 57 07

web-გვერდი: <http://newsletters.gtu.ge>

ელ-ფოსტა: [ganatleba2000@rambler.ru](mailto:ganatleba2000@rambler.ru)

ფასი სახელმეკრულებო, ტირაჟი 500

ISSN 2346-8300

# GANATLEBA

International Science-Pedagogical Journal is published according with the decision of  
Editorial-Publishing Board of 19 December 2010 (act №7)

---

№1 (17), 2017

---

**Editor - Imnadze Boris**, GTU professor, Academician of Georgian Educational Sciences

**Deputy editor - Jagodnishvili Temur**, GTU professor, Academician of Georgian Educational Sciences

---

## EDITORIAL BOARD:

**Mikiashvili Gocha** - professor, Georgian Technical University

**Khakhutashvili Elisabed** - associate professor, Georgian Technical University

**Tsintsadze Aleqsandre** - professor, Georgian Technical University

**Chachkhiani Zura** - professor, Georgian Technical University

**Gotsiridze Davit** - Ivane Javakhishvili Tbilisi State University professor, Academician of Georgian Educational Sciences

**Darsavelidze Giorgi** - professor, Ilia Vekua Sokhumi Physics-Technical Institute

**Kvesitadze Giorgi** - Professor, President of Georgian Scientific Academy

**Ramishvili Konstantine** - professor, Iakob Gogebashvili Telavi State University, Academician of Georgian Educational Sciences

**Chanukvadze Ilia** - professor, Georgian State Medical University Associate

**Antoniani Iura** - Ministry of Internal Affairs of Russia, Scientific-Research Institute Chief scientist

**Bakosh Ishtvan** - professor, Hungary Szeged State University

**Bedalov Chingiz** - professor, Azerbaijan Languages University

**Brill Robert Denmar** - professor, Independent scholar, England

**Kavaliauskas Vidas** - professor, Lithuanian University of Educational Sciences, Lithuanian Language and Culture Centre of Georgian Technical University

**Lasovsa Kaudia** - Rome Universities professor, Italy

**Maiyer-Dinkgraf Daniel** - Professor, University of Lincoln, England.

**Roong Tetra** - Jena University professor. Germany

**Hayashi Eriko** - Professor, University of Gifu, Japan

**Khukhuni Giorgi** - Moscow Linguistic University professor, Academician of Russian Scientific Academy

---

**Editor office: Boris Imnadze, Temur Jagodnishvili**

---

**Design: Elen Tsitlanadze, Nino Imnadze**

**Technical editor: Alexander Benashvili**

**Roof-readier:**

**M. Gelashvili L. Rukhadze**

---

**Adress: 0175, Tbilisi, str. Kostava 77, GTU**

**TEL.: (032) 236 57 07**

web-said's adress: <http://newsletters.gtu.ge>

e-mail: [ganatleba2000@rambler.ru](mailto:ganatleba2000@rambler.ru)

ISSN 2346-8300

# ГАНАТЛЕБА

Международный научно-педагогический журнал издается по решению редакционно-издательского совета от 16 декабря 2010 года (протокол №7)

---

№1 (17), 2017

---

**РЕДАКТОР** - Имнадзе Борис, профессор ГТУ, академик АОН Грузии

**ЗАМ. РЕДАКТОРА** - Джагоднишвили Темур, профессор, академик АОН Грузии

---

## РЕДКОЛЛЕГИЯ:

**Микиашвили Гоча** - профессор, Грузитский Технический Университет

**Хахуташвили Елизавета** - ассоциированный профессор, Грузитский Технический Университет

**Цинцадзе Александр** – профессор, Грузинский Технический Университет

**Чачхиани Зураб** – профессор, Грузинский Технический Университет

**Гоциридзе Давид** – профессор Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили, академик АОН Грузии

**Дарсавелидзе Георгий** – профессор Сухумского физико-технического университет им. И. Векуа

**Квеситадзе Георгий** - профессор, президент АН Грузии

**Рамишвили Константин** - профессор Телавского государственного университета им. Я. Гогешашвили, академик АОН Грузии.

**Чануквадзе Илья** - ассоциированный профессор Грузинского государственного медицинского университета

**Антонян Юрий** - профессор, Главный научный сотрудник ВНИИМВД России

**Бакош Иштван** - профессор университета Сегеда, Венгрия

**Бедалов Чингиз** - профессор Бакинского университета языков, академик АОН Грузии

**Бриль Роберт Денсмар** - профессор, независимый учёный, Англия

**Кавалаяускас Видас** – профессор, Литовский эдукологический университет, Центр литовского языка и культуры Грузинского технического университета

**Каудиа Ласовса** - профессор университета Рима, Италия

**Майер Даниэль** - профессор университета Линкольна, Англия

**Рунге Петра** -Иенский университет, профессор

**Хайяши Эрико** - профессор, университет Гифу, Япония

**Хухуни Георгий** - профессор Московского лингвистического университета, академик АН России

---

**Редакция:** Борис имнадзе, Темур Джагоднишвили

---

**Авторы дизайна обложки:** Елена Цитланидзе, Нино Имнадзе

**Технический редактор:** Александр Бенашвили

**Корректоры:** М. Гелашвили

Л. Рухадзе

---

**Адрес редакции:** 0175, Тбилиси, ул. Костава 77, ГТУ

**TEL.:** (032) 236 57 07

Адрес веб-страницы: <http://newsletters.gtu.ge>

e-mail: [ganatleba2000@rambler.ru](mailto:ganatleba2000@rambler.ru)

ISSN 2346-8300

## სარჩევი/Оглавление/Contents

### პედაგოგიკა - педагогика - Pedagogics

<i>ავთანდილ ასათიანი.</i> სოციალიზაცია როგორც უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ძირითადი ცნება . . . . .	12
<i>Avtandil Asatiani.</i> Socialization as a main concept of the pedagogy of higher school . . . . .	
<i>Автандил Асатиани.</i> Социализация как основное понятие педагогики высшей школы . . . . .	
<i>ქეთევან გაფრინდაშვილი.</i> სწავლების მეთოდისა და მეთოდოლოგიის ცნებათა დეფინიციისათვის . . . . .	19
<i>Кетеван Гафриндашвили.</i> Дефиниция понятия метода и методологий учения . . . . .	
<i>Ketevan Gafrindashvili.</i> Definic method and methodology training . . . . .	
<i>გიორგი თავხელიძე.</i> აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა განათლება და ინტეგრაცია . . . . .	25
<i>Г. Тавхелидзе.</i> Интеграция и инклюзивное образование людей с с расстройствами аутистического спектра . . . . .	
<i>G. Tavkhelidze.</i> Education and integration of individuals with Autism Spectrum Disorders . . . . .	
<i>ჯ. ნიკურაძე, ვ. კვინტრაძე, ვ. მელაძე, კ. ცხაკაია.</i> სწავლების პროცესის ტემპური მახასიათებელი და სწავლების ტიპოლოგია ტემპური თავისებურებების საფუძველზე . . . . .	33
<i>კონსტანტინე რამიშვილი, ეკატერინე ჩიკვილაძე.</i> ინოვაციები, როგორც განათლების განვითარების ფაქტორი . . . . .	39
<i>Konstantine Ramishvili, Ekaterine Chikviladze.</i> Innovations, as the factor of Development Education . . . . .	
<i>В.Сидамонидзе , Л.Сидамонидзе.</i> Социокультурная компетенция речевого обучения и ее роль в преподавании РКИ в Грузинском техническом университете . . . . .	44
<i>Vanda Sidamonidze, L. Sidamonidze.</i> Sociocultural competency of the speech development and its role in teaching the Russian as a foreign language at the Georgian Technical University . . . . .	
<i>ვანდა სიდამონიძე, ლიანა სიდამონიძე.</i> სოციოკულტურული კომპეტენცია და მისი როლი რუსული ენის როგორც უცხოური ენის შესწავლაში . . . . .	

<i>მარიამ შონია, ნატალია დოლიძე.</i> შემთხვევის ანალიზზე დაფუძნებული სწავლება („კეის მეთოდი“) და მისი გამოყენება უცხოური ენის სწავლებისას . . . . .	50
<i>M. Shonia, N. Dolidze.</i> Case Method and its Application in Foreign Language Teaching . . . . .	
<i>М. Шониа, Н. Долидзе.</i> Кейс метод и его применение в обучении иностранному языку . . . . .	
<i>მარიამ შონია, ნატალია დოლიძე.</i> სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ზოგადი დახასიათება და მისი თეორიული საფუძვლები . . . . .	58
<i>M. Shonia, N. Dolidze.</i> Student Centered Teaching and its Theoretical Background . . . . .	
<i>М. Шониа, Н. Долидзе.</i> Обучение ориентированное на студента и его теоретические основы . . . . .	
<i>З.Б. Чачхуани, Г.Ш. Дарсавелидзе.</i> О преподавании электронной структуры и химической связи молекул . . . . .	64
<i>ზ. ჩაჩხიანი, გ. დარსაველიძე.</i> მოლეკულების ელექტრონული სტრუქტურა და ქიმიური კავშირები . . . . .	
<i>Z.Chachkhiani, G.Darsavelidze.</i> Electronic structure and chemical bonds of molecules . . . . .	
<i>Найба Хиялова.</i> Метод «портфолио» как приоритетная инновационная технология в образовании: преемственность между средней школой и вузом . . . . .	73
<i>N. Hialova.</i> Portfolio – as an innovative technology in education. Heredity between secondary school and high institutions . . . . .	

**ფილოლოგია - Филология – Philology**

<i>მირანდა ბერიშვილი.</i> სამეცნიერო ფანტასტიკური ჟანრის ფრაზეოლოგიური ფონდი . . . . .	79
<i>Miranda Berishvili.</i> Stock of Phraseological Units of the Science Fiction . . . . .	
<i>Миранда Бершвили.</i> Фразеологический Фонд Жанра Научной Фантастики . . . . .	
<i>Гурамишвили З Каландаришвили О.</i> Значение и роль научного перевода в современном мире . . . . .	87
<i>Guramishvili Z. Kalandarishvili O.</i> The Role of Scientific Text Translation in the Competemporary world . . . . .	
<i>ზაირა გურამიშვილი ოღლა კალანდარიშვილი</i> სამეცნიერო ტექსტის თარგმანის როლი თანამედროვე საზოგადოებაში . . . . .	
<i>Tamar Mebuke.</i> Translation methods . . . . .	92
<i>Тамар Мебуке.</i> Методы перевода . . . . .	
<i>თამარ მებუკე.</i> თარგმანის მეთოდები . . . . .	

<i>Константин Рамишвили, Екатерина Чиквиладзе.</i> К вопросу формирования субъектной позиции образования . . . . .	96
<i>კონსტანტინე რამიშვილი, ეკატერინე ჩიკვილაძე.</i> სუბიექტური პოზიციის ფორმირების საკითხვისათვის განათლებაში . . . . .	
<i>Konstantine Ramishvili, Ekaterine Chikviladze.</i> On the Issue of formation of subjective Position in Education Abstract . . . . .	
<i>ნუგ ზარ სიხარულიძე.</i> ნასესხებ ნეოლოგიზმთა დამკვიდრების ტენდენციები ინგლისურ ენაში . . . . .	102
<i>ქეთევან სოხაძე.</i> ქართულ გვართა უძველესი დაბოლოებისთვის . . . . .	106
<i>გიორგი ჩიკოიძე.</i> სტატია წარმოადგენს თარგმანს მიძღვნილს ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტისადმი. ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი. ისტორიკოსის ამოცანის შესახებ (ნაწილი I) . . . . .	112
<i>იური სიხარულიძე.</i> ბატონ ანზორ ერქომაიშვილის სატელეფონო გზავნილის ტექსტი, რომელიც გაჟღერდა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ და საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის მიერ გამართულ საიუბილეო ზეიმზე . . . . .	120
<b><u>ჟურნალისტიკა - Журналистика - Journalism</u></b>	
<i>Бондаренко Тамара.</i> Постмодернизм и журналистика. . . . .	124
<i>Bondarenko Tamara.</i> Postmodernism and journalism. . . . .	
<i>თამარ ბონდარენკო.</i> პოსტმოდერნიზმი და ჟურნალისტიკა. . . . .	
<i>მადინა გაგიევა.</i> ქართულ მედიაში ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქება . . . . .	128
<i>Мадина Гагиева.</i> Этические аспекты освещения вопросов детей в грузинских СМИ. . . . .	
<i>Madina Gagieva.</i> Ethical aspects of covering children's issues in Georgian media. . . . .	
<i>ქეთევან გიორგობიანი.</i> პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა და შემოქმედებითი თავისუფლება – მიზნის მიღწევის ოპტიმალური საშუალება . . . . .	131
<i>Ketavan Giorgobiani.</i> Professionalism, responsibility and creative liberty – optimal means for achievement of goal . . . . .	
<i>გიორგობიანი კეთევან.</i> Профессионализм, ответственность и творческая свобода – оптимальное средства достижения цели . . . . .	
<i>მანანა დათუკიშვილი.</i> ჟურნალი „ახალი ივერია“/1927–1939/. . . . .	137
<i>Manana Datukishvili.</i> Journal “New Iberia”. . . . .	
<i>Манана Датукишвили.</i> Журнал «Новая Иверия» . . . . .	

<i>მანანა დათუკიშვილი</i> გაზეთი „საქართველო“ /1929–1938 წწ./ . . . . .	146
<i>Manana Datukishvili.</i> Newspaper “Georgia” (1929-1938) . . . . .	
<i>Манана Датукшвили.</i> Газета «Грузия» (1929-1938) . . . . .	
<i>ფატიმა კახიძე.</i> საზღვაო კომუნიკაციის სისტემები, მათი როლი და მნიშვნელობა . . . . .	153
<i>Фатима Кахидзе.</i> Морские системы связи, их роль и значение. . . . .	
<i>Patima Kahidze.</i> Maritime communication systems, their role and importance. . . . .	
<i>Козлова Елизавета.</i> Профессионально- квалификационные требования общества к статусу журналиста . . . . .	157
<i>Elizaveta Kozlova.</i> Professional and qualification requirements of the society to the status of a journalist . . . . .	
<i>Сидамонидзе Лиана, Чотулиди Глория.</i> Влияние средств массовой информации на процессы межкультурной коммуникации . . . . .	162
<i>Sidamonidze Liana, Chotulidi Gloria.</i> The media influence on the processes of intercultural communication . . . . .	
<i>სიდამონიძე ლ., ჩოტულიდი გ.</i> მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენა კულტურათაშორის კომუნიკაციის პროცესებზე . . . . .	
<i>ლია კათამაძე.</i> მედია და სტერეოტიპები . . . . .	167
<i>Leah Katamadze.</i> Stereotypes and Media . . . . .	
<i>Лия Катамадзе.</i> Стереотипы и медиа . . . . .	
<i>ეკატერინე შაკიაშვილი.</i> საინტერესო ნაშრომი ქართული ზეპირმეტყველების ოსტატობის საკითხებზე . . . . .	172
<i>მამუკა შელეგია.</i> ქართული ბეჭდური რეკლამის სათავეებთან . . . . .	176
<i>Мамука Шелегия.</i> У истоков Грузинской печатной рекламы . . . . .	
<i>Mamuka Shelegia.</i> At the origins of the Georgian print advertising . . . . .	
<i>ვერიკო ხუციშვილი.</i> მხატვრული ტექსტის მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების კომუნიკოლოგიური თავისებურებები (ნოდარ დუმბაძის პროზის თარგმანის მიხედვით) . . . . .	181
<i>Верико Хуцишвили.</i> Коммуникологические особенности влияния художественного текста на массовую аудиторию (по переводам прозы Нодара Думбадзе) . . . . .	
<i>Veriko Khutsishvili.</i> Communicative characteristics of fiction’s influence on mass audience (Based on translation of prosaic works by Nodar Dumbadze) . . . . .	



სოციალური და ზოგადსამეცნიერო დისციპლინები-

Социальные и общенаучные дисциплины -

Social and scientific disciplines

<i>ნატო ბებიაშვილი, არჩილ გრიგალაშვილი. პროექტის ღირებულების მართვა . . . . .</i>	189
<i>Nato Bebiashvili, Archil Grigalashvili. Управление стоимостью проекта . . . . .</i>	
<i>Nato Bebiashvili, Archil Grigalashvili. Project Management Evaluation . . . . .</i>	
<i>ქეთევან გაფრინდაშვილი. რელიგიურ-ეთიკური პოზიციები და საზოგადოება . . . . .</i>	196
<i>Кетеван Гафриндашвили. Религиозно-этические позиция и общество . . . . .</i>	
<i>Ketevan Gafrindashvili. From religious and ethical point and people . . . . .</i>	
<i>თამაზ ნუცუბიძე. ორატორის დარიგებანი . . . . .</i>	200
<i>Тамаз Нуцубидзе. Наставления оратора . . . . .</i>	
<i>Nutsubidze Tamaz. Admonishment of the public speaker . . . . .</i>	
<i>Хахуташвили Элисабед. Коммуникации в современных организациях залог успешного маркетинга . . . . .</i>	205
<i>ელისაბედ ხახუტაშვილი. კომუნიკაციები თანამედროვე ორგანიზაციების წარმატებული მარკეტინგის საწინდარია . . . . .</i>	
<i>Khakhutashvili Elisabed. Communications are base of modern organization's successful marketing . . . . .</i>	

საბუნებისმეტყველო დისციპლინები - Естественные

Дисциплины - Science

<i>გიორგი ბენაშვილი, ალექსანდრე ბენაშვილი. კომპიუტერის გაგრილების საკითხისათვის . . . . .</i>	210
<i>Геორгии Бенашвили, Александр Бенашвили. К вопросу охлаждения компьютера . . . . .</i>	
<i>Giorgi Benashvili, Alexandrer Benashvili. About the Problem of a Computer's Cooling . . . . .</i>	
<i>ალექსანდრე ბენაშვილი, გიორგი ბენაშვილი. აქტიური თბომრინებლების შერჩევა თანამედროვე კომპიუტერებისთვის . . . . .</i>	217
<i>Александр Бенашвили, Георгий Бенашвили. Выбор активного теплоотвода для современных компьютеров . . . . .</i>	
<i>Aleksandre Benashvili, Giorgi Benashvili. Selection of Active Heat Sinks for the Modern Computers . . . . .</i>	
<i>Бочоришвили М.М., Гобронидзе В.В., Бибилури М.В. Цикл Карно . . . . .</i>	224
<i>მ.ბოჭორიშვილი, ვ. გობრონიძე, მ.ბიბილური. კარნოს ციკლი . . . . .</i>	
<i>Bochorishvili M.M., Gobronidze V.V., Bibiluri M.V. Carnot cycle . . . . .</i>	

<i>ქეთი თელია</i> . ფსიქოლოგიური თეორიები და ადამიანის რაობა . . . . .	231
<i>Кети Телия</i> . Психологические теории и сущность человека . . . . .	
<i>Katie Telia</i> . Psychological theories and the essence of a human . . . . .	
<i>თამილა კუდავა</i> . ტექნოლოგიებში გამოყენებული ნატურალური ტყავის მასალებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები . . . . .	239
<i>Тамила Кудава</i> . Основные требования предъявляемые технологиям, используемым по отношению к сырью, для натуральной кожи . . . . .	
<i>Tamila Kudava</i> . Basic requirements of natural leather materials used in the technologies . . . . .	
<i>ზ. ჩაჩხიანი, გ. ტაბატაძე, ლ. დარჩიაშვილი</i> . პალადიუმის და პლატინის ჯგუფის იონების მპრ-ის სპექტრები . . . . .	245
<i>З.Б. Чачхiani, Г.Д. Табатадзе, Л.К. Дарчиашвили</i> . Спектры ЭПР ионов групп палладия и платины . . . . .	
<i>Z. Chachkhiani, G. Tabatadze, L. Darchiashvili</i> . The EPR spectra of ions of palladium groups and dams . . . . .	
<i>გოჩა ჩიტაიშვილი, ნანა ნოზაძე, ნუნუ მუმლაძე, ქეთევან ჭკუასელი</i> . Array მასივი, როგორც AutoCAD-ის ერთ-ერთი ხელსაწყო . . . . .	251
<i>Chitaishvili Gocha, Nozadze Nana, Mumladze Nunu, Chkuaseli Ketevan</i> . Array massive as one of the tools of AutoCAD . . . . .	
<i>Гоча Читаишвили, Нана Нозадзе, Нуну Мумладзе, Кетеван Чкуасели</i> . Array (массив), как один из инструментов AutoCAD-а . . . . .	
<i>გოჩა ჩიტაიშვილი, ნანა ნოზაძე, ნუნუ მუმლაძე, ქეთევან ჭკუასელი</i> . საინჟინრო პრაქტიკაში Array ( მასივის) გამოყენებისა და რედაქტირების მაგალითები . . . . .	259
<i>Chitaishvili Gocha, Nozadze Nana, Mumladze Nunu, Chkuaseli Ketevan</i> . Using Array (massive) in engineering practice and examples of editing . . . . .	
<i>Гоча Читаишвили, Нана Нозадзе, Нуну Мумладзе, Кетеван Чкуасели</i> . Применение и примеры редактирования «Array» (массив) в инженерной практике . . . . .	
<i>გოჩა ჩიტაიშვილი, მაყვალა მჭედლიძე, ნანა ნოზაძე</i> . AutoCAD 2017 წლის ვერსიის ახალი ხელსაწყო CENTERLINES (ცენტრის ხაზი) . . . . .	266
<i>Gocha Chitaishvili, Makvala Mchedlidze, Nana Nozadze</i> . New equipment for the version of Auto Cad 2017 CENTERLINES (line of the center) . . . . .	
<i>Гоча Читаишвили, Маквала Мчедлидзе, Нана Нозадзе</i> . AutoCAD по версии 2017 года нового устройства CENTERLINES (центральная линия) . . . . .	

<i>მზია წულუკიძე, ლილი ბოლქვაძე.</i> სასურსათო პროდუქციის რისკებისა და უსაფრთხოების შეფასება . . . . .	274
<i>Мзия Цулукидзе, Лили Болквдзе.</i> Оценка рисков и безопасности пищевой продукции . <i>Mzia Tsulukidze, Lili Bolkvadze.</i> Estimation of Food Safety and Risks . . . . .	
<i>მზია წულუკიძე.</i> ბავშვთა კვება . . . . .	279
<i>Мзия Цулукидзе.</i> Детское питание . . . . . <i>Mzia Tsulukidze.</i> Child nutrition . . . . .	
<i>ლალი ხუნწარია, ირაკლი კუკავა.</i> საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ტენდენციები . . . . .	284
<i>Lali Khuntsaria, Irakli Kukava.</i> Information and communications technology has an impact on the level of social evolution of modern society . . . . . <i>Лали Хунцария, Ираклий Кукава.</i> Влияние которого информационные и коммуникационные технологии оказывает на уровень социальной эволюции современного общества . . . . .	
<b><u>არქიტექტურა - Architectura – Архитектура</u></b>	
<i>ლევან ბერიძე, მზევიანარ გაგაძე.</i> ენერგოეფექტური შენობების დაპროექტების განმსაზღვრელი პირობები . . . . .	291
<i>მზევიანარ გაგაძე.</i> შენობების მზისგან დაცვა . . . . .	297
<i>ბ. იმნაძე, ლ. ხვიბლიანი.</i> არქიტექტურა ძალაუფლების სამსახურში . . . . .	303
<i>Н. Имнадзе, Л. Хвиблиани.</i> Архитектура на службе у власти Architecture in the service of the authorities . . . . . <i>N. Innadze, L. Xvibliani.</i> Architecture in the service of the authorities . . . . .	
<i>მარიამ მენაბდე.</i> უსასრულობა არქიტექტურაში . . . . .	309
<i>Mariam Menabde.</i> Infinite in architecture . . . . . <i>Мариам Менабде.</i> Бесконечность в архитектуре . . . . .	
<i>დონარა მჭედლოძე.</i> გლობალიზაციის პროცესები და ურბანული განვითარება . . . . .	318

## პედაგოგია – Pedagogics – Педагогика

### სოციალიზაცია როგორც უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ძირითადი ცნება

*ავთანდილ ასათიანი*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

კატეგორია მეცნიერების არსის შესახებ მეტად ტევადი და ზოგადი ცნებაა, რომელიც ასახავს ყველაზე არსებით კავშირ-ურთიერთობას სინამდვილესთან. იგი ძირეულად გამოხატავს ადამიანის მიერ საკუთარი თავის, საზოგადოებისა და ბუნების გაგებას და წარმოადგენს ადამიანთა მსოფლმხედველობის მნიშვნელოვან ელემენტს.

პედაგოგიკური კატეგორიები ძირითადი პედაგოგიკური ცნებებია, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია მეცნიერული გაზოგადებების გაკეთება. პედაგოგიკაში ასეთი ცნებებია აღზრდა, განათლება, სწავლება და განვითარება.

ნებისმიერ მეცნიერებას და მათ შორის პედაგოგიკასაც აქვს კატეგორიებისა და ცნებების აპარატი (ცნებითი აპარატი). ცნება არის აზრი, რომელიც განზოგადებული სახით აფიქსირებს ფაქტს და მოვლენას სინამდვილეში. მეცნიერული ცნება ასახავს საგნის ან მოვლენის არსებით ნიშანს, რაც საშუალებას იძლევა განვსხვავოთ იგი მსგავსი საგნებისა და მოვლენებისგან. ცნებას აქვს შინაარსი და მოცულობა: შინაარსში აისახება ცნების ნიშნები და დედააზრი (ბირთვი), რაც მასში არსებითია, ხოლო მოცულობა აერთიანებს საგნებს და მოვლენებს, რომელთაც მონათესავე თვისებები აქვთ.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში, ზოგადი პედაგოგიკის მსგავსად, ძირითად ცნებებს, რომლებიც მეცნიერულ განზოგადებებს წარმოადგენენ, კატეგორიები ეწოდება. ასეთი ცნებები მეტნაკლებად სრულყოფილად გამოხატავენ მოცემული მეცნიერული მიმართულების არსს, მის მდგრადობასა და ტიპურ შემადგენლობას. ნებისმიერ მეცნიერებაში კატეგორია წამყვან როლს ასრულებს, იგი მთელ მეცნიერულ ცოდნას მსჭვალავს და აკავშირებს მას ერთიან სისტემასთან. ბევრი ფიქრი არ არის საჭირო იმისათვის, რომ ნებისმიერი მეცნიერებიდან, დავასახელოთ კატეგორიები იმის მიუხედავად, საბუნებისმეტყველოა იგი თუ სოციალურ-ჰუმანიტარული. მაგალითად, ფიზიკაში ეს იქნება – მატერია, სივრცე, დრო, ენერჯია, მასა, ხოლო ეკონომიკაში ღირებულება, ფული და სხვა.

როგორც ცნობილია, განათლება და სწავლება/სწავლა უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ძირითადი კატეგორიები ანუ ცნებებია. მათთან ერთად, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში არსებით როლს ასრულებს სოციალიზაცია.

მისი არსისა და ფუნქციის გათვალისწინებით, შესაძლებელია სოციალიზაცია უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ერთ-ერთ ძირითად ცნებად ანუ კატეგორიად მივიჩნიოთ.

პიროვნების სოციალიზაციის წინაპირობას ზოგადი პედაგოგიკის ძირითადი კატეგორიები: აღზრდა, განათლება, სწავლება და განვითარება წარმოადგენს.

ზოგადი პედაგოგიკიდან ცნობილია, რომ აღზრდა არის პედაგოგიურად ორგანიზებული, მიზანმიმართულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ბავშვის პიროვნებად განვითარებას, სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებას ემსახურება. აღზრდა, არსებითად, არის უფროსი თაობის მიერ მოზარდი თაობისათვის იმ გამოცდილების გადაცემა, რაც კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე დაუგროვებია მეცნიერების, ტექნიკის, შრომის იარაღების წარმოების, ზნეობის, სამართლის, ხელოვნების – მთელი კულტურის სფეროში. აღზრდას აქვს ორგვარი გაგება – ფართო და ვიწრო; ფართო აზრით ხმარებისას, მასში იგულისხმება მრავალმხრივი საკაცობრიო გამოცდილების, თაობათა შემოქმედების საუკეთესო შედეგების ათვისების მთლიანი პროცესი: ცოდნის დაუფლება (განათლება), ზნეობრივი წარმოდგენებისა და ქცევის ნორმების შეთვისებაც, ესთეტიკური გემოვნების და ფიზიკური კულტურის გამომუშავებაც. როცა ამბობენ, რომ აღზრდა პიროვნების განვითარების წამყვანი ფაქტორია, აქ სწორედ ფართო აზრით იხმარება იგი (2, 10).

აღზრდა არ არის ცალმხრივი პროცესი (უფროსი თაობის გამოცდილების გადაცემა უმცროსი თაობისათვის), არამედ იგი ორმხრივია, რაც გულისხმობს აგრეთვე, უმცროსი თაობის გავლენას უფროს თაობაზე.

აღზრდის ცნება ფართო გაგებით განიმარტება როგორც სოციალიზაცია. აღზრდა ერთი თაობის მიერ მომდევნო თაობისათვის გამოცდილების გადაცემის და ათვისების პროცესია, რაც განაპირობებს ადამიანის განვითარებას. აღზრდა ამასთან ერთად სოციალური მოვლენა და პედაგოგიური პროცესია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია აღზრდის კატეგორია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: აღზრდა არის უფროსი თაობის მიზანმიმართული ურთიერთქმედების ერთიანი პროცესი მოზარდებზე, მათთვის ზოგადსაკაცობრიო გამოცდილებისა და ღირებულებათა სისტემის გადაცემა-დაუფლებისა, რაც პიროვნების ჰარმონიული განვითარების მიზნით ხორციელდება.

კიდევ უფრო რომ დავაზუსტოთ, ვიწრო გაგებით, აღზრდაში ვგულისხმობთ პედაგოგთა მიზანმიმართულ აღმზრდელობით ღონისძიებებს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს, მოზარდის მსოფლმხედველობის ფორმირება, მისი ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარება.

ადამიანის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, სოციალიზაციაა, რაც გულისხმობს საზოგადოების სოციალური ნორმებისა და ადამიანის კულტურული ფასეულობების დაუფლებას. საზოგადოება და ადამიანები მიზანმიმართულად ქმნიან სოციალიზაციისათვის საჭირო პირობებს, რაც

გარკვეულად კონტროლდება კიდევ. სწორედ ასეთ შემთხვევაში სახეზეა აღზრდის პროცესი.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ აღზრდის პროცესი ემსახურება პიროვნების განვითარებას. აღზრდა მიზანმიმართული და გარკვეულწილად კონტროლირებადი პროცესია, თუმცა იგი არ არის განვითარების და სოციალიზაციის ერთადერთი ფაქტორი.

განვითარების ცნება სხვა მეცნიერებებშიც გვხვდება. ფილოსოფიაში, მას ყველაზე ზოგადი, ყოვლისმომცველი აზრი აქვს. პედაგოგიაში კი განვითარებაში ვგულისხმობთ ადამიანის ფორმირების, უსუსური ბავშვის უძლიერეს არსებად – პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს, რომელსაც სამი უმთავრესი ფაქტორი: აღზრდა, გარემო და მემკვიდრეობა, განაპირობებს.

ამ სამი ფაქტორიდან წამყვანი ადგილი აღზრდას უჭირავს, თუმცა ყოველთვის ასე არ ფიქრობდნენ; პირველად ამ პრობლემას ანტიკურ საბერძნეთში მიაქციეს ყურადღება: პლატონი და სოკრატე, რასაც მოგვიანებით გერმანელი მეცნიერი გ. ლეიბნიციც შეუერთდა, ადამიანის განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად მემკვიდრეობას აღიარებდნენ. ამ მოსაზრებას ეფუძნება ნატივიზმის თეორია. ხოლო დემოკრიტე და არისტოტელე, რასაც ასევე მოგვიანებით ჯ. ლოკიც მიემხრო, გადამწყვეტ მნიშვნელობას გარემო პირობებს აკუთვნებდნენ. სწორედ ამ კონცეფციაზე აღმოცენდა ემპირიზმის თეორია, რომელიც ნატივიზმის მსგავსად ცალმხრივობით გამოირჩევა, რადგან ორივე მათგანი გამორიცხავს ადამიანის ჩამოყალიბებაში სხვა გარემოებების ზემოქმედებას.

აღნიშნული თეორიების ცალმხრივობის დაძლევას შეეცადა კონვერგენციის თეორია (ვ. შტერნი), რომელმაც გააერთიანა მემკვიდრეობა (ნატივიზმი) და სოციალური გარემო (ემპირიზმი), მაგრამ სრულყოფილი თეორია მაინც ვერ მიიღო, რადგან გაერთიანება ხელოვნური გამოვიდა, ადამიანის მთავარი ფაქტორი კი იგნორირებული.

თანამედროვე მეცნიერებაში დაძლეულია ნატივიზმისა და ემპირიზმის ცალმხრივობა და კონვერგენციის თეორიის ეკლექტიკაც-დღეს, ცხადად არის დადასტურებული, რომ პიროვნების განვითარებაში მონაწილეობს მემკვიდრეობა და სოციალური გარემო, მაგრამ მთავარი ფაქტორი აღზრდაა.

რაც შეეხება განვითარებას, იგი არ დაიყვანება მხოლოდ აღზრდაზე, რადგან მნიშვნელოვნად ფართო ცნებაა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, იგი აღზრდის, სწავლების და განათლების შედეგიც არის. საკუთრივ ადამიანის განვითარების პროცესს სამი ასპექტი აქვს, ესენია: ფიზიკური, სულიერი და სოციალური.

ფიზიკური განვითარება გულისხმობს როგორც მთლიანად ადამიანის ორგანიზმის, ისე მისი ცალკეული ნაწილების – ძვალ-კუნთოვანი სისტემის განვითარებას. ფსიქიკური განვითარება მოიცავს ემოციას, ნებელობას, შესაძლებლობებს, საჭიროებებს და ხასიათს. ხოლო სულიერი განვითარება აერთიანებს ადამიანის შინაგან სამყაროს. ფილოსოფოსები განვითარებას მატერიის

თვისებად მიიჩნევენ. იგი სრულად ახასიათებს როგორც ცალკეულ ადამიანს, ისე მთელ საზოგადოებას.

ამდენად, „განვითარება არის ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური და სულიერი ძალების შინაგანი, თანმიმდევრული რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლის ობიექტური პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მისი ცხოვრების პოტენციალის, არსისა და დანიშნულების რეალიზაციას” (1,46).

რადგან აღნიშნული ცნებების ანუ კატეგორიების ობიექტი მოზარდია, ასეთი დეფინიცია გამართლებულია, მაგრამ მათი მექანიკურად მისადაგება უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისთვის გაუმართლებელი იქნება, სწორედ იმის გამო, რომ აღზრდა ვიწრო გაგებით, მოზარდზეა ორიენტირებული და ამ მიმართებით დასახული მთავარი ამოცანები სასკოლო ასაკში უნდა გადაიჭრას. რაც შეეხება უმაღლეს სკოლას, იქ ფაქტიურად აღმზრდელობით მუშაობას სხვა დატვირთვა აქვს, რადგან სტუდენტურ ასაკში პიროვნებას სათანადოდ აქვს ჩამოყალიბებული ზნეობრივი ნორმები, ნებისყოფა, ხასიათი, ესთეტიკური გემოვნება და გამოკვეთილი აქვს რწმენაც. თუმცა, ეს თვისებები ჯერ კიდევ არ არის ადაპტირებული სოციუმთან.

ზოგადი განათლების ყველა საფეხური გარკვეულ როლს ასრულებს ადამიანის სოციალიზაციაში. დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლებიც გარკვეულწილად სოციალური ინსტიტუტებია, მაგრამ მათ შორის ბევრი რაოდენობრივი და თვისებრივი განსხვავებაა. ისეთი სოციალური ინსტიტუტი, როგორც სკოლაა, მოზარდს ასაკობრივი განვითარების კვალდაკვალ უზრუნველყოფს სოციალურად მნიშვნელოვანი ღირებულებებით. იგი ცხოვრებისათვის მომზადებასაც ემსახურება, მაგრამ ამ ამოცანის საბოლოოდ გადაჭრა სრულწლოვანებისას შეიძლება. ამიტომ საგანმანათლებლო ინსტიტუტებიდან პიროვნების სოციალიზაციაში განსაკუთრებულ როლს უმაღლესი სასწავლებელი ასრულებს. სწორედ იგი აზიარებს პიროვნებას ცოდნისა და სოციალურ ღირებულებათა სისტემას, რაც პიროვნების სოციალიზაციის საფუძველია.

მოზარდებთან მიმართებაში ხშირად გამოიყენებენ ისეთ შეფასებას, როგორცაა მომწიფება, რომელსაც ორი განზომილება აქვს: სქესობრივი და სოციალური. სქესობრივი მომწიფება გაცილებით ადრე ხდება, ვიდრე სოციალური. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული, მართალია, სქესობრივად მოწიფებულია (უფრო ადრე, 12-15 წლის ასაკშიც), მაგრამ იგი სოციალურად ჯერ კიდევ მოუმზადებელია, ამიტომ მისი სოციალური ადაპტაცია გრძელდება უმაღლეს სკოლაში ან სხვა სოციალურ ინსტიტუტში (პროფესიული სკოლა, შრომითი კოლექტივი, შეიარაღებული ძალები და სხვა).

სწორედ ზოგადი პედაგოგიკის კატეგორიები (აღზრდა, განათლება, სწავლება, განვითარება) მოქმედებენ მთელი სისრულით სასკოლო ასაკში, ხოლო, რაც შეეხება უმაღლეს სკოლას, აქ განათლება და სწავლება კვლავ წამყვან კატეგორიებად გვევლინებიან, მაგრამ აღზრდას და განვითარებას უმაღლეს სკოლაში ისეთი გამოკვეთილი ხასიათი აღარ აქვს, როგორც ეს ზო-

გადსაგანმანათლებლო სკოლაშია. მათ როლს უმაღლეს სკოლაში – სოციალიზაცია ასრულებს. თუმცა, ეს იმგვარად არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოზარდის სოციალიზაციას ადგილი არ ჰქონდეს აღზრდა-განათლების დაბალ საფეხურებზე, რასაკვირველია, ეს ასე არ არის, პიროვნების სოციალიზაცია გარკვეული დოზით აღზრდა-განათლების ყველა საფეხურზე მიმდინარეობს, მაგრამ იგი, სტუდენტისთვის იმდენად ცნობიერად, იმდენად აშკარად ხორციელდება უმაღლეს სკოლაში, რომ მას თავისუფლად შეუძლია ძირითადი ცნებების ანუ კატეგორიის ფუნქციის შესრულება. აქედან გამომდინარე, **განათლებასთან და სწავლებასთან** ერთად, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის კატეგორიად **სოციალიზაცია** უნდა მივიჩნიოთ.

ამდენად, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, როგორც პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემაში შემავალი დარგი, ითვალისწინებს და ემყარება მის უმთავრეს ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა აღზრდა და განვითარება, მაგრამ სპეციფიკური მიზნებიდან გამომდინარე, განათლებასა და სწავლებასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტის სოციალიზაციას.

პიროვნების სოციალიზაციაზე უდიდეს გავლენას აღზრდა და განვითარება ახდენს. სწორედ პედაგოგიკის ეს კატეგორიები ქმნიან მყარ ნიადაგს უმაღლეს სკოლაში სტუდენტის შემდგომი სოციალიზაციისათვის. მართალია, სტუდენტური ასაკის დასაწყისი აღზრდა-განათლების და განვითარების საფუძველზე სოციალიზაციის გარკვეულ საფეხურს გულისხმობს, მაგრამ ეს კიდევ არ არის პიროვნების სოციალიზაციის ის ხარისხი, რაც უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულს აქვს.

უმაღლესი სკოლის გარემო ბუნებრივად ახდენს ზემოქმედებას სტუდენტთა სოციალიზაციაზე. ამასთან ერთად, უმაღლესი სასწავლებლის მუშაობა ორიენტირებულია სტუდენტის სოციალიზაციაზე, რაც გამოიხატება პროფესიული კომპეტენციის დაუფლებაში, შემეცნებითი უნარების და სოციალურად ღირებული აზროვნების განვითარებაში.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ძირითადი ცნებები: განათლება და სწავლება ბაზისურ ფუნქციას ასრულებენ მესამე ცნებისთვის – სოციალიზაციისათვის. ეს სრულიად კანონზომიერი და ლოგიკურია, რადგან სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესები მიმართულია სტუდენტის იმ კონდიციამდე მომზადებისათვის, რომელიც შემდგომში მისი სოციუმში ადაპტირების საფუძველი უნდა გახდეს. სოციალური მომზადება, როგორც ითქვა, გულისხმობს სტუდენტის პროფესიულ მომზადებას, შემეცნებითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

უმაღლესი სკოლაში სოციალური მომზადების მექანიზმებია: სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი, უმაღლესი სასწავლებლის აღმზრდელობითი პოტენციალი, სტუდენტური თვითმართველობის რგოლები და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კომუნიკაცია სტუდენტ-ახალგაზრდობასთან.

იმის მიუხედავად, რომ უმაღლესი სასწავლებლებში სპეციალურად არ იქმნება სტუდენტთა სოციალიზაციის სპეციალიზებული სტრუქტურები, აღ-



ნიშნული პროცესი მაინც განუყოფელია, უფრო მეტიც, დამახასიათებელია უმაღლეს სკოლაში მიმდინარე პროცესებიდან.

პროფესიული კომპეტენციების გარდა, სწავლის პროცესში, სტუდენტს სათანადო უნარ-ჩვევები უყალიბდება უმაღლესი სკოლის ადმინისტრაციასთან და პროფესორებთან ურთიერთობისას. აქ ასევე არსებით როლს ასრულებს სტუდენტური თვითმმართველობისა და აკადემიურ ჯგუფებში არსებული ურთიერთობები, რაც საბოლოოდ ქმნის სათანადო ბაზას, პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კურსდამთავრებულის სოციუმში ადაპტირებისათვის.

ზოგადად აღიარებულია, რომ აღზრდა-განათლება პიროვნების სოციალიზაციის საფუძველია. რაკი ადამიანი პიროვნებად სოციუმის გავლენით იქცევა, ამიტომ მის ჩამოყალიბებაში სწორედ სოციალური ინსტიტუტები ასრულებენ გადამწყვეტ გავლენას. მათ შორის პიროვნების სოციალიზაციაში მთავარი როლი უმაღლესი სკოლაა. უფრო მეტიც, იგი არა მარტო სოციალიზაციის რიგითი საფეხურია, არამედ განსაკუთრებული საფეხური ცხოვრებისთვის მომზადებაში. რაკი უმაღლეს სკოლაში მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების კვალდაკვალ პროფესიული მომზადებაც მიმდინარეობს, ამით ფაქტიურად ადგილი აქვს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, რაც მისი სოციალიზაციის საფუძველია.

ამდენად, სოციალიზაცია უმაღლეს სკოლაში, პროფესიის დაუფლებასთან ერთად, გულისხმობს, საზოგადოებაში (სოციუმში) თანაარსებობისათვის, ისეთი აუცილებელი ღირებულებების თვისობრივ და ხარისხობრივ განვითარებას, როგორცაა: პროფესიული კვალიფიკაცია და კომპეტენცია, სოციალურად ღირებული შეხედულებები, მსოფლმხედველობრივი ორიენტირები და პიროვნების ზნეობრივი კრედი.

სოციალიზაციაში იგულისხმება პიროვნების აღზრდა, განათლება, სწავლება და განვითარებაც, ამდენად, იგი, ერთი მხრივ, ზოგადი პედაგოგიკის ძირითადი კატეგორიების შედგენილია და მეორეს მხრივ, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის უმნიშვნელოვანესი კატეგორია, რომელიც აღნიშნულ საგანმანათლებლო საფეხურზე აჯამებს სოციუმში პიროვნების ადაპტირებისათვის საჭირო უნარ-თვისებებს.

**ლიტერატურა:**

1. ვასაძე ნ., პედაგოგია, თბ., საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, თბ., 2000;
2. მაღაზონია შ., პედაგოგია, თბ., 2001;
3. ასათიანი ა., უმაღლესი სკოლის პედაგოგია, „უნივერსალი“, თბ., 2016;
4. მეგრელაძე ც., მახარაშვილი ხ., გელაძე გ., ბავშვის პრობლემები - სკოლის სოციალური მუშაკი, ბათუმი, შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტი, 2009, -189 გვ.;

5. Мудрик А. В. Социальная педагогика: Учеб. для студ. пед. вузов / Под ред. В.А. Сластенина. - 3-е изд., испр. и доп. - М.: Издательский центр «Академия», 2000. - 200 с. ;
6. Семенов В. Д., Социальная педагогика: история и современность. - Екатеринбург, 1995.

### სოციალიზაცია როგორც უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ძირითადი ცნება

*ავთანდილ ასათიანი*

#### რეზიუმე

სოციალიზაციაში იგულისხმება პიროვნების აღზრდა, განათლება, სწავლება და განვითარება, ამდენად, იგი, ერთი მხრივ, ზოგადი პედაგოგიკის ძირითადი კატეგორიების შედეგია და მეორეს მხრივ, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის უმნიშვნელოვანესი ცნება, რომელიც აღნიშნულ საგანმანათლებლო საფეხურზე აჯამებს სოციუმში პიროვნების ადაპტირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. სოციალიზაცია უმაღლეს სკოლაში, პროფესიის დაუფლებასთან ერთად, გულისხმობს, საზოგადოებაში (სოციუმში) თანაარსებობისათვის, ისეთი აუცილებელი ღირებულებების თვისობრივ და ხარისხობრივ განვითარებას, როგორცაა: პროფესიული კვალიფიკაცია და კომპეტენცია, სოციალურად ღირებული შეხედულებები, მსოფლმხედველობრივი ორიენტირები და პიროვნების ზნეობრივი კრედი.

### **Socialization as a main concept of the pedagogy of higher school**

*Avtandil Asatiani*

*Professor of Georgian Technical University*

#### Abstract

In socialization we mean bringing up of an individual, his/her education, teaching and development, which are the result of the main categories of general pedagogy (upbringing, education, instruction and development) on the one hand and on the other hand, the most significant category of the pedagogy of higher school which sums up the skills necessary for the adaptation of a person in the socius. Socialization at higher school, together with acquiring profession, implies the development of necessary values, such as professional qualification and competence, socially valuable viewpoints, ideological guides and moral credo of an individual.

**Социализация как основное понятие педагогики  
высшей школы**

*Автандил Асатиани*

*профессор Грузинского технического университета*

Резюме

Под социализацией подразумевается воспитание, образование, обучение и развитие личности, в свою очередь, с одной стороны, она является последствием основных категорий общей педагогики, с другой стороны, важнейшей категорией школьной педагогики, которая на определенной ступени образования суммирует навыки нужные личности для адаптации в социуме. Социализация в высшей школе, вместе с обладанием профессии, для сосуществования в обществе (социуме) подразумевает развитие обязательных свойств и ценностей, таких как профессиональная квалификация и компетенция, социально ценные взгляды, ориентиры мировосприятия и нравственное кредо личности.

**სწავლების მეთოდისა და მეთოდოლოგიის ცნებათა  
დეფინიციისათვის**

*ქეთევან გაფრინდაშვილი*

*სტუ. ასისტ. პროფესორი*

**საკვანძო სიტყვები:** ინტერდისციპლინარული; ვარიაცია; დეფინიცია; პრაგმატიკა; მართვა დინამიკაში.

მეთოდი რაიმე მოვლენის შეცნობის, კვლევის ხერხს ნიშნავს. იგი, არის წესი, წესების სისტემა რაიმე საქმიანობაში, მაგალითად - სწავლების მეთოდი. ხოლო მეთოდიკა არის რაიმეს პრაქტიკულად შესრულებისათვის საჭირო წესების ერთობლიობა. იგი პედაგოგიკის ნაწილია, რომელიც იკვლევს და გადმოსცემს რომელიმე დისციპლინის (კომუნიკაციის, სოციოლოგიის, მენეჯმენტის) სწავლების მეთოდებს.

სწავლების მეთოდი გულისხმობს სტუდენტებთან პედაგოგის მუშაობის ხერხს, რომლის მეშვეობით ხდება შესასწავლი დისციპლინის მაქსიმალურად ეფექტიანი გადაცემა და ათვისება. რაც ეხმარება სტუდენტებს დასვან კითხვები რაიმე მოვლენის, ან ადამიანის ქცევის ირგვლივ და ეცადონ ეძიონ მასზე პასუხები, მონაცემების გულმოდგინე ანალიზის და გამოკვლევის მეშვეობით. ამ პროცესში

ხდება აუდიტორიის აქტიური ჩართვა სასწავლო მუშაობაში, რაც მეთოდის ეფექტიანობაზე მიუთითებს. სტუდენტებს უვითარდებათ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და სურვილი. ისინი სწავლობენ იმას, რომ ობიექტურად მიუდგნენ მონაცემების ანალიზს, პრობლემების განსაზღვრას, აღიქვან ცოდნა, როგორც წინასწარ ფორმირებული დასკვნები, რომელთა შეცვლა შეიძლება ახალი ფაქტებით, ახალი მიდგომებითა და თვალსაზრისით. სტუდენტები გამოიყენებენ მრავალფეროვან ინფორმაციას და ლოგიკას იმისთვის, რომ გაიაზრონ საკუთარი და სხვისი მსჯელობა. სწავლების მეთოდი მოითხოვს მათგან უფრო მეტ აზროვნებას, ვიდრე სხვა მეთოდები. ამ მეთოდით მიღებული ცოდნის შემთხვევაში სტუდენტები ღრმად ითვისებენ საგნის შინაარსს, იძენენ ინფორმაციის მიღებისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს. ახალი მასალის გადმოცემაში გამოკვლევის მეთოდი არ ჩამორჩება ლექციას, დისკუსიას. გამოკვლევა იწყება პრობლემის ფორმულირებით, ლექტორი სტუდენტებს აცნობს უცნაურ, მოულოდნელ, ან უცნობ მოვლენას, რის შედეგად მათ შეუძლიათ შეკითხვების დასმა, მათზე ახსნა-განმარტებების მოფიქრება. გარკვეული დროის განმავლობაში, სტუდენტები აგროვებენ მონაცემებს, ინფორმაციებს, რომ გაიაზრონ პრობლემა და შეძლონ მისი გადაჭრა. ასეთი მეთოდი სტუდენტებისთვის გახლავთ საწყისი წერტილი, რათა გააცალკევონ საჭირო ინფორმაცია უსარგებლოსგან.

სწავლების ჯგუფური მეთოდი სხვადასხვა ვარიაციით გამოირჩევა. არსებობს ყველასათვის საერთო საფუძველი-სტუდენტთა მუშაობა მცირე ჯგუფებში, რათა განიმტკიცონ მასალის ცოდნა. ყოველ გუნდში ჩართულია დაბალი, საშუალო და კარგი დონის სტუდენტი. მოტივაცია დადგენილია სხვადასხვა ჯილდოების სახით, როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ დონეზე, ეს მეთოდის ეფექტურობაზე მიუთითებს. რომ არა წახალისების ოპტიმალურობა მეცადინეობის დონე დაეცემა.

ჯგუფური მეთოდის ერთ-ერთი მოდელია - „სტუდენტური ჯგუფები-კონკურენტები“, სადაც იქმნება ოთხკაციანი ჯგუფები, რომლებიც პედაგოგის მიერ გადმოცემულ მასალაზე ინდივიდუალურად მუშაობენ. თითოეულ სტუდენტს ეწერება ქულები, ამის შემდეგ ხდება შედარება განვლილ მასალაზე მიღებულ საშუალო შეფასებასთან და ამ უკანასკნელი მიღწევის, ან გადაჭარბების შემთხვევაში სტუდენტი მიიღებს წამახალისებელ ჯილდოს. ამის შემდეგ ჯამდება ინდივიდუალური ბალები, რათა განისაზღვროს ჯგუფის მიერ დაგროვილი ქულები. ჯგუფები, რომლებიც ნორმების გადაჭარბებით მიიღებენ ქულებს, ღებულობენ ჯილდოს ან სერთიფიკატს.

მეორე მოდელია - „ჯგუფები - თამაშები - ტურნირი“. იგი იმეორებს წინა მოდელის სქემას, მაგრამ საკონტროლო სამუშაო შეცვლილია ტურნირით, რომელ-

შიც კონკურენტი გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებიან მაქსიმალური ქულების დასაგროვებლად.

მესამე მოდელს - „ერთობლივი შესწავლა“ ეწოდება. კოლექტიური შესწავლის მეთოდის მიხედვით სტუდენტებს უვითარდებათ პასუხისმგებლობა ცოდნის მიღებაზე, ამ პროცესში ხდება კარგი, საქმიანი ურთიერთობების დამყარება მათ შორის.

პროექტების მეთოდი ჩაისახა XX საუკუნის 20-იან წლებში აშშ-ში. მას საფუძვლად დაედო ამერიკელი ფილოსოფოსის და პედაგოგის ჯ.დიუსის და ვ.კილპატრიკის იდეები სწავლების თავისუფალი და აქტიური მეთოდების შესახებ. დღეისათვის ეს მეთოდი გადაიქცა განათლების სისტემის ინტეგრირებულ შემადგენელ ნაწილად.

მეთოდი, რომელიც მოწოდებულია გააღვივოს სტუდენტთა ინტერესი აქტუალური პროექტების მიმართ, დასახოს გზები პრობლემების გადასაჭრელად, აჩვენოს ცოდნის პრაქტიკული გამოყენების მიმართულებები, ეს არის გზა თეორიიდან პრაქტიკისაკენ ანუ აკადემიური ცოდნის შეერთება პრაგმატულთან.

პროექტების მეთოდი ორიენტირებულია სტუდენტის დამოუკიდებელ შემოქმედებით საქმიანობაზე, რაც ხორციელდება რეგლამენტის დაცვით როგორც ინდივიდუალურად ასევე წყვილებში და ჯგუფებში. ეს მეთოდი ორგანულად უკავშირდება სწავლების კოლექტიურ მეთოდს. მას XXI საუკუნის პედაგოგიურ ტექნოლოგიას უწოდებენ. თანამედროვე პირობებში მეტად აქტუალურია ისეთი პროექტების დამუშავება, რომლებიც ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებენ (ეკოლოგია, დემოგრაფია, უსაფრთხოება და მდგრადი განვითარება, ბიზნესის და მართვის ეთიკა, სამართალი და სხვა).

შესრულებული პროექტის შედეგები უნდა გაფორმდეს რაიმე სახით (მოხსენება, ვიდეოფილმი, ალბომი, კომპიუტერული გაზეთი და სხვა). კოლექტიური სწავლებისა და პროექტების მეთოდები ურთიერთ კავშირშია და ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებში. ამას არა მხოლოდ პედაგოგიური, არამედ სოციალური მომენტები განაპირობებენ: სტუდენტებისათვის აუცილებელია არა ცოდნის რაიმე მარაგის გადაცემა, არამედ იმის სწავლება თუ როგორ მოიპოვონ ცოდნა დამოუკიდებლად, როგორ უნდა იმუშაონ ნაირგვარ ჯგუფებში და შეასრულონ სხვადასხვა სოციალური როლები. (შუამავალი, ლიდერი, შემსრულებელი) სხვადასხვა კულტურების გაცნობის, ფართო ადამიანური კონტაქტების ხასიათი (ურთიერთობა ერთი ჯგუფის, ფაკულტეტის, სასწავლებლის რეგიონის, საზღვარგარეთის წარმომადგენელთა შორის).

არსებობს კონკრეტული სიტუაციების მეთოდი, რომელიც პირველად 1924 წელს გამოიყენეს ჰარვარდის უნივერსიტეტში. „ქეისი“ (შემთხვევა, საქმე, გარემოება, სამეურნეო სიტუაცია) - ეს არის ტექსტის სახით გადმოცემული და აღწერს

კონკრეტული კომპანიის ჩამოყალიბებას, განვითარებას, მართვას დინამიკაში. რიგ შემთხვევებში იყენებენ ვირტუალურ „ქეისებს“, სტუდენტებს ევალუატიონით განსაზღვრონ შესწავლის განვითარების ამოცანები, გამოიმუშაონ მოქმედების საკუთარი ვარიანტები პრობლემების გადასაჭრელად. „ქეისების“ მეთოდით სწავლების არსი გახლავთ ის, რომ ყოველი მონაწილე აყენებს ვარიანტებს, საკუთარი ცოდნიდან, ინტუიციიდან გამომდინარე. სხვადასხვა ინფორმაციის განხილვა, შეფასება ხდება საერთო დისკუსიის პროცესში. „ქეისის“ გარჩევის პროცედურა მოიცავს შემდეგ მომენტებს: „ქეისის“ წაკითხვა, ჯგუფში განხილვა, გადაწყვეტილების პრეზენტაცია. კონკრეტული სიტუაციების გარჩევა ან დებატები მჭიდრო კავშირშია სალექციო სწავლების მეთოდთან და შემოქმედებითად ანვითარებს მას. „ქეისების“ მეთოდი გვაჩვენებს თუ როგორ გამოიყენება პრაქტიკაში კონკრეტული სიტუაციების მეთოდი, სწავლება სტუდენტს ამდიდრებს იმით, რომ დაინახოს და გაიაზროს პრობლემა მონაწილის ან ხელმძღვანელის თვალთ, გაუზიაროს სხვებს საკუთარი ნააზრევი, შეისწავლოს თუ როგორ დაიცვას საკუთარი პოზიცია, ამისათვის მოიტანოს სათანადო არგუმენტები, დაარწმუნოს სხვები და გაითავისოს ყოველივე ის, რაც შეუძლებელია გაკეთდეს ლექციაზე და მის ანალოგიურ მეცადინეობაზე. არსებობს „ქეისების“ სახეობები. ერთ მათგანში მოცემულია დამატებითი ინფორმაციის მინიმალური რაოდენობა. მასზე მუშაობისას სტუდენტმა უნდა გამოიყენოს განსაზღვრული მოდელი ან ფორმულა. ამ სახის „ქეისისთვის“ არსებობს ოპტიმალური გადაწყვეტა და ნაკლები მნიშვნელობა აქვს ღრმა ანალიზს, აზრთა ჭიდილს.

მეორე სახეობა მოიცავს 1-10 გვერდიან ტექსტს და 1-2 გვერდიან დანართს, მასში ასახულია მხოლოდ ძირითადი, საკვანძო ცნებები, რის გამოც სტუდენტი საკუთარ ცოდნასაც უნდა დაეყრდნოს.

მესამე სახეობა ითვლება ყველაზე რთულ „ქეისად“ მასში გადმოცემულია დაწვრილებითი ინფორმაცია, არასაჭიროც კი. მასში შეგნებულად არ არის ასახული საჭირო ინფორმაცია. ამიტომ სტუდენტი უნდა იყოს ფხიზლად და მოახერხოს დანაკლისის შევსება თავისი ცოდნით.

მეოთხე სახის „ქეისის“ შემთხვევაში პედაგოგი და სტუდენტები გვევლინებიან მკვლევარის როლში. აქ უკვე გარდა შეთვისებული თეორიული ცოდნის და პრაქტიკული ჩვევებისა, აუცილებელია რაიმე სიახლის შემოთავაზება. მასწავლებელს შეუძლია დაიკავოს აქტიური ან პასიური პოზიცია, უხელმძღვანელოს დისკუსიას ან მხოლოდ შეაჯამოს გარჩევა. სტუდენტის საინტერესო გამოსვლისას მას შეუძლია მხარი დაუჭიროს და მოითხოვოს დებულებები წამოსწიოს პრიორიტეტულ პოზიციაზე. ხშირად პედაგოგი კამათისა და შეკითხვების მეშვეობით ცდილობს ჩამოაყალიბებინოს სტუდენტს საბოლოო, დასაბუთებული აზრი და გადაწყვეტილება. სიტუაციის ანალიზის შემდეგი ტიპი არსებობს:

ა) დაწვრილებითი ანალიზი, რომელიც გულისხმობს საკვანძო საკითხებში ღრმა წვდომას, რეკომენდირებული მოქმედებების დეტალურ განხილვას;

ბ) ანალიზი, რომელიც კონცენტრირებულია კონკრეტულ პრობლემასა თუ საკითხზე.

გ) დასაწყისის ანალიზი, ამ შემთხვევაში პედაგოგი შემოიფარგლება დისკუსიის თემის მიმოხილვით.

დისკუსიის დასასრულ სტუდენტმა უნდა ჩამოაყალიბოს დასკვნები, მოამზადოს გამოსვლისთვის პრობლემის გადაჭრის მისეული გზა.

„ქეისში“ უნდა აისახოს რეალური კომპანიის განვითარების რაიმე კონკრეტული პრობლემა, როდესაც კომპანიას არ სურს ინფორმაციის გაცემა „ქეისის“ შედგენა შეუძლებელია, ასეთი პრობლემები კი საქართველოში ხშირია, შესაძლებელია მხოლოდ მცირე საწარმოს მაგალითზე რაიმე პრობლემის შერჩევა, ციფრებისა და მონაცემების გარკვეული გადასხვაფერება და საშუალო ხარისხის „ქეისის“ შექმნა. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია ვირტუალური „ქეისების“ შექმნა და გარჩევა.

სასწავლო პროცესში ორი დაინტერესებული მხარე - პედაგოგი და სტუდენტი მონაწილეობს. სწავლების მაღალი შედეგი მიღწეული იქნება, როდესაც ორივე მხარეს შორის ჰარმონიული, შემოქმედებითი ურთიერთობა დამყარდება.

### სწავლების მეთოდისა და მეთოდოლოგიის ცნებათა დეფინიციისათვის

*ქეთევან გაფრინდაშვილი*  
*სტუ. ასისტ. პროფესორი*

#### რეზიუმე

მეთოდი არის წესი, წესების სისტემა რაიმე საქმიანობაში. მაგალითად, კონკრეტული სიტუაციების, სწავლების, გამოკვლევის მეთოდები. მეთოდიკა კი იკვლევს და გადმოსცემს რომელიმე დისციპლინის შესწავლის მეთოდს.

**საკვანძო სიტყვები:** ინტერდისციპლინარული; ვარიაცია; დეფინიცია; პრაგმატიკა; მართვა დინამიკაში.

## Дефиниция понятия метода и методологий учения

*Кетеван Гафриндашвили*

*ГТУ асист. профессор*

### Резюме

В той или иной деятельности система правил и является способом, методом. Например, метод конкретных ситуации, изучения, изыскания. А методика изучает и преподает метод изучения какой-либо дисциплины.

**Узловые слова:** Интердисциплинарный; Вариация; Дефиниция; Прагматика; Править в динамике.

### Definic method and methodology training

*Ketevan Gafrindashvili*

*GTU asist. professor*

### Rezume

Method is usually a system of rules applied to any field of *study*. For example, the methods of specific situations, training or research methods. Methodology studies and reports the methods of any discipline.



## აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა განათლება და ინტეგრაცია

*გიორგი თავხელიძე*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის*

*სტუდენტი*

### აბსტრაქტი

საქართველოში აუტიზმის სპექტრის აშლილობის პრობლემა მწვავეა და რიგ შემთხვევებში გადაუჭრელი. ბოლოდროინდელი გამოვლინების მზარდმა სტატისტიკამ მრავალ განვითარებულ სახელმწიფოს უბიძგა საგანმანათლებლო პოლიტიკის გადახედვისკენ. მოცემულ სტატიაში საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების მიერ ჩატარებულ ბოლო კვლევებზე, ასევე აუტიზმის სიმპტომატიკისა და ეპიდემიოლოგიის შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე დაყრდნობით, ვისაუბრებთ აუტისტური სპექტრის ზუსტ სადიაგნოსტიკო მეთოდებსა და ინკლუზიურ საგანმანათლებლო სისტემაზე. სტატიაში საუბარია იმაზეც, თუ რამდენად სერიოზულ პრობლემას ვაწყდებით, როცა ჩვენს ქვეყანაში აუტისტური სპექტრის აშლილობა დიდი სახელმწიფოების სტატისტიკას უტოლდება.

**საკვანძო სიტყვები:** აუტიზმის დიაგნოსტიკა, აუტისტური სპექტრის აშლილობა, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, ინკლუზიური განათლება.

**შესავალი.** აუტიზმის სინდრომს თავის ტვინის ნეირობიოლოგიური დარღვევა იწვევს. აუტიზმი პირველად ლეო კანერმა 1943 წელს აღწერა და ადრეული ბავშვობის აუტიზმი უწოდა. მან რამდენიმე მკვეთრად დამახასიათებელი ნიშანი გამოყო, როგორებიცაა: მკაცრად გამოხატული რეზისტენტულობა ცვლილებებისადმი, საგნებით გატაცება, მეტყველების პრობლემები (განსაკუთრებით სოციალური ინტერაქციისას) და სოციალურ ურთიერთობათა დამყარების უუნარობა. აუტიზმის სიმპტომატიკა ადამიანის ცხოვრების პირველი სამი წლის მანძილზე ვლინდება და არ ახასიათებს რემისია, თუმცა აუტიზმის გამოვლინების ხარისხი ვარირებს. მისი ყველაზე ძლიერი გამოხატულების შემთხვევაში ინდივიდს უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა და ემოციების

გაზიარება. მისი ქცევა რუტინულად განმეორებადია, ნეიროტიკური ადამიანისთვის უჩვეულო და ზოგ შემთხვევაში აგრესიულიც კი.

**ძირითადი ნაწილი.** აუტიზმის გავრცელების ბოლო მონაცემები დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა გამოაქვეყნა. კვლევაზე დაყრდნობით, პროპორცია 88 ბავშვიდან აუტიზმის სინდრომის მქონე ერთ პირზე ნაწილდება. აუტიზმის სინდრომის მქონე 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა 2500-ს შეადგენს. საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილი პროპორციული სტატისტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მონაცემების მსგავსია. სადაც აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ინდივიდთა რაოდენობა ყოველ 68 ბავშვში - ერთია. გლობალურად აუტიზმის სინდრომის მქონე ადამიანთა რიცხვი 2013 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, - 21,7 მილიონს შეადგენს. პროპორციული განაწილებით კი ყოველ 1000 ბავშვში, 1-2 აუტიზმის სინდრომის მქონეა. ძირითადი აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) გავრცელებასთან დაკავშირებული პირველი კვლევა საქართველოს მასშტაბით ბავშვთა ნეიროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის მიერ, 2007-2009 წლებში ჩატარდა. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ყოველი 110 ბავშვიდან ერთი აუტიზმის სინდრომის მქონე იყო. ორი ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე აშკარაა აუტიზმის სპექტრის აშლილობის გამოვლენის ზრდის ტენდენცია. სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული ორი ქართული კვლევა ასა-ს გავრცელების მომატებას აჩვენებს (მსგავსად აშშ - ს მონაცემებისა, სადაც 1980 წლიდან აუტიზმის სპექტრის აშლილობის გავრცელება შესამჩნევად გაიზარდა). მონაცემებზე დაყრდნობით, ორივე შემთხვევაში, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ აუტიზმის გამოვლენის სიხშირის ზრდა გარკვეულწილად დაკავშირებულია გაუმჯობესებულ სადიაგნოსტიკო საშუალებებთან და სამთავრობო ინიციატივებთან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოვლინების მატების რეალური მიზეზი ჯერ კიდევ უცნობია. სოციალური განვითარების თვალსაზრისით, აუტიზმის სინდრომის მქონე ინდივიდები სოციალური სტიმულის მიმართ ნაკლები ყურადღებით გამოირჩევიან, არიდევენ თვალს გარშემომყოფ ადამიანებს და თვალთ კონტაქტს. მათ ასევე ახასიათებთ ძირითადი თვითგამოხატვითი მოძრაობების შესრულების უუნარობა, მაგალითად - საგნის მითითება. აღსანიშნავია, რომ უფროსი ასაკის ბავშვები და მოზრდილები უფრო დაბალ მოსწრებას აჩვენებენ სახის ემოციის ამოცნობის ტესტებში, ვიდრე ნეიროტიკური ინდივიდები. ხშირია გონებრივი ჩამორჩენის პრეცენდენტებიც, მაგრამ მისი მაგნიტუდა ხარისხობრივად განსხვავდება. აუტიზმის სინდრომის მქონე პირთა შორის, მაღალი, ან საშუალოზე მაღალი ინტელექტის კოეფიციენტი მხოლოდ 20%-ს ახასიათებს. ყურადსაღები ფაქტია, რომ რიგ შემთხვევებში ბავშვებს განვითარებული აქვთ მუსიკალური, კალკულაციური, მათემატიკური და ფაქტობ-

რივი დეტალების დამახსოვრების გაძლიერებული უნარები. ხშირად გამოვლენილი ემოციური და ქცევითი პრობლემები განსაკუთრებულად ართულეს ადრეული ასაკის საგანმანათლებლო აქტივობებში ასა-ს მქონე პირთა მონაწილეობას. აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთათვის დამახასიათებელია სტერეოტიპული, რიტუალური ქმედებების ხანგრძლივი დროის მანძილზე გამეორება. რუტინის შეცვლაზე კი მათ უარყოფითი რეაქცია აქვთ. რასაც ხშირად მოყვება აუტიზმისათვის მკვეთრად სიმპტომატური შიში, როგორც თავდაცვითი რეაქცია. ქცევების განმეორებადი პატერნი და რუტინასთან მჭიდრო კავშირი ვლინდება ადრეული ასაკის თამაშებში, რასაც თან სდევს წარმოსახვითი ხასიათის და როლური თამაშების შესრულების უუნარობა. ადრეული-საგანმანათლებლო, თუ მოზრდილ ასაკში მათ სპეციალიზებული მიდგომა ესაჭიროებათ. რომელიც მორგებული და მოხერხებული უნდა იყოს მათთვის.

სოციალიზაციის მექანიზმების ამოქმედება განვითარებულ ქვეყნებში ადრეული ასაკიდანვე იწყება. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა 1975 წელს გაატარა „შეზღუდული უნარების მქონე ინდივიდთა საგანმანათლებლო აქტი“ (IDEA). 6 პუნქტისგან შემდგარი საკანონმდებლო ცვლილება მიზნად ისახავდა, რომ ყველა სპეციალური საჭიროების მქონე პირს მიეღო ადეკვატური განათლება. IDEA კიდევ ერთხელ, 2004 წელს გადაიხედა აქტ „No Child Left Behind“- ის ფარგლებში.

ზემოხსენებული რეგულაციის გატარება ერთ-ერთი ყველაზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო ამერიკის შეერთებული შტატების საგანმანათლებლო სისტემის ისტორიაში, რომლითაც მრავალმა აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვმა შეძლო ხელმისაწვდომი განათლების მიღება.

მსოფლიო მასშტაბით მრავალი პროექტი ხორციელდება, რათა გაიზარდოს ცნობადობა ასა-ს მქონე პირებზე და შემუშავდეს კარგად მორგებული სასწავლო და ინტეგრაციული გეგმები. ცნობადობის დამატებითი ზრდისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციით, 2 აპრილი აუტიზმის საერთაშორისო დღედ გამოცხადდა.

საქართველოში აუტიზმის სპექტრის აშლილობა საკმაოდ მწვავე, ხშირად ტაბუირებული და ძნელად გადასაჭრელი საკითხია. წლების მანძილზე არ არსებობდა ზუსტი სადიაგნოსტიკო მეთოდი და საგანმანათლებლო სისტემა განიცდიდა პროფესიონალების დეფიციტს. ამასთანავე, კანონში დღემდე არ არსებობს კონკრეტული რეგულაცია, რომელიც აუტიზმის სპექტრის აშლილობის სკრინინგს სავალდებულოს გახდის. სკრინინგ-ტესტი 25 წუთიანია და ქულებით ფასდება. ასა-ს სავალდებულო სტანდარტული სკრინინგი არ არის დაკავშირებული დიდ ხარჯებთან. ტესტის მოცულობა მხოლოდ ერთი ფურცელია და მისი სწორად შესრულება მოითხოვს მინიმალურ დროს.

ვითარება გაცილებით უფრო რთულია რისკ-ჯგუფების შემთხვევაში, სადაც სპეციალური სადიაგნოსტიკო ტესტების გამოყენება მნიშვნელოვანია აუტიზმის ადრეული აღმოჩენისათვის. ეს ტესტებია ADI-R, ADOS, რომლებიც 2 საათს მოიცავს და დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული. ორი ეტაპისგან შემდგარი ეს სკრინინგი პირველ ნაწილში ბავშვის ისტორიას სრულად იკვლევს, შემდეგ კი, დაკვირვებითი დიაგნოსტიკის მეთოდით ადგენს ზუსტ მონაცემებს. თუმცა რესურსების არასრულყოფილება და სპეციალისტთა რაოდენობრივი სიმწირე არ ტოვებს მოქმედების თავისუფლებასა და მოქნილობას. საქართველოში დღეს მსგავსი ტესტის ჩატარება მხოლოდ 2 ცენტრშია შესაძლებელი. ესენია: ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრი და იაშვილის სახელობის მენტალური ჯანმრთელობის კლინიკა. არასწორი და დაგვიანებული დიაგნოსტიკებით გამოწვეული ზიანის აღდგენა კი ხშირად აუნაზღაურებელ დანაკარგებს იწვევს. სკრინინგისა და დროული დიაგნოზის პრობლემას სწორი მკურნალობაც ემატება, რომელიც, ასევე, დეფიციტურია და მნიშვნელოვან ხარჯებთანაა დაკავშირებული. აუტიზმის მკურნალობის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია ABA (Applied Behavioral Analysis). ქვეყნის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული ეს მიდგომა წარმოადგენს პრობლემის სწორ და ეფექტურ გადაჭრას. კვლევები აჩვენებს, რომ დროული დიაგნოსტიკის შემთხვევაში, 18 დან 30 თვემდე ასაკში დაწყებული თერაპია ბავშვების 48%-ში საკმაოდ ეფექტურია, 52%-ის მდგომარეობა კი ეტაპობრივად უმჯობესდება. ABA-ს ჩატარების სტანდარტული ფასი, საათობრივად - 20 ლარია, კერძო ვიზიტის ღირებულება კი 15-დან 25 ლარამდე მერყეობს.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ინსტიტუციების რაოდენობრივი სიმწირე განვიხილეთ მხოლოდ დედაქალაქის მაგალითზე. განსაკუთრებულად მძიმეა ვითარება რეგიონებში, სადაც არ არის ხელმისაწვდომი ტრენინგისა და მკურნალობის საშუალება. თუმცა ბოლო პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან წინ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამმართველოს ინფორმაციით, თბილისისა და თელავის საჯარო სკოლებში შეიქმნა რამდენიმე სპეციალიზებული კლასი, სადაც გადამზადებულ სპეციალისტებთან საჭიროების მქონე ბავშვები შეძლებენ განათლების მიღებას. აღნიშნულ კლასებში ბავშვები პირველიდან მეექვსე საფეხურის ჩათვლით ისწავლიან, შემდეგ კი გადანაწილდებიან ჩვეულებრივ კლასებში. მიუხედავად სფეროში არსებული დადებითი საორგანიზაციო ძვრებისა, პრობლემა მაინც დღის წესრიგშია - სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ გააჩნია ადეკვატური და მოქნილი მექანიზმი აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა სოციალიზაციისა და სრულფასოვანი განათლებისთვის. სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოქვეყნებულ სპეციალურ მიმარ-

თვაში ნახსენებია ყველა მწვავე საკითხი, რომელთა გადაჭრაც ჯერ კიდევ ვერ ხერდება. მათ შორის - არაზუსტი სტატისტიკური მონაცემები, დაგვიანებული დიაგნოსტიკა და ინტერვენცია, სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლებობა, განათლების - როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების დარღვევა, პედაგოგთა საჭირო კვალიფიკაცია და მისთ.

ადეკვატური დაფინანსებისა და დეფიციტური სპეციალისტების პრობლემას ემატება საზოგადოებაში, კერძოდ კი - საგანმანათლებლო ინსტიტუციებში არსებული, ასა-ს მქონე პირების სტიგმატიზაცია და ნეიროტიკური ბავშვებისგან სეგრეგაციის პრეცედენტები. ხშირია შემთხვევა, როცა საბავშვო ბაღის პედაგოგები და ხელმძღვანელები უარს ამბობენ აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვის მიღებაზე. ერთ-ერთი მშობელი, ქართულ გამოცემასთან ინტერვიუში აღნიშნავს, რომ მისი შვილი არ მიიღეს საბავშვო ბაღში ქალაქის მერისა და ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის აქტიური ჩარევის გარეშე. მიღების შემდეგაც კი, მშობელს საბავშვო ბაღში ბავშვის გაჩერების უფლება მხოლოდ 1 საათით მისცეს. მშობლების მონათხრობზე დაყრდნობით, იყო შემთხვევები, როცა საბავშვო ბაღების ხელმძღვანელს აუტიზმის სინდრომის სიმპტომატიკასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ გააჩნდა და მას ცერებრალურ დამბლასთან აიგივებდა. ბოლო წლების მანძილზე საბავშვო ერთ-ერთი ყველაზე ევიდენტური ინციდენტი, აუტიზმის სინდრომის მქონე აღსაზრდელისთვის სახეზე დაზიანებების მიყენება იყო, რომლის დეტალების და უშუალო დამნაშავის გარკვევას გამოძიება ცდილობდა.

აღნიშნულ ბავშვთა მდგომარეობაზე დამყარებულ სტიგმატიზებას ბევრი მშობელი მიყავს გადაწყვეტილებამდე, რომ დამალოს შვილის დიაგნოზი. რაც, თავისთავად ამძიებს გარემოებებს და ხელს უშლის ბავშვს აქტიური სოციალიზაციის პროცესში.

**დასკვნა.** საქართველოს მასშტაბით ნაჩვენები მონაცემებიდან შეიმჩნევა ძირითადი და ფუნდამენტური პრობლემები, რომლებიც ასა-ს ცნობადობის გაზრდასა და სწორ მკურნალობაში ხელისშემშლელ ფაქტორებად გვევლინება. უპირველეს ყოვლისა პრობლემა სათავეს დეზინფორმირებულობიდან იღებს. აუტიზმის სპექტრის აშლილობის შესახებ ზუსტი სიმპტომატური ცოდნა არ გააჩნიათ საბავშვო ბაღების აღმზრდელებს, ასევე სკოლის და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე პერსონალს. ხშირ შემთხვევაში, საქმე გვაქვს აქტიური სტიგმატიზაციის კონკრეტულ და საზოგადო მაგალითებთან, ასა - ს მქონე პირების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებასთან. არაინფორმირებულობას ემატება პროფესიონალ კადრთა დეფიციტიც. მათ შორის, დიაგნოსტიკისა და აქტიური ინტერვენციის სფეროში. ავტორიზებული პირები, რომელთაც

გააჩნიათ დიაგნოსტიკებისათვის ადეკვატური საერთაშორისო სერთიფიკატი, აშკარად დეფიციტურია. მათ შორის ფსიქოლოგთა და ნევროპათოლოგთა სფეროში ძალიან ცოტაა სპეციალისტი, რომელიც შეძლებს აუტიზმის სინდრომის მქონე პირს ჩაუტაროს საერთაშორისოდ აკრედიტებული მკურნალობის პროგრამა (მათ შორის ქცევის გამოყენებითი ანალიზი).

არანაკლებ წინააღმდეგობას ვაწყდებით საგანმანათლებლო სტრუქტურებში. სადაც არაა გათვალისწინებული სპეციალური პროგრამები, რომლებითაც შესაძლებელი გახდება ასა-ს მქონე პირის კლასებსა და ჯგუფებში ინტეგრირება. მიუხედავად ბოლოდროინდელი პროგრესისა, ინკლუზიურ განათლებაში სპეციალიზებული პედაგოგების რაოდენობა ძალიან მცირეა და არ არის საკმარისი აუტიზმის სპექტრის აშლილობის გავრცელების მზარდი სტატისტიკისათვის. ცნობადობის დამატებითი გაზრდისათვის აუცილებელია მშობლების დროული ინფორმირება და აქტიური სოციალური პროგრამების გატარება, რომლებიც ზუსტ და კონკრეტულ ინფორმაციას მიაწვდიან საზოგადოებას. ამასთანავე, მოხსნის სტიგმას და ეცდება შეამციროს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაბატონებული სეგრეგაციული ტენდენციები.

სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება, მსგავსად ჩამოთვლილი პრობლემებისა, ასევე, რიგ სირთულეებთან ასოცირდება. სისტემა მოუქნელია და ბავშვთათვის სპეციალიზებული თერაპიების სახელმწიფოს მიერ დაფინანსება მოითხოვს მთელ რიგ ბიუროკრატიულ პროცედურას, რის გამოც, ხშირ შემთხვევებში ვერ ხერხდება ბავშვის სოციალურ პროგრამაში ჩართვა.

სტატიაში განხილულ ყველა პრობლემას საბოლოოდ მივყავართ ადამიანის ყველაზე საბაზისო უფლებების დარღვევისკენ. ირღვევა გაეროს კონვენციის მიერ დადგენილი განათლებისა და თავისუფლების უფლება. აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ინდივიდები უნდა ჩამოყალიბდნენ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად და საკითხი უნდა გათავისუფლდეს ტაბუსგან. მსგავსი ცვლილებების გატარებას მხოლოდ საზოგადოებრივი კეთილი ნება ხშირად არ ჰყოფნის, ამიტომ თუ გვსურს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირთა საზოგადოებრივ ყოველდღიურობაში, ორდინალურ რეალობაში ინტეგრაცია, ამისათვის მათ უნდა შეძლონ მიიღონ სახელმწიფოსგან გარანტირებული, კუთვნილი და ადეკვატური განათლება. რადგან შეუძლებელია ინდივიდის საზოგადოებასთან ასიმილაცია, თუ სოციალიზაციისათვის აუცილებელ პირველად ინსტიტუციებში მომუშავე პერსონალისგან, შემდგომ სახელმწიფოსგან და მოგვიანებით კი საზოგადოებისგან, მან უარყოფითი უკუკავშირი მიიღო.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- თ. გაგომიძე, ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები. 2007.  
„საქართველოში აუტიზმის დასაძლევად ბრძოლა აქტიურდება“, ეკა ქევანიშვილი.  
<http://www.radiotavisupleba.ge/a/24374034.html>  
„აუტიზმი - პაზლი, რომელიც ერთად უნდა ავაწყოთ“, ნინო თარხნიშვილი, 2015 წ.  
<http://www.radiotavisupleba.ge/a/autizmis-saertashoriso-dge-tbilisshi/26936578.html>  
„პროგრამა თბილისში მცხოვრები აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის - თუმცა, არა ყველასთვის“, ლიკა ზაკაშვილი, 2016.  
<http://liberali.ge/articles/view/22916/programa-tbilisshi-mtskhovrebi-autizmis-mqone-bavshvebistvis---tumtsa-ara-yvelastvis>  
„ბავშვს ვერ მივიღებ“ - სტერეოტიპები აუტიზმზე. <http://netgazeti.ge/life/35613/>  
Global Burden of Disease Study 2013 Collaborators (2015). "Global, regional, and national incidence, prevalence, and years lived with disability for 301 acute and chronic diseases and injuries in 188 countries, 1990–2013: a systematic analysis for the Global Burden of Disease Study 2013."  
ASD Data and Statistics, CDC.gov, 2014  
Prevalence of autism spectrum disorders — autism and developmental disabilities monitoring network, 14 sites, United States, 2008  
Blumberg SJ, Bramlett MD, Kogan MD, Schieve LA, Jones JR, Lu MC (2013). "Changes in prevalence of parent-reported autism spectrum disorder in school-aged U.S. children: 2007 to 2011–2012".  
Handbook of Autism and Pervasive Developmental Disorders, Assessment, Interventions, and Policy. John Wiley & Sons; 2014  
Bird, G.; Cook, R. (2013-07-23). "Mixed emotions: the contribution of alexithymia to the emotional symptoms of autism"  
Hulett, Kurt E. Legal Aspects of Special Education. Upper Saddle River, NJ: Pearson Education Inc., 2009.

**Education and integration of individuals with Autism  
Spectrum Disorders**

*G. Tavkheldze*

**Abstract**

The of autism spectrum disorder is complicated and in most cases, unsolvable problem. Rising up-to-date statistics urged various developed countries to revise their educational policy. Based on latest research from Disease Control and Prevention

Departments of Georgia and USA, also, the publications on symptomatic and epidemiological studies, the following article will discuss exact and proper diagnostical methods for Autism Spectrum Disorder and certain aspects of necessary educational system. Therefore, discussing the gravity of a challenging issue, when statistics of ASD in our country is almost equal to the data from the bigger nations.

**Keywords:** Autism Spectrum Disorder, Inclusive Education, Verbal and non-verbal communication, Diagnostics of Autism.

### Интеграция и инклюзивное образование людей с с расстройствами аутистического спектра

*Г. Тавхелидзе*

#### Абстракт

Проблема Расстройства аутистического спектра в Грузии стал не только серьезной, но и в некоторых случаях неразрешенной. В статье освещается проблема расстройств аутистического спектра: анализ статистики и дифференцировка понятий. Статья носит разъяснительный характер для заинтересованных лиц и людей, недостаточно знакомых с данной проблемой. Автор указывает на необходимость знания и понимания данных определений в связи с увеличением статистики расстройством аутистического спектра как в США, так и в Грузии. В статье также упоминаются сложности, связанные диагностикой расстройств аутистического спектра у детей. Также освещается вопросы, которые стоят перед педагогическим сообществом сегодня, что можно и нужно сделать каждому специалисту для более эффективного распространения идей инклюзивного образования, есть ли у нашей страны шанс в ближайшем будущем создать образовательную среду, доступную для детей страдающими расстройствами аутистического спектра.

**Основные ключевые слова:** Расстройства аутистического спектра, диагностика аутизма, речевая и неречевая коммуникация, инклюзивное образование.



## სწავლების პროცესის ტემპური მახასიათებელი და სწავლების ტიპოლოგია ტემპური თავისებურებების საფუძველზე

*ჯ. ნიკურაძე, ვ. კვინტრაძე, ვ. მელაძე, კ. ცხაკაია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### შესავალი

ცოდნის ათვისების ტემპი (ცატ) წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან, მაგრამ ფსიქიკური განვითარების არა ერთადერთ მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს ადამიანის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, ინფორმაციის ათვისების პროცესში. სტუდენტთა სასწავლო საქმიანობის ინდივიდუალური ტემპური პარამეტრების შეფასება შეიძლება უფრო გაფართოვდეს შემეცნებითი საქმიანობის კიდევ ერთი მახასიათებლით, ძალზე მნიშვნელოვანის სწავლებაში, -კლასიფიკაციის ოპერაციის ტემპით (ოკტ).

აკადემიური ინტელექტის სტრუქტურაში, კლასიფიკაციის ოპერაციას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს [ვექსლერის სკალა, მტჰაუერის ტესტი, გგსტ ტესტი (გონებრივი განვითარების სასკოლო ტესტი), უატ და აბიტურიენტთა ტესტი) და სხვ.]

თავისი არსით კლასიფიკაცია წარმოადგენს სისტემატიზაციას: სხვადასხვა საგნების განაწილების, მოვლენების, ცნებების, კლასების, ჯგუფების, თანრიგების, ზოგადი ნიშნების საფუძველზე. კლასიფიკაცია, როგორც აზრობრივი ოპერაცია შეძლება გამოდგეს გარკვეულ ხერხად დამახსოვრებისას, მისი ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. დასამახსოვრებელი მასალის დამუშავების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ხერხის გამოყენებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს უმნიშვნელო აზრობრივი დამუშავებისას პერცეპტურ დონეზე: საყრდენი პუნქტის გამოყოფა, დაჯგუფება, თანმიმდევრობის გამოყოფა, ასოციაციები. ასეთი ტიპის დამახსოვრების ძირითად მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ინფორმაცია (გზავნილი, ტექსტი) იყოფა ნაწილებად არა გარეგნული ნიშნების მიხედვით, არამედ აზრობრივი არსის მიხედვით, მიკროთემების ერთიანობის საფუძველზე.

### ძირითადი ნაწილი

ახალი სასწავლო მასალის ასათვისებლად აუცილებელია გამოვიყენოთ კლასიფიკაციები, რომლებიც ეფუძნება გადამუშავების უფრო რთულ საშუალებებს: ანალოგიას, სისტემატიზაციას, სტრუქტურირებას. ამასთან ერთად მიმდინარეობს, მთლიანის შემადგენელი ნაწილების, ურთიერთგანლაგების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც წარმოადგენს დასამახსოვრებელი მასალის შინა-

განი აგებულების განსაზღვრებას. ამასთან შექმნილ რთულ ერთეულებს გააჩნიათ ტრანზიტულობის, შექცევადობის, თვისებები ე.ი. შეიძლება მათი დეკოდირება საწყისი სახით. შედეგად ყალიბდება ახალი აზრობრივი რეპრეზენტაცია: იგი მიმდინარეობს ინფორმაციის გარდაქმნის გზით, რომელიც მიიღწევა გადაწყვეტილების აზრობრივი ატრიბუტების რთული ურთიერთქმედებით, აბსტრაგირებით, მსჯელობით და წარმოსახვით.

კლასიფიკაციის ოპერაციის ინდივიდუალური ტემპის გაზომვის მეთოდის დამუშავებული იყო (ცატ)-ის მეთოდის ანალოგიით, სუბტესტების „ანალოგიები“ და „ცნებათა განზოგადება“-ის მასალათა და (უატ) ტესტის საფუძველზე. გამოსაცდელს ეძლეოდა, სხვადასხვა ინსტრუქციებით, ორი სახის დავალება.

პირველ დავალებაში-„ანალოგიები“-გამოსაცდელი ასრულებდა ასეთი ტიპის ამოცანას: „მოცემულია ორი ცნება, აღვნიშნოთ ისინი, როგორც პირველი და მეორე. პირველ ცნებასთან მოვათავსოთ ნიშანი „X“, ხოლო მეორესთან ნიშანი „Y“. სიტყვათა წყვილიდან უნდა აირჩეს ისეთი სიტყვა, რომ პირველი სიტყვა ამ წყვილიდან უნდა ჩაისვას „X“-ის მაგივრად, ხოლო მეორე „Y“-ის ადგილზე. ამასთან დამოკიდებულება, სიტყვებს შორის, მარცხენა და მარჯვენა მხარეს უნდა იყოს ერთნაირი“.

მეორე დავალებაში - „ცნებათა განზოგადება“ - გამოსაცდელს უნდა ემუშავა შემდეგი ინსტრუქციის თანახმად: „მოცემულია ექვსი სიტყვა. მათ შორის არის ორი, რომელთა გაერთიანება შესაძლებელია რაღაც საერთო ნიშნით“.

თითოეული სახის დავალების შესრულება ფასდებოდა სწორად შესრულებული დავალებების რაოდენობით და მათ შესრულებაზე დახარჯული დროით. ამ მონაცემების საფუძველზე გამოითვლებოდა კლასიფიკაციის ოპერაციის ტემპი:

$$\text{ოკტ} = \frac{N}{T} 2700.$$

სადაც N-არის სწორად შესრულებული დავალებათა რიცხვი, T- შესრულებაზე დახარჯული დრო; 2700-მუდმივი კოეფიციენტი, რომელიც ტოლია 45წუთში (1აკად.საათი) არსებული წამების.

ამგვარად, დავალებებში „ანალოგიები“ და „ცნებათა განზოგადება“ იზომება შესრულების დრო, სწორი პასუხების რაოდენობა და მათი თანაფარდობა, როგორც კლასიფიკაციის ოპერაციის ტემპი. დავალება „ანალოგიები“-ის შესრულების ტემპი, როგორც ოკტ-1, ხოლო დავალება „ცნებათა განზოგადება“, როგორც ოკტ-2.

თავდაპირველად ოკტ-ს ერთეულად განიხილებოდა დავალებათა შესრულება ერთ აკადემიურ საათში. რადგანაც ოკტ წარმოადგენს ინტელექტუალური შესაძლებლობების გაზომვის მეთოდის, ხოლო ტრადიციულად ინტელექტის შეფასებისას გამოიყენება სტანდარტული სკალა, ამდენად მოხდა ოკტ-ს მაჩვენებლების გადაყვანა IQ (ინტელექტის კოეფიციენტი) ერთეულებში.

შედეგად ოკტ-ს ყველა მაჩვენებლები გადაყვანილი იქნა ინტელექტის სტანდარტული სკალის ერთეულებში და შემდგომ გამოიყენებოდნენ, როგორც IQ მაჩვენებლები.

კვლევაში ნაჩვენებია იყო, რომ ცატ-ს და ოკტ-ს, როგორც მნემიური და აზრობრივი ქმედების ინდივიდუალურ მახასიათებლებს არ გააჩნიათ ერთმანეთთან კორელაციური კავშირები [1]. სტუდენტების მიერ, ცატ და ოკტ მეთოდების შესრულების შედეგების დამუშავებამ ვერ აღმოაჩინა შესამჩნევი კორელაცია ამ მაჩვენებლებს შორის. ეს საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას ორფაქტორიანი - ცატ და ოკტ ორთოგონალური სივრცე სწავლების ტიპოლოგიის ასაგებად, მოსწავლეთა პოტენციალის დიფერენცირებული შეფასებისათვის და მათი ადგილის განსაზღვრისათვის სხვებს შორის [2].

ცატ და ოკტ განსაზღვრავენ აზროვნების და მეხსიერების ჩქაროსნულ მახასიათებლებს, როგორც ფუნქციებს, რაც მნიშვნელოვანია სწავლებისთვის. ცატ-ის და ოკტ-ს ერთდროული შესწავლა, დიდი რაოდენობის მასალის დამუშავებისას, ქმნის პირობებს სწავლების ტიპოლოგიის შექმნისა ამ ორი მაჩვენებლის საფუძველზე. ეს ფაქტორები განიხილება, როგორც სწავლების პრედიქტორები, რომელთაგან ერთი გამოხატავს უპირატესად მნემიური პროცესების ნიშნებს, ხოლო მეორე - აზრობრივს.

ერთ-ერთ ნაშრომში [3] ჩატარებულ იქნა კვლევა მოსწავლეთა ტიპოლოგიის შექმნისა ცატ-ის და ოკტ-ს საფუძველზე. სწავლების ტიპოლოგიის მათემატიკური მოდელის შექმნის პროცესში, ცატ-ის და ოკტ-ს მაჩვენებლები დაუქვემდებარეს ზოგიერთ მათემატიკურ გარდაქმნებს. ცატ-ის მაჩვენებლები გაალოგარიტმეს, რის შედეგადაც, მაჩვენებლების განაწილება გახდა ნორმალური. შემდეგ ცატ-ის მნიშვნელობებისგან შედგენილ იქნა სკალა, რომელიც შედარებულ იქნა ოკტ-ს სკალასთან, რომელსაც ქონდა იგივე საშუალო და იგივე სტანდარტული გადახრა. ამის შემდეგ შესრულებულ იქნა გარდაქმნები „მთავარი კომპონენტების“, ანუ ორი F1 და F2 ტიპოლოგიის საფუძველის მისაღებად, რომლებიც აუცილებელნი არიან ცატ-ის და ოკტ-ს მაჩვენებლების არაორთოგონალობის პრობლემის გადასაწყვეტად.

F1 ფაქტორი არის სტუდენტის, ზოგადი, ინტელექტუალური უნარების მახასიათებელი. ეს ზოგადი უნარები ვლინდება ცატ-შიც და ოკტ-შიც, ამიტომ ცატ-ი და ოკტ კორელირებენ. თუმცა ცატ-სა და ოკტ-ს შორის კორელაცია არ წარმოადგენს მაქსიმალურად მჭიდროს. ეს ნიშნავს იმას, რომ ცატ-ი და ოკტ შეიცავენ, ზოგადი უნარებისგან დამოუკიდებელ დამატებით ინფორმაციას. ეს ინფორმაცია კონცენტრირდება F2 ფაქტორში, რომლის ინტერპრეტაციას შეიძლება მიეცეს ასეთი სახე - როგორც ინტელექტუალური განვითარების პრევალირება (უპირატესობა) ცოდნის ათვისების ტემპზე (ამ ფაქტორის უარყოფითი მნიშ-

ვნელობა მიუთითებს ცოდნის ათვისების ტემპის პრევალირებას ინტელექტუალურ განვითარებაზე).

ამრიგად, ინტელექტის განვითარების დონის, ცოდნის ათვისების ტემპის და მათი თანაფარდობის გამო, ყოველი ადამიანი შეიძლება მივაკუთვნოთ გარკვეული ტიპის მოსწავლეს, რასაც „სწავლების ტაქსონი“ ეწოდება. სწავლების ტაქსონი (ტიპი), ეს არის მოსწავლეთა ერთობლიობა, რომლებიც ხასიათდებიან ინტელექტუალური განვითარების და ახალი ცნებების ათვისების ტემპის ერთობლიობის გარკვეული დონით. სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სწავლების ტაქსონებად განაწილების კვლევა აჩვენებს სწავლების ტაქსონების არათანაბარ შევსებას.

ასეთი ტიპის შერჩევასა, სტუდენტებისთვის რეკომენდაციების შემუშავებასა და საჭიროა, ძირითადად, უნარების განვითარების პროპორციულობის საფუძველზე. „პროპორციული“ სტუდენტებისათვის შესაძლებელია, შესწავლის ეფექტურობის გასაზრდელად, გაიზარდოს განმეორების რაოდენობა. „არაპროპორციული“ სტუდენტებისათვის, რომელთა ცოდნის სწრაფი ათვისების უნარები ჭარბობენ ინტელექტუალური განვითარების უნარებს ან პირიქით სასურველია ექსპერიმენტალურად შეერჩეთ მაკომპენსირებელი სწავლების სტრატეგია. ამას გარდა შესაძლებელია მიეცეთ, თვითოეული ტიპის სწავლებისათვის, როგორც ზოგადი რეკომენდაციები, ასევე ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც მიუთითებენ თუ რომელ მეცადინეობებზე გაკეთდეს აქცენტი სწავლებაში წარმატების მისაღწევად. სიცხადისათვის, F1 და F2 ფაქტორებიდან საჭიროა გადავიდეთ ცატ და ოკტ მახასიათებლების გამოყენებაზე. ოკტ-ს მეტობა ცატ-ზე მიუთითებს ოკტ-ს მაღალ მნიშვნელობას, ცატ-ის და ოკტ-ს ჰარმონიული შესაბამისობა ოკტ-ს საშუალო მნიშვნელობაზე, ცატ-ის სიჭარბე ოკტ-ზე, ოკტ-ს დაბალ მაჩვენებელს. იგივე მსჯელობა ვრცელდება ცატ-ის მნიშვნელობებისთვის.

### დასკვნა

ამგვარად, ფსიქოლოგების მიერ, ინტელექტის (ოკტ) და მეხსიერების (ცატ) მაჩვენებლების საფუძველზე, შემუშავებული სწავლების ტიპოლოგია, უნდა განვიხილოთ, როგორც დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი, რომელიც, სწავლების პროცესში, საშუალებას იძლევა:

- დავადგინოთ, სწავლების საწყის ეტაპზე, კოგნიტური შესაძლებლობების საწყისი დონე;
- შევაფასოთ კოგნიტური მახასიათებლების დინამიკა და მოვახდინოთ სწავლების ტრაექტორიის დროული კორექცია;
- მოვახდინოთ, სწავლების ტექნოლოგიების, ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებაზე, გავლენის შეფასება.

იგულისხმება, რომ სტუდენტების, ინდივიდუალური კოგნიტური და ფსიქოფიზიოლოგიური მახასიათებლები და პიროვნული თავისებურებები (ცატ, ოკტ), გამომჟღავნებული პირველად (უმადლესში მიღებისას) და შედგომ (კვლევების პარალელები კურსების მიხედვით) ტესტირებებისას, შეიძლება გახდეს საფუძველი რეკომენდაციების გასაცემად, რომლებიც აისახება ე.წ. “სტუდენტის პასპორტში”, რითაც შესაძლებელი იქნება, ამა თუ იმ სტუდენტის მიერ გავლილი, ინდივიდუალური სწავლების ტრაექტორიის ორგანიზება.

სამეცნიერო კვლევები სწავლების ფსიქოლოგიის სფეროში აჩვენებენ, რომ ცატ-ი და ოკტ წარმოადგენენ იმ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ მახასიათებლებს, რომლებიც ერთის მხრივ, საშუალებას იძლევიან თითოეული სტუდენტის სწავლებაში წარმატების მიღწევის პროგნოზირებას, ხოლო მეორეს მხრივ, საშუალებას იძლევიან, მთლიანობაში, ინდივიდუალიზირებული სწავლების ოპტიმალური სტრატეგიების შექმნისა. მეხსიერებისა და აზროვნების ტემპური მახასიათებლები წარმოადგენენ მოსწავლეთა მიერ, ცოდნის ათვისების განსხვავებულობის ანალიზის კრიტერიუმებს, სტუდენტების მიერ ცოდნის ეფექტური ათვისების რეკომენდაციების შედგენისას მათი უნარების და განვითარების პროპორციულობის საფუძველზე, მიუხედავად მათი კუთვნილებისა სწავლების სხვადასხვა ტაქსონებისადმი .

### ლიტერატურა

1. Шляхта Н.Ф. , Тихомирова И.В. Темп операций классификации как метод экспресс-диагностики интеллекта// Труды СГУ. Вып.95. М.,2006г. С. 64-72.
2. Шляхта Н.Ф. , Тихомирова И.В. Разработка новых показателей процесса усвоения учебных знаний: темп операций классификации//Труды СГУ. Вып. 61. М.,2003г.
3. Карпенко М.П., Тихомирова И.В., Чмыхова Е.В., Шляхта И.Ф. К проблеме создания типологии студентов СГА.//Труды СГУ. Вып.78.М.,2004г.

### რეზიუმე

განხილულ ნაშრომში მოცემულია სწავლების ტიპოლოგიის განხილვა ცოდნის ათვისების ტემპ (ცატ) და კლასიფიკაციის ოპერაციის ტემპი (ოკტ) მახასიათებლების საფუძველზე. ეს მახასიათებლები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ-პედაგოგიურ ფაქტორებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან, სტუდენტების მიერ ცოდნის ეფექტური ათვისების, რეკომენდაციების შედგენისა, მათი უნარების და განვითარების პროპორციულობის საფუძველზე. შემუშავებული სწავლების ტიპოლოგია უნდა განვიხილოთ, როგორც დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი, რომელიც, სწავლების პროცესში, საშუალებას იძლევა:

- დავადგინოთ, სწავლების საწყის ეტაპზე, კოგნიტური შესაძლებლობების საწყისი დონე;
- შევადგინოთ კოგნიტური მახასიათებლების დინამიკა და მოვახდინოთ სწავლების ტრაექტორიის დროული კორექცია;
- მოვახდინოთ სწავლების ტექნოლოგიების, ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებაზე გავლენის შეფასება.

**საკვანძო სიტყვები:** ტიპოლოგია, ათვისების ტემპი, კოგნიტურობა, ინტელექტი.

### Резюме

В данной работе рассматривается типология обучения на основе темпа усвоения знания (ТУЗ) и темпа операции классификации (ТОК). Эти характеристики являются важными психолого-педагогическими характеристиками которые дают возможность составления рекомендаций по эффективному усвоению знаний студентами на основании их способностей и пропорциональности развития. Разработанную типологию обучаемости следует рассматривать в качестве диагностического инструмента, позволявшего в ходе учебного процесса: определять исходный уровень когнитивных возможностей в начале обучения; оценивать динамику когнитивных характеристик и проводить своевременную коррекцию образовательной траектории; осуществлять оценку влияния образовательных технологий на развитие интеллектуального потенциала.

**Ключевые слова:** типология, темп усвоения, когнитивность, интеллект.

### Summary

In the given article typology of education is considered on the base of rate of learning of knowledge and rate of operation of classification. These characteristics are important psychological-pedagogical characteristics which give a possibility to complete recommendations for the effective learning of knowledge by students according to their ability and proportionality of development. Developed typology of learning should be considered as a diagnostic instrument which helps during the learning process: to determine initial level of cognitive abilities at beginning of education; to estimate of dynamic of cognitive characteristics and correct, in time, the educational trajectory; to carry out the estimation of effect of educational technology on the development of the intellectual potential.

**Key words:** typology, temp of learning, cognition, intellect.

## ინოვაციები, როგორც განათლების განვითარების ფაქტორი

*კონსტანტინე რამიშვილი*

*კატერინე ჩიკვილაძე*

*ქ. თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტი*

ინოვაციური განათლების პრობლემების გადაწყვეტას, რომელიც აყალიბებს ინოვაციურ აზროვნებას, ადამიანი ყოველთვის ცდილობდა. ინოვაციების გენერირება განპირობებულია კაცობრიობის საკვლევი პრობლემის ობიექტური სვლით. ტრადიციულად გამოიყოფა საკვლევი პრობლემის ორი ასპექტი - ისტორიული და მისი დღევანდელი მდგომარეობა, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სასწავლო დაწესებულების ინოვაციური გარემოს ფორმირებისა და განვითარებისას.

პედაგოგიური ინოვაციები ეფუძნება სოკრატეს, პლატონს, არისტოტელესა და სხვათა საფუძვლებს. ეს ნიშნავს, რომ ტრადიცია და ინოვაცია უნდა განვიხილოთ არა როგორც ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი და ერთმანეთის გამანადგურებელი, არამედ, როგორც ერთი მთლიანის ორი მხარე, რომლებიც ავსებენ ერთმანეთს, ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე. თანამედროვე ინოვაციები წარსულის საუკეთესო ტრადიციებს ემყარება (1).

ცნების „ინოვაცია“ გენეზისი და მისი დღევანდელი არსებული მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ სტრუქტურული ელემენტებისა და მათი ურთიერთობების ცვლილებები, რომლებსაც ახასიათებს გარკვეულ ხარისხში ეტაპების თანმიმდევრულობა და ინოვაციების შინაარსის განვითარების სოციალური მექანიზმი იდეიდან მისი ინსტიტუციონალიზამდე სოციალური ნორმის სახით. ეს კი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მისი, როგორც სისტემის კონტურები. ეს არის აუცილებელი პირობა ინოვაციის არსის გაგებისათვის.

თუ ვიმსჯელებთ ინოვაციის არსზე, როგორც სოციალურ მექანიზმებზე, რომელიც განაპირობებს არა მხოლოდ იმპულსს, არამედ იძლევა განვითარების საშუალებას, მაშინ აუცილებელია შევისწავლოთ ინოვაციების ურთიერთქმედების კანონზომიერებები სხვადასხვა სოციალური სისტემებით სწორედ ამ კონკრეტული თვალსაზრისით.

პედაგოგიურ ინოვაციკა ახალგაზრდა მეცნიერებაა. მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი იმყოფება მეცნიერული დამუშავების და ჩამოყალიბების სტადიაში.

განათლების სხვადასხვაგვარი ინოვაციური ასპექტების კვლევის საწყისებთან იდგნენ ისეთი მეცნიერები, როგორებიც არიან ტ. კოვალიოვა, ტ. ნიკონოვა, ვ. ლიაუდისი, ა. ხუტორსკი, ნ. იუსუფბეკოვა და მრავალი სხვა.

ინოვაცია, აღნიშნავს ნ. იუსუფბეკოვა, - „ეს არის პედაგოგიური სინამდვილის ისეთი შესაძლო ცვლილებები, რომლებსაც მივყავართ აქამდე უცნობ, ჯერ არნახულ მდგომარეობამდე, რომლებიც ავითარებენ აღზრდისა და სწავლების თეორიასა და პრაქტიკას.“ (6)

გ. ლავრენტიევის და ნ. ლავრენტიევას მოსაზრებების თანახმად. პედაგოგიური ინოვაცია. ეს არის თეორიულად გამყარებული, მიზანმიმართული და პრაქტიკულ-ორიენტირებული სიახლე, რომელიც ხორციელდება სამ დონეზე: მაკრო, მეზო და მიკროდონეზე.

მაკროდონეზე ინოვაციები ეხება ცვლილებებს მთელ საგანმანათლებლო სისტემაში და აყალიბებს პრინციპულად ახალ პედაგოგიკას.

მეზოდონეზე - ინოვაცია მიმართულია რეგიონის საგანმანათლებლო გარემოს ცვლილებებზე, კონკრეტულ სასწავლო დაწესებულებებში.

მიკროდონეზე ინოვაციები მიმართულია განათლების ახალი შინაარსის შექმნაზე, ახალი ტექნოლოგიების სწავლების ახალი ფორმების და მეთოდების დამუშავებაზე (2).

თ. ნოვიკოვას განმარტებით, „პედაგოგიური ინოვაცია - მეცნიერების სფეროა, რომელიც სწავლობს სკოლის განვითარების პროცესებს, რომლებიც განათლების ახალი პრაქტიკის შექმნასთანაა დაკავშირებული,“ ... ეს ისეთი აქტუალური, მნიშვნელოვანი სისტემურად თვითორგანიზებული ახალწარმონაქმნებია, რომლებიც წარმოიშობა მრავალზე ან ინიციატივებსა და სიახლეებზე, რომლებიც პერსპექტივები ხდებიან განათლების ევოლუციისათვის და პოზიტიურად მოქმედებენ მის განვითარებაზე. აგრეთვე გავლენას ახდენენ განათლების გაცილებით დიდი სივრცის განვითარებაზე [4].

ინოვაციური პედაგოგია გულისხმობს განათლების განვითარების პრინციპულად ახალ სტრატეგიულ ხაზზე გადასვლას. ასე, მაგალითად, ინოვაციური სწავლება თავისი ფსიქოლოგიური ფუნქციებით, როგორც პედაგოგიური პროცესის ერთ-ერთი, შემადგენელი - ეს არის მასწავლებლისა და მოსწავლის პიროვნების დამოკიდებულების განვითარება, მასწავლებლის დემოკრატიული პოზიციების საშუალებით. აგრეთვე პროცესის მონაწილეობის ჩართულობა ერთობლივ შემოქმედებით საქმიანობაში სწავლების მთელი პროცესის განმავლობაში. ხოლო ამის საფუძველზე თანამშრომლობის ხასიათის ცვლილება, როგორც ვ. ლიადისი აღნიშნავს, ქმნის მოსწავლეების მაღალი მზაობის პირობებს „ჩამოუყალიბებელი მომავლისადმი“, ზრდის მათი ინტელექტუალურ-კომუნიკაციური საქმიანობის განვითარების დონეს (3).



ჩვენ სრულიად ვიზიარებთ მეცნიერთა მოსაზრებას, რომ სიხლის მთავარი პრინციპი - ეს არის პროგრესული დასაწყისი. სიახლე ეს არის საშუალება (ახალი მეთოდი, მეთოდოლოგია, ტექნოლოგია), ხოლო ინოვაცია - არის ამ საშუალების ათვისების პროცესი.

ინოვაციური პროცესების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ საქმიანობა, პედაგოგიური სიახლეების შექმნის თვალსაზრისით, მათი გამოყენება და გავრცელება სწავლების პრაქტიკაში.

ინოვაციური საქმიანობა გულისხმობს სასწავლო დაწესებულებებში სიახლეების ათვისებას, რომლებსაც მივყავართ საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციონირების და პროექტების განვითარების მდგომარეობის ცვლილებისაკენ. ასევე მისი ქვესისტემების და რგოლების განვითარებისაკენ. ინოვაციურ საქმიანობას მსვლელობას და **შედეგს** მუდმივად თან უნდა ახლდეს ანალიზი და შეფასება.

საკვანძო ცნება ინოვაციკაში - ეს არის ინოვაციური პროცესი ა. ხუტორსკი ინოვაციურ პროცესებს განათლებაში განიხილავს სამ ძირითად ასპექტში: სოციალურ-ეკონომიკურში, ფსიქო-პედაგოგიურში და ორგანიზაციულ- მმართველობითში. მათზეა დამოკიდებული საერთო კლიმატი და პირობები, რომლებშიც მიმდინარეობს ინოვაციური პროცესები (5).

სასწავლო დაწესებულებების ინოვაციური საქმიანობის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ამ პროცესების განვითარების დაგეგმვა. საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარები დაგეგმვის ანალიზი, როგორც კვლევებმა აჩვენა, ისეთი ხარვეზებს წარმოაჩენს, როგორცაა საბოლოო მიზნების აბსტრაქტულობა, ქმედებათა შემადგენლობის დაუსაბუთებლობა, გამჭოლი მიზნების ჩამოუყალიბებლობა და სხვა.

ხარვეზები ინოვაციურ საქმიანობაში უმეტეს შემთხვევაში აიხსნება, სასწავლო დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივების და მათი ხელმძღვანელების სუსტი მეთოდურ-თეორიული მომზადებით. შედეგად ჩნდება უამრავი კითხვა:

- რატომ ხდება ასე, რომ ზოგიერთი ინოვაცია სწრაფად ვრცელდება, ხოლო ზოგიერთი რჩება არამოთხოვნადად, თუმცა ისინი ობიექტურად სასარგებლოა?
- რატომ არის, რომ ერთი და იგივე სიახლეები რომელიმე ინერგება სასწავლო დაწესებულებებში იძლევა სრულიად განსხვავებულ შედეგებს?
- რატომ არის, რომ ზოგიერთი პედაგოგი აქტიურად ეძებს და მისწრაფვის სიახლისაკენ, ხოლო სხვანი იქცევიან პასიურად და არ უნდათ თქმა იმაზე, რაც უკვე მორალურად მოძველებულია?

- რა და როგორ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ განხორციელებული ცვლილებები იყოს ეფექტური?

ეს და სხვა მრავალი კითხვა სულ უფრო მეტ აქტიურობას იძენს.

გადაწყვეტილება იმის თაობაზე, საჭიროა კი ცვლილებები სასწავლო დაწესებულების პედაგოგიურ სისტემაში, რომელ მიმართულებებში და რა მოცულობით, დამოკიდებულია სიტუაციის ანალიზიდან და სასწავლო დაწესებულების პრობლემების ხედვაზე.

თავისთავად სასწავლო - აღმზრდელიობითი პროცესის ანალიზის ხარისხი - ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ადგილია საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში. ძირითადად ის შემოიფარგლება მხოლოდ სასწავლო პროგრამების ათვისების შედეგებით, ანუ აკადემიური მოსწრებით. აქვე უნდა ავლნიშნოთ (მივაკუთვნოთ) სასწავლო დაწესებულების მიზნების არამკაფიო განსაზღვრება, ანალიზის, ანალიზის არაპროგნოზირება; ხარვეზების გამომწვევი მიზეზების ზედაპირული ანალიზი, დასანერგი ინოვაციების არარაციონალური შერჩევა.

სასწავლო დაწესებულება ინოვაციური იქნება იმ შემთხვევაში, თუკი დაინერგება არა მხოლოდ ცალკეული საგანმანათლებლო მეთოდები და ტექნოლოგიები, არამედ ორიენტირება იქნება ახალ საგანმანათლებლო მოდელზე მთლიანობაში, რომელიც დამყარებული იქნება პიროვნულობაზე ორიენტირებულ პედაგოგიკაზე. როდესაც პედაგოგის მოვლვაწეობაში დომინირებს ურთიერთობათა დემოკრატიული სტილი, რომელსაც საფუძვლად უდევს თანამშრომლობა, მაშინ მოსწავლეები, რომელში ახდენენ თვითრეალიზებას და თვითდამკვიდრებას.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ თავის მხრივ ინოვაციები შეტანილი ცვლილებების ხარისხის მიხედვით იყოფა:

1. ინოვაციები, რომლებსაც შეაქვთ ძირეული, პრინციპული ცვლილებები სასწავლო პროცესში.
2. ინოვაციები, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ განახლებენ ამ პროცესს.

მთლიანობაში პედაგოგიური ინოვაციების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს მთელი რიგი პარამეტრების მიხედვით:

- მისი გამოვლენის ადგილით (მეცნიერებაში ან პრაქტიკაში).
- დროში გამოვლენით (ისტორიული ან თანამედროვე).
- დანერგვის შესაძლებლობით.
- პედაგოგიური დარგის მიხედვით.
- სიახლის დონით (ხარისხით).
- პედაგოგიური პროცესების გარდასახვის ხარისხით.
- პედაგოგიური სისტემისადმი დამოკიდებულებით (სისტემური ან არასისტემური).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. „ინოვაციები და ტრადიციები განათლებაში“ - ბელგრადი. 1996
2. ლავრენტიევი გ.ვ. ლავრენტიევა ნ.ბ. „ინოვაციური სასწავლო ტექნოლოგიები სპეციალისტების პროფესიულ მომზადებაში“ ბარნაული 2007.
3. ლიაუდისი ვ.ი. „ინოვაციური სწავლება და მეცნიერება“ მ. 1992
4. ნოვიკოვა ტ.ბ. „ინოვაციური საქმიანობა: ცნებები, თავისებურებები, კრიტიკურიუმები.“ „ინოვაციური პროცესები განათლებაში: თეორია და პრაქტიკა“. მ. 2001
5. ხუტორსკი ა.ვ. „პედაგოგიური ინოვაცია“
6. იუსუფბეკოვა ნ.რ. „პედაგოგიური ინოვაციის ზოგადი საფუძვლები: ინოვაციური პროცესების თეორიის შემუშავების გამოცდილება საგანმანათლებლო პროცესებში“. მ. 1991

### ინოვაციები, როგორც განათლების განვითარების ფაქტორი

*კონსტანტინე რამიშვილი  
ეკატერინე ჩიკვილაძე*

### რეზიუმე

თანამედროვე განათლების პარადიგმულ საფუძვლებზე, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მეცნიერებების მიღწევებსა და პედაგოგიური ინოვაციების სფეროში კვლევებზე დაყრდნობით ავტორები მიმართავენ სხვადასხვაგვარი მიდგომების ანალიზს მისი განმარტებისათვის. სტატიაში აღნიშნულია, რომ ინოვაციური მიდგომები განათლებაში აყალიბებენ თვისებრივად ახალ ეტაპს პედაგოგიური საქმიანობის განვითარებასა და ურთიერთქმედებაში. აგრეთვე მათი შედეგების გამოყენებას, რომლებსაც მივყავართ საგანმანათლებლო სისტემების ფუნქციონალურ ცვლილებებამდე, მისი ქვესისტემების და შემადგენელი რგოლების განვითარებამდე.

**საკვანძო სიტყვები:** ცნების „ინოვაცია“ გენეზისი, ინოვაციური პროცესი, ინოვაციური საქმიანობა, პედაგოგიური ინოვაციების კლასიფიკაცია.

## Innovations, as the factor of Development Education

*Konstantine Ramishvili*

*Ekaterine Chikviladze*

### Abstract

Based on the paradigm of modern education, the Achievements of psycho-pedagogical sciences and the research of the sphere of innovative pedagogy, the authors discuss the various approaches for its determination. the article states that the innovative processes create actually a new stage in the development of pedagogical activity, leading us the development of functioning and projecting the change of the educational systems and its subsystems.

## Социокультурная компетенция речевого обучения и ее роль в преподавании РКИ в Грузинском техническом университете

*В.Сидамонидзе*

*старший преподаватель. ГТУ, Грузинский технический университет.*

*Тбилиси.Костава 77.*

*Л.Сидамонидзе*

*PhD, Грузинский технический университет.*

*Тбилиси.Костава 77.,*

*зав.каф. иностранных языков “IB-Mthiebi”, Тбилиси. Кутаисская 34.*

**Ключевые слова:** постиндустриальный, «сетевое общество», интертекстуальный, социокультурный, аутентичный, профессиональные навыки.

Процесс визалиберализации, который стал важным событием в нашей стране, создает новые условия существования иностранных языков в качестве знаковой системы культур. Исходя из основного тезиса, касающегося восприятия языка в качестве системы, служащей средством общения, мышления и управления, мы можем говорить о процессе взаимодействия языков, или так называемых языковых контактах как основного фактора развития межнациональных отношений. Этот

процесс является весьма актуальным в наше время, когда мы стали свидетелями формирования постиндустриального общества или как его еще называют «Network society» [1,12].

Изменения, произошедшие в последние годы в экономической, политической и культурной жизни как внутри нашей страны, так и в области международных отношений, существенно расширили функции иностранного языка, в том числе и русского. А вхождение Грузии в мировое сообщество, интеграционные процессы в различных сферах экономики, политики и культуры сделали особо актуальной проблему межкультурного общения. Развитие международных контактов и связей в политике, экономике, культуре и других областях обуславливает ориентацию современной методики обучения иностранным языкам на реальные условия коммуникации. В качестве цели обучения выдвигается межкультурная (социальная) компетенция, а процесс обучения иностранному языку должен быть направлен на преодоление ксенофобии и существующих стереотипов, воспитание толерантности в отношении представителей других культур.

Надо заметить, что отношение к русскому языку стало меняться в нашей стране в сторону положительных тенденций, соответственно и методика преподавания РКИ требует новых условий и возможностей существования. Мы можем говорить об изменении в этом направлении исходя из политики «социального заказа». А социальный заказ современного общества в этой области выдвигает задачу сформировать такую личность, которая была бы способна адаптироваться в быстроразвивающихся условиях жизни.

Готовность жить в поликультурном постиндустриальном мире требует владения социокультурной компетенцией. Нашим студентам необходимы для перспективной деятельности фоновые и предметные знания языка, они должны иметь представления о реалиях иностранного языка и знать их, а также быть знакомыми с традициями и обычаями другой страны. Это поможет им в будущем компетентно вести свои дела, общаться с носителями языка и т. д.

Выше мы указали на общие положения, связанные с проблемой существования методики преподавания РКИ в Грузии, однако нам необходимо учитывать и конкретные задачи преподавания русского в нашем вузе, тем более, что инновационные процессы, происходящие в мире, требуют от высшего профессионального образования поиска новых путей модернизации. Специфика преподавания русского в Грузинском Техническом университете имеет давнюю традицию. Однако мы, педагоги РКИ, осознаем сложившиеся в нашем государстве реалии в отношении русского языка, стараемся учитывать все тенденции развития социополитических процессов, происходящих в Грузии и соответственно реагировать на вызовы нашего

времени. Свидетельством этому служат новые подходы, методические разработки, которые так активно предлагаются нами, с учетом всех социокультурных и поведенческих моделей нового «сетевое общества» XXI века, в котором «ключевые социальные структуры и деятельность его членов организованы вокруг сетей электронных коммуникаций» [1,20].

С учетом всех этих особенностей, студентам для перспективной деятельности необходимы фоновые и предметные знания русского языка, они должны иметь представления о не только о реалиях и языковых компетенциях языка, но и быть знакомыми с традициями и обычаями этой страны. Это поможет им в будущем компетентно вести свои дела, общаться с носителями языка и т. д. Иными словами, современная цель обучения иностранному языку и культуре может быть сформулирована как подготовка к реальной межкультурной коммуникации. Ряд авторов трактуют межкультурную коммуникацию как «адекватное взаимопонимание участников коммуникации, принадлежащих к разным национальным культурам» [2,277].

Именно такая постановка обучения соответствует потребностям, предъявляемым к иностранным языкам на современном этапе развития общества. И это неслучайно, поскольку, с усилением взаимодействия цивилизаций, взаимопроникновением культур, четко обозначается и процесс массового внедрения обучения иностранным языкам, в ходе которого могут и должны быть заложены прочные основы, необходимые человеку для участия в диалоге культур, который актуален для модели постиндустриального или, как еще его называют социологи, информационного общества.

Согласно новым государственным стандартам по иностранному языку, которые предоставлены Министерством образования Грузии, в обязательный минимум содержания основных образовательных программ, помимо речевых умений и языковых знаний и навыков, входят социокультурные прикладные знания и умения. Формирование и развитие социокультурных знаний и умений означает:

- 1) введение новой тематики и проблематики речевого общения с учетом специфики выбранного студентами профиля.
- 2) расширение знаний о стране в сфере науки, социологии и культуры.
- 3) адекватное использованием языковых средств и правил речевого и неречевого поведения в соответствии с нормами, принятыми Грузии.

Подобные требования, которые предоставляет социокультурная реальность нашего общества, предусматривает также и поиск новых инновационных технологий обучения иностранному языку, способствующих формированию у студента прикладных языковых знаний и компетенций. Именно такая постановка обучения

соответствует потребностям, предъявляемым к иностранным языкам на современном этапе развития общества.

Исходя из личного опыта преподавания РКИ в Грузинском техническом Университете, мы можем утверждать, что новые методы, используемые нами в процессе преподавания, оправдывают себя, делают процесс обучения насыщенным, актуальным и мотивированным. В качестве примера можно привести работу с интертекстуальными текстами, которые мы предлагаем нашим студентам в качестве обучающего материала. Аутентичность используемых материалов, информационная насыщенность, новизна, современность и актуальность, которая наблюдается в этих текстах ведет к тому, что мы не только учитываем новые веяния нашего общества, но и выполняем более специфические и конкретные задачи, а именно: учитываем профессиональные интересы нашей аудитории, что делает процесс обучения мотивированным и современным.

Кроме того, большую роль в овладении языком играет использование технологий. Они позволяют тренировать различные виды речевой деятельности, помогают осознать языковые явления, сформировать лингвистические способности, создавать коммуникативные ситуации, автоматизировать языковые и речевые действия, а также обеспечивают интенсификацию самостоятельной работы студентов, что немаловажно, учитывая специфику нашего вуза, который основан на получении технических профессиональных навыков.

Таким образом, подобный подход позволяет студенту ориентироваться в социокультурных реалиях русскоговорящей аутентичной среды, самому предотвращать возможные языковые помехи в условиях общения и адаптироваться в иноязычной среде. Все это создает важные предпосылки для последующего развития социокультурной компетенции профессионально - профильного характера. В конечном итоге, именно это является для нас основной целью преподавания русского языка как иностранного в ГТУ. Поддержанию высокой мотивации служат и стимулирование творческих возможностей учащихся (написание и защита рефератов по специальности, представление презентаций будущей профессиональной деятельности, написание статей), участие их в дискуссиях, конференциях, предоставление возможности публичного выступления. Акцент в обучении языку делается на его практическом владении, т.е. обучении деятельности на основе передаваемых знаний и формируемых умений; причем в проекции на обучение иностранцев это требует особого «видения» языковых явлений с точки зрения восприятия их носителями другого языка [3, 33].

## Используемая литература

1. Мануэль Кастельс «Зарождение сетевого общества» («The Rise of the Network Society») 1 часть: «Информационная эпоха: экономика, общество и культура». Екатеринбург. У-Фактория при участии издательства Гуманитарного университета. 2004.
2. Верещагин Е.М., Костомаров В.Г. Язык и культура: лингвострановедение в преподавании русского языка как иностранного. – М.: Русский язык. 2003
3. Хрестоматия по методике преподавания русского языка как иностранного / сост. Л.В.Московкин, А.Н. Щукин. – М.: Русский язык. Курсы, 2012.

## Социокультурная компетенция речевого обучения и ее роль в преподавании РКИ в Грузинском техническом университете

### Резюме

В статье охарактеризованы современные задачи преподавания «Русский язык как иностранный» в ГТУ, роль преподавателя РКИ в работе со студентами технического вуза. Показана специфика преподавания дисциплины РКИ с учетом всех особенностей современных языковых требований в период формирования постиндустриального общества, показан процесс формирования стимулирующих профессиональных мотивов и коммуникативной компетенции студентов.

## Sociocultural competency of the speech development and its role in teaching the Russian as a foreign language at the Georgian Technical University

*Vanda Sidamonidze*

*L. Sidamonidze*

*Georgian Technical University .Tbilisi, Kostava 77.*

### RESUME

**Key words:** post-industrial, network society, intertextual, Sociocultural, authentic, professional skills

The tasks of the most up-to-date methods for teaching the Russian as a foreign language at the Georgian Technical University are described in the article in question. The specific character of teaching the Russian as a foreign language with a glance of all



modern peculiarities and language requirements during the post-industrial society formations well as professional grounds and communicative competency of students are reflected in this work.

სოციოკულტურული კომპეტენცია და მისი როლი რუსული ენის როგორც  
უცხოური ენის შესწავლაში

*ვ.სიდამონიძე,  
უფროსი მასწავლებელი, სტუ.,  
ლ.სიდამონიძე,  
Phd. თბილისი, კოსტავა 77*

რეზიუმე

**საკვანძო სიტყვები:** პოსტინდუსტრიული, ინტერტექსტუალური, ინტერ-ტექსტუალური, პოზტინდუსტრიული, სოციოკულტურული, აუთენტური, პროფესიული უნარ-ჩვევები.

სტატიაში განხილულია უცხოური ენის ათვისების ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენა დამოკიდებულია არა მხოლოდ თანდაყოლილ მიდრეკილებაზე, არამედ ქვეყანაში განათლების სისტემაში არსებულ აქტუალურ ტენდენციებზე. სწავლის სტრატეგია განსაკუთრებულ კავშირშია სწავლის შედეგიანობასთან. მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება სწავლების პროცესში უფრო ეფექტურია, ვიდრე ერთ-ერთის. ჩვენი უნივერსიტეტის სპეციფიკის, სწავლების პირობებისა და სტუდენტური ასაკის გათვალისწინებით მეტაკოგნიტური სტრატეგია უნდა ჩაითვალოს ყველაზე ოპტიმალურად რუსული ენის ეფექტური სწავლებისათვის.

## შემთხვევის ანალიზზე დაფუძნებული სწავლება („ქეის მეთოდი“) და მისი გამოყენება უცხოური ენის სწავლებისას

*მარიამ შონია*

*სტუ ასოცირებული პროფესორი*

*ნატალია დოლიძე*

*დოქტორანტი, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, პედაგოგიკის ინსტიტუტი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებელი*

**საკვანძო სიტყვები:** „შემთხვევის ანალიზზე დაფუძნებული სწავლება“, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, გუნდური მუშაობა, „ქეისი“, ენობრივი და არაენობრივი კომპეტენციები

ოცდამეერთე საუკუნის სპეციფიურმა მოთხოვნებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სწავლებისა და სწავლის პროცესის ახლებურ გააზრებაზე და თავიდან წამოჭრა კითხვები, თუ როგორ სწავლობენ მოსწავლეები თუ სტუდენტები უკეთ, რა გავლენას ახდენს სასწავლო მეთოდები და მიდგომები სწავლის შედეგებზე, რა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება სასწავლო პროცესში, რა როლი აკისრია მასწავლებელს გარდა ინფორმაციის გადამცემისა, რათა საურველი სწავლის შედეგები იყოს მიღწეული და ა.შ. ყოველივე ამან ბიძგი მისცა სწავლების „ტრადიციული“ ფორმების თანდათანობით შეცვლასა და მათი ჩანაცვლებას სტუდენტზე/შემსწავლელზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომებით, სადაც სტუდენტები მეტ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ სწავლაზე, არ არიან ინფორმაციის პასიური მიმღებები, ხოლო მასწავლებელი იქცევა დამხმარედ, ანუ ფასილიტატორად.

ასეთ შემთხვევაში გაზრდილი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა/სტუდენტთა აქტიურ ჩართლობას სწავლის პროცესში, მათ შინაგან მოტივაციას, სასწავლო პრობლემის გადაწყვეტის, რეფლექსიის, ანალიზის, დასკვნების გამოტანის უნარის ჩამოყალიბებას და სხვ. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი შესაბამისი სასწავლო მიდგომების გამოყენებაა საჭირო.

ყურადღება ექცევა, აგრეთვე, შემსწავლელისათვის ისეთი სასწავლო კონტექსტის მიწოდებას, რომელიც რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციას უკავშირდება და სადაც შესაძლებელია ცოდნისა და უნარ-ჩვევების როგორც მისადაგება, ასევე შექმნა მასწავლებლის დახმარებასა და მათ აქტიურ ჩართულობაზე დაყრდნობით.

ერთ-ერთ ასეთ სასწავლო მოდგომას, რომელიც ზემოხსენებულ მახასიათებლებს ესადაგება, შემთხვევის ანალიზზე, ანუ „ქეისზე“ დაფუძნებული სწავლება წარმოადგენს.

**შემთხვევის ანალიზზე („ქეისზე“) დაფუძნებული სწავლება (Case Based Teaching).**

„შემთხვევის ანალიზზე (ქეისზე) დაფუძნებული სწავლებისას“ მოსწავლეები ანალიზებენ „ქეისებს“ - ცალკეულ შემთხვევებს, რომლებიც მოითხოვს პრობლემის გადაწყვეტას, გადაწყვეტილების მიღებას. „ქეისები“ ხშირად შეიცავს გარკვეულ სირთულეს, დილემას, რომელიც ამა თუ იმ თემასთან, კონტექსტთან, სიტუაციასთანაა დაკავშირებული. „ქეისი“ აუტენტური უნდა იყოს და აღწერდეს კონკრეტულ სიტუაციას, რომელიც მოითხოვს მსჯელობასა და ანალიზს, გადაწყვეტილების მიღებას, დასკვნის გამოტანას. „ქეისებზე“ მუშაობის პროცესში მოსწავლეები ეჩვევიან ლოგიკურ მსჯელობას, უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, ერთვებიან დისკუსიაში, გამოთქვამენ საკუთარ არგუმენტებს, შეხედულებებს საკითხთან მიმართებაში.

შემთხვევაზე („ქეისზე“) დაფუძნებული სწავლება ერთ-ერთ ინდუქციურ მიდგომად მიიჩნევა, თუმც იგი შეიძლება ყოველთვის არ ჩაითვალოს ასეთად. როგორც ჯ.ლინი (J . Lynn) აღნიშნავს, როდესაც „ქეისი“ უბრალოდ მონათხრობს წარმოადგენს ამა თუ იმ, თუნდაც პროლემატურ სიტუაციაზე და მოსწავლეებს იგი წინასწარ ეძლევათ, რათა შემდგომში ერთობლივად იმსჯელონ და განიხილონ, ის უფრო საილუსტრაციო მაგალითია, ამიტომაც ასეთ „ქეისებს“ ლინი „სასწავლო ქეისებს“ უწოდებს.

„ქეისების“ სასწავლო მიზნებით გამოყენებას თავისი ფაზები/ეტაპები აქვს 1) შინაარსის გაცნობა; 2) რელევანტური ანალიზი; 3) ალტერნატივების მოძიება; 4) ალტერნატივების შეფასება; 5) მოქმედების გეზის არჩევა; 6) მიღწეული გადაწყვეტის შეფასება და შედეგების განხილვა.

„ქეისებით“ სწავლებას გარკვეული საერთო აქვს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებასთან, თუმც „ქეისები“ მეტად სტრუქტურირებულია და კონტექსტუალურად მდიდარი. გარდა ამისა, მოსწავლეები გარკვეულწილად მათთვის უკვე ნაცნობ მასალასაც იყენებენ. „ქეისებით“ სწავლება ახალი არ არის და გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს, თუმც მას დღესაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ანალიტიკური აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარის შეძენის თვალსაზრისით.

შემთხვევის ანალიზზე („ქეისზე“) დაფუძნებული სწავლებას მრავალი მხარდამჭერი ჰყავს, განსაკუთრებით პრაქტიკოს მასწავლებელთა შორის. თუმც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ემპირიული კვლევების შედარებით მწირი რაოდენობა არსებობს. მრავალი ავტორი (Lundeberg *et al*, M. Adams, R Mayer,

D.Fasko, B.Levin, C.Gabel) მიუთითებს, რომ, აღნიშნული მიდგომა მოსწავლეებს სხვადასხვა თვალსაზრისისა და ხედვის ჩამოყალიბებაში ეხმარება, აუმჯობესებს მათ ლოგიკურ აზროვნებას და პრობლემის გადაჭრის უნარს, ხელს უწყობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებასა და გამოყენებას.

„შემთხვევის ანალიზზე დაფუძნებული სწავლება“ სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო სტრატეგიად მიიჩნევა, რომელიც, გარდა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევისა, სტუდენტებში ანალიტიკურ აზროვნებას, კომუნიკაციის და პიროვნებათაშორის უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს. სტუდენტებს პროგრამით გათვალისწინებული მასალა იმგვარად მიეწოდებათ, რომ სასწავლო პროცესი უფრო მეტად ქმედებაზე ორიენტირებული იყოს და მოხდეს თეორიული ცნებებისა და პრაქტიკის ურთიერთდაკავშირება. (Davis & Wilcock). „ქეისებზე“ მუშაობა მოითხოვს სათანადო ორგანიზაციულ ჩვევებსა და დროის სწორად განაწილების უნარს. გარდა წერიტი და ზეპირი კომუნიკაციისა, სტუდენტებს თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის უნარებიც უვითარდებათ.

### მიზნები და ამოცანები

როდესაც მასწავლებელი „ქეისს“ არჩევს, მან, რა თქმა უნდა, სასწავლო მიზნები უნდა გაითვალისწინოს და წინასწარ გააცნობიეროს, თუ რა სასწავლო ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს მოსწავლეებისაგან. (Herreid, 1998). სასურველია, რომ ისეთი სასწავლო „ქეისები“ შეირჩეს, რომლებიც სიტუაციის სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა კუთხით შეფასების საშუალებას იძლევა. „ქეისი“ შესაძლოა „მოკლევადიანი“ იყოს და საკლასო დისკუსიით შემოიფარგლოს, ზოგიერთ შემთხვევაში კი იგი შესაძლოა პროექტშიც კი გადაიზარდოს, რომელსაც მთელი სემესტრის განმავლობაში შეიძლება გარკვეული დრო დაეთმოს. სათანადოდ შერჩეული „ქეისი“ ნათლად წარმოაჩენს პრობლემასა თუ საკითხს, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს, ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნებსა და მოთხოვნებს და სტუდენტებს შეძენილი ცოდნის გამომჟღავნების საშუალებასაც აძლევს.

გარდა იმისა, რომ მასწავლებელი სათანადოდ უნდა მოემზადოს აღნიშნული სასწავლო მიდგომის განსახორციელებლად, ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაუთმოს სტუდენტების შემზადებას. ამისათვის, მასწავლებელმა:

- წინასწარ უნდა განუმარტოს სტუდენტებს აღნიშნული მიდგომის არსი და მიზნები.
- თავიდან სტუდენტებს შედარებით მარტივი „ქეისი“ მისცეს დასამუშავებლად.
- განუმარტოს გუნდური მუშაობის წესები.
- გააცნოს მუშაობის და დისკუსიის წარმართვის სახელმძღვანელო პრინციპები.

- სათანადო დრო დაუთმოს თავად „ქეისის“ მათთვის წარდგენასა და განხილვას.
- საჭიროებისამებრ მიაწოდოს დამატებითი მასალა.
- წახალისოს სტუდენტები, აქტიურად ჩაერთონ მუშაობაში.
- დაამყაროს მათთან უკუკავშირი.

გარდა ამისა, მასწავლებელმა საკმარისი დრო უნდა მისცეს სტუდენტებს, რომ წაიკითხონ და გააანალიზონ „ქეისი“. თუ ის მოცულობითია, შესაძლოა ის საშინაო დავალებად მიეცეთ სტუდენტებს შესაბამისი „გზამკვლევი“ კითხვებითა და სახელმძღვანელო მითითებებით, ან შეიძლება „ქეისზე“ მუშაობა განსაზღვრულ საფეხურებად დაიყოს, რომლებსაც სტუდენტები ეტაპობრივად განიხილავენ.

როდესაც სტუდენტები ჯგუფებად მუშაობენ, მათ მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეიძლება დაინაწილონ როლები და სხვადასხვა პოზიციიდან დააფიქსირონ განსხვავებული თვალთახედვა, მოიშველიონ არგუმენტაცია, რის შემდეგაც ხდება წამოჭრილი საკითხების სინთეზირება. იმისათვის, რომ სასურველი სასწავლო შედეგები მივიღოთ, მუშაობის პროცესი კარგად დაგეგმილი და სტრუქტურირებული უნდა იყოს.

სასწავლო პროცესში შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა საკლასო აქტივობა, მაგალითად როლური თამაში, როდესაც სტუდენტები როლებს დაინაწილებენ და დაიცავენ საკუთარ პოზიციას. ასევე შეიძლება განვახოციელოთ სასწავლო სტრატეგია „გაკეთე არჩევანი“, როდესაც სტუდენტები დაიყოფიან საკითხისადმი საკუთარი თვალთახედვის მიხედვით და ჩაერთვებიან დისკუსიაში. იმ შემთხვევაში, თუ ერთ პოზიციაზე გაცილებით მეტი სტუდენტი აღმოჩნდება, მასწავლებელი უნდა ჩაერთოს „უმცირესობის“ მხარეს, რათა მათ არ დაეკარგოთ დისკუსიაში მონაწილეობის მოტივაცია. ასევე, შეიძლება „ქეისი“ ნაწილებად დაიყოს და ეს ნაწილები სტუდენტებმა დაინაწილონ გასაანალიზებლად და არგუმენტების მოსაყვანად. როდესაც სტუდენტებს აღნიშნული მიდგომით მუშაობის გამოცდილება დაუგროვდებათ, მათ, შესაძლოა, საკუთარი „ქეისების“ დაწერაც დავავალოთ. ასეთ შემთხვევაში სტუდენტებს მოუხდებათ შესაბამისი სასწავლო მასალის მოძიება, მისი დამუშავება და ანალიზი, რაც სწავლის შედეგებზეც პოზიტიურად იმოქმედებს და ამავე დროს, ხელს შეუწყობს მათ აქტიურ ჩართულობას.

დისკუსიის წარმართვისას მასწავლებელმა შესაძლოა სხვადასხვა სტრატეგიას მიმართოს. ერთ-ერთი კითხვების დასმაა, თუმც კითხვები სწორად შერჩეული და ძირითადად „ღია დაბოლოებანი“ უნდა იყოს, რომლებიც აზრთა სხვადასხვაობის დაფიქსირების საშუალებას იძლევა და დისკუსიასაც აძლევს სტიმულს. (Herreid, 2001). დისკუსის დამთავრების შემდგომ ხდება როგორც შეჯამება, ასევე რეკომენდაციების შემუშავება.“

აღნიშნული მიდგომა უცხოური ენის სწავლებისასაც გამოიყენება და თუ პროცესი სათანადოდ წარმართება, ავითარებს როგორც ენორივ, ასევე არა-ენობრივ კომპეტენციებს. „ქეისებზე“ მუშაობის დროს სტუდენტები უცხო ენას „ბუნებრივად“ იყენებენ, იუმჯობესებენ როგორც საუბრის, ასევე წერის, კითხვის უნარ-ჩვევებს, იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს. გარდა ამისა, ისინი შინაგანად მოტივირებულები არიან, რადგან რეალურ ცხოვრებისეულ საკითხებს თუ პრობლემებს განიხილავენ და წყვეტენ. ისინი გამოთქვამენ საკუთარ აზრს, ერთვებიან დისკუსიაში, მოჰყავთ არგუმენტაცია წერილობით, ერთვებიან როლურ თამაშში და ა.შ. რა თქმა უნდა, რათა სასურველი სასწავლო შედეგები იქნეს მიღწეული, მასწავლებელმა სწორად უნდა დასახოს მიზნები, სათანადოდ დაგეგმოს პროცესი და შეარჩიოს მსაფერისი სასწავლო მასალა.

„ქეისების“ დამუშავებისას სტუდენტები გუნდურად მუშაობენ და ხანდახან, ერთი გუნდი ეპაექრება მეორეს უკეთესი გადაწყვეტილების მიღებაში. სტუდენტები თავად არიან გადაწყვეტილების მიმღებები და ამიტომ ინტერესით ერთვებიან საქმიანობაში, ხოლო მასწავლებელი უძღვება და არეგულირებს პროცესს.

იმისათვის, რომ „ქეისში“ არსებული პრობლემა გადაწყვიტონ, სტუდენტებმა სხვადასხვა საფეხურები უნდა განვლონ, მაგალითად: 1. გაეცნონ „ქეისს“; 2. მოახდინონ პრობლემის იდენტიფიცირება; 3. მოიძიონ გადაწყვეტის ალტერნატიული გზები; 4. გააანალიზონ ისინი და შეჩერდნენ საუკეთესოზე; 5. დასახონ მოქმედების/გადაწყვეტის გეგმა და ა.შ. სათანადოდ წარმართულ პროცესს მნიშვნელოვანი სასწავლო პოტენციალი გააჩნია და მეტად პროდუქტიულია უცხოური ენის ცოდნის დონის ამაღლების თვალსაზრისით.

აღნიშნული მიდგომა მეტად სარგებლიანია პროფესიული ენის კურსის გაძლიერებისას, რადგან, ამ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ სტუდენტები იმდიდრებენ პროფესიულ ლექსიკას და ივითარებენ კითხვის, წერისა და საუბრის უნარ-ჩვევებს, ისინი პროფესიულ სფეროშიც ხელოვნდებიან, განიხილავენ რა შესაბამის აუტენტურ ინფორმაციას და მოქმედებენ, როგორც პროფესიონალები. მაგალითად, ბიზნესის ენის შესწავლისას, „ქეისი“ შეიძლება შეეხებოდეს კომპანიაში არსებული პრობლემის გადაწყვეტას. სტუდენტებმა უნდა:

- წაიკითხონ „ქეისი“.
- განიხილონ კომპანიაში არსებული სიტუაცია.
- გააანალიზონ ძლიერი, სუსტი მხარეები და საფრთხეები.
- განიხილონ პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტები და შეჩერდნენ საუკეთესოზე, კომპანიის მიზნებიდან გამომდინარე.
- გააკეთონ პრეზენტაცია.
- დასახონ შესრულების გეგმა.

აქედან გამომდინარე, სტუდენტებს სხვადასხვარი ენორივი დავალებების შესრულება უწევთ: ისინი ვარჯიშობენ კითხვაში და წაკითხულის გაცნობიერებაში, უვითარდებათ უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი, იმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს, ასრულებენ წერით დავალებებს - მაგალითად, შეიძლება წარმოადგინონ საბოლოო გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით და, ამავდროულად, იძენენ პროფესიულ კომპეტენციებს. რადგან სტუდენტები ჯგუფებად მუშაობენ, ისინი ერთმანეთისგანაც სწავლობენ. გარდა ამისა, ისინი მოტივირებულები არიან, რადგან თავად იღებენ გადაწყვეტილებებს, ირგებენ სხვადასხვა როლს. მასწავლებელი დამკვირვებლის და დამხმარის ფუნქციას ასრულებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთაღნიშნული სრულიადაც არ აკნინებს მასწავლებლის როლს. იმისათვის, რომ სასურველი სასწავლო შედეგები მივიღოთ და პროცესი წარმატებულად წარიმართოს, მასწავლებელი კარგად უნდა იყოს მომზადებული აღნიშნული მიდგომის განსახორციელებლად. მან უნდა წინასწარ სათანადოდ დაგეგმოს მეცადინეობა, შეარჩიოს სათანადო მასალა (მათ შორის სტუდენტების ენის ცოდნის დონის გათვალისწინებით), განსაზღვროს კონკრეტული აქტივობები, დასახოს მიზნები, თუ რის მიღწევას მოელის სტუდენტებისაგან, შემოქმედებითად გაუძღვეს პროცესს. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს გარკვეული გამოცდილება ესაჭიროება. ამ მეთოდით მუშაობის დაწყებისას, სასურველია, დამწყებმა მასწავლებელმა შეარჩიონ შედარებით „მომცრო ქეისები“, ხოლო შემდგომ, თანდათანობით განავრცონ აღნიშნული მიდგომით მუშაობა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თუკი პროცესი სათანადოდაა დაგეგმილი და განხორციელებული, „ქეისებით“ სწავლება, როგორც ერთ-ერთი სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა, პროდუქტიულია უცხოური ენის ცოდნის დონის ამაღლების თვალსაზრისით და ამავდროულად, სასურველი არაენობრივი კომპეტენციების განვითარებასაც უწყობს ხელს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Michael Prince and Richard Felder "The Many Faces of Inductive Teaching Copyright © 2007, National Science Teachers Association (NSTA). Journal of College Science Teaching, Vol. 36, No. 5, March/April 2007
2. Lynn, Jr., L.E., Teaching and Learning with Cases, New York: Chatham House Publishers, 1999. 47. Lundeberg, M., Levin, B., and Harrington, H., Who Learns What from Cases and How? The Research Base for Teaching and Learning with Cases, Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates, Inc., 1999.
3. Adams, M.E., The Response to Eleventh Graders to the Use of the Case Method of Instruction in Social Studies, Unpublished master's thesis, Simon Fraser

- University, Bambrly, B.C. (Cited in Ciardiello, A., “A case for case-based instruction” in C.N. Hedley, P. Antonacci, and M. Rabinowitz, eds., Thinking and literacy: The mind at work, Hillsdale NJ: Erlbaum, 1995.)
4. Mayer, R., “Invited Reaction: Cultivating Problem-Solving Skills through Problem-Based Approaches to Professional Development,” Human Resources Development Quarterly, Vol. 13, No.3, 2002, p. 263.
  5. Fasko, D., “Case Studies and Method in Teaching and Learning,” presented at the Annual Meeting of the Society of Educators and Scholars, Louisville, KY, April 2003.
  6. Teaching Methods for Case Studies - Ryerson University
  7. <http://www.ryerson.ca/content/dam/lt/resources/handouts/CaseMethodBestPractices.pdf>
  8. Elzbieta Jendrych, Case Studies in Business English Teaching
  9. <http://doksi.hu/get.php?lid=17753&order=DisplayPreview>
  10. Case studies: Connecting theory to practice. Teaching Strategies Series, Teaching and Learning. Daly, P. (2002). Methodology for using case studies in the business English language classroom. Internet TESL Journal. 8(11).
  11. <http://Daly, 2002/Techniques/Daly-CaseStudies>
  12. Davis, C. & Wilcock, E. Teaching materials using case studies. UK Centre for Materials. Education, Higher Education Academy.
  13. <http://www.materials.ac.uk/guides/casestudies.asp>
  14. Teaching with case studies. (1994). Speaking of Teaching, Stanford University Newsletter on Teaching. 5(2)
  15. [http://www.Stanford University/dept/CTL/cgi-bin/docs/newsletter/case\\_studies.pdf](http://www.Stanford University/dept/CTL/cgi-bin/docs/newsletter/case_studies.pdf)

**შემთხვევის ანალიზზე დაფუძნებული სწავლება („ქეის მეთოდი“) და მისი გამოყენება უცხოური ენის სწავლებისას**

**რეზიუმე**

**საკვანძო სიტყვები:** „შემთხვევის ანალიზზე დაფუძნებული სწავლება“, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, გუნდური მუშაობა, „ქეისი“, ენობრივი და არაენობრივი კომპეტენციები

„შემთხვევის ანალიზზე დაფუძნებული სწავლება“ („ქეის მეთოდი“) სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო სტრატეგიად მიიჩნევა, რომელიც, გარდა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევისა, სტუდენტებში ანალიტიკურ აზროვნებას, კომუნიკაციის და პიროვნებათაშორის უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს.



აღნიშნული მიდგომა უცხოური ენის სწავლებისასაც გამოიყენება და თუ პროცესი სათანადოდ წარიმართება, ავითარებს როგორც ენორივ, ასევე არა-ენობრივ კომპეტენციებს. „ქეისებზე“ მუშაობის დროს სტუდენტები უცხო ენას „ბუნებრივად“ იყენებენ, იუმჯობესებენ როგორც საუბრის, ასევე წერის, კითხვის უნარ-ჩვევებს, იმდიდებენ ლექსიკურ მარაგს.

## Case Method and its Application in Foreign Language Teaching

*M. Shonia, N. Dolidze*

### Resume

**Key Words:** „Case Method“, Student centered teaching, Team work, Language and non-language competencies

„Case Method“ is a student-centered teaching strategy that, besides acquiring course material, can stimulate development of critical thinking, communication and interpersonal skills in students. “Case Method” is considered to be an innovative approach and has been applied in language teaching courses for some time now. Quality application of the “Case Method” can improve the language acquisition process and offer more opportunities to develop the productive language skills in reading, speaking and writing.

### Кейс метод и его применение в обучении иностранному языку

*М. Шониа, Н. Долидзе*

### Резюме

**Ключевые слова:** “Кейс Метод”, учебный подход ориентированный на студента, Кейс, языковые и не языковые навыки.

“Кейс Метод” является учебным подходом ориентированным на студента, который, кроме усвоения курсового материала, способствует развитию таких навыков. как критическое мышление, логическое суждение, межличностная коммуникация и т.д.

“Кейс Метод” в последнее время успешно применяется и в обучении иностранных языков. В процессе работы данным подходом студенты практикуются в чтении, в письме, в устной речи, обогащается лексика, в том числе и профессиональная.

## სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ზოგადი დახასიათება და მისი თეორიული საფუძვლები

*მარიამ შონია, სტუ ასოცირებული პროფესორი  
ნატალია დოლიძე, დოქტორანტი,  
თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
პედაგოგიკის ინსტიტუტი,  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მასწავლებელი*

**საკვანძო სიტყვები:** სტუდენტზე/შემსწავლელზე ორიენტირებული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლა, რეფლექსია, კონსტრუქტივიზმი, პროგრესივიზმი, ჰუმანისტური თეორია

ოცდამეერთე საუკუნის მოთხოვნმა თავისი გავლენა მოახდინა განათლების სფეროზე და ახალი აქცენტები დასვა სწავლებისა სწავლის პროცესის წარმართვის სპეციფიკის თვალსაზრისით. აღნიშნული აქცენტებიდან ერთ-ერთი იმ სასწავლო მიდგომებს უკავშირდება, რომლებიც, ახალი რეალობიდან გამომდინარე, ეფექტიანად მიიჩნევა სასწავლო პროცესის წარმართვისა და სასურველი სასწავლო შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. ამ კონტექსტში დამკვიდრდა და სულ უფრო ხშირად გამოიყენება ტერმინი „სტუდენტზე/შემსწავლელზე ორიენტირებული სწავლება“, რომლის ძირითად მახასიათებლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ფესვები თანამედროვე ეპოქაში მეოცე საუკუნის დასწყისს უნდა დავუკავშიროთ, თავად ცნება კი ძირითადად ჟან პიაჟეს, ლევ ვიგოდსკისა და ჯონ დიუის სახელებთან ასოცირდება. რელისის (Rallis) მიხედვით, პიაჟემ შეისწავლა პროცესი, რომელზე დაყრდნობითაც ადამიანები ცოდნას აგებენ, დიუიმ ხაზი გაუსვა შემსწავლელის ურთიერთქმედების მნიშვნელობას გარემოსთან, ვიგოდსკიმ კი -სოციალური ინტერაქციის როლს სწავლის პროცესში (Rallis,1995).

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ძირითად მახასიათებლებად შემდეგი კომპონენტები მიიჩნევა:

- ცოდნის აგება
- მეტაკოგნიცია
- მასწავლებლისა და სტუდენტების/მოსწავლეების პარტნიორობა სწავლის პროცესში
- თანამშრომლობითი სწავლა
- მიმდინარე შეფასება

სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომა მჭიდროდაა დაკავშირებული სტუდენტთა ჩართულობასთან სასწავლო პროცესში, სადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად სტუდენტთა ინტერესი გვევლინება.

აღნიშნული მიდგომის განხორციელების დროს სტუდენტებს გამოცდილებით სწავლის საშუალება ეძლევათ, სადაც ადგილი აქვს როგორც სასწავლო მიზნებით გათვალისწინებული მასალის ათვისებას, ასევე ხელი ეწყობა მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, „სწავლის სწავლის“ უნარის ჩათვლით.

სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლებისას სტუდენტები ახალ ცოდნას ძველზე აგებენ, მუშაობენ თანამშრომლობით, ანალიზებენ ფაქტებს, ახდენენ რეფლექსიას, წყვეტენ სასწავლო პრობლემებს და გამოაქვთ დასკვნები. რა თქმა უნდა, პროცესს მასწავლებელი უძღვება, რომელიც სასწავლო მიზნებსა და აქტივობებს ერთმანეთს უხამებს.

სტუდენტებისათვის სწავლის პროცესში გარკვეული ავტონომიის მინიჭება ამაღლებს მათ შინაგან მოტივაციას და ხელს უწყობს აქტიურ ჩართულობას (McCombs & Miller, 2007). როგორც აღნიშნავენ, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც დაგეგმვა, სწავლება და შეფასება სტუდენტების საჭიროებასა და უნარს შეესაბამება (Brown, 2008). აღნიშნული მიზნის მისაღწევად მასწავლებელმა სტუდენტებს მრავალფეროვანი სასწავლო შესაძლებლობები უნდა შესთავაზოს, რათა სტუდენტთა საჭიროებები გაითვალისწინოს. თუ პროცესი სათანადოდაა წარმართული, ინფორმაციის გაცნობისა და ანალიზისთვის მაღალი სააზროვნო უნარების გამოყენებაა საჭირო, რათა საკითხის სიღრმისეული დამუშავება მოხდეს.

გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტების თანამშრომლობით მუშაობას, რომელიც ხშირად შემოქმედებით ხასიათს იღებს. თანამშრომლობით მუშაობისას სტუდენტები ერთმანეთისგანაც სწავლობენ.

სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა საკმაოდ რთულია და მასწავლებლისაგან მომზადებასა და გამოცდილებას მოითხოვს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბალანსის დაცვას. როგორც აღნიშნავენ, „სტუდენტზე ორიენტირებული“ არ ნიშნავს „სტუდენტის მიერ კონტროლირებადს.“ სტუდენტებისა და მასწავლებლის პარტნიორული ურთიერთობა თანამშრომლობითი სწავლის კულტურას აყალიბებს. აღნიშნული მიდგომის განხორციელების დროს სტუდენტები იშვიათად გამოდიან მხოლოდ პასიური მსმენელების როლში და მასწავლებლის დახმარებითა და სტიმულირებით იღებენ გადაწყვეტილებებს, იკვლევენ და იმდიდრებენ ცოდნას, მასწავლებელი კი მუდმივად და გულისყურით აკვირდება პროცესს, ამყარებს სტუდენტებთან უკუკავშირს და გეხსა და მიმართულებას აძლევს სამუშაო პროცესს (Darling-Hammond & Bransford, 2005)

როგორც პროფესორი მერიელენ ვეიმერი (Maryellen Weimer) აღნიშნავს თავის წიგნში „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება“, აღნიშნული მიდგომის დროს:

- სტუდენტები შინაარსიან და მიზნობრივ სასწავლო საქმიანობაში არიან ჩართული და მასწავლებლის როლიც საკმაოდ რთული და კომპლექსურია.
- ხდება მნიშვნელოვან უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რადგან აქცენტი არა მხოლოდ მასალის ათვისებაზე, არამედ აზროვნებაზეც კეთდება. სტუდენტები წყვეტენ სასწავლო პრობლემებს, აფასებენ შედეგებს, აანალიზებენ არგუმენტებს, გამოთქვამენ და ამოწმებენ ვარაუდს და ამ პროცესში სასწავლო დისციპლინით გათვალისწინებულ მასალას შეგნებულად და სიღრმისეულად ითვისებენ.
- სტუდენტები მიმართავენ რეფლექსიასა და ანალიზს.
- სტუდენტები მოტივირებულები არიან, რადგან გარკვეულწილად თავად უძღვებიან საკუთარ სწავლას, რაც მათ მეტ პასუხისმგებლობასაც აკისრებს.
- გზა ეხსნება ურთიერთთანამშრომლობას.

### **სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თეორიული საფუძვლები კონსტრუქტივისმი/კოგნიტივიზმი**

აღნიშნული თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ სტუდენტი/შემსწავლელი შესაბამისად სტრუქტურირებულ სასწავლო გარემოში თავად აგებს ცოდნას უკვე არსებულ ცოდნასა და ინფორმაციაზე დაყრდნობით, იმის მაგივრად, რომ მხოლოდ მზა ინფორმაცია მიიღონ მასწავლებლისგან. აქედან გამომდინარეა სწორედ, რომ ეს მეთოდები აქტიურ და თანამშრომლობით სწავლასთან ასოცირდება. კონსტრუქტივისტულ მოდელში სწავლა მუდმივად და მჭიდროდ ასოცირდება აზრის გამოტანასთან.

აღნიშნული თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისა და დანერგვის სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს გამოცდილებაზე აგებულ სწავლას, სწავლას, თუ როგორ ვისწავლოთ, თანამშრომლობით სწავლას, სოციალურ კონტექსტუალურიზაციას, სწავლის თვითრეგულირებას, ჯგუფურ მუშაობას, პრობლემის შემოქმედებითი გზით გადაჭრას, გამძლიებით აღმოჩენას, რეფლექსიას.

კონსტრუქტივიზმის მიმდევრები წარმატებული სწავლებისთვის შემდეგ კრიტერიუმებს გვთავაზობენ:

- აახლად მიწოდებული მასალა რეალურ კონტექსტში უნდა იყოს მიწოდებული, და არ უნდა იყოს წარმოდგენილი აბსტრაქტულად და კონტექსტიდან ამოგლეჯილად.

- სწავლების პროცესი ისე უნდა იყოს წარმართული, რომ მოსწავლეებმა/სტუდენტებმა მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციაში/მასალაში „ცარიელი ადგილების“ შევსება შეძლონ. მათ თანდათან უნდა გამოიმუშაონ დამოუკიდებლად სწავლის უნარი, რათა გახდნენ დამოუკიდებელი შემსწავლელი.
- სწავლების პროცესში მოსწავლეებს საშუალება უნდა მიეცეთ, პატარა ჯგუფებში იმუშაონ, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობითი სწავლის პრინციპების განხორციელებას.

აღნიშნული თეორია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლეთა ინიციატივას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ითვალისწინებს მოსწავლეთა განვითარების ტემპს, ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეთა აზროვნების პროცესებზე.

### პროგრესული განათლება

პროგრესული განათლების მიმდევრების აზრით, მოსწავლეებმა/სტუდენტებმა მოსაზრებები ექსპერიმენტირების გზით უნდა გამოსცადონ. სწავლება აქტიურ ჩართულობაზე უნდა იყოს დაფუძნებული. შემსწავლელი აღიქმება, როგორც მოაზროვნე, რომელიც კითხვებზე პასუხებს ინდივიდუალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით იღებს შესაბამის სრულყოფილ კონტექსტში. გათვალისწინებულია სტუდენტების ინტერესები, გზა ეხსნება მათ ინიციატივას, შემოქმედებით აზროვნებას და როგორც ინდივიდუალური, ასევე ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას. სტუდენტები ხშირად ჯგუფებად მუშაობენ, რითაც ხელი ეწყობა თანამშრომლობით სწავლას.

### ჰუმანისტური თეორია

ჰუმანისტური სასწავლო პროგრამა ისეთი გარემოს შექმნაზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც მოსწავლეებს არჩევანის გაკეთების საშუალება აქვთ. სწავლება დაფუძნებული უნდა იყოს მოსწავლის ინტერესზე, უნარსა და საჭიროებაზე.

კ. როჯერსის აზრით, განათლების მიზანია როგორც ინტელექტუალური განვითარება, ასევე შემოქმედებითი უნარისა და სწავლის დამოუკიდებლად მართვის უნარის ჩამოყალიბება. მასწავლებლის ვალია, სხვა ფუნქციებთან ერთად, შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ცნობისმოყვარეობას, კვლევას, სტიმულს აძლევს შეცნობის სურვილს და გამოცდილებით სწავლას. ეს კი ხელს უწყობს როგორც სწავლას, ასევე სწავლის უნარის ჩამოყალიბებას.

ჰუმანისტური თეორია დაზეპირების წინააღმდეგია, თუნდაც იმიტომ, რომ იგი არ გულისხმობს მოსწავლის მთლიან ჩართულობას სწავლის პროცესში. იგი უპირატესობას გამოცდილებით სწავლას ანიჭებს. გარდა ამისა, მასწავლებელი აღქმულია არა როგორც ინფორმაციის უპირობო გადამცემი, არამედ როგორც დამხმარე, მეგზური, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეების მიერ სასწავლო პროცესის შეძლებისდაგვარად დამოუკიდებლად წარმართვას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ashworth, Frank et al. : Learning Theories and Higher Education. Level 3, Issue 2, June 2004
2. ნ.ჯანაშია, ნ. იმედაძე, ს.გორგოძე, განათლებისა და სწავლის თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო. 2008
3. How People Learn Brain, Mind, Experience, and School Committee on Developments in the Science of Learning John D. Bransford, Ann L. Brown, and Rodney R. Cocking, NATIONAL ACADEMY PRESS, Washington, D.C. 1999
4. Tarja Mykrä Learner-centered Teaching Methods – A Toolkit for Secondary Education Teachers, Indiana University Bloomington December 2015
5. Maryellen Weimer, “Five Characteristics of Learner-Centered Teaching,” <http://www.facultyfocus.com/topic/articles/teaching-professor-blog>
6. Characteristics of Effective Instruction, STUDENT-CENTERED CLASSROOMS, Iowa Core, <https://iowacore.gov/content/characteristics-effective-instruction-0>
7. free online Encyclopedia Britannica (9th Edition and 10th Edition) <http://www.1902encyclopedia.com>

#### სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ზოგადი დახასიათება და მისი თეორიული საფუძვლები

##### რეზიუმე

**საკვანძო სიტყვები:** სტუდენტზე/შემსწავლელზე ორიენტირებული სწავლება, რეფლექსია, თანამშრომლობითი სწავლა, კონსტრუქტივიზმი, პროგრესივიზმი, ჰუმანისტური თეორია

სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომა მჭიდროდაა დაკავშირებული სტუდენტთა ჩართულობასთან სასწავლო პროცესში, სადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად სტუდენტთა ინტერესი გვევლინება.

აღნიშნული მიდგომის განხორციელების დროს სტუდენტებს გამოცდილებით სწავლის საშუალება ეძლევათ, სადაც ადგილი აქვს როგორც სასწავლო მიზნებით გათვალისწინებული მასალის ათვისებას, ასევე ხელი ეწყობა მნიშვნელოვანი

უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, „სწავლის სწავლის“ უნარის ჩათვლით. კონსტრუქტივიზმი/კოგნიტივიზმი, პროგრესული განათლება და ჰუმანისტური თეორია სტუდენტზე/შემსწავლელზე ორიენტირებულ სწავლებას თეორიულ საფუძვლებად მიიჩნევა.

## **Student Centered Teaching and its Theoretical Background**

*M. Shonia, N. Dolidze*

### **Resume**

**Key Words:** Student/learner centered teaching, active involvement, reflection, cooperative learning, constructivism, progressivism, humanistic theory.

Student/learner centered teaching and learning is associated with active involvement of the students in the learning process, where their interests and intrinsic motivation play an important role. Working cooperatively, students, besides acquiring the course material, develop important skills, like problem solving, decision making, creative and analytical thinking, etc. Constructivism, progressivism, humanistic theory are considered to be the theoretical foundations of the learner-centered teaching and learning.

### **Обучение ориентированное на студента и его теоретические основы**

*М. Шониа, Н. Долидзе*

### **Резюме**

**Ключевые слова:** Обучение ориентированное на студента, вовлечение в учебную деятельность, обучение путем сотрудничества, конструктивизм, прогрессивизм, гуманистическая теория.

Обучение ориентированное на студента ассоциируется с вовлечением студентов в учебную деятельность, где интерес и мотивация играют важную роль. Работая в сотрудничестве, студенты, кроме курсового материала, усваивают важные навыки - такие как умение решать проблемы, принятие решений, развивается аналитическое и творческое мышление, и т.д. Теоретической основой обучения ориентированного на студента является конструктивизм, прогрессивизм, гуманистическая теория.

## О преподавании электронной структуры и химической связи молекул

*З.Б. Чачхиани, Г.Ш. Дарсавелидзе  
Грузинский Технический Университет*

**Ключевые слова:** молекула, валентные электроны, гомеополлярная связь, ион, силы Ван Дер Ваалса.

Молекулярная физика изучает физические свойства вещества, обусловленные его молекулярным строением, характером движения молекул и силами, действующими между ними. Поэтому она неразрывно связана с теорией строения вещества. В основе Молекулярной физики лежит доказанная опытным путем молекулярно-кинетическая теория строения вещества. Согласно этой теории все тела состоят из большого числа мельчайших частиц – молекул и атомов, находящихся в непрерывном хаотическом движении, называемом тепловым движением. В молекулярно-кинетической теории количественные закономерности устанавливаются статистическим методом, в котором рассматриваются лишь средние значения величин, характеризующих данную совокупность молекул [1].

Атомы одного и того же элемента или разных элементов могут взаимодействовать и образовывать молекулу. Молекулу мы понимаем как стабильную систему, чьи атомы взаимосвязаны химическими силами взаимодействия, которые называются силами связи. Сумму этих сил мы называем химической связью между атомами.

Образование молекул относится к квантовым явлениям, и поэтому на основании классической физики его нельзя объяснить в полном объеме. При использовании квантовой механики стало возможным дать не только количественное объяснение энергии связи, но и удалось объяснить суть и свойства сил связи. Можно сказать, что силы между атомами в молекулах, по сути, электрического происхождения: как силы притяжения, так и отталкивания.

Если исключить моноатомные молекулы, которые тождественны атомам, наиболее простыми молекулами являются двухатомные. Двухатомные молекулы образованы двумя одинаковыми или разными атомами. Если расстояние  $r$  большое, то силы притяжения обоих атомов очень малы. С уменьшением  $r$  сила, с которой притягиваются атомы, растет (рис. .1,а, кривая 1). Поскольку атомы на самом деле не являются точечными, то с уменьшающимся  $r$  при расстояниях, меньших, чем  $r'$ , электронные оболочки перекрывают друг друга, что ведет к образованию сил отталкивания (кривая 2);  $r'$  обозначает расстояние, при котором электронные оболочки только соприкасаются. Результатом обоих силовых действий является сила  $F$ , которая при расстоянии  $r < r_0$  – отталкивающая, а при  $r > r_0$  – притягивающая (кривая 3). На



расстоянии  $r=r_0$  атомы не действуют друг на друга с силой. Потенциальная энергия  $U$  системы двух атомов вытекает из соотношения и ее

$$F = -\frac{dU}{dr} \quad (1)$$




Рис. 1,а.




Рис. 1,б.

характеристика в зависимости от расстояния представлена на рис. 1,б.

Из рисунка ясно, что потенциальная кривая имеет характерный минимум для расстояния  $r_0$ , которое отвечает равновесному положению ядер обоих атомов в молекуле и которое, как правило, называют длиной связи.

Как мы выясним далее, ядра атомов не находятся в покое, они совершают колебания вокруг своих равновесных положений. Энергия  $U_0$  соответствующей потенциальной ямы отвечает энергии  $D$ , необходимой для разрушения связи, т.е. для диссоциации молекулы на два самостоятельных атома (или иона) по соотношению

$$D = -U_0 \quad (2)$$

Поскольку для диссоциации молекулы необходимо совершить работу, потенциальная энергия молекулы отрицательна. Работа  $D$  называется диссоциационной энергией связи или короткой энергией связи. Следовательно, химическую связь можно определить по равновесному расстоянию атомов  $r_0$  и энергии связи  $D$ . В табл. 3.1 приведены эти параметры для некоторых двухатомных молекул.

Таблица 1


Молекула	$r_0$ (Å)	$D$ (эВ)
H <sub>2</sub>	0,74	4,72
N <sub>2</sub>	1,10	9,76
O <sub>2</sub>	1,20	5,16
Cl <sub>2</sub>	2,00	2,5
CO	1,13	11,1

Химическая связь молекул, по сути, бывает двух типов: гетерополярная или ионная и гомеополярная или ковалентная. Оба этих типа связи можно в общем назвать валентными связями.[4]

а) Связь гетерополярная (ионная)

Ионная связь касается ионизированных атомов – ионов, которые под воздействием сил связи соединяются в ионные молекулы. Силами связи являются силы притяжения электростатического характера, управляемые законом Кулона, против которых направлены силы отталкивания, вызванные взаимопроникновением электронных оболочек атомов. Название гетерополярная связь свидетельствует о том, что речь идет об ионах различной полярности. Из того, что говорилось об ионах, очевидно, что ионная связь – это дело валентных электронов. Валентные электроны наиболее подвижны, и для изменения их состояния достаточно довольно небольшая энергия. Внутренние электроны в связи не участвуют, и в их состоянии при образовании молекулы практически ничего не изменяется.

Самыми простыми ионными молекулами являются молекулы галогенов щелочных металлов (LiF, NaCl, KBr,...). Их образование заключается в том, что валентный электрон из атома щелочного металла переходит на незаполненное место внешнего уровня атома галогенового элемента. Так из атомов образуются ионы (из атома щелочного металла катион, из атома галогенового элемента – анион) и действуют друг на друга силой притяжения Кулона. Рассмотрим, например, конкретно молекулу фтористого натрия NaF. Атом натрия (атомный номер 11) имеет заполненные подуровни 1s, 2s, 2p и в состоянии 3s один валентный электрон, атом фтора (атомный номер 9), кроме заполненных подуровне 1s, 2s, имеет 5 электронов в состоянии. Если электрон 3s переходит из атома Na на свободное место в 2p атома F, то оба образовавшиеся таким образом иона будут иметь сходное распределение электронов



(верхние индексы означают количество электронов в соответствующем подуровне). Оба иона имеют закрытые уровни и конфигурация их электронов сходна с электронной

конфигурацией атома инертного газа неона (атомный номер 10). Аналогично обстоят дела, например, с молекулой хлористого натрия Na, где ион  $\text{Na}^+$  имеет электронную структуру, сходную с атомом неона, а ион  $\text{Cl}^-$  - структуру, сходную с атомом аргона.

Если речь идет об элементах II-й группы периодической системы элементов, то их атомы должны передавать два валентных электрона атомам некоего элемента VI-й группы, чтобы получить электронную конфигурацию атома инертного газа. Так например, молекула окиси кальция должна быть образована ионом  $\text{Ca}^{2+}$  который имеет ту же электронную структуру, что и аргон, и ионом  $\text{O}^{2-}$  с конфигурацией, тождественной неону. Факт, что оба атома при образовании ионной молекулы всегда получают конфигурацию электронов, одинаковую с конфигурацией атома некоего инертного газа, является характеристическим признаком теории ионной связи.

#### б) Связь гомеополярна (ковалентная)

В отличие от ионной связи, ковалентная связь осуществляется между атомами, электрически незаряженными. Большинство молекул неорганических веществ основная часть молекул органических веществ образованы атомами, но никак не ионами. Ковалентно связанными являются двухатомные молекулы обычных газов  $\text{H}_2$ ,  $\text{N}_2$ ,  $\text{O}_2$ ,..., двухатомные молекулы  $\text{F}_2$ ,  $\text{Cl}_2$ ,  $\text{Br}_2$ ,...,  $\text{S}_2$ ,  $\text{Se}_2$ ,...,  $\text{HF}$ ,  $\text{HCl}$ ,  $\text{HBr}$ ,...,  $\text{NO}$ ,  $\text{CO}$ ,... трехатомные молекулы  $\text{CO}_2$ ,  $\text{H}_2\text{O}$ ,  $\text{N}_2\text{O}$ ,  $\text{HCN}$  и большое количество полиатомных молекул  $\text{NH}_3$ ,  $\text{CH}_4$ ,  $\text{C}_6\text{H}_6$ .

Несмотря на то, что ковалентная связь образуется между электрически нейтральными атомами, она, в сущности, основана на электростатических силовых эффектах. При возникновении ковалентной связи важную роль играют так называемые непарные электроны в атоме. Под непарным подразумевается такой электрон, к которому в том же атоме нет электрона с обратным спином. Так например, в атоме с 5 электронами, в состоянии  $2p$  должен быть один непарный электрон.[5]

В табл. 2 для атома фтора (атомный номер 9) это электрон с квантовыми числами  $2, 1, 1, \frac{1}{2}$ , поскольку ему для пары недостает электрона с квантовыми числами  $2, 1, 1, -1/2$ , отличающегося от предшествующего только ориентацией спина (Точно так же это мог быть любой другой электрон в состоянии  $2p$ , которому недоставало бы для пары электрона с обратным спином).

Из ориентированных таким образом спинов двух электронов, образующих пару и принадлежащих двум соседним атомам, может образоваться гомеополярная связь между этими атомами. Как мы уже сказали, сутью сил этой связи, точно так же, как и ионной связи, является электростатическое взаимодействие. Его можно представить потенциальной энергией, чья зависимость от расстояния совместно реагирующих атомов имеет характеристику, аналогичную той, что показана на рис. 1,б. Но эта энергия имеет свое начало в так называемых обменных силах, которые можно представить так, якобы электроны, обуславливающие связь, постоянно переходят от одного атома к другому, т.е. обмениваются местами. Полностью объяснить сущность обменных сил можно только на основании квантовой механики.

Таблица 2

Электронная структура		1s		2s		2p					
Электрон (стрелка обозначает направление спина)	●	↑	↓	↑	↓	↑	↓	↑	↓	↑	○
Место, не занятое электроном	○										
Квантовое число	n	1	1	2	2	2	2	2	2	2	2
	l	0	0	0	0	1	1	1	1	1	1
	m	0	0	0	0	-1	-1	0	0	1	1
	$m_s$	$\frac{1}{2}$	$-\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	$-\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	$-\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	$-\frac{1}{2}$	$\frac{1}{2}$	$-\frac{1}{2}$

Число непарных электронов в атоме полностью соответствует представлениям о химической валентности. В примере, иллюстрированном табл. 2 и касающемся атома фтора с атомным номером 9, существует один непарный электрон. Точно так же и в водороде, литии, натрии,..., чьи атомы имеют непарный электрон. Наиболее простым случаем ковалентной связи является молекула водорода  $H_2$ , в которой два электрона 1s обоих взаимодействующих атомов H участвуют в создании этой связи.

На рис. 2, представляющем молекулу водорода, кружки обозначают атомы H, а точки – оба электрона 1s. В химии, по обыкновению, эту связь обозначают символом H-H. Для кислородной молекулы наиболее естественной оказалась двойная связь  $O=O$ , под которой подразумевается связь с участием двух пар, т.е. в общем четырех электронов (рис. 3,а). Но молекуле с этой связью должен соответствовать магнитный момент, равный нулю. Поскольку кислород парамагнитный, вероятнее всего можно ожидать тройную связь по рис. 3,б. Другая ситуация у углерода. На рис. 4 даны структуры и структурные (связные) формулы молекул трех органических соединений: этана  $C_2H_6$ , этилена  $C_2H_4$  и ацетилена  $C_2H_2$ . По рисунку видно, что связь водорода может быть простой C-C, двойной  $C=C$  и тройной  $C\equiv C$ , тогда как связь C-H между атомами углерода и водорода всегда проста.






Рис. 2.




а)



б)

Рис. 3.




რის. 4.

Разделение связей на гомеоплярную и гетероплярную не должно быть однозначным для всех молекул. Существуют связи, которые характеризуются определенной степенью гомеоплярности и гетероплярности, и не отождествляются со случаями, которые мы уже приводили. Такие переходные случаи связей имеют место, например, между атомами йода и хлора или лития и водорода. Критерием во всех спорных случаях является характер частиц, в которых рассматриваемые молекулы в газообразном состоянии диссоциируют. Если молекула диссоциирует на ионы, то речь идет об ионной молекуле, если диссоциирует на электрически нейтральные атомы, то молекула связана гомеоплярно. Можно сказать, что ионные молекулы образуются прежде всего из атомов (ионов), значительно отличающиеся величиной ионизаци-

ონო პოტენციალი; მაგალითად,  $\text{NaCl}$  მოლეკულის იონიზაციური პოტენციალი ნატრიუმისაა  $5,1\text{В}$ , ხოლო  $12,9\text{В}$ . საპირისპიროდ, ატომები, რომლებიც ქმნიან გომოპოლარულ მოლეკულებს, ან ერთნაირი, ან განსხვავებული, იონიზაციური პოტენციალები, როგორც წესი, მცირედifferენციალურად განსხვავებულია ერთმანეთისგან; მაგალითად,  $\text{HCl}$  იონიზაციური პოტენციალი ჰიდროგენისაა  $-13,6\text{В}$ , ხოლო  $-12,9\text{В}$ .

ს) ვან-დერ-ვალსოვი ურთიერთქმედება

ვან-დერ-ვალსოვი ურთიერთქმედება, რომელიც ამ ურთიერთქმედებას უზღვევს, მჭიდროდ დაკავშირებულია არსებობის ელექტრიკული დიპოლების. თუმცა აქ საუბარია არა ელექტრიკული ძალის მოქმედება იონებს შორის საპირისპირო ნიშნების მქონე, არა იონების მოქმედება ელექტრიკულად ნეიტრალურ ნაწილებზე ან უნდა ვთქვათ ურთიერთქმედებაზე ორ პოლარულ მოლეკულას შორის, ანუ ნეიტრალურ ნაწილებს შორის, რომლებსაც ელექტრიკული დიპოლის მომენტი (მაგალითად, დადებითი იონი 1, როგორცაა ნახსენები რს. 5, მიზიდულობს უარყოფით ნაწილს მოლეკულაში M, რადგან ეს ძალის მოქმედება არაა კომპენსირებული უარყოფით ნაწილის მიერ მოლეკულაში, რომელიც ძალიან შორეულია იონიდან). თუმცა ვან-დერ-ვალსოვი ურთიერთქმედება შეიძლება მოხდეს იონსა და აპოლარულ მოლეკულას შორის ან იონსა და ატომს ინერტული აირისა. ამ შემთხვევაში მოხდება ურთიერთქმედების ძალები, რადგან იონი პოლარიზებს ელექტრონულ გარსს ნაწილებს, რომლებიც მდებარეობენ მისი მახლობლად და ინდუცირებს მათში მუხტებს საპირისპირო ნიშნისა. ყველა წარმოშობილი შემთხვევაში ვან-დერ-ვალსოვი ურთიერთქმედების ძალები ძალიან სუსტია და მცირე მანძილზე მოქმედებს.



რს. 5.

მრავალი ფიზიკური თვისება ნივთიერებას შეიძლება შეისწავლოს თერმოდინამიკური მეთოდით. თერმოდინამიკა იკვლევს ენერჯის გარდაქმნის პირობებს ერთი სახეიდან მეორეში და ახასიათებს მათ რაოდენობითი მხრიდან. მისი საფუძვლიდან დადებულია ფუნდამენტური კანონები, რომლებიც დამუშავდა უამრავი რიცხვი რეპერტული ფაქტების საფუძველზე. მოლეკულარულ-კინეტიკური თეორია და თერმოდინამიკა დაკავშირებულია და ავსებს ერთმანეთს, რაც საშუალებას აძლევს მივიდეთ ნივთიერების ფიზიკური თვისებების შესწავლას რამდენიმე სხვადასხვა მხრიდან.

რადგან გრძელვადიანი გაგების რეპერტული მოლეკულარული ფიზიკისთვის საჭიროა გადართვიანება წარმოდგინების შესახებ, სივრცითი კონფიგურაციისა და სიმეტრიის მოლეკულისა და მისი შემადგენელი ნაწილების- ატომების. მისი შეიძლება გახდეს საფუძვლიანი გაგების მექანიზმების ფორმირების ინტრამოლეკულარული და ინტერმოლეკულარული ურთიერთქმედებების. ამავე დროს განვიხილოთ სპეციფიკური მახასიათებლები გიგანტური მოლეკულის დაკავშირების მაღალი სიმეტრიის [2,3].

## ლიტერატურა

1. О.Д. Шебалин, Молекулярная физика. М., "Высшая школа", 1978, 166 с.
2. З. Чачхиანი. Основы молекулярной физики. Тбилиси, "Технический Университет", 2009, 322 с.
3. Е.М. Гершензон, Н.Н. Малов. Курс общей физики. 1ч. М., "просвещение", 1980, 380 с.
4. H.Eyring, J.Walter, G.E.Kimball. Quantum Chemistry New York, London, John Wiley and Sons, INC, 1944, 394 p.
5. З. Б. Чачхиანი Основы молекулярной физики Тбилиси Технический университет. 2009.

### О преподавании электронной структуры и химической связи молекул

*З.Б. Чачхиანი, Г.Ш. Дарсавелидзе  
Грузинский Технический Университет*

*Ключевые слова:* молекула, валентные электроны, гомеополлярная связь, ион, силы Ван Дер Ваалса.

### Резюме

Рассмотрены основные аспекты строения электронной структуры простых и сложных молекул и особенности образования пространственных молекулярных сил связей. Ознакомление с этими положениями может стать основой для глубокого понимания физических свойств молекулярных веществ в различном агрегатном состоянии. На базе электронной структуры молекул возможно анализировать механизмы процессов переноса в газах, жидкостях и твердых телах, диффузию и фазовые-переходы.

### მოლეკულების ელექტრონული სტრუქტურა და ქიმიური კავშირები

*ზ. ჩაჩხიანი, გ. დარსაველიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*საკვანძო სიტყვები:* მოლეკულა, სავალენტო ელექტრონები, გომეოპოლარული კავშირი, იონი, ვანდერ ვაალსის ძალები.

### რეზიუმე

განხილულია მარტივი და რთული მოლეკულების ელექტრონული სტრუქტურის აღნაგობისა და სივრცული მოლეკულური ბმის ძალების წარმოქმნის

ძირითადი ასპექტები. აღნიშნული საკითხების გაცნობა შესაძლებელია იქცეს სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობაში არსებული მოლეკულური ნივთიერების ფიზიკური თვისებების ღრმად გაგების საფუძვლად. მოლეკულების ელექტრონული სტრუქტურის ფუძეზე შესაძლებელია განხილული იქნას გაზებსა, სითხეებსა და მყარ სხეულებში გადატანის პროცესების, დიფუზიისა და ფაზური გარდაქმნის მექანიზმები.

### **Electronic structure and chemical bonds of molecules**

*Z.Chachkhiani, G.Darsavelidze  
Georgian Technical University*

**Keywords :** molecule, valence electrons, homopolar bond, ion, van der Waals forces.

### **Resume**

The main aspects of electronic structure of simple and complex molecules and peculiarities of formation of spatial molecular bond forces are discussed. Familiarization with these provisions can be the basis for deep understanding of the physical properties of molecular substances in a different aggregate state.

Mechanisms of transport processes in gases, liquids and solid states, diffusion and phase transformation can be analyzed based on electronic structure of molecules.



## Метод «портфолио» как приоритетная инновационная технология в образовании: преемственность между средней школой и вузом

*Наиба Хиялова*

*Азербайджанский Университет Языков*

*Ключевые слова:* цель портфолио, задачи портфолио, портфолио школьника, портфолио студента, особенности портфолио, самооценка учащегося, традиционное портфолио, электронное портфолио, тематическое портфолио,

*Key words:* the aim of portfolio, the main functions of portfolio, student's portfolio, pupils portfolio, self-assessment, thematic portfolio, traditional portfolio, electronic portfolio

Идея создания портфолио или папки учебных достижений учащихся все больше и больше набирает популярность современности но больше всего им пользуются преимущественно в школе или средней ступени образовательного пространства. Большое количество учебных заведений применяет его на практике. Помимо этого бытует мнение, что школа XXI-го века - это «школа портфолио», именно поэтому идея портфолио является одним из основополагающих элементов инновации в образовании. Однако, не стоит думать, что портфолио изобретение современных ученых-методистов. Еще в 19 веке итальянское слово «Портфолио» обозначало альбом с фотографиями. В эпоху Возрождения архитекторы и художники привозили с собой «портфолио», когда претендовали на место в строительном проекте или Академии художеств. С помощью собранных документов можно было составить впечатление о себе для будущего работодателя. Идея использования портфолио в сфере образования принадлежит Соединенным Штатам. Она возникла там в 80-х годах и до сих пор широко используется.

Инновационные технологии отличаются тем, что первостепенным условием их реализации выступает следующий принцип – ученик в рамках работы по данной технологии является субъектом своей деятельности. И это положение рассматривается не как окончательная цель, а как обязательное условие. Одной из образовательных технологий, поддерживающей компетентностно-ориентированный подход в образовании, развитие самостоятельности является технология работы с портфолио.

Основными **целями и задачами** создания портфолио в средней школе являются:

- повышение самооценки учащегося, создание ситуации «успеха»;
- раскрытие личных способностей каждого школьника;
- постановка правильных целей и задач, мотивация творческого и индивидуального развития;
- развитие положительных нравственных качеств;
- развитие умения анализировать и делать выводы в различных ситуациях;
- мотивация стремления к самосовершенствованию.

«Портфолио» является достаточно важным проектом в школе, ведь во время его разработки ребенок осмысливает свои первые достижения, осознает свои возможности и формирует собственное отношение к получившимся результатам.

Портфолио школьника - это первый шаг на этапе формирования собственного Я ребенка: анализ побед, разочарований, открытий, переживаний. Это своеобразная «копилка» достижений в разных родах деятельности, возможность повторно пережить положительные эмоции.

Среди **особенностей портфолио** школьников можно выделить:

- портфолио как способ накопления, фиксирования и оценки личных достижений ребенка в определенном временном промежутке;
- портфолио как дополнение к традиционным способам контроля знаний и умений;
- портфолио как способ учета результатов, полученных ребятами в разных сферах - социальной, учебной, творческой, коммуникативной. Это является одним из элементов практико-ориентированного подхода к образованию.
- портфолио как форма представления личной направленности достижений в учебе конкретного ученика, которая отвечает задачам профильного обучения.
- применение портфолио позволяет учителю создать для каждого ученика индивидуальную ситуацию «переживания успеха».

Портфолио ребенка рассматривается как личные достижения во всех видах деятельности, собираемые на протяжении всего времени пребывания ученика в школе. Введение портфолио позволяет учителю с самого начала поступления ребенка в учебное заведение собирать и систематизировать информацию о школьнике, фиксировать уникальные особенности ребенка.

Можно выделить несколько отличительных особенностей портфолио школьника и портфолио студента. Прежде всего, портфолио студента более конкретизировано и систематизировано, в нем находится только необходимая информация без лирических отступлений и графических иллюстраций.

Очень часто школьникам для создания индивидуального пакета личных достижений требуется помощь старших, а студент, как полностью сформировавшаяся

яся личность, может проделать эту процедуру самостоятельно.

У школьника портфолио - это собственноручно написанная книга, которую он создавал самостоятельно при помощи учителей и родителей, в ней можно найти его интересы, мечты и желания.

Кроме того, портфолио ученика школы может выражать его собственную оценку происходящей действительности. Психологи считают, что именно оценочно-диагностическое портфолио является основополагающей частью программы развития ребенка.

Для школьника немаловажную роль играет внешнее оформление портфолио. Оно должно заинтересовывать, привлекать: сухой текст в нем желательно «разбавить» тематическими картинками.

Основными **сходствами портфолио школьника и портфолио студента** являются:

- технология создания портфолио лежит в основе образовательной технологии, которая обеспечивает лично-ориентированный подход в образовании.

- положительным моментом в инновационном методе «портфолио» является то, что он направлен непосредственно на взаимное сотрудничество: школьника и учителя, студента и преподавателя, коллег и родителей. Он представляет собой одновременно процесс организации, форму и технологию работы.

- этот метод позволяет непрерывно оценивать достижения учащегося, совершенствуя процесс образования.

Очень часто портфолио выглядит как обыкновенная папка с файлами, поэтому в нее очень легко вносить коррективы.

Существует несколько **возможных вариантов оформления портфолио**:

- электронное портфолио. Данный вид оформления является сравнительно новым. Все больше и больше школьников предпочитают выбирать именно его, не говоря уже о студентах. Портфолио в электронном варианте - это прекрасно оформленные документы, украшенные дополнительными эффектами, которое можно брать всюду с собой.

- **традиционное портфолио** в виде папки документов.

Главное условие при создании портфолио - это добровольность. Только сделанная по собственному желанию папка документов пойдет на пользу ученику и студенту. Портфолио не должно иметь формальный характер, в противном случае оно будет только в тягость и преподавателю, и учащемуся. Создатель должен быть лично заинтересован в его оформлении. Даже отбор необходимого материала у школьников и студентов должен происходить самостоятельно. В случае, если студент не считает нужным размещать в папке ту или иную информацию, давить на

него не стоит, в противном случае портфолио перестанет быть индивидуальным.

Также стоит четко понимать цель накопления информации, создания непосредственно такого документа как портфолио. Данные могут собирать для выявления результатов деятельности по определенному направлению.

Второй целью является накопление информации за определенный временной промежуток. Проанализировав данные, можно выявить тенденции развития школьника или студента.

Могут составляться и тематические портфолио в зависимости оттого, какой результат предполагается достичь. Тематика рубрик, разделов, а также их количество определяется индивидуально для каждого учащегося.

Еще одним условием создания портфолио является удобство хранения: полученный материал необходимо систематизировать таким образом, чтобы при использовании не возникло никаких трудностей. Не стоит забывать о систематическом пополнении информацией, в противном случае портфолио перестанет быть актуальным.

Чтобы правильно подобрать материалы для портфолио, разрешается использовать самые разные критерии. Подобные рекомендации должны на примере способствовать организации учебного процесса школьников и студентов. Примером подобных критериев являются:

- Несколько самых лучших работ с текущего курса;
- Произведение из начала, середины и конца курса;
- Работы, которые показывают достижения учащегося;
- Несколько работ, ставших поводом для гордости;

Произведения, которые, по мнению подростка, достойны того, чтобы их оценили (друзья, гости учебного заведения, родители). Только после этого учащийся сможет правильно определиться с будущей специальностью и выбрать правильный путь, в жизни.

Так как работы, объединенные в портфолио, очень часто обладают уровнем, годным для предъявления, кроме того, оформление портфолио достаточно эстетически привлекательно и находится в открытом доступе для обзора извне, портфолио годится для демонстрации третьим лицам. Показать собственные достижения можно в определенный день, к примеру, на родительском собрании или на студенческой конференции. Вышеуказанная процедура защиты или предъявления портфолио может являться поводом для демонстрации индивидуального роста достижений школьников и студентов во время работы. Презентацию портфолио можно объединить с более или менее подготовленным отчетом учащегося о процессе собственной работы и учебных усилиях. Также можно презентовать

портфолио и во время экзамена, во время чего можно рассказать и о процессе работы, и о её результатах.

Ценность портфолио заключается в том, что с его помощью можно выстроить учебный процесс, позволяющий формировать и развивать когнитивно-личностные особенности, выдвигаемые образовательными стандартами, как необходимые для участия в жизни демократического общества.

Применение портфолио обеспечивает построение планов роста в профессиональном смысле, стимулирует студентов участвовать в конкурсах. Оно полностью отвечает интересам школьников и студентов.

### Литература:

1. Загвоздкин В.К. Портфель индивидуальных учебных достижений - нечто большее, чем просто альтернативный способ оценки // Школьные технологии. 2006, № 3, с. 32-36.
2. Новикова Т.Т. Портфолио как форма оценивания индивидуальных достижений учащихся // Профильная школа. 2006, № 2, с. 48-56.
3. Фатеева И.А. Метод «Портфолио» в образовании // Инновации в образовании. 2011, № 1, с.134-136. Электронный ресурс // URL: <http://sibac.info/>

### Метод «портфолио» как приоритетная инновационная технология в образовании: преимущество между средней школой и вузом

### Резюме

Портфолио представляет собой одновременно форму, процесс организации и технологию работы с продуктами познавательной деятельности учащихся предназначенных для осознания и оценки или результаты своей деятельности. Важность данной технологии в следующем:

- портфолио создает ситуации успеха у каждого ученика, повышает самооценку и уверенность в собственных возможностях;
- максимально раскрывает индивидуальные способности каждого ребёнка;
- развивает познавательные интересы учащихся, формирует готовность к самостоятельному познанию;
- формирует установку на творческую деятельность;
- формирует положительные, моральные и нравственные качества личности.

**Portfolio – as an innovative technology in education  
Hereditry between secondary school and high institutions**

*N. Hialova*

**Summary**

Portfolio is the main technology of the organization and formation of students' productivity. These products are considered to analyse and assess the results of their work.

The necessity of the article is as follows:

- Portfolio creates success diary in each students, develops and maintains self-confidence;
- Provides self-assurance skills in each student maximumly;
- develops acquirance skills of students and forms different acknowledge habits;
- provides creative abilities;
- Reforms positive moral values.

## ფილოლოგია - Филология - Philology

### სამეცნიერო ფანტასტიკური ჟანრის ფრაზეოლოგიური ფონდი

*მირანდა ბერიშვილი, სრული პროფესორი  
საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და  
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის,  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი*

**საკვანძო სიტყვები:** ჟანრი, ფრაზეოლოგიური ერთეული, ფონდი, ჯგუფი, ველი, სფერო

ინგლისური ენის ლექსიკის მრავალფეროვნება დიდად არის დამოკიდებული მის ფრაზეოლოგიურ ფონდზე. ფრაზეოლოგიური ერთეულები ხასიათდება ფერდოვნებითა და გამომსახველობითი უნარით, რის გამოც ფრაზეოლოგიას სხვადასხვა კუთხით ფართოდ შეისწავლიან მკვლევარები. ამავე დროს, ფრაზეოლოგიური ერთეულების სწავლა, ენის შემსწავლელთათვის, იოლი არ არის, ვინაიდან მათი მნიშვნელობა, ხშირად არაპროგნოზირებადია, ასევე რთულია მათი კოლოკაციები და გრამატიკული სტრუქტურა. ფრაზეოლოგიას მნიშვნელოვანი როლი უკავია ნებისმიერი ტიპის ფუნქციურ ენაში.

სამწუხაროა, რომ სტუდენტები ნაკლებ ინტერესს იჩენენ ფრაზეოლოგიის მიმართ. მიზეზი ბევრია. ერთ-ერთი მათგანი კი იმაში მდგომარეობს, რომ სტუდენტს სჭირდება, რომ კარგად ჰქონდეს განვითარებული ასოციაციური აზროვნება, რაც ფრაზეოლოგიური ერთეულის გაგებასა და მის ადვილად დამახსოვრებაში დაეხმარება.

თავისთავად ცხადია, რომ სტუდენტმა აუცილებლად ფრაზეოლოგიით არ უნდა ისაუბროს, მაგრამ ფრაზეოლოგიის პასიური ცოდნა მაინც აუცილებელია მან რომ ენა უკეთესად აღიქვას. მაგალითად, ხშირად, გაზეთის სათაური აბსოლუტურად გაუგებარია, თუ იდეომატიკას არ ფლობთ. იმისათვის, რომ სტუდენტი დავაინტერესოთ იდეომატიკით, გამართლებულია იგი იმ ჟანრის მეშვეობით შევასწავლოთ, რომელიც მას მოსწონს. ამ ბოლო დროს ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს ჟანრი ფანტაზია და სამეცნიერო ფანტასტიკური ჟანრი. ასე, რომ ამ სტატიაში შევეცდებით ფრაზეოლოგიური ფონდის ანალიზი ფანტასტიკური ჟანრის მეშვეობით განვახორციელოთ.

სამეცნიერო ფანტასტიკის მთავარი მახასიათებელი, რაც მას მხატვრული პროზის სხვა ჟანრებისგან განასხვავებს, წარმოადგენს მისი მეცნიერული და/ან ფანტასტიკური ხასიათი რომელიც მის სიუჟეტში ვლინდება. სამეცნიერო ფანტასტიკის განმასხვავებელ თვისებად ასევე გვევლინება არც თუ ისე მრავალფეროვანი თემატიკა. სამეცნიერო ფანტასტიკურ ჟანრში, ძირით-

თადად, ისეთი სამეცნიერო პრობლემატიკა გვხვდება, როგორც არის, მაგალითად, ხელოვნური თანამგზავრის მიერ განხორციელებული კვლევები (Rendezvous with Rama), მედიცინის სფეროში ახალი მიღწევები (The Day of Triffids), ტელეპატია (The Other Side of the Sky), ახალი ცივილიზაციის ძიება და ა.შ.

სავარაუდოდ, სამეცნიერო ფანტასტიკის თემატიკის შედარებით შეზღუდულობის გამო, ჟანრი გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ზოგადად, ენობრივი საშუალებების გამოყენებაზე, ხოლო ჩვენს შემთხვევაში ფრაზეოლოგიაზე. ამ მხრივ საინტერესო იყო ფრაზეოლოგიური ერთეულების გაერთიანება ჯგუფებში, ველებსა და სფეროებში. ამ მიზნით გამოყენებული იქნა მრავალსაფეხურიანი დეფინიციური ანალიზი. ამგვარად, ინგლისელი ფანტასტიკის არტურ კლარკის ნაწარმოებების საფუძველზე გამოიყო ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დაჯგუფების სამი საფეხური: ფრაზეო-სემანტიკური ჯგუფი, ფრაზეო-სემანტიკური ველი და ფრაზეო-სემანტიკური სფერო.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა (ფე) გაერთიანება ფრაზეო-სემანტიკურ ჯგუფში (ფსჯ) ხდება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კომპონენტური ანალიზის საშუალებით გამოვლენილი აზრობრივი სიახლოვის შესაბამისად. ფრაზეო-სემანტიკურ ჯგუფში გაერთიანებული ფრაზეოლოგიური ერთეულები თავიანთი სტრუქტურით არაერთგვაროვანია. ამიტომ მახვილი სიტყვა-იდენტიფიკატორზე კეთდება, რომელიც მთელი ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი მიუხედავად მასში შემავალი ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურის მრავალფეროვნებისა. მას შემდეგ რაც მოხდა სიტყვა-იდენტიფიკატორების მეშვეობით ფრაზეოლოგიური ერთეულების ფრაზეო-სემანტიკურ ჯგუფებში გადანაწილება, ფრაზეო-სემანტიკური ჯგუფები ფრაზეო-სემანტიკურ ველებში (ფსვ), ხოლო თავის მხრივ, ფრაზეო-სემანტიკური ველები უფრო მსხვილ დაჯგუფებაში - ფრაზეო-სემანტიკურ სფეროებში გაერთიანდა.

ახლა მაგალითზე დაყრდნობით ვნახოთ თუ როგორ ხდებოდა ფრაზეოლოგიური ერთეულის ამა თუ იმ ჯგუფზე მიკუთვნება იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე დაყრდნობით, რომლებიც ყველაზე აქტიურად ფუნქციონირებენ სამეცნიერო ფანტასტიკურ ჟანრში. ქვემოთ ჩამოთვლილი ფრაზეოლოგიური ერთეულები ზოგადად გამოხატავენ „გაბედულებასა“ და „სიმამაცეს“: take one's courage in both hands (pluck up one's courage, summon up one's courage, screw up one's courage), have the nerve to do something, have the guts to do something, put a good face, take heart, brace one's nerves (energies, heart), put one's foot down, hold (stand) one's ground, gather oneself together, pull oneself together, set one's face against something, come to grips with, go over the top, come what may, a long shot, tough nut. ჩვენ ამაში მარტივად დავრწმუნდებით, თუ გავანალიზებთ მათ მნიშვნელობებს (დეფინიციებს) ფრაზეოლოგიურ და განმარტებით ლექსიკონებში. მაგალითად, ფრაზეოლოგიურ ერთეულს თვლილი ფრაზეოლოგიური ერთეულები ზოგადად გამოხატავენ „გაბედულებასა“ და „სიმამაცეს“: take one's courage in both hands თავის ვარიანტებთან ერთად შემდეგი დეფინიციები აქვს: nerve oneself to a venture, gather one's courage, force oneself to be active, venture boldly; have the nerve to do



something – have the necessary courage, selfreliance; have the guts to do something – have courage and determination to do something; put a good face – be courageous, show no signs of flinching; brace one’s nerves (energies, heart) - summon up resolution for a task; put one’s foot down – be firm, set decisively, be firmly insistent or repressive, adopt a determined attitude, take a firm stand, refuse or insist upon something firmly; hold (stand) one’s ground – maintain position, maintain one’s position, authority, etc.; not to budge or give way; stand firm; not to yield; maintain one’s claims, intention, arguments, etc.; not to be defeated or lose strength; gather oneself together – collect all one’s power; pull oneself together – get control of oneself, of one’s feelings, etc.; set one’s face against something – steadfastly oppose; come to grips with – tackle resolutely, esp. a problem; go over the top – act quickly (and resolutely) after a period of doubt and hesitation; come what may- no matter what happens; a long shot – venturesome, willing to take risks.

სხვადასხვა ლექსიკონში ფრაზეოლოგიურ ერთეულთა განმარტებების კონპონენტურმა ანალიზმა გამოავლინა სემა „გაბედულება, სიმამაცე“. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფრაზეოლოგიური ერთეულები ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც დისტრიბუციით, ასევე სტილისტიკური კონოტაციითა და გრამატიკული ფუნქციით. პროცედურული და ლექსიკონური მნიშვნელობების ანალიზის მეშვეობით გამოვლინდა ჯგუფის სიტყვა-იდენტიფიკატორები. ესენია: resolution, venture, courage, boldly, determination, decisively, steadfastly.

ახლა თუ მეორე ჯგუფს შევხდეთ, რომელშიც შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები შევიდნენ: turn yellow – become cowardly; lose one’s nerve – become timid or irresolute, lose one’s courage and self-assurance; feel the ground slipping from under one’s feet – feel uncertain; lose heart – become discouraged; lose hope; faint heart never won fair lady – a man must be bold to attract the woman of his choice, დავინახავთ, რომ კომპონენტურმა ანალიზმა ამ ჯგუფში გამოყო ისეთი სიტყვა-იდენტიფიკატორები, როგორცაა, cowardly, irresolute, discourage რის გამოც აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულები შევიდნენ ფრაზეო-სემანტიკურ ჯგუფში, რომელიც შეესაბამება ისეთ ცნებებს, როგორცაა „სიმხდალე, სირთულე, გადაუწყვეტლობა“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ანალიზმა აჩვენა, ფრაზეო-სემანტიკური ჯგუფი „გაბედულება“ ხუთჯერ უფრო მოცულობითია, ვიდრე ჯგუფი „გადაუწყვეტლობა“. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს გამოწვეულია სამეცნიერო ფანტასტიკის თავისებურებით, სადაც „გაბედულება და სიმამაცე“ განუყოფელი თვისება უნდა იყოს იმ მეცნიერთათვის თუ მკვლევართათვის, რომლებიც მოწოდებული არიან შეისწავლონ ის გაურკვეველობა, რომელიც კოსმოსსა თუ ზღვის ფსკერზე ბუდობს.

ამ ორი ფრაზეო-სემანტიკური ჯგუფის შედარებისა და დაპირისპირების საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მათი გაერთიანება შესაძლებელია უფრო მსხვილ ჯგუფში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ველი, რომელიც ესადაგება ცნებას „ადამიანის მორალური თვისებები“. ამგვარად, გამარ-

თლებულია ორივე ჯგუფი გავაერთიანოთ „ადამიანის მორალური თვისებების“ ფრაზეო-სემანტიკურ ჯგუფში.

გავაანალიზოთ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა კიდევ ერთი ჯგუფი: of one's accord, of one's will, at one's own sweet will, in one's own way, work one's will, have one's will, get one's way do the trick, achieve one's object, set one's heart on, claim one's right, big game, willing horse.

ახლა შევხედოთ ჩამოთვლილი ფრაზეოლოგიური ერთეულების დეფინიციებს: without being asked or forced; willingly; volition, without being required or compelled; whenever and however one pleases; make him do what one wants him to do; carry out one's purpose; overcome all difficulties and do as one wishes; get what one wants; accomplish one's purpose; achieve desired result; be filled with strong desire for; determination to get; long for, be resolved to get; willing worker. ყველა დეფინიციის გამოვლინდა შემდეგი სიტყვა-ინდიკატორები: will, volition, want, desire, longing for, რომელთა მეშვეობით ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფრაზეოლოგიური ერთეული შეგვიძლია მივაკუთვნოთ სურვილის ცნებას. ამგვარად, ფრაზეო-სემანტიკური ჯგუფი „სურვილი“ შეგვიძლია გამოვყოთ, როგორც ჯგუფი, რომელიც აქტიურად ფუნქციონირებს სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრში.

ქვემოთ ჩამოთვლილი ფრაზეოლოგიური ერთეულები გაერთიანდა „შიშის“ ფრაზეო-სემანტიკურ ჯგუფში: bring (have) one's heart into (in) one's mouth, one's heart leaped into one's mouth, give somebody the creeps, scare out of one's wits, make one's hair stand on end, put the wind up somebody. ლექსიკონების მიხედვით მათი დეფინიციები ასე გამოიყურება: be filled with fear, be frightened and nervous; be greatly alarmed by what is happening or is expected to happen at once; be badly frightened; feeling of fear, horror; scare him completely; make him extremely frightened; terrify; terrify greatly; scare, frighten him greatly; become/be scared. როგორც ვხედავთ აქ გამოიყო შემდეგი იდენტიფიკატორები: fear, fright, alarm, horror, scare, terrify.


იმავე მეთოდით მოხდა „სიყვარულის“ ფრაზეო-სემანტიკური ჯგუფის გამოყოფა: cupboard love – affection that is feigned in order to obtain something; Cupid's golden arrow – virtuous love; lose one's heart to somebody – fall in love with; have the heart – show sympathy, understanding (სიტყვა-იდენტიფიკატორი - “love”); „ტანჯვის, წამების“ ფრაზეო-სემანტიკურ ჯგუფის მიეკუთვნებიან შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულები: eat one's heart out - suffer in silence; prey (weigh) on one's mind - cause concern, anxiety; fire and brimstone – torments in hell; broken on a wheel – torture on a wheel by breaking the long bones with an iron bar; (სიტყვა-იდენტიფიკატორი - “suffer”); „იმედის“ გამომხატველი ფრაზეოლოგიური ერთეულებია: pie in the sky – something that you hope will happen but is very unlikely to happen; while there's life there's hope – although the present situation or condition may be unsatisfactory or discouraging, there is still time for improvement or change; pin one's hope on somebody (something) – have strong hope that he will help; a drowning man will clutch at a straw – forlorn hope, look (see) through rose-coloured (rose-tinted) spectacles (glasses) – look at things in a cheerful and hopeful way; pipe-dreams – groundless hope or scheme, as indulged

in when smoking a pipe; (სიტყვა-იდენტიფიკატორი - “hope”); „uimedobis“ gamomxatveli frazeologiuri erTeulebia: look for a needle in a haystack – engaged in a hopeless search; wild-goose chase – a hopeless search or pursuit, a foolish, futile search; (სიტყვა-იდენტიფიკატორი - “hopeless”); „სიბრაზის“ გამომხატველი ფრაზეოლოგიური ერთეულებია: lose one’s temper – become angry; raise hell – create a disturbance, cause trouble, exhibit great anger; tear one’s hair – pull it in anger or perplexity or despair; blow one’s top – explode in rage; bite one’s lip – express vexation and annoyance, or to suppress some emotion and anger or laughter; grit one’s teeth – make a determined effort to remain calm and not express one’s true feelings of anger, fear, disappointment; raise Cain – make an angry fuss or noise, disturbance; go mad – become wildly excited, angry, upset; shake the dust off (from) one’s feet – go away in contempt, anger or scorn; (სიტყვა-იდენტიფიკატორი - “anger”); „სიძულვილის“ გამომხატველი ფრაზეოლოგიური ერთეულებია: turn somebody’s stomach – cause someone to feel dislike, distrust; turn up one’s nose – express contempt; there is no love lost between them – they dislike each other; (სიტყვა-იდენტიფიკატორი-“dislike”); „გაოცების“ გამომხატველი ფრაზეოლოგიური ერთეულებია: take by surprise – take him unawares; surprise him; take aback – surprise, disconcert; throw a bomb into; take somebody’s breath away – hold one’s breath with surprise; (სიტყვა-იდენტიფიკატორი - “surprise”).

გამოყოფილი ჯგუფების ერთიანმა ანალიზმა აჩვენა, რომ მათი გაერთიანება უფრო დიდ სემანტიკურ დაჯგუფებებში, კერძოდ კი ფრაზეო-სემანტიკურ ველში, ხოლო შემდეგ კი ფრაზეო-სემანტიკურ სფეროში შესაძლებელია (ტერმინი შემოტანილია ნ. მ. მიშინას მიერ).

ფრაზეო-სემანტიკური ველის, ხოლო შემდეგ ფრაზეო-სემანტიკური სფეროს გამოყოფის პროცედურა იმაში მდგომარეობდა, რომ ის საკვანძო სიტყვები, რომლებიც ფრაზეო-სემანტიკური ჯგუფის გამოყოფისას განიხილებოდა, როგორც ჯგუფის განმსაზღვრელი მახასიათებელი, ჯგუფების ველში გაერთიანებისას განიხილებოდა, როგორც ფრაზეო-სემანტიკური ველის საერთო ნიშან-თვისება. ასე მაგალითად, სხვადასხვა ფრაზეო-სემანტიკური ჯგუფის იდენტიფიკატორებს: wish, fear, love, suffering, hope, hopeless, anger, dislike, surprise აერთიანებს ის, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ადამინის გრძნობებსა და ემოციებს გამოხატავს. ყველა აღნიშნული სიტყვის დეფინიცია შეიცავს სიტყვებს feeling ან emotion, რის გამოც შესაძლებელი გახდა აღნიშნული ფრაზეო-სემანტიკური ჯგუფების გაერთიანება „ადამინის გრძნობებისა და ემოციების“ ფრაზეო-სემანტიკურ ველში.

ამგვარად, გამოიყო ორი ფრაზეო-სემანტიკური ველი: ფსევ „ადამიანის მორალური თვისებები“ და ფსევ „ადამიანის გრძნობები და ემოციები“. მსგავსი კომპონენტური ანალიზის ორსაფეხურიანი პროცედურის გამოყენებით ასევე გამოიყო შემდეგი ფრაზეო-სემანტიკური ველები: ფსევ „ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები“, ფსევ „ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობები“, ფსევ “ადამინის ქცევა”, „ადამიანის გარეგნობა“.



ყველა მათგანი, ერთი მხრივ, შეიძლება ცალკეულ ფრაზეო-სემანტიკურ ჯგუფებად დაიყოს, ხოლო მეორე მხრივ, უფრო მსხვილ ჯგუფში გაერთიანდეს, ანუ ფრაზეო-სემანტიკურ სფეროში „ადამიანის დამახასიათებელი თვისებები“, ვინაიდან ყველა ფსევ მოწოდებულია დაახასიათოს ადამიანი ამა თუ იმ კუთხით. სქემატურად აღნიშნული ფრაზეო-სემანტიკური სფერო ასე გამოიყურება. (იხ. წინა გვერდზე.)

როგორც სქემიდან ჩანს, სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ფრაზეოლოგიური ფონდი საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა როქეს ლექსიკონთან შედარებამ აჩვენა, რომ ჟანრი მაინც ხასიათდება შერჩევითობით, რაც ჟანრის თავისებურებებით შეიძლება აიხსნას.

### ლიტერატურა

#### Literature

#### Литература

1. Амосова Н. Н. – Основы английской фразеологии. М., 2010
2. Карманова З. Я. – Смысловая валентность слова. Жизнь языка в культуре и социуме-2. – Материалы международной научной конференции. М., 2011
3. Минина Н. М.- Лексико-семантическая глагольная система немецкого языка. Фвтпреферат диссертацию М., 1975

### სამეცნიერო ფანტასტიკური ჟანრის ფრაზეოლოგიური ფონდი

*მირანდა ბერიშვილი*

### რეზიუმე

**საკვანძო სიტყვები:** ჟანრი, ფრაზეოლოგიური ერთეული, ფონდი, ჯგუფი, ველი, სფერო

სტატიაში საუბარია იმაზე თუ როგორ მოხდეს ინგლისური ენის შემსწავლელთა დაინტერესება ფრაზეოლოგიური ერთეულებით. სტატიაში ასევე მოცემულია სამეცნიერო ფანტასტიკური ჟანრის ფრაზეოლოგიური ფონდის დახასიათება და მისი დაყოფა ფრაზეოლოგიურ-სემანტიკურ ჯგუფებად, ველებად და სფეროდ. განხილულია მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გაერთიანება ჯგუფებში, ჯგუფების - ველებში, ხოლო ველების - სფეროში.

## Stock of Phraseological Units of the Science Fiction

*Miranda Berishvili*

*Full Professor at the Department of Liberal Arts,  
Faculty of Engineering Economics,  
Media Technologies and Social Sciences,  
Georgian technical University*

### Summary

**Key words:** genre, phraseological units, stock, group, field, sphere

The article says how to use science fiction to keep the language learners motivated to learn phraseological units of the English language. The article also describes the stock of phraseological units used in the science fiction and the method for grouping the phraseological units into phrase-semantic groups, fields and spheres is also described.

### Фразеологический Фонд Жанра Научной Фантастики

*Миранда Спартаковна Беришвили*

*Профессор Департамента Либеральных Наук  
Факультета Инженерной Экономики,  
Медия Технологии и Социальных Наук  
Грузинского Технического Университета*

### Резюме

**Ключевые слова:** жанр, фразеологическая единица, фонд, группа, поле, область

В статье рассматриваются особенности использования жанра научной фантастики с целью повышения интереса изучающих английский язык к фразеологическими единицам. В статье также описываются фразеологический фонд, использованный в жанре научной фантастики и метод объединения фразеологических единиц во фразео-семантические группы, поля и области.

## Значение и роль научного перевода в современном мире

*Гурамишвили З.*

*Каландаришвили О.*

*Грузинский технический университет*

**Ключевые слова:** переводческая компетенция, когнитивные знания, межъязыковая коммуникация, эквивалентность перевода.

Перевод как таковой, несомненно, один из древнейших и незаменимых видов человеческой деятельности. Без переводчиков со времён вавилонского столпотворения было бы невозможно полноценное общение разноязычных племён, народностей и этносов, само существование государств и империй, населённых многоязычными и многоконфессиональными народами, утверждение культуры господствующих нации, распространение религиозных и социальных учений, научно-технический прогресс. Профессиональные переводчики (гричи, толмачи) всегда ценились на рынке труда, но, несмотря на создание иной раз подлинных шедевров, чаще всего качество переводов было невысоким, переводческий произвол не только допускался, но в ряде случаев даже поощрялся.

Это положение коренным образом стало меняться во второй половине прошлого века, когда в мире произошёл так называемый информационный взрыв, резко увеличилось производство и потребление информации, на историческую арену вышли компьютеры во всемирной паутине Интернета, возникли искусственные языки программирования и общения. Расширились и упрочились международные контакты, на политической карте мира появились новые государства, возникли многочисленные международные организации, всемирные движения, региональные союзы государств, альянсы и объединения различных общественных структур. Научно-техническая революция вызвала огромную потребность в постоянном обмене информацией между разными странами, неизмеримо возрос объём международной торговли, дипломатической деятельности, международной переписки, расширились глобальные культурные связи между народами, массовый характер приобрёл международный туризм.

Всё это вместе взятое определило предъявление новых повышенных требований как к самому технологическому процессу научного перевода (художественный остаётся за скобками), так и к лицам, профессионально занимающимся этим видом интеллектуальной деятельности.

Переводчику совершенно необходимы высокая языковая культура, широкая энциклопедическая эрудиция, коммуникабельность, такт, постоянное пополнение знаний, многообразие интересов билингва в двух языковых культурах. Современное переводоведение определяет перевод как особый вид речевой деятельности. Язык – это вербальное средство общения, средство обмена мыслями (коммуникации). Желая сообщить другим какие-то сведения (какую-то информацию), говорящий выбирает из хранящейся в его памяти языковой системы некоторый набор лингвистических единиц и организует их по правилам синтаксиса данного языка в речевое высказывание или в совокупность связанных по смыслу высказываний (текст) в соответствии со своим коммуникативным намерением. Другие участники коммуникации (коммуниканты), воспринимая звуковую или графическую форму высказывания, идентифицируют составляющие его языковые единицы, сопоставляют их значения друг с другом, с ситуацией общения и со своими когнитивными (фоновыми) знаниями извлекая из высказывания передаваемый в нем смысл. Передача отрезка информации от одного коммуниканта к другому с помощью языка составляет акт сигнальной коммуникации. Необходимым условием коммуникации всегда является общность языковых и фоновых знаний коммуникантов, их принадлежность к одному социуму, одному языковому коллективу.

Иначе обстоит дело, когда возникает необходимость в общении между коммуникантами, принадлежащими к разным языковым коллективам, то есть говорящими на разных языках. Поскольку получатель информации не способен извлечь её из высказывания, состоящего из единиц неизвестного ему языка, ему требуются услуги посредника, который мог бы усвоить эту информацию в доступной для него форме. Таким языковым посредником и служит переводчик, извлекающий информацию из текста на одном языке и передающий ее путем создания текста на другом языке. Понятно, что такой языковый посредник должен владеть обоими языками, а осуществляемая с его помощью коммуникация может быть названа межъязыковой или двуязычной.

Таким образом, межъязыковая коммуникация начинается с создания текста на одном языке (ИЯ – исходный язык) и кончается восприятием на другом языке текста (ПЯ – переводящий язык или язык перевода), созданного языковым посредником. При этом такой текст может различным образом воспроизводить исходный текст (оригинал). Содержание исходного текста быть в нем передано обобщённо, частично, под определенным углом зрения или изменено в соответствии с задачей, которую решает языковый посредник. Подобные виды языкового посредничества можно назвать *перенос с переработкой содержания* или *адаптивное транскодирование*.



Отдельные переводы воспроизводят оригинал с разовой степенью точности (близости содержания и структуры). Абсолютно тождественных текстов на разных языках быть не может (как и двух текстов на одном языке, не являющихся копиями одного текста). Расхождения между переводом и оригиналом могут быть объективными (вызванные особенностями КЯ и ПЯ) или субъективными (связанные с решением переводчика). Такие расхождения могут быть коммуникативно перелевантными (не отражаться на успехе межъязыковой коммуникации) или коммуникативно релевантными. В последнем случае получатель (рецептор) перевода (РП) получает неполную или неточную информацию или коммуникация вообще не имеет места. Характер и степень влияния отклонений перевода от оригинала (в том числе в результате ошибок переводчика) зависит от цели и условий коммуникации. Коммуникативный характер переводческой деятельности во многом определяет и совокупность знаний, которые должны усвоить будущие переводчики.

Как всякая деятельность, перевод требует для своей реализации определенных знаний, умений (сознательного выполнения определенных действий) и навыков (полуавтоматического и автоматического выполнения определенных действий), которые должны быть созданы в процессе обучения.

Переводческая деятельность может осуществляться переводчиком сознательно (в результате анализа и обоснованных выводов) или интуитивно. Соотношение сознательного и интуитивного различно у разных переводчиков и при переводе различных текстов и в разных условиях. Способность осуществлять сознательные и интуитивные переводческие действия (переводческая компетенция) может развиваться в процессе обучения и практической работы. Реализация переводческой компетенции происходит при участии всей языковой личности переводчика. Она предполагает наличие у него всесторонних когнитивных и лингвистических познаний, широкой общекультурной эрудиции, необходимых психологических качеств и литературно-элоквентных способностей. Все эти качества должны развиваться и поощряться при обучении переводу. Задача обучения переводу заключается не в усвоении каких-то норм, правил или рецептов, которые переводчик мог бы автоматически применять во всех случаях, а в овладении принципами, методами и приемами перевода и умением их выбирать и применять по-разному в конкретных условиях, к разным текстам и для разных целей. Частные задачи, решаемые переводчиком в процессе перевода, могут быть типовыми, позволяющими применять известный прием или способ, или сугубо индивидуальными.

Объектом переводческой деятельности является информация, содержащаяся в исходном тексте. Содержание текста (сообщение) представляет собой семантически и формально законченное целое, отдельные части которого взаимосвязаны,

но не одинаково значимы для коммуникации. Соотношение целого и его частей по-разному выделяется в процессе перевода: в зависимости от вида перевода и его цели оказывается более или менее важным воспроизведение в переводе отдельных элементов текста. В этом смысле целое относительно более значимо, чем его часть.

Характер межъязыковой коммуникации предопределяет принципиальную множественность вариантов переводов одних и тех же отрезков оригинала. В связи с этим перед переводчиками не ставится задача создать единственно правильный (или оптимальный) перевод предлагаемого текста.

Переводчик должен владеть методами формирования переводческих умений, включая выработку общей стратегии перевода, связанных с присутствием в оригинале переводческих релевантных лексических, фразеологических, грамматических и стилистических явлений. Формирование переводческих умений предполагает также изучение тактических приёмов перевода, обеспечивающих выработку переводческого мышления, правильного подхода к выделению переводческих задач и процедуре их анализа и решения, сопоставление вариантов перевода и принятия решения при выборе одного из них.

Таковы основные требования к механизмам осуществления перевода в социокультурном пространстве постиндустриальной цивилизации.

### **Значение и роль научного перевода в современном мире**

*Гурамишвили З.*

*Каландаришвили О.*

*Грузинский технический университет*

### **Резюме**

Будущий переводчик должен овладеть знанием (лексические, грамматические и стилистические) особенности научной прозы, а также базовые концепции двуязычия. Он должен развивать свои основные языковые навыки и методы работы с техническим текстом, со словарем, уметь реферировать и резюмировать специализированную научную литературу на иностранном языке, редактировать переведенные текста и справляться с терминологией в процессе перевода.

**Ключевые слова:** переводческая компетенция, когнитивные знания, межъязыковая коммуникация, эквивалентность перевода

## The Role of Scientific Text Translation in the Competemporary world

*Guramishvili Z.*

*Kalandarishvili O.*

*Georgian Technical University*

### Summary

The translator-to-be has know the (lexical, grammatical and stylistic) peciliarities of scientific prose as well as the basic concepts of bilingualism. He/she needs to develop one's basic language skills and techniques of working with a technical text, with a dictionary, to be able to write an abstract and a summary of specialized scientific literature in a foreign language, to edit the translated text and to cope with terminology in the process of translation.

**Key words:** Translation competence, cognitive knowledge, interlingual communication, equivalence of translation.

### სამეცნიერო ტექსტის თარგმანის როლი თანამედროვე საზოგადოებაში

*გურამიშვილი ზ.*

*კალანდარიშვილი ო.*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

მომავალმა მთარგმნელმა უნდა შეითვისოს სამეცნიერო პროზის თავისებურებანი (ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური) და ბილინგვიზმის ძირითადი ცნებები. მას უნდა განუვითარდეს ძირითადი სამეტყველო უნარ-ჩვევები, ტექნიკურ ტექსტთან და ლექსიკონთან მუშაობის „ტექნიკა“, უნდა შეეძლოს, მოახდინოს უცხო ენაზე დაწერილი სპეციალური სამეცნიერო ტექსტის რეფერირება და ანოტირება, განახორციელოს ნათარგმნი ტექსტის რედაქტირება და საქმე იქონიოს სპეციალურ ტერმინოლოგიასთან თარგმანის პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** მთარგმნელობითი კომპეტენცია, კოგნიტიური ცოდნა, ენათშორისი კომუნიკაცია, თარგმანის ეკვივალენტურობა.

## TRANSLATION METHODS

*Tamar Mebuke**Georgian Technical University*

**Key words:** interlinguistic translation, source language and target language oriented translation

Of the three types of translation: intralinguistic, interlinguistic and intersemiotic, interlinguistic translation is considered translation proper. It occurs when a text is translated from one language to another; in other words, when we have an interpretation of verbal signs by means of signs of some other language. Translation from language to language is the most obvious example of how we try to say the same thing using different sign systems.

A good translation is not concerned with the denotation but with the connotation of words, but the problems are: 1 how many secondary senses can be conveyed by a linguistic expression, and 2 which ones a translator should preserve at all costs.

Although there is no absolute synonymy for lexical items, different sentences in different languages can express the same proposition to which *every sentence (or short sequence of sentences) of a discourse conveying a story can be summarized*. Thus any translation should be based on context analysis, according to which one can change the literal meaning of a single sentence in order to preserve the meaning of the corresponding micro-propositions, but not the sense of major propositions. In certain cases, we are faced with a dilemma: if we wish to save something, we lose something else.

For this reason Eco defines translation as *The art of saying almost the same thing*. On the other hand, Gérard Genette (1982), reflecting on the subject of translation, compares it to palimpsest. That is, translation is a text that nonetheless maintains traces of a previous writing - that of the original author - that have been expressly erased to give room to the writing that exists today - that of the translator.

Since the translated text can never reproduce the meaning of the original, we have to rely on the feeling that all languages somehow converge (Eco 2001: 10), intend one and the same thing. As Derrida (1985) said: *Translation, the desire for translation, is not thinkable without this correspondence with a thought of God*. Linguistic systems seem to be mutually incommensurable, which, however, does not mean incomparability, and the proof is that we are able to compare different language systems as far as related matters are concerned.

Similarity in meaning can only be established by interpretation, and translation is a special case of interpretation, in Pierce's sense. Additionally, translation is always a shift, not between two languages, but between two cultures – or two encyclopedias (Nergaard 1995). As in translation a Source Text is transformed into a Target Text.

A given culture carves content-forms out of the content continuum, but the substance of the content is realized as the *sense* that a given element of the form of the content assumes in a given co-text.

According to Hjelmslev (1943:47), in the passage between two languages, a translation is considered adequate when, given two different forms of the expression, it is

possible to identify the same continuum or “purport” of the content. As with translation into another language, the substance begins to acquire importance.

The central problem of translating has always been whether to translate literally or freely. The argument has been going on since at least the first century BC. Up to the beginning of the nineteenth century, many writers favoured some kind of 'free' translation: the spirit, not the letter; the sense not the words; the message rather than the form; the matter not the manner. Then at the turn of the nineteenth century, when the study of cultural anthropology suggested that the linguistic barriers were insuperable and that language was entirely the product of culture, the view that translation was impossible gained some currency, and with it that, if attempted at all, it must be as literal as possible.

Translation may be oriented either on the source language (SL), or on the target language (TL). According to P. Newmark (1988) in the source language oriented translation we can distinguish word-for-word translation, literal translation, faithful translation and semantic translation. When the emphasis is made on the target language, translation may acquire a form of adaptation, free translation, idiomatic or communicative translation.

**Word – for – word translation** is often demonstrated as interlinear translation, with the TL immediately below the SL words. The SL word-order is preserved and the words translated singly by their most common meanings, out of context. Cultural words are translated literally. The main use of word-for-word translation is either to understand the mechanics of the source language or to construe a difficult text as a pre-translation process.

In **literal translation** the SL grammatical constructions are converted to their nearest TL equivalents but the lexical words are again translated singly, out of context. Literal translation may be considered as a pre-translation process.

A **faithful translation** attempts to reproduce the precise contextual meaning of the original within the constraints of the TL grammatical structures. It 'transfers' cultural words and preserves the degree of grammatical and lexical 'abnormality' (deviation from SL norms) in the translation. It attempts to be completely faithful to the intentions and the text-realization of the SL writer.

**Semantic translation** differs from 'faithful translation' only in as far as it must take more account of the aesthetic value (that is, the beautiful and natural sound) of the SL text, compromising on 'meaning' where appropriate so that no assonance, word-play or repetition remain in the finished version. Further, it may translate less important cultural words by culturally neutral third or functional terms but not by cultural equivalents and it may make other small concessions to the readership. The distinction between 'faithful' and 'semantic' translation is that the first is uncompromising and dogmatic, while the second is more flexible, admits the creative approach and allows for the translator's intuitive empathy with the original.

**Adaptation** is the 'freest' form of translation. It is used mainly for plays (comedies) and poetry; the themes, characters, plots are usually preserved, the SL culture converted to the TL culture and the text rewritten.

**Free translation** reproduces the matter without the manner, or the content without the form of the original. Usually it is a paraphrase much longer than the original, a so-called 'intralingual translation', often pretentious, and not translation at all.

**Idiomatic translation** reproduces the 'message' of the original but tends to distort nuances of meaning by preferring colloquialisms and idioms where these do not exist in the original.

**Communicative translation** attempts to render the exact contextual meaning of the original in such a way that both content and language are readily acceptable and comprehensible to the readership.

Commenting on these methods, we should first say that only semantic and communicative translation fulfil the two main aims of translation, which are first, accuracy, and second, economy. In general, a semantic translation is written at the author's linguistic level, a communicative at the readership's. Semantic translation is used for 'expressive' texts, communicative for 'informative' and 'vocative' texts.

Semantic and communicative translation treat the following items similarly: stock and dead metaphors, normal collocations, technical terms, slang, colloquialisms, standard notices, phaticisms, ordinary language. The expressive components of 'expressive' texts (unusual syntactic structures, collocations, metaphors, words peculiarly used, neologisms) are rendered closely, if not literally, but where they appear in informative and vocative texts, they are normalized or toned down. Cultural components tend to be transferred intact in expressive texts; transferred and explained with culturally neutral terms in informative texts; replaced by cultural equivalents in vocative texts. Badly and/or inaccurately written passages must remain so in translation if they are 'expressive', although the translator should comment on any mistakes of factual or moral truth, if appropriate. Badly and/or inaccurately written passages should be 'corrected' in communicative translation.

Semantic translation is personal and individual, follows the thought processes of the author, tends to over-translate, pursues nuances of meaning, yet aims at concision in order to reproduce pragmatic impact. Communicative translation is social, concentrates on the message and the main force of the text, tends to under-translate, to be simple, clear and brief, and is always written in a natural and resourceful style. A semantic translation is normally inferior to its original, as there is both cognitive and pragmatic loss; a communicative translation is often better than its original. A semantic translation has to interpret, a communicative translation to explain.

It is believed, that the main purpose of any translation should be to achieve 'equivalent effect', i.e. to produce the same effect (or one as close as possible) on the readership of the translation as was obtained on the readership of the original. This is also called the 'equivalent response' principle. 'Equivalent effect' is the desirable result, rather than the aim of any translation. However, in the communicative translation of vocative texts, equivalent effect is not only desirable, it is essential; it is the criterion by which the effectiveness, and therefore the value of writing is to be assessed.

## Bibliography

1. Derrida, Jacques 1985 Des tours de Babel. In: Differences in translation. Ithaca: Cornell UP
2. Eco, Umberto 2001. Experiences in Translation. University of Toronto Press Incorporated
3. Gennet, Gerard 1972 Figures III. Paris: Seuil
4. Gennet, Gerrard 1982 Palimpsestes. La literature au second degree. Paris: Seuil
5. Hjelmslev, Louis 1943 Prolegomena to a Theory of Language. Madison: Wisconsin UP
6. Hjelmslev, Louis 1947 The Basic Structure of Language. In: Essais linguistique II. Travaux du Cercle Linguistique XIV 1973: 119-156
7. Nergaard, Siri 1995 Teorie contemporance della traduzione. Milano: Bompiani.
8. Newmark, Peter 1988 A Textbook of Translation. Shanghai Foreign Language Education Press.

## TRANSLATION METHODS

*Tamar Mebuke*

*Georgian Technical University*

**Key words:** interlinguistic translation, source language and target language oriented translation

The paper deals with different types of translation that may be oriented either on the source language (SL), or on the target language (TL). According to P.Newmark (1988) in the source language oriented translation we can distinguish word-for-word translation, literal translation, faithful translation and semantic translation. When the emphasis is made on the target language, translation may acquire a form of adaptation, free translation, idiomatic or communicative translation.

## Методы перевода

*Tamar Mebuke*

**Ключевые слова:** межязыковый перевод, ориентация на язык источника или на целевой язык

В статье рассматриваются различные виды перевода, которые могут быть ориентированы либо на язык источника, либо на целевой язык. По классификации Питера Ньюмарка, при ориентации на язык исходного текста, различают построчный, дословный, точный и семантический виды перевода. При ориентации на язык перевода, перевод может приобрести форму адаптации, свободного, идеоматического, или коммуникативного перевода.

## თარგმანის მეთოდები

თამარ მეზუკე

**საკვანძო სიტყვები:** ენათაშორისი თარგმანი, ორიენტაცია წყაროს ენაზე ან მიზნობრივ ენაზე.

სტატიაში განიხილება თარგმანის სხვადასხვა მეთოდი, რომელიც შეიძლება იყოს ორიენტირებული ან წყაროს ენაზე, ან მიზნობრივ ენაზე. პიტერ ნიუმარკის კლასიფიკაციის მიხედვით, წყაროს ენაზე ორიენტირებული თარგმანი შეიძლება იყოს სიტყვა-სიტყვითი, პირდაპირი, ზუსტი, ან სემანტიკური. თარგმანის ენაზე ორიენტაციის დროს, თარგმანი იძენს ადაპტაციის, თავისუფალი, იდიომატური, ან კომუნიკაციური თარგმანის ფორმას.

### К вопросу формирования субъектной позиции в образовании

*Константин Рамишвили**Екатерина Чиквиладзе**Телавский гос. Университет им. Я. Гогобашвили*

Концепция личностно-ориентированного образования предполагает рассмотрение личности педагога, как субъекта педагогической деятельности учащегося, как субъекта учебной деятельности. Согласно выводу психологов, субъект в своих деяниях, в актах творческой самодеятельности не только обнаруживается и проявляется, он в них создается и определяется. В философской, научно-методологической, психологической и педагогической литературе существуют различные трактовки понятий субъективности и объективности. Некоторые исследователи смешивают данные понятия, или используя их интерпретируя (М.Бахтин, Б. Братусь, И. Кон) как равнозначные. Таким образом, теряется не только этимологическое, но и смысловое развитие данных категорий.

Опору для построения модели процесса формирования позиции субъектов образовательного процесса мы усматриваем в разработанной А. Петорвским парадигме субъектности (5) и идее субъективности человека (Н.Леонтьев, С.Рубинштейн, Д.Узнадзе, В. Мясищев и др (3). Ученые считают, что субъективность человека



означает свойство самодетерминации его события в мире, в свою очередь субъектность проявляется в его деятельности - особой активности, посредством которой человек воспроизводит себя. Свое собственное бытие в мире. Специфика субъектов образовательного процесса состоит в том, мы имеем не один, а два взаимодействующих субъекта: субъект педагогический и субъект частной деятельности. Еще одной особенностью субъектов образовательного процесса является их мотивационная сфера, имеющая две стороны. С одной стороны, субъект педагогической деятельности работает на достижение общей цели, с другой – субъект учебной деятельности действует для себя, но ради достижения той же общей цели.

Концепция современного образования базируется на основе так называемых «субъект – субъектных» отношений, но категория субъекта всегда взаимосвязана с категорией объекта. Иными словами, если существование субъекта предполагает наличие объекта, возникает вопрос об объекте образовательного процесса. Объектом образовательного процесса можно и нужно считать предмет, по поводу которого взаимодействуют учащиеся и педагоги. Объект может быть разнообразен и многопланов - это информативные и развивающие науки, общественная деятельность, предмет занятий всевозможных секций, студий, клубов, кружков. Субъекты же в любом случае – ученик и педагог. Любое учебное заведение, внешкольное объединение существуют исключительно для помощи ученику в реализации им своих способностей и возможностей. Педагог и ученик строят по поводу объекта такую систему взаимоотношений, которая бы позволяла развиваться личности каждого из субъектов и, в свою очередь перерастала в позицию субъектов. Исследования психологов (Б.Сенаньев (1), Б.Парыгин (4) и др.) показали, что позиция формируется на основе выработки определенного отношения личности к социальным явлениям. Исходя из этого положения, мы рассмотрим первую модель процесса формирования субъективной позиции. В качестве критерия иерархии позиции взят уровень обобщенности социальных явлений. Простейшая позиция – это фиксированная позиция, выработанная на основе разрешения противоречия между элементарными потребностями личности и условиями их удовлетворения. На этом уровне субъект образовательного процесса может проявлять не субъективность, а субъективизм, что далеко не одно и то же. Субъективизм, проявляющийся в простейшей позиции в виде предрассудков, предвзятости в поведении может в дальнейшем развиться в пристрастность, либо в негативную установку, что в конечном итоге будет препятствовать нормальным взаимоотношениям.

Отметим, что субъектная позиция любого уровня в той или иной степени характеризуется обобщенностью, активностью субъекта, широтой, интенсивностью, доминантностью и устойчивостью. Ситуативная позиция - позиция личности в той

или ной сложившейся ситуации. Каждая из таких ситуаций должна стать ситуацией развития, причем не только для субъекта учебной. Но и для субъекта педагогической деятельности. Ситуативная позиция понимается нами как конкретная форма отношений. В которые вступает субъект образовательного процесса. И в этих отношениях могут обнаружиться два противоречивых компонента положительное отношение ученику как к субъекту – объекту воспитания и отрицательное конкретно – ситуативное, как к совершившему поступок или дисциплинарное нарушение. У учащегося тоже возможно двойственное отношение к педагогу – как к конкретному человеку и как к носителю принципа воспитания, поэтому ситуативная позиция может быть выражена через конкретно – личностное отношение привязанности, или враждебности. Позиция субъекта может быть как положительной, так и отрицательной, но не может быть нейтральной, так как безразличное отношение к субъекту или к деятельности подразумевает отсутствие всякой позиции. Детерминатой позиции в ведущей деятельности является базовая позиция. Для субъекта учебной деятельности эта деятельность является ведущей. Учебная деятельность включающая в себя овладение новыми знаниями, умениями решать разнообразные социальные задачи, реализацию личностных потребностей через учебные отношения, является ведущей для субъекта учебной деятельности. Она является ведущей в школьном возрасте, так как, во-первых, через нее осуществляются основные отношения ребенка с обществом, во-вторых, в этой деятельности формируются основные качества личности ребенка. И так, целью и результатом учебной деятельности, в процессе которой отношение к себе, к миру, к обществу, к другим людям не только формируется, но и реализуется через эту деятельность, является формирование субъектной позиции. Для педагога ведущей деятельностью является профессиональная деятельность. Базовая позиция субъекта педагогической деятельности проявляется в его педагогической компетентности. С одной стороны, педагог выражает свое субъективное отношение к учащимся, которых образовывает и воспитывает; с другой - демонстрирует своё отношение к предмету, который преподаёт; и с третьей стороны. Проявляет уровень своей субъектности, творчески преобразуя себя и окружающую действительность. В результате такого уровневого подхода к формированию субъектной позиции поэтапно и вместе с тем целостно развиваются субъектные свойства участников образовательного процесса, направленность их личности. Мы рассмотрим модель формирования позиции субъектов образовательного процесса, в основу построения которой было положено отношение личности к социальным явлениям. Но, хоть на личность как на субъект жизнедеятельности в различных сферах (познание, общение и т. д.) оказывают влияние социальные, внешние факторы, среда, тем не менее здесь на первый план

выступают внутренние силы самоувеличения, саморазвития. Важнейшей характеристикой личности в качестве субъекта является знание, чего эта личность хочет. То есть знание своих целей и соотнесение их со своими возможностями. Субъект сам выстраивает в последовательную линию совокупности решаемых жизненных задач для достижения поставленных целей. И тут уже субъект организует обстоятельства в соответствии со своей жизненной линией, активно проявляя свою субъективную позицию.

Таким образом, в основу следующей модели формирования субъектной позиции нами была положена древо целей субъекта образовательного процесса. Данный подход, предложенный Б. Битинасом (2), предполагает соотнесение иерархической структуры позиции с деревом целей образовательного процесса. Общая схема рассматриваемой структуры такова: позиция личности - частные позиции - личные отношения - качества личности - конкретные проявления качеств. Более конкретно схематически данная структура может быть рассмотрена в следующем виде:

- Ощественно-политическая позиция личности (патриотизм, интернационализм, политическая активность);
- Нравственная позиция личности (альтуризм, коллективизм, дисциплинированность);
- Деловая позиция личности (энтузиазм, активность, предприимчивость);
- Эстетическая позиция личности (бережное отношение к природе, искусству).(3)

Данная модель характеризуется своей нелинейностью, то есть существуют определенные отношения, поступки, отражающие не только одну частную позицию, а несколько сразу. Например, авторитарность педагога с одной стороны, характеризует его стиль деятельности, а с другой – отношение к окружающим его людям. Таким образом, профессионально некомпетентной позицией стоит нравственная определенность личности педагога.

На наш взгляд, удачным воплощением идей, положенных в основу выше рассмотренных моделей, является так называемая диспозиционная концепция регуляции социального поведения, предложенная В. Ядовым. Иерархия диспозиций, то есть психологических состояний готовности к определенным действиям, в свою очередь, определяется иерархией потребности и иерархией ситуации, в которых эти потребности реализуются, степенью включенности в систему социальных отношений. В. Ядов выделяет четыре уровня диспозиций.

На первом уровне, на основе утилитарных потребностей в простейших жизненных ситуациях формируются элементарные установки.

На втором уровне проявляются социальные фиксированные установки.

Третий уровень определяется такими диспозициями, в которых фиксируется общая направленность интересов личности относительно конкретной сферы социальной активности (конкретная работа, сфера досуга, интересов).

На четвертом уровне диспозиций, который образует систему ценностных ориентаций личности, выражающих отношение личности к целям жизнедеятельности, к средствам достижения этих целей и определяющихся общими социальными, экономическими и идеологическими условиями существования общества, позиция субъекта образовательного процесса реализуется в деятельности. (3)

В заключении отметим, что на стыке единства и взаимопредставленности субъектного и субъективного в личности как результат, мы имеем категорию «субъективная позиция» и понимаем под ней структурно-личностное образование, отражающее характер взаимоотношений личности и общества и выражающее субъектность личности.

**Ключевые слова:** субъектность, субъективность, объект образовательного процесса, ситуативная позиция, иерархия диспозиций.

### Литература

1. Ананьев Б.Г. Избранные психологические труды в 2т. М. 1980
2. Битинас Б.П. Структура процесса воспитания. Каунас, 1985
3. Лаптева Е.Г. Трещев А.М. Субъектогенез в технологизированном педагогическом процессе. Основы разработки педагогических технологий и оснований. Астрахань, 1988.
4. Парыгин Б.Д. Основы социально- психологической теории М. 1997
5. Петровский В.А. Личность в психологии: Парадима субъективности. Ростов-на-Дону. 1996

### К вопросу формирования субъектной позиции в образовании

*Константин Рамишвили*

*Екатерина Чиквиладзе*

### Резюме

Опираясь на достижения психолога - педагогической науки, авторы анализируют субъектный и субъективный подходы в образовании; рассматривают феномен позиции в парадигме субъективности; раскрывают сущность профессионально-субъектной позиции педагога; предлагают модели формирования объектной позиции, а также иерархию уровней диспозиции, как психологических состояний готовности к определенным поведенческим действиям, которые в свою

очередь определяются иерархией потребностей и иерархией ситуаций, в которых эти потребности реализуются.

სუბიექტური პოზიციის ფორმირების საკითხვისათვის  
განათლებაში

*კონსტანტინე რამიშვილი  
ეკატერინე ჩიკვილაძე*

რეზიუმე

ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით ავტორები იხილავენ სუბიექტურ და სუბიექტისეულ მიდგომებს განათლებაში, განიხილავენ პოზიციის ფენომენს სუბიექტურობის პარადიგმაში, ხსნიან პედაგოგის პროფესიონალურ-სუბიექტური პოზიციის არსს, გვთავაზობენ სუბიექტისეული პოზიციის ფორმირების მოდელს, აგრეთვე დისპოზიციის დონეების იერარქიას.

**საკვანძო სიტყვები:** სუბიექტობა, სუბიექტურობა, სასწავლო პროცესის ობიექტი, სიტუაციური პოზიცია, იერარქია და დისპოზიცია.

**On the Issue of formation of subjective Position in  
Education Abstract**

*Konstantine Ramishvili  
Ekaterine Chikviladze*

Based on achievements of psychological and pedagogical sciences, the authors discuss subjective education and phenomenon of position in subjective paradigm. Also they explain the essence of professional – subjective position of a teacher and offer us the forming model of subjective e position the hierarchy of disposition levels.

**Keywords:** subjectivity, the object of the learning process, situational position, hierarchy and disposition.

## ნასესხებ ნეოლოგიზმთა დამკვიდრების ტენდენციები ინგლისურ ენაში

*ნუგ ზარ სიხარულიძე*

*პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

თანამედროვე ინგლისური ენისათვის არცთუ უჩვეულოა სხვადასხვა ენებიდან ნასესხები სიტყვებით შევსება, როგორც ენის განვითარების ერთ ერთი ხერხი.ამავე დროს საინტერესოა, რამდენად ღიაა ინგლისური ენა იმისათვის, რომ მიიღოს და ლექსიკურ მარაგში დაამკვიდროს სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები. თანამედროვე განვითარების ტექნოლოგიური, პოლიტიკური, კულტურული თუ ყოფითი მოვლენები პირიქით, გამოხატავენ დასავლური სტილის დომინირებას და შესაბამისად უფრო მეტი ლექსიკური ნომინაცია შექმნილი არსებულ სიტუაციის ასახვის მიზნით გადადის და მკვიდრდება ინგლისურიდან მრავალ სხვა ენაში. მათ შორის არც ქართული ენაა გამონაკლისი.

ინგლისურისათვის, განსაკუთრებით კი ამერიკული ინგლისურისათვის უცხოენოვანი სიტყვების მიღება უმეტესად ხდება მიგრაციის შედეგად, რომელიც დღესაც მრავალრიცხოვანია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამო.

იმისათვის, რომ ანალიზმა მოგვცეს ნათელი სურათი უცხოენოვანი ნეოლოგიზმების დამკვიდრების შესახებ ინგლისურ ენაში, ანალიზის ობიექტად შერჩეული იქნა მეოცე საუკუნის 30-50 წლებში ნასესხები ლექსიკა, რომელიც თავმოყრილია ახალ სიტყვათა ლექსიკონებში და ასევე განმარტებით ლექსიკონთა დამატებებში. (A Dictionary of New Words in English. By Paul C. Bery. 2<sup>nd</sup> ed. London 1953. – 176p; A Dictionary of New Words. By Mary Reifer. New York, Philosophical library, 1955. - 234p. Oxford English Dictionary. A supplement. Vol. 1-2. Oxford. Claredon Press. 1933. – 867p; Barnhart R.K. A Dictionary of New English, Longman, 1973; Webster’s Third New International Dictionary, ed by R. Burchfield, Oxford, Vol. 1. 1972, Vol. 2. 1976, Vol 3. 1982, Vol 4. 1985.).

როგორც ცნობილია ნასესხები სიტყვა დამკვიდრებამდე გადის გარკვეულ საფეხურებს, როგორებიცაა, სიტყვის შეტანა, გამოყენება და დამკვიდრება. შეტანა ხდება იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოვლენა წარმოადგენს სხვა ქვეყანაში განვითარებული ტექნოლოგიური მიღწევის, კულტურულ-პოლიტიკური მოვლენებისა და ყოველდღიური ყოფაცხოვრების ამსახველ ნეოლოგიზმებს, რომლის შესატყვისი ლექსიკური ერთეულები არ მოიძებნება მიმღებ ენაში. მაგალითად, 80-იანი წლების Perestroyka. შემდეგი საფეხური დამოკიდებულია იმაზე თუ

რამდენად აქტუალურია ნეოლოგიზმის მიერ ასახული მოვლენა და როგორია მისი გამოყენების სიხშირე, რაც დამოკიდებულია არა ერთი ავტორის მიერ ამ სიტყვის მრავალჯერად გამოყენებაზე, არამეს იმაზე თუ რამდენი სხვადასხვა პიროვნება, ან ფართო საზოგადოება მიიღებს მას და საყოველთაო აღიარების შედეგად, თუ არ გამოიძებნა მისი ლექსიკური ანალოგი, დაამკვიდრებს მას ძირითადად არსებული ფონეტიკური სახით.

მოცემული მასალა იძლევა საშუალებას სწორედ ასეთი შესწავლისათვის რადგან ნასერსხებ ნეოლოგიზმებს ჰქონდათ საკმარისი დრო ყველა ამ საფეხურის გასავლელად და ენაში დასამკვიდრებლად. მათი ენაში დამკვიდრების შემოწმება შეიძლება იმის მიხედვით, მოხდა თუ არა მათი ასახვა მომდევნო პერიოდში გამოცემულ ძირითად განმარტებით ლექსიკონებში.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნასესხები ნეოლოგიზმების მდგრადობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორებთან. კერძოდ, (1) ორიგინალის ენის პროდუქტიულობასთან, ანუ რა რაოდენობის სიტყვებია ნასესხები ამა თუ იმ ენიდან; (2) სოციალური აქტიურობის რომელ სფეროს განეკუთვნებიან ეს სიტყვები და (3) რამდენად მონათესავეა ინგლისურისათვის ორიგინალის ენა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ნასესხები ნეოლოგიზმები შემოდიან ენაში უკვე დადგენილი მყარი სემანტიკით და არ საჭიროებენ შემდგომ სოციალიზაციას. მათი მდგრადობა განისაზღვრება, მხოლოდ კომუნიკაციური მნიშვნელობით.

პროდუქტიულობის მიხედვით ორიგინალი ენები გაიყო მაღალი და დაბალი სიხშირის ენებად. მაღალს განეკუთვნება: გერმანული (41 ერთეული), ფრანგული (17 ერთეული), ებრაული (14 ერთეული), ლათინური (12 ერთეული), იაპონური (8 ერთეული), ესპანური (14 ერთეული), რუსული (13 ერთეული), იტალიური (4 ერთეული). დაბალი სიხშირის ენებია: ბირმული (3 ერთეული), სპარსული (2 ერთეული), სერბული (2 ერთეული), ესკიმოსური (1 ერთეული), ვენგრული (1 ერთეული), ნორვეგიული (1 ერთეული), არაბული (1 ერთეული), აფრიკანა (1 ერთეული), სუახილი (1 ერთეული), სანსკრიტი (1 ერთეული), ჰინდი (1 ერთეული), პორტუგალიური (1 ერთეული), შვედური (1 ერთეული), ამერიკელი ინდიელების ენა (1 ერთეული), კორეული (1 ერთეული), ავსტრალიელი აბორიგენების ენა (1 ერთეული), ფილიპინური (1 ერთეული), ჰოლანდიური (1 ერთეული).

ნასესხები ნეოლოგიზმების მდგომარეობიდან გამომდინარე ორიგინალი ენის პროდუქტიულობასთან დაკავშირებით აღმოჩნდა, რომ მაღალი პროდუქტიულობის მქონე ენებიდან შემოსული ლექსიკა ნაკლებად მდგრადია მცირე პროდუქტიულობის მქონე ენებთან შედარებით. პროცენტული გამოხატულებით ეს შეადგენს 69% – 100%.

რაც შეეხება სიტყვის კომუნიკაციურ მნიშვნელობას, ნასესხები სიტყვები ძირითადად განეკუთვნებიან საყოფაცხოვრებო, ყოველდღიურ, სამეცნიერო, ტექნიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებს. მათ შორის ინგლისურ ენაში დამკვიდრების თვალსაზრისით შედარებით მდგრადი აღმოჩენდა ისეთი სფეროები როგორებიცაა საყოფაცხოვრებო, სამეცნიერო და ტექნიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამხედრო ლექსიკა კი ხასიათდება უფრო დაბალი კომუნიკაციური მნიშვნელობით და ნაკლებად მკვიდრდება მათთვის ახალ ენაში.

აღსანიშნავია, რომ ის ფაქტორი რომელიც ეფუძნება ენების მონათესაობას, გარკვეულ წილს თამაშობს ნასესხები ნეოლოგიზმის დამკვიდრებაში. მაგალითად ფრანგული ენა, საიდანაც ნასესხები ლექსიკური ერთეულების მდგრადობა 82,35%–ია, ანუ 17 ნასესხები სიტყვიდან 14 დამკვიდრდა ინგლისურ ენაში.

ძირითადი სურათი რომელიც გამოიხატა ანალიზის შედეგად მიგვითითებს, რომ მექანიზმის პროდუქტიულობა ამ შემთხვევაში მაღალი და დაბალი სიხშირის ორიგინალი ენები უკუპროპორციულია ნეოლოგიზმის დამკვიდრების მიმართ. ანუ რაც უფრო მეტი ახალი სიტყვა იქმნება, ამ შემთხვევაში შემოდის ერთი რომელიმე ენიდან, მით უფრო ნაკლებია მათი ინგლისურში დამკვიდრების შესაძლებლობა.

**საკვანძო სიტყვები:** ნასესხები ლექსიკური ერთეულები, პროდუქტიულობა, დამკვიდრება, სიხშირე.

#### ლიტერატურა:

1. Webster's Ninth New Collegiate Dictionary – Springfield, Mass., 2007.
2. Third Barnhart Dictionary of New English. The H.W. Wilson Company, 1999.
3. New Dictionary of Contemporary Informal English/Ed. By S. Glazunov. M. 200.
4. Longman Dictionary of Contemporary English. Pearson Education Limited, 2000.
5. The Longman Register of New Words. Longman 1999.
6. Bauer L. English Word-Formation – Cambridge: Cambridge University Press, 1996.
7. Adams V. An Introduction to Modern English Word-Formation. London: Longman Group, 1973.



*Nugzar Sikharulidze*  
*Professor, Georgian Technical University*

### Summary

Borrowing is one of the tools of the word forming mechanism. The study of the new words of the 1930s and 1940s enabled to select from the new word dictionaries 145 borrowed neologisms from 26 languages. Analysis has revealed that from the viewpoint of productivity borrowings that belongs to low productive means, was further accepted namely only 100 out of 145. Besides, each single language is inversely proportional to the high frequency of mechanism that means - more words are borrowed from a single language less they become part of general usage.

**Key Words:** borrowing, productivity, frequency, inversely, proportional, general usage, neologism, word formation.

*Нугзар Сихарулидзе*  
*Профессор, Грузинский Технический Университет*

### Резюме

Заимствование является одним из самостоятельных механизмов всей номинативной системы английского языка. В исследуемом материале в результате анализа неологизмов 1930-1940 годов 20 века было выделено 145 словарных заимствований из 26 языков. Как показал анализ, в среднем индекс устойчивости заимствованию не высокий – 68,96%. Кроме того, чем больше слов заимствовано из одного языка тем меньше их устойчивость, т.е. высокая частотность слово-образовательного механизма противоположна устойчивости заимствованию.

**Ключевые Слова:** заимствование, номинативная система, индекс устойчивости, противоположность, словообразование.

## ქართულ გვართა უძველესი დაბოლოებისთვის

ქეთევან სობახიძე

სტუ

საკვანძო სიტყვები: -ძე და -შვილი იბერიულ გვარებში, მეგრული და სვანური გვარები, წარმომავლობის -ელ და -ურ სუფიქსები, -იან/-ან და -ოვან ქონა-ყოლის სუფიქსები.

პიროვნების ვინაობის დასაზუსტებლად ადამიანთა გვარები ყველაზე „აქტიური მოხმარების სიტყვათა რიგს განეკუთვნება“ [2;4]. ისტორიულ და საენათმეცნიერო წრეებში კი ცნობილია, რომ ქართულ გვართა ყველაზე ხშირი დაბოლოებები -შვი ლი და -ძე (გვართა დაახლოებით 60-65%) ადრეული შუასაუკუნეების პროდუქტია და პირველად დაახლოებით VIII-IX საუკუნეებიდან ფიქსირდება [7-45;1-21]. ზემოხსენებული დაბოლოებები მას შემდეგ გახდა პროდუქტული, რაც პიროვნებათა მამის სახელით მოხსენიება დაიწყო და ესეც ცნობილი ფაქტია ჩვენი საისტორიო წყაროებიდან. ხოლო გვარის, როგორც ასე, ფენომენის არსებობა კი ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური საზოგადოებიდან იღებს სათავეს, როცა გაჩნდა ოჯახები და შემუშავდა მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხები. საინტერესოა, რა ხდებოდა ქართულ გვარებთან დაკავშირებით იმ პერიოდში, რომელიც ამ ეპოქიდან ახალი წელთაღრიცხვის VIII საუკუნემდე შუალედს მოიცავს.

წერილობითი წყაროების უქონლობის გამო შეუძლებელია სრული სურათის აღდგენა, მაგრამ ქართული მწერლობა, ლაპიდარული წარწერები (V ს-დან ფიქსირებული მაინც), თუ არქეოლოგიური მასალები გარკვეულწილად საშუალებას გვაძლევს ამოვაგსოთ ეს ხარვეზი.

ქართულ გვარებში ზემოხსენებული -შვილი და -ძე დაბოლოებების გარდა გვაქვს -ელ და -ურ სუფიქსებით ნაწარმოები გვარებიც, როგორებიცაა: ბოტკოველი, მაჩაბელი, წერეთელი. -ელ ადამიანთა სადაურობის [3-127], ხოლო -ურ/-ულ ძირითადად ნივთის წარმომავლობის მაჩვენებლებია, მაგრამ „ზოგჯერ ადამიანთა სადაურობასაც აღნიშნავს (მაგ.: გურული) და გვარების მაწარმოებლადც არის გამოყენებული“ [3-128]: ბაბუნაური, გიგაური, ჯილაური.

ცალკე უნდა გამოვყოთ -ში მაწარმოებლიანი ლაზური წარმომავლობის [6-18;7-12;1-5] გვარები: ბაღვაში (საისტორიო წყაროებში უარყოფითი გავლენის მქონე ძალზე ცნობილი საგვარეულო), დადიში [4 -186] (დადიში//დადია დღესაც ჩვეულებრივი მოხსენიებაა სამეგრელოს მთავრების დადიანებისა), მიმეშიში, ხალვაში... ისიც ცნობილია, რომ -შ←-იშ სუფიქსიდან [1-29], რაც სალიტერატურო

ქართულის -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ეკვივალენცია(იქვე, გვ.29) და დაახლოებით სიტყვათა ისეთ წარმოებასთან გვაქვს საქმე, როგორც ტოპონიმებში (გეოგრაფიულ სახელებში): ბოლნ-ის-ი, თბილ-ის-ი, ქუთა-ის-ი... ანუ გვარი **ბაღვაში** სახელ **ბაღვა**-ს მტარებელის მიხედვით არის ნაწარმოები და დაესმის კითხვა **ვისი? დადიში- დადისა, მიმეშიში-მიმესი, ხალვაში- ხალვას-ი...**

თუ ჩვენი დასკვნები მართებულია (რასაც მაგალითები ადასტურებენ), გამოდის, ჩვენი წინაპრები გვარებს სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსებით ქმნიდნენ და ისე მოიხსენიებდნენ საგვარეულოებს. და დღის წესრიგში მაშინვე დადგება საკითხი: **რომელი სიტყვათმაწარმოებელი სუფიქსებითაა შექმნილი უძველესი ქართული (იბერიული) გვარები?**

ენათმეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ **-შვილი** და **-ძე** დაბოლოების მქონე გვარებზე ადრინდელი მეგრულ გვართა **-ვა** და **-ია** დაბოლოებაა და რომ **-ვა** მომდინარეობს აფხაზური სიტყვიდან **ყვა** (შვილი)[7-83;1-104]. ეს „სიტყვა“სრული სახით მართლაც გვხვდება ისეთ გვარებში, როგორებიცაა **გელეყვა, ინგოროყვა, მალთაყვა ...** ასეთ გვართა რაოდენობა ძალზე მცირეა და სულ რაღაც 0,3-0,5 % შეადგენს. მაშასადამე, **ყვა** (ე.წ. შვილი) არც თუ ისე პროდუქტული მაწარმოებელია, როცა ქართული **შვილი** დაბოლოება ძალზე გავრცელებულია როგორც ახლანდელ აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარში და თვით აფხაზეთშიც. თუ XX ს-ის 20-იან წლებში ბ-ნ სიმონ ჯანაშიაძის წამოსული პოსტულატი მართებულია (**-ვა** მომდინარეობს აფხაზური სიტყვიდან **ყვა**), გამოდის, აფხაზურიდან მომდინარე **ყვა** გვართა „მაწარმოებელი“ შეიცვალა სხვა სიტყვით, მხოლოდ მისივე ქართული ეკვივალენტით. მაშინ რატომ უარყო ქართულმა ენობრივმა სამყარომ ტრადიციული ძველი, როცა სხვა შემთხვევებში ის ყოველთვის ენობრივი თუ ეთნოგრაფიული ტრადიციების მტკიცე დამცველია? ამ ჩვენს მოსაზრებას ის ამყარებს, რომ **ყ-არ** ბერის დაკარგვის შემთხვევები ენაში არა თუ სიტყვის შიგნით, ანლაუტშიც და აუსლაუტშიც კი არ ფიქსირდება, მით უმეტეს, **ვა** კომპლექსთან. ანუ, ენობრივი თვალსაზრისით, **ყვა**-დან ვერ მივიღებდით **-ვა** დაბოლოებას. აქ კიდევ ერთი კითხვა ჩნდება: საერთოდ ამჟამინდელი მეგრული **-ვა** დაბოლოებულიანი გვარები უძველეს ქართულ (იბერიულ) გვართა ოდენობას თუ მიეკუთვნებიან?

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეგრული გვარები **-ნი** დაბოლოების გარეშე 100%-ით ეთანადება სვანურ გვარებს (სამწუხაროდ, დაახლოებით 200-ზე მეტი სვანური გვარის შთამომავალნი დღეს უკვე აღარ არსებობენ და ეს გვარებიც უკვე აღარც ფიგურირებენ ქართულ სინამდვილეში, რაც ხელს გვიშლის მონაცემთა კიდევ უფრო კონკრეტული სახით დაფიქსირებაში): ტოტოვანი [4 -132]-ტოტოვა/ტოტავა, ჩიქოვანი/ჩიქვანი [4 -125]-ჩიქვავა (თვით მეგრულში დღესაც ცოცხალია ჩიქოვანი//ჩიქვანი ფორმები, როცა ეს გვარი სვანეთში უკვე აღარ

ფიქსირდება), ჭაბუკვანი/ჭაბუკიანი [4 -134/135]/წაბუგვანი [4 -135]- ჭაბუკია, თურვანი [4-165]-თურნავა, გელოვანი/გელიანი [4 -188]-გელია... ისიც აღსანიშნავია, რომ ასეთი პარალელები ბევრად უფრო ხშირია(დაახლოებით 85%) -ან და-იან სუფიქსიან სვანურ გვარებთან: გოგუანი [4 -188]-გოგუა, გელოზარდიანი [4 -144]-გელოზარდია, კუარაცხელიანი[4-127]-კვარაცხელია, მანიანი [4-174] - მანია, რუსიანი [4 -130]-რუსია, ჯამბურიანი[4 -153]-ჯამბურია, ხაზალიანი[4 -150]-ხაზალია...

დაფიქსირებული მასალა აშკარად გვიჩვენებს, რომ მეგრულ გვართა -ვა და -ია დაბოლოებები სვანურ გვართა -ვან<-ოვან და -ან/-იან დაბოლოებიანი (სუფიქსებიანი) ტიპებიდან მომდინარეობს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ სვანური **სულთა მატიანე** აფიქსირებს როგორც გარდამავალ, ასევე -ნ(ი)მოკვეცილ ფორმებსაც: კვირიკე ბოხია[ნი] გვ.115, გურანდუხტ მარცხია[ნი] გვ.117, გვანცაი ითანოზია[ნი] გვ.117, მიქაელ ეგელოდია[ნი] გვ.118, ბერი სტეფანია[ნი] გვ.166, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს მოსაზრებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ „ია“ და „იანი“-ზე დაბოლოებული გვარები **ღვთის შვილს** ნიშნავს[5-84], რაც გამორიცხული არც არის. მაგრამ ჩვენ ამჟამად გვინტერესებს, რა გრამატიკულ ოდენობას წარმოადგენენ თვითონ სვანურ გვართა -ვან<-ოვან და -ან/-იან დაბოლოებები, რომელთაც სახელობითის -ი ნიშანი ემატებათ?

აკაკი შანიძეს თავის **„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“** აღნიშნული აქვს, რომ -იან და-ოვან სუფიქსები ქონა- ყოლის სახელების **მაწარმოებლებია** [3-122]. „-იან მაწარმოებელი მიღებული ჩანს -ეან-ისაგან. ძველად მისი ფუნქცია უნდა ყოფილიყო, აღენიშნა წარმომავლობა ვინმესაგან, აქედან შემდეგ უნდა განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა: ქრისტიანი, მაჰმადიანი... -იან სუფიქსი ამჟამად გამოყენებულია გვარის ერთ-ერთ დაბოლოებად დასავლეთ საქართველოში, უმთავრესად სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში.“[3-122].

ცოტა ქვემოთ კი მეცნიერი დასძენს, რომ „ძველად ასეთი დაბოლოებები აღმოსავლეთ საქართველოშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მაგრამ აქ ეს -იან შემდეგ შეუცვლია ძე-სა და შვილ-ს. ამის გამო -იან დაბოლოებას დაუკარგავს პირვანდელი მნიშვნელობა და გარკვეულ შემთხვევებში შემონახულია ჩამომავლობისა და კუთვნილების აღსანიშნავად, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ფორმა მრავლობითია. ამ შემთხვევაში მერმინდელი **შვილი** ჩამოშორდება ხოლმე გვარს და აღდგება ძველი -იან. ციც-ი(ს)-შვილი: ციც-იან(ნ)-ი (ციციშვილები), სადაც ორი ნ-სგან ერთი ისმის ხოლმე... თუ -იან უნდა დაერთოს ა-ზე გათავებულ ბოლოუკვეცელ სიტყვას, მაშინ -იან-ის პირველი ხმოვანი დასუსტდება და სულ

დაიკარგება: ოთარა-(ს)-შვილი: ოთარა-ან-ი, ოძელა-(ს)-შვილი: ოძელა-ან-ი...“[3-123].

რაც შეეხება -ოვან სუფიქსს, ის ქონა-ყოლის სულ რამდენიმე სახელშია დადასტურებული (გულ-ოვან-ი, კლდ-ოვან-ი, ფერ-ოვან-ი[3-125], ძალ-ოვან-ი) დადღეს მისი ფუნქციები -იან სუფიქსს აქვს შეთავსებული. ამიტომ გვარებშიც ეს სუფიქსი უფრო მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, სულ რამდენიმეში (ბაგრა-ტოვანი, გელოვანი, კიტოვანი...). სამაგიეროდ -ოვან საკმაოდ ხშირადაა წარმოდგენილი ტოპონიმებში: გოროვანი, ვაშლოვანი, თელოვანი, ლამოვანი, ლელოვანი, წეროვანი...[3-125].

ზემოთქმულის შეჯამებით შემდეგის თქმა შეიძლება: მეგრულ გვართა -ია, -უა და -ვა დაბოლოებები მიღებულია სვანურ გვართა -იან/-ან, -ოვან დაბოლოებების მქონე გვარებიდან -ნ(ი) ნაწილის ჩამოშორებით. მის ჩამოშორებასაც თავისი მიზეზები აქვს. კერძოდ, -ნ(ი) გაიგივებულა ნარიანი მრავლობითის -ნ ნიშანთან, რაც, აკაკი შანიძის აზრით, დღემდე ცოცხალია ქართლ-კახურ დიალექტში. ეს დიალექტი კი სალიტერატურო ქართულს უდევს საფძვლად და, როგორც ჩანს, ტრადიცია უძველესი დროიდან მოდის. გამოდის, სვანურ გვარებშია შემორჩენილი ქართულ გვართა უძველესი დაბოლოებები -იან/-ან და -ოვან სუფიქსებით. ასეთი გვარები რაჭა-ლეჩხუმშიაც საკმაოდ მარავლად არის. და სწორედ ეს -იან/-ან და -ოვან სუფიქსები გახლავთ ქართულ გვართა უძველესი მაწარმოებლები.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. თოფურია, შრომები, ტ. I, მეცნიერება, თბილისი, 1976.
2. ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, მერანი, თბილისი, 1981.
3. ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თსუ, თბილისი, 1980.
4. ჯ. ჩეგიანი, სვანეთის ისტორიის ფურცლები, შპს „2000“, თბილისი, 2011.
5. ლ. ჭილაძე, „ია“-თი და „იანი“-თ დაბოლოებული ქართული გვარები, როგორც „ღვთის ძენი“ და „ღვთის შვილნი...“, ჟ. განათლება, სტუ, თბილისი, 2016.
6. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი I, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950.
7. ს. ჯანაშია, შრომები, II, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1952.

ქართულ გვართა უძველესი დაბოლოებისთვის

ქეთევან სოხაძე

სტუ

რეზიუმე

საკვანძო სიტყვები: -ძე და -შვილი უძველეს იბერიულ გვარებში, მეგრული და სვანური გვარები, წარმომავლობის -ელ და -ურ სუფიქსები,-იან/-ან და -ოვან ქონა- ყოლის სუფიქსები.

სტატიაში განხილულია ქართულ გვართა უძველესი დაბოლოებების საკითხები. დაკონკრეტებულია მაწარმოებული სუფიქსები, რომელთა მეშვეობითაც ხდება გვარების კონსტრუირება. აღნიშნულია, რომ თანამედროვე ქართულ გვართა დაბოლოებების 60-65%(შვილი და ძე-თი დაბოლოებულები) ჩამოყალიბებულია ადრე შუასაუკუნეების პერიოდში VIII-IXს-დან . ხოლო უფრო ძველია -ელ; -ურ/-ულ (მაჩაბელი,გიგაური); -ში( მიმეშიში);-იან/-ან და -ოვან სუფიქსიანი წარმოება. ეს ორი უკანასკნელი სუფიქსი აწარმოებს უძველეს ქართულ გვარებს სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში.და სწორედ ეს -იან/-ან და -ოვან სუფიქსები გახლავთ ქართულ გვართა უძველესი მაწარმოებლები.

Кетеван Сохадзе

ГТУ

Резюме

**Ключевые слова:** –швили(чадо) и –дзе (чадо, сын)-окончания в грузинских фамилиях, мегрельские и сванские фамилии, –ел; –ур/-у суффиксы происхождения, суффиксы принадлежности –иани –ован.

В статье рассматриваются окончания древнейших грузинских фамилий. Отмечается, что окончания –швили (чадо) и –дзе (чадо, сын)-60-65% всего фамилий, созданы ранее средневековье(VIII-IXв.в.). Еще древними являются те фамилии, которые оканчиваются на –ел; –ур/-ул суффиксах происхождения (Мачабели, Гигаური); -ш<- -иш(н.г руз. –ис мегрельских окончание род.падежа- Мимешиши) суффиксами принадлежности. Суффиксы –иан и –ован фамилиям дают понятие принадлежности к тому или к иному роду и отвечают на вопрос **чей?**

Окончания фамилий на **-иа** и **-ва** получены из фамилий сванского происхождения на-**иан** и **-ован**, в которых прорадает **-н**, как суффикс множественного числа. Они-**иан** и **-ован** и есть древнейшие окончания грузинских фамилий.

*Ketevan Sokhadze*

*GTU*

## RESUME

**Keywords:** suffixes -dze and -shvili in the Iberian surnames, Megruli and Svanuri (of Georgian ancient originality) surnames, suffixes -el and -ur which express originality, suffixes -ian/-an and -ovan which express possession.

In the article, there is reviewed the issue of ancient endings of Georgian surnames. It's mentioned that 60-65 % of modern endings (-dze and -shvili) are formed in the early middle ages. The formation with suffixes of -el, -ur/-ul, -shi, -ian (-an ) and -ovan is older. The author mentions that the formation with the suffixes -el, -ur/ -ul, also the suffixes -shi or -ish (in new Georgian -is which is the affix of the relative case), as well as the suffixes -ian (-ean) and -ovan expresses the possession and answers the question "whose?". Here it's also mentioned that the endings -ia and -va of the surnames of Samegrelo (south-west part of Georgia), are formed by omitting -n from the endings of Svanuri surnames with **-иан** and **-ован**,

სტატია წარმოადგენს თარგმანს მიძღვნილ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტისადმი თარგმანი შეასრულა პროფესორმა გიორგი ჩიკოიძემ

## ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი

### ისტორიკოსის ამოცანის შესახებ (ნაწილი I)

ისტორიკოსის ამოცანა მომხდარის წარმოდგენაში მდგომარეობს. რაც უფრო წმინდად [reiner] და სრულად ახერხებს ის ამას, მით უფრო სრულყოფილად წყვეტს თავის ამოცანას. მარტივი წარმოდგენა პირველი და აუცილებელი მოთხოვნაცაა და ამავე დროს ის უმაღლესიც, რისი მიღწევა შეუძლია [ისტორიკოსს]. ამ კუთხიდან განხილული, ის მხოლოდ აღმქმელად [auffassend] და ამსახველად [wiedergebend] გვევლინება და არა თვითმოქმედად და შემოქმედად.

მაგრამ გრძნობად სამყაროში მომხდარი მხოლოდ ნაწილობრივ წარმოდგენს ხილვადს, დანარჩენი კი შეგრძნებას, დასკვნას, მიხვედრას საჭიროებს. ის, რაც მისგან [მომხდარისაგან] ჩანს [გვევლინება] განბნეულია, ნაწყვეტ-ნაწყვეტადაა წარმოდგენილი, [ერთმანეთისაგან] განცალკევებულია; ის, რაც ამ ფრაგმენტულ სურათს [Stückwerk] აერთიანებს, [რაც] ცალკეულს ჭეშმარიტების ნათელს ჰფენს და მთლიანობას სახეს, ფორმას აძლევს, უშუალო დაკვირვებისთვის მიუწვდომელი რჩება. მას [უშუალო დაკვირვებას] შეუძლია მხოლოდ ერთმანეთის თანმხლები და [ერთმანეთის] მომდევნო გარემოებები დაინახოს, და არა თვით შინაგანი მიზეზობრივი კავშირი, რომელიც სწორედ ის ერთადერთია, რასაც შინაგანი ჭეშმარიტება ემყარება. როდესაც ყველაზე უმნიშვნელო ფაქტის მოყოლას ცდილობენ, თანაც უნდათ მხოლოდ და მხოლოდ იმის თქმა, რაც სინამდვილეში მოხდა, თუკი გამოთქმებს უდიდესი სიფხიზლით არ ირჩევენ და წონიან, მაშინაც კი მალე ამჩნევენ, რომ ნათქვამს ყველგან გამოერია ნიუანსები [kleine Bestimmungen], რომლებიც ფაქტების ფარგლებს სცდებიან, და სიყალბესა და არასაიმედობას იწვევენ. თვით ენასაც მიუძღვის ამაში ბრალი, რადგანაც მას [ენას], რომელიც სულიერი სამყაროს [Gemüt] მთელი სისრულიდან მოჩქევს [quillt], ხშირად აკლია ისეთი გამოთქმები, რომლებიც ყოველგვარ თანხმლებ მნიშვნელობათაგან თავისუფალნი არიან, ამიტომაც არაფერი არაა ისე იშვიათი, როგორც სიტყვასიტყვითი ნამდვილი ამბავი, და არაფერიც არ არსებობს, რაც ამაზე მეტად დაადასტურებს, რომ [ადამიანს] მოწესრიგებული, გარჩევის უნარის მქონე საღი გონება [Kopf] და [სულის] თავისუფალი, ობიექტური განწყობა [Gemütsstimmung] გააჩნია; ამიტომაც ისტორიული ჭეშმარიტება გარკვეული თვალსაზრისით ჰგავს ღრუბლებს, რომლებიც მხოლოდ შორიდან ევლინებიან თვალს რაღაც სახის [Gestalt] მქონედ, და ამიტომაც ისტორიული ფაქტები, მათ ცალკეულ შემაკავშირებელ გარემოებებში [ასახულნი], ოდნავ



თუ აღემატებიან გადმოცემის [ტრადიციის] და კვლევის საფუძველზე მიღებულ [ისეთ] შედეგებს, რომელთა შესახებ შეთანხმდნენ, რომ ისინი განიხილონ, როგორც ჭეშმარიტნი, რადგანაც თავისთავშიც ყველაზე დასაჯერი არიან და მთლიანობის [შემქმნელ] ურთიერთკავშირსაც საუკეთესოდ ეთანხმებიან.

ნამდვილად მომხდარის შიშველი გამოყოფით კი ჩვენ ამის ჩონჩხს თულა ვაღწევთ. ის, რასაც ამის შედეგად იღებენ, ისტორიის საფუძველს, მის მასალას, და არა თვით ისტორიას წარმოადგენს. ამას თუ დაუფუჯერებდით, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საკუთრივ, შინაგან, მიზეზობრივ კავშირებზე დაფუძნებულ ჭეშმარიტებას ვწირავთ გარეგანის, სიტყვასიტყვითის, მოჩვენებითის გამო, რომ ნაღდ შეცდომას ვარჩევთ [ჯერ] არანაღდი შეცდომისაგან თავის დასაღწევად. ყოველი მომხდარის ჭეშმარიტება ყოველი ფაქტის ამ ზემოხსენებული უხილავი ნაწილით შეესებას ეფუძნება, და ამიტომაც იტორიკოსმა [სწორედ] ის [ეს ნაწილი] უნდა მიამატოს. ამ თვალსაზრისით ის თვითმოქმედია და შემოქმედებითიც, თუმცა არა იმიტომ, რომ არარსებულს ქმნის, არამედ იმიტომ რომ საკუთარი ძალიდან ამოსვლით იმას წარმოშობს, რის აღქმას იმ სახით, როგორც ის სინამდვილეში არსებობს, მხოლოდ შეთვისების უნარით ვერ მოახერხებდა. როგორც პოეტმა, მაგრამ სხვაგვარად, მან [ისტორიკოსმა] უნდა მთლიანობაში გადაამუშაოს ის გაბნეული, რომელიც [თვითვე] შეაგროვავა.

შეიძლება საეჭვოდ მოგვეჩვენოს ისტორიკოსის და პოეტის სფეროების თუნდაც ერთადერთ წერტილში შეხების დაშვება. თუმცა მათი მოღვაწეობა მონათესავე [ხასიათისაა]. რადგანაც პირველი [ისტორიკოსი], ზემოთქმულის თანახმად, მომხდარის ჭეშმარიტების წარმოდგენას მხოლოდ იმდენად აღწევს, რამდენადაც უშუალო დაკვირვების არასრულსა და ფრაგმენტურს ავსებს და აერთიანებს, ეს კი მას, ისევე როგორც პოეტს, მხოლოდ ფანტაზიის საშუალებით შეუძლია. ხოლო ის, რომ ისტორიკოსი მას [თავის ფანტაზიას] სინამდვილის შემეცნებას და მასში ჩაწვდომას უქვემდებარებს, ქმნის მათ [პოეტსა და ისტორიკოსს] შორის განსხვავებას, რომელიც ხსნის [ამ შედარებასთან დაკავშირებულ] ყოველგვარ საშიშროებას. ამ დაქვემდებარებაში ის [ფანტაზია] მოქმედებს არა, როგორც წმინდა ფანტაზია, და ამიტომაც უფრო სწორი იქნება მას განჭვრეტის ნიჭი და შეკავშირების უნარი დავარქვათ. თუმცა ამის შედეგად ჩვენ ისტორიას მეტად ვამდაბლებთ. მომხდარის ჭეშმარიტება, თუმცა საკმაოდ მარტივი ჩანს, უმაღლესს წარმოადგენს, რაც შეიძლება ვიაზროთ. რადგანაც, ის საბოლოოდ მიღებული რომ ყოფილიყო, მასში გამოვლინდებოდა ის, რაც მთელ სინამდვილეს, როგორც აუცილებელ ჯაჭვს, განაპირობებს. ამიტომაც ისტორიკოსიც აუცილებლობისკენ უნდა მიისწრაფოდეს; პოეტივით აუცილებლობის ფორმას დამორჩილებულ მასალას კი არ უნდა იძლეოდეს, არამედ იღებო, რომლებიც მისი [აუცილებლობის] კანონები არიან, [თავის] სულში [Geist] ურყევად უნდა დაამკვიდროს, რადგანაც მხოლოდ [ამ იდეებით] განმსჭვალულს შეუძლია, სინამდვილის მის ნამდვილობაში წმინდა კვლევისას, მათი [იდეათა] კვალის მიგნება.

ისტორიკოსს ეკუთვნის მიწიერი ქმედების ყველა ძაფიც და არამიწიერი იდეების ყოველი ანაბეჭდიც; არსებობის ერთობლიობა ასე თუ ისე [näher oder entfernter] მისი დამუშავების საგანს წარმოადგენს, და ამიტომაც ის ვალდებულია გონის ყველა მიმართულებას გაადევნოს თვალი, ხოლო სპეკულაცია, გამოცდილება და პოეზია გონის ერთმანეთისაგან გათიშული, ურთიერთდაპირისპირებული და ერთმანეთის შემზღვეველი ქმედებანი კი არა - მისი გამოსხივების სხვადასხვა მხარეები არიან.

ამგვარად, ისტორიულ ჭეშმარიტებას რომ მივუახლოვდეთ, ერთდროულად ორ გზას უნდა დავადგეთ: მომხდარის ზუსტი, მიუკერძოებელი, კრიტიკული წვდომა და გამოკვლეულის შეკავშირება, ამ გზით მიუწვდომელის განჭვრეტა. ვინც ამ გზათაგან მხოლოდ პირველს მიჰყვება, თვით ჭეშმარიტების არსს ვერ სწვდება, ვინც კი მეორე გზას ადგია, და პირველს ივიწყებს, მისი [ჭეშმარიტების] ცალკეულში გაყალბების მუქარის ქვეშ იმყოფება. ბუნების უბრალო აღწერაც კი ნაწილების ჩამოთვლას და აღწერას, გვერდების და კუთხეების ზომვას ვერ სჯერდება, მთლიანობას კიდევ რაღაც ცოცხალი სული დაჰბერავს [es liegt ein lebendiger Hauch], მისიდან [მთლიანობიდან] რაღაც შინაგანი ხასიათი მეტყველებს, რომლის ორთავეს ვერც გაზომვა და ვერც მხოლოდ აღწერა ხერხდება. ისიც [ბუნების აღწერაც] აგრეთვე იძულებულია მიმართოს მეორე საშუალებას, რომელიც მისთვის მდგომარეობს ბუნებრივი სხეულების ზოგადი და ინდივიდუალური ფორმის წარმოდგენაში. ისტორიაშიც ამ მეორე გზაზე აგრეთვე [არსში წვდომა და ფრაგმენტების შეკავშირება] არაფერი ცალკეული [ერთეული] არა გვაქვს საძებნი, და მითუმეტეს რაიმე მოგონილის მისამატებელი. გონმა მხოლოდ ყველაფერი მომხდარის ფორმის საკუთრად გახდომის საშუალებით ნამდვილად შეცნობადი მასალა უკეთ უნდა გაიგოს, მათში [ამ მასალაში] მეტის შეცნობა [უნდა] ისწავლოს, ვიდრე მარტო განსჯის ოპერირებას ძალუძს. [ამგვარად] ყველაფერი მხოლოდ მაკვლევია ძალის და საკვლევია საგნის ამ ასიმილაციაზე დაიყვანება. რაც უფრო ღრმად ესმის ისტორიის მკვლევარს, გენიალობისა და შესწავლის წყალობით, კაცობრიობა და მისი მოქმედებანი, ანდა რაც უფრო ადამიანურად განაწყობს მას ბუნება და გარემოებები და რაც უფრო წმინდა გამგებლობის საშუალებას მისცემს ის თავის ადამიანობას, მით უფრო სრულად გადაწყვეტს იგი თავისი საქმიანობის ამოცანას. ამას ქრონიკებიც ადასტურებენ. მრავალი ფაქტის დამახინჯებისა და მრავალი აშკარა ზღაპრის მიუხედავად მათ შორის უკეთესებში სწორედ რომ ყველაზე უტყუარი ისტორიული ჭეშმარიტების საფუძველის არსებობა ეჭვს არ იწვევს. მათ უახლოვდებიან ეგრეთ წოდებულ მემუარებს შორის უფრო ძველები, თუმცა მათში ინდივიდუალური მჭიდრო მიმართება უკვე ხშირად კაცობრიობის იმ ზოგადს აყენებს ზიანს, რომელსაც ისტორია, ცალკეული პუნქტის დამუშავებისასაც კი, მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორია ისევე, როგორც ყოველი მეცნიერული საქმიანობა, მრავალ დაქვემდებარებულ მიზანსაც ემსახურება, მის მიერ

[ფაქტების] დამუშავება არა ნაკლებ, ვიდრე ფილოსოფია და პოეზია, თავისუფალ, თავის თავში დასრულებულ ხელოვნებას წარმოადგენს. მსოფლიო ამბების, რომლებიც ნაწილობრივ ნიადაგის თვისებებიდან, კაცობრიობის ბუნებიდან, ერებისა და ინდივიდუუმების ხასიათიდან გამომდინარეობენ, ნაწილობრივ კი თითქოსდა არაფრისაგან ჩნდებიან და თითქოს სასწაულით წარმოიშებიან, ბუნდოვნად განსაჭვრეტი ძალებისაგან დამოკიდებულნი და მარადიული, ადამიანის გულში ღრმად ფესვგადგმული იდეების მიერ მართულნი არიან, [ამ მსოფლიო ამბების] საოცარი არევიდარევა წარმოადგენს რაღაც უსასრულს, რომლის ერთიან ფორმაში ჩამოყალიბებას გონი ვერასოდეს ახერხებს, თუმცა ის [ეს უსასრულო] მას [გონს] მუდამ აქეზებს, ამას რომ ეცადოს, და ძალასაც აძლევს რათა ეს [ჩამოყალიბება] ნაწილობრივ შეასრულოს. ისევე, როგორც ფილოსოფია ნივთთა პირველსაწყისისკენ მიისწრაფის, ხელოვნება კი - მშვენიერების იდეალისაკენ, ასევე ისტორია მიისწრაფის, ადამიანთა ბედის ისეთი სურათისაკენ, მის უტყუარ ჭეშმარიტებაში, ცოცხალ სისრულეში და წმინდა სიცხადეში, რომელიც საგანზე მიმართული სულის [Gemüt] მიერ იმგვარად აღქმული იქნება, რომ პიროვნების შეხედულებები, გრძნობები და მისწრაფებები [ამ სურათში] იკარგებიან და ერწყმიან მას. ასეთი განწყობის წარმოქმნა და მისი შენარჩუნება ისტორიკოსის საბოლოო მიზანს წარმოადგენს, თუმცა იგი [ამ საბოლოო მიზანს] მხოლოდ მაშინ აღწევს, როდესაც თავის უახლოეს [მიზანს], ე.ი. მომხდარის უბრალო წარმოდგენას, კეთილსინდისიერი სიზუსტით მისდევს.

რადგან სწორედ სინამდვილის შეგრძნებაა ის, რისი გაღვიძება და გამოცოცხლებაც [ისტორიკოსის] დანიშნულებას წარმოადგენს, და მისი საქმიანობა სუბიექტურად სწორედ ამ ცნების განვითარებით აღიწერება ისევე, როგორც ობიექტურად - წარმოდგენის ცნებით. ყოველ სულიერ მისწრაფებას, რომელიც მის მთლიანობაში ახდენს ადამიანზე გავლენას, გააჩნია რაღაც, რასაც მისი [ამ მისწრაფების] სტიქია, მისი მოქმედი ძალა, გონზე მისი გავლენის საიდუმლოება შეიძლება ეწოდოს, რაც იმ საგანთაგან, რომლებსაც იგი [ეს მისწრაფება] თავის სფეროში ითრევს, ისე აშკარად განსხვავდება, რომ მათი [ამ საგნების] დანიშნულება ხშირად იმაში მდგომარეობს, რომ ეს რაღაცა ახლებურად და სხვაგვარად სურს წარუდგინონ. მათემატიკაში ამას წარმოადგენს ყურადღების კონცენტრირება [Isolierung] რიცხვზე და ხაზზე, მეტაფიზიკაში - ყოველი ცდისაგან აბსტრაქირება, ხელოვნებაში - ბუნების ის საოცარი დამუშავება, რომლის შედეგად ყველაფერი თითქოს მისგან [ბუნებისაგან] აღებული ჩანს და მაინც არაფერი იმავე სახით მასში [ბუნებაში] არ მოიპოვება. სტიქიას, რომელშიც ისტორია მოძრაობს, სინამდვილის გრძნობა წარმოადგენს და მისგან გამომდინარეობს არსებობის ღროთი წარმავლობის შეგრძნება, წარმავალი და თანმხლები მიზეზებისაგან დამოკიდებულება და, ამის საპირისპიროდ, შინაგანი სულიერი თავისუფლების შეგნება და გონების მიერ იმის შეცნობა, რომ სინამდვილე, მისი მოჩვენებითი შემთხვევითობის მიუხედავად, მაინც შინაგანი აუცილებლობითაა შეხლულუ-

ლი. თუკი გონების თვალს გადავაგვლებთ თუნდაც ერთი ადამიანის ცხოვრებას, ის სხვადასხვანაირი მომენტები გაგვიტაცებს, რომელთა გამოც ისტორია იქცევა და იპყრობს [ყურადღებას], და ისტორიკოსმა თავისი საქმიანობის ამოცანა რომ გადაწყვიტოს, ამბები ისე უნდა შეაერთოს [Zusammenstellen], რომ მათ სულზე [Gemüt] ისევე იმოქმედონ, როგორც თვით სინამდვილემ.

ამ მხრივ ისტორია პრაქტიკულ მოღვაწეობას [handelnde Leben] ენათესავება. მისი გამოსადეგობა იმდენად მომდევნო ამბების ან გამაფრთხილებელი ზომების [მიღების] ცალკეულ მაგალითებში კი არ მდგომარეობს, რომლებსაც ხშირად შეცდომაში შევყავართ და იშვიათად თუ გვასწავლიან ჭკუას. მისი [ისტორიის] ჭეშმარიტი და უზომო სარგებელი იმაშია, რომ ის უფრო მეტად ფორმით, რომელიც მომხდარ ამბებს [Begebenheiten] ახლავს, ვიდრე თვით მათი [ამბების] საშუალებით, გონებას სინამდვილესთან შესახვედრად [Behandlung] ამზადებს, აძლიერებს [läutern] მას, ხელს უშლის, რომ ის მარტოოდენ იდეების სამყაროში გადაიხვეწოს და მაინც მას [გონებას] იდეების საშუალებით მართავს, ხოლო ამ ვიწრო შუამავალ გზაზე სულს იმის შეგრძნებას არ აკარგვინებს, რომ [მომხდარი] ამბების მოზღვაებაში წარმატებით ჩარევის სხვა საშუალება არ არსებობს, თუ არა იდეების გაბატონებულ მიმართულებაში ყოველთვის ნათელი მზერით ჭეშმარიტის შეცნობა და მთელი სიმტკიცით მისი [ამ ჭეშმარიტების] მიმხრობა.

ასეთი შინაგანი გავლენა ისტორიამ მუდამ უნდა მოახდინოს, რასაც არ უნდა წარმოადგენდეს მისი საგანი, [სახელდობრ] მოგვითხრობს იგი [ისტორია] ამბების ურთიერთდაკავშირებული ხლართისა [Gewebe], თუ [მხოლოდ] ცალკეული მათგანის შესახებ. ისტორიკოსმა, რომელიც ამ სახელის ღირსია, ყოველი მომხდარი ამბავი უნდა წარმოადგინოს, როგორც მთელი ნაწილი ან, ყოველ მათგანში საზოგადოდ ისტორიის ფორმა წარმოადგინოს.

ამას მივყევართ იმ წარმოდგენის ცნების განვითარებამდე, რომელიც მას [ისტორიკოსს] მოეთხოვება. მომხდარი ამბების ხლართი მის წინაშე იმყოფება, მოჩვენებით არეულობაში, მხოლოდ ქრონოლოგიურად და გეოგრაფიულად დაყოფილი. მან აუცილებელი შემთხვევითისაგან უნდა გამოჰყოს, შინაგანი შედეგები გამოავლინოს, ჭეშმარიტად მოქმედი ძალები გამოაჩინოს იმისთვის, რომ თავის წარმოდგენას ის სახე მისცეს, რომელსაც არა რაღაც წარმოსახვითი ან ზედმეტი [არასაჭირო] ფილოსოფიური ღირსება ანდა მისი [წარმოდგენის] პოეტური მიმზიდველობა, არამედ მისდამი [ამ წარმოდგენისადმი] უპირველესი და ყველაზე არსებითი მოთხოვნილება, მისი ჭეშმარიტება და უეჭველობა ემყარება. რადგანაც ჩვენ მომხდარ ამბებს მხოლოდ ნაწილობრივ ან დამახინჯებულად შევიცნობთ [ხოლმე], თუკი მას ზედაპირულ მოვლენას დავსჯერდებით; ჩვეულებრივი დამკვირვებელი ყოველ წამში ურევს [უმატებს] მათ [ამ ამბებს] შეცდომებს და სიყალბეს. მათი გაძევება შეუძლია მხოლოდ ჭეშმარიტ სახეს, რომელიც მარტო ბუნებით მომადლებულ და

კვლევით და ვარჯიშით გამახვილებულ ისტორიკოსის მხერას შეიძლება მოველინოს, მაგრამ როგორ უნდა მიუდგეს ამ საქმეს, ბედმა რომ გაუღიძოს?

ისტორიული წარმოდგენა ისეთივეა, როგორც ბუნების მიბაძვა ხელოვნების მიერ. ორივესთვის საფუძველს წარმოადგენს ჭეშმარიტი სახის შემეცნება, შემთხვევითის განცალკევება. ამიტომაც არ უნდა მოვერიდოთ [ ], ხელოვანის უფრო ადვილად შეცნობადი მეთოდი მიუყენოთ ისტორიკოსის [მეთოდს], რომელიც უფრო მეტ ეჭვს იწვევს.

ორგანული სახის მიბაძვა ორი გზითაა შესაძლებელი: გარეგანი მოხაზულობის უშუალო ასახვით, იმდენად ზუსტად, რამდენადაც იგი თვალს და ხელს ძალუძს, ანდა შიგნიდან გარეთ, იმის წინასწარი შესწავლის საშუალებით, თუ როგორ წარმოიშვებიან გარეგანი მოხაზულობები მთლიანის ცნებიდან და ფორმიდან, [მოხაზულობათა] ურთიერთმიმართებისაგან განყენების საშუალებით, იმ სამუშაოს შესრულებით, რომლის შედეგადაც სახე პირველად შეიცნობა სულ სხვაგვარად ვიდრე მას არახელოვანის თვალი აღიქვამს, და შემდგომ წარმოსახვის ძალის წყალობით თავიდან ისე წარმოიშვება, რომ ბუნებასთან პირდაპირი შესატყვისობის გვერდით, თავის თავში სხვა, უფრო მაღალ, ჭეშმარიტებასაც ატარებს. რადგანაც ხელოვნების ნაწარმოების უდიდეს უპირატესობას წარმოადგენს სახის იმ შინაგანი ჭეშმარიტების გამოვლინება, რომელიც სინამდვილის მოვლენაშია ჩამალული. ორივე ზემოდასახელებული გზა ყოველთვის და ყველა ჟანრისთვის ყალბი და ჭეშმარიტი ხელოვნების კრიტერიუმს წარმოადგენს. არსებობს ორი, დროის და მდებარეობის მხრივ ერთმანეთისაგან ძალზე დაშორებული ხალხი, რომლებიც, ამისდა მიუხედავად, ჩვენთვის კულტურის დასაბამს აღნიშნავენ, [სახელდობრ] ეგვიპტელები და მექსიკელები, რომლებსაც ეს განსხვავება განსაკუთრებით ემჩნევათ. სრულიად სამართლიანად მათ შორის [არსებულ] მრავალ მსგავსებაზე მიუთითებენ, ორივეს ყოველი ხელოვნებისთვის იმ საშინელი დაბრკოლების გადალახვა მოუწია, რომ ისინი სურათს დამწერ-ლობის ნიშნად იყენებდნენ და უკანასკნელთა [მექსიკელების] ნახატებში მართლაც არც ერთი სწორად დანახული სახე არ მოიპოვება, მაშინ როდესაც პირველებთან [ეგვიპტელებთან] ყველაზე უმნიშვნელო იეროგლიფსაც კი სტილი გააჩნია.\*

\* აქ საქმე მხოლოდ იმას ეხებოდა, რომ ხელოვნებაზე ნათქვამი მაგალითით დამედასტურებინა; ამიტომაც სულაც არ ვაპირებ რაღაც გადამწვეტი დასკვნა გამოვიტანო მექსიკელების შესახებ. მათ გააჩნიათ კიდევაც ქანდაკებები როგორც [მაგალითად] ჩემი ძმის მიერ ჩამოტანილი და აქაურ სამეფო მუზეუმში მოთავსებული თავი, რომლებიც მათი ხელოვნების დასრულებულობაზე უკეთეს შთაბეჭდილებას ქმნიან. თუ გავითვალისწინებთ, რა დაბალ დონეზეა ჩვენი ცოდნა მექსიკელთა შესახებ და რა მცირე ასაკისანი არიან ის სურათები, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია, ზედმეტად გაბედული იქნება მათი ხელოვნების შესახებ მსჯელობა, რაც თავისუფლად შეიძლება, რომ მათი დაცემის [Verfall] დროიდან მომდინარეობდეს. ის, რომ ხელოვნების გადაგვარებული ნაწარმოებები მისი [ამ ხელოვნების] უმაღლესი დახვეწილო-

ბის დროსაც შეიძლება შეგვხვდეს, არაჩვეულებრივად თვალშისაცემი მეჩვენა იმ ფიგურებთან დაკავშირებით, რომლებსაც სარდინიაში პოულობენ, და რომლებსაც აშკარად ემჩნევათ, რომ ისინი ბერძნული ან რომაული წარმომავლობისანი არიან, მაგრამ პროპორციების მცდარობით მექსიკურს სულაც არ ჩამორჩებიან. ამ სახის კოლექცია არსებობს რომის Collegium Romanum-ში. სხვა მიზეზების გამოც მოსალოდნელია, რომ მექსიკელები უფრო ადრინდელ პერიოდში და სხვა მიდამოში, განათლების უფრო მაღალ საფეხურზე იდგნენ. ჩემი ძმის შრომებში გულმოდგინედ დაგროვილი და ერთმანეთთან შედარებული მათი ხეტილის ისტორიული კვლებიც ამასვე მიუთითებენ. ეს ძალზე ბუნებრივია. მექსიკურ ნახატებში შინაგანი ფორმის განჭვრეტის ან ორგანული აგებულების ცოდნის კვალიც თითქმის არ შეიმჩნევა, და ამგვარად მთელი მისწრაფება გარეგანი სახის მიბადისკენაა მიმართული. არასრულ-ყოფილი ხელოვნების მიერ გარეგნული მოხაზულობების დაჭერის ცდა კი წარუმატებლად უნდა დამთავრდეს და შემდგომ დამახინჯებამდეც მიგვიყვანოს, ამის საპირისპიროდ, მიმართებათა და თანაზომიერების ძიება ხელის და იარაღების უსუსურობის მიუხედავადაც კი ვლინდება.

თუკი სახის [Gestalt] მოხაზულობის გაგება შიგნიდან გარეთ გვსურს, [მაშინ] ფორმას საზოგადოდ და ორგანიზმის არსს უნდა ჩავწვდეთ, ე.ი. მათემატიკას და ბუნებისმეტყველებას [მივმართოთ]. უკანასკნელი [ბუნებისმეტყველება] ცნებას იძლევა, პირველი [მათემატიკა] კი - სახის იდეას. ორივეს ერთად გამაერთიანებელი მესამე, სულის, სულიერი ცხოვრების გამოხატულება უნდა დაერთოს. ხოლო წმინდა ფორმა, ისე როგორც იგი ნაწილების სიმეტრიაში და მიმართებათა წონასწორობაში გვევლინება, ყველაზე არსებითსა და ყველაზე ადრინდელსაც წარმოადგენს, როდესაც ჯერ კიდევ ახალბედა [frische] ყმაწვილურ გონს [Geist] უფრო იზიდავს წმინდა მეცნიერება, ვიდრე ცდისეული, რომელიც მრავალნაირ მომზადებას მოითხოვს. ეს აშკარად ემჩნევა ეგვიპტურ და ბერძნულ ქანდაკებებს. ყოველ მათგანში პირველ რიგში თვალშისაცემია ფორმის სიწმინდე და სიმკაცრე, რომელიც სიმკვეთრესაც [Härte] თითქმის არ ეპუება, წრეების და ნახევარწრეების სისწორე, კუთხეების სიმახვილე და ხაზების სიმკვეთრე; სწორედ ამ საიმედო საფუძველს ეყარება დანარჩენი გარეგანი მოხაზულობა. თუმცა ორგანული აგებულების ზუსტი ცოდნა ჯერ აკლიათ, მაგრამ [სიმკვეთრე] უკვე [ამ] სიცხადეშიც ნათლად გამოსჭვივის, და როდესაც ხელოვანი მასაც [ამ ცოდნასაც] დაუფლა, როდესაც მან [თავისი ქმნილებისთვის] დინებადი მიმზიდველობის მიცემა და დვთაებრივი გამოხატულების შთაბერვა მოახერხა, აზრად [მაინც] არ მოუვიდოდა მოხიბვლის ეს [საშუალებები] გამოეყენებინა, მას რომ მანამდე ზემოთქმულზე [ფორმის სიწმინდეზე და სიმკაცრეზე] არ ეზრუნა. მისთვის აუცილებელი - პირველად და უმაღლესად დარჩა.

სიცოცხლის მთელი მრავალფეროვნება და მშვენიერება ხელოვანს ვერაფერში დაეხმარება, თუკი მათ მისი [ხელოვანის] ფანტაზიის სიმარტივეში წმინდა ფორმისადმი სიყვარული არ უპირისპირდება. აქედან [გამომდინარე]

გასაგები ხდება ხელოვნება როგორ წარმოიშვა სწორედ ისეთ ხალხში, რომლის ცხოვრება ყველაზე ინტენსიური [beweglichste] და მიმზიდველი სულაც არ იყო, რომელზედაც ვერ იტყვი, რომ სილამაზით გამოირჩეოდა, რომლის ღრმა გონებამ მათემატიკას და მექანიკას ადრე მიმართა, რომლის გემოვნებას საოცარი, თუმცა ძალზე მარტივი, მაგრამ მკაცრად კანონზომიერი, შენობები პასუხობდა, რომელმაც მიმართებათა ეს არქიტექტონიკა ადამიანის სახის [Gestalt] მიბაძვაზეც გადაიტანა, და რომელსაც მისი მყარი მასალა ყოველი ხაზის ელემენტში წინააღმდეგობას უწევდა. ბერძენის მდგომარეობა ყოველმხრივ განსხვავდებოდა; მას გარშემო მიმზიდველი მშვენიერება, მდიდარი და ინტენსიური [reich bewegtes], ზოგჯერ მოუწესრიგებელი ცხოვრება, [და] დიდებული [üppige] მითოლოგია ერტყმოდა, და მისი საჭრისი [Meibel] პლასტიკურ [იოლად დასაყალიბებელ] მარმარილოს, ან უძველეს ხანაში - ხეს, ნებისმიერ სახეს ადვილად აძლევდა. მით უფრო გასაოცარია მისი მხატვრული აზრის [Sinn] სიღრმე და სიძლიერე [Ernst], რომ მან [ბერძენმა], ზედაპირული მიმზიდველობის ყველა ამ ცდუნებათა მიუხედავად, ეგვიპტელთა სიმკაცრე ორგანული აღნაგობის ცოდნის ხარჯზე მხოლოდ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა.

უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს ხელოვნების საფუძვლად არა მარტო ცხოვრების სიმდიდრის, არამედ, მასთან ერთად, მათემატიკური ჭკრეტის სიმშრალის ჩათვლაც. ამისდა მიუხედავად ეს არანაკლებ ჭეშმარიტია, და ხელოვანს გენიოსობის ფრთების შემსხმელი ძალა არ დასჭირდებოდა, მის დანიშნულებას მკაცრად მბრძანებელი იდეების - ღრმა მნიშვნელობის მოვლენად თავისუფალი [freien Spiels] გარდაქმნა რომ არ წარმოადგენდეს. მაგრამ მათემატიკური ჭეშმარიტებების, სივრცისა და ღრვის მარადიული მიმართებების, მარტო ჭკრეტაც კი უკვე რაღაც მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას ახდენს, იმისდა მიუხედავად ვლინდებიან ისინი ბგერებში, რიცხვებში, თუ ხაზებში. მათზე დაკვირვება თავისთავად გვანიჭებს მარად ახალ კმაყოფილებას, სულ ახალ და ახალ მიმართებათა და მუდამ სრულად [vollkommen] ამოსახსნელ ამოცანათა აღმოჩენის წყალობით. წმინდა მეცნიერების ფორმის მშვენიერების შეგრძნება [Sinn] ჩვენში მხოლოდ მეტისმეტად ნაადრევი და მრავალფეროვანი გამოყენების გამო სუსტდება.

(გაგრძელება იქნება)

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილის სტატია „ამაგდარი“, რომელიც მიეძღვნა ღვაწლმოსილი მეცნიერის, ჩვენი რედაქციის ერთგული მეგობრის ბატონ იური სიხარულიძის დაბადებიდან 90 წლისთავს.

ქვემოთ ვბეჭდავთ ბატონ ანზორ ერქომაიშვილის სატელეფონო გზავნილის ტექსტს, რომელიც გაჟღერდა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ და საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის მიერ გამართულ საიუბილეო ზეიმზე

**ბატონო იური,**

გილოცავთ 90 წლის იუბილეს. მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ თქვენი მოღვაწეობის პერიოდში მომიხდა მუშაობა. თქვენ, პროფესიით ისტორიკოსმა, განვლეთ ურთულესი გზა კომუნისტურ ეპოქაში, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაგიკარგავთ საქართველოს ისტორიის ობიექტური შეფასების უნარი; თქვენი პატრიოტული თავდადება მისაბამია თაობებისათვის. თქვენი მთელი ცხოვრების მანძილზე გულწრფელი სიყვარულით ემსახურეთ საქართველოს, თაობები აღზარდეთ სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობით, სიმართლითა და მაღალი პროფესიონალიზმით. დღეს ისინი ღირსეულად განაგრძობენ თქვენს დაწყებულ საქმეს, და როგორც ვიცი, ბევრი მათგანი დღესაც თანამშრომლობს თქვენთან.

ბატონო იური, თქვენ მრავალმხრივი მოღვაწე ბრძანდებით, საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მტკივნეული საკითხი, რომელსაც თქვენი კალამი არ შეეხო, რომელიც თქვენი კვლევის საგნად არ იქცა; თქვენ უშიშრად იდეებით ქვეყნის სადარაჯოზე და საქართველოს მტრებს ღირსეულ პასუხს აძლევდით. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს თქვენს მამულიშვილურ თავდადებას.

პირადა მე თქვენი უდიდეს პატივისმცემელი გახლავართ. არასოდეს დამავიწყდება თქვენი საუბრები ქართულ ტრადიციებზე, ფოლკლორზე, მოგონებები ქართველ მომღერლებზეც. თქვენ მოწმე ბრძანდებით ძველი თაობების



საოცარი საშემსრულებლო ხელოვნებისა, პირადად იცნობდით დიდებულ გურულ მომღერლებს: სამუელ ჩავლეიშვილს, ვარლამ სიმონიშვილს, ვლადიმერ ბერძენიშვილს, ვასილ მახარაძესა და სხვა ლეგენდარულ ადამიანებს, პირადად გიმღერიათ მათთან, სიმღერები გისწავლიათ მათგან და მერე სხვას ასწავლიდით სხვადასხვა დიდებულ ვარიანტებს. თქვენი მონათხრობი ჩემთვის იშვიათი გაკვეთილი იყო: თქვენ ისეთი ამბები მოიგონეთ ძელი მომღერლების შესახებ, რომელიც მანამდე არასოდეს გამიგონია, ეს ნაამბობი დაამშვენებს მათ ლამაზ ბიოგრაფიებს, ამისთვისაც დიდი მადლობა!

ბატონო იური, თქვენ სამაგალითო პიროვნება ბრძანდებით, დიდად განათლებული მეცნიერი, პატრიოტი, ღირსეული კაცი, რომელმაც მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება თქვენს ქვეყანას შესწირეთ. თქვენი სიმღერები, თქვენი ვარიანტები, ოსტატურად შესრულებული კრიმანჭული ჩემთვის სამაგალითოა და სანამ ცოცხალი ვიქნები, ყოველთვის თან გამყვება.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სიყვარული, მადლიერების უსაზღვრო გრძნობა და საუკეთესო სურვილები.


დიდხანს იცოცხლეთ, ბატონო იური, მრავალჟამიერ!

ჩემი დიდი მადლიერება თქვენი საიუბილეო საღამოს ორგანიზატორებს – თბილისის მთავარი და საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკებს.

ანზორ ერქომაიშვილი

აქვე ვბეჭდავთ ბატონი იური სიხარულიძის ესსეს „ბახმაროს შესახებ“

„ბახმარო, ბახმარო  
მოგიხდება გამხმარო“  
(ხალხური)



ბახმარო საქართველოს შესანიშნავი აგარაკია და მისი წარსულისადმი ინტერესიც დიდია.

ამ აგარაკზე ცოტა როდი დაწერილა, მათ შორის წიგნებიდანაც, მაგრამ უმეტესობა მედიცინის მუშაკთა კალამს ეკუთვნის და აგარაკსაც სამედიცინო თვალსაზრისით წარმოგვიჩენს და არა ისტორიულად.

დროა ამასაც მიექცეს და საამაყო აგარაკი ისტორიულად გაშუქდეს. მით უმეტეს, რომ არქეოლოგთა ჯგუფმა, რომელსაც საგანგებოდ აქვს მინდობილი გურიის სიძველეთა შესწავლა, ბახმაროზე, ისეთი საინტერესო სიძველის ნაშთი მოუპოვებია, რომელიც იქ ჩვენი წინაპრების შორეულ საქმიანობაზე მიგვანიშნებს.

ჩანს, რომ უძველეს სამეურნეო ყოფაში მეცხოველეობის ხვედრითი წილის გაზრდასთან ერთად, ალპური საძოვრებიც წინა პლანზე იწვევენ და ჩვენი მეცხოველეებიც ბახმაროს მთებისაკენ მიილტვიან. იმ დროს („დედამთავრული სახლის“ ზეობის ჟამს მთავარია ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერება და არა სხვა რამ.

ასე გრძელდება ათასწლეულთა განმავლობაში და ეს ძველისძველი რიგი არც გვიან შუა საუკუნეებში დაირღვეოდა თუ არა ოსმალეთის სითავხედე, რომელმაც 1562 წელს იმდენი მოახერხა, რომ აჭარა მოსტაცა გურიის სამთავროს და თავისი სახელმწიფო საზღვარი ბახმაროს მთებზე გაატარა.

ამიერიდან ბახმაროს ალპური საძოვრების ქართული წესრიგით შეუძლებელი გახდა და გურიის სამთავროს ეკონომიკას ამით მეხი დაეცა, რადგან ამ საძოვრების დაკარგვით მიღებული ზიანის ანაზღაურება შეუძლებელი იყო.

ასე დარჩა საუკუნეთა განმავლობაში ბახმაროს საძოვრების პატრონი ქვეყნაც თანდათან დაკანონდა სამეურნეო თვალსაზრისით. მაგრამ მარტოოდენ ეს როდი ღრღნიდა განმარტოებულ ქვეყანას, ამავე დროს ოსმალეთი გეგმაზომიერად უტევდა გურიას და მის რულ ჩანთქმას ცდილობდა.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რასაც პატარა სამთავრო უწევდა დიდ იმპერიას, მტერი მაინც აჩარდახებდა დრო და დრო წარმატების მოპოვებას.

ასე მოექცა გურიის სამხრეთ-დასავლეთი მხარეები თანდათანობით ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში.

ჯერ მტერი ჩრდილო ჭანეთს დააცხრა, რომელიც გურიის სამთავროში შედიოდა (1547 წ), შემდეგ აჭარას მიაღვა (1562 წ). მოგვიანებით არც კახაბერი დაინდო, არც ერგე და ბათოში.

1712 წელს ჩაქვის ხეობასაც დაიკავა მტერმა და შემდეგ მდინარე სახრაფონასაც მოატანა.

საუკუნის განმავლობაში ასე დიდი მიწა-წყალი წაართვა მტერმა საქართველოს, მაგრამ უსაშველოდ აშლილი მადა ოსმალთ XIX საუკუნემ დაუოკა, როდესაც ის ზედიზედ მარცხდება და 1877-1878 წლების ომის შემდეგ კი საქართველოსგან ჩამოგლეჯილ მიწა-წყლის უდიდეს ნაწილს კარგავს.

სწორედ ამ დროს მოცილდა ბახმაროს მთებს ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრის ხაზი და იგი სადღაც შორს გადაიკარგა სამხრეთ დასავლეთში.

ამიერიდან ბახმაროს მთები და ალპური სამოვრები კვლავ ნორმალურად ჩადგა ქვეყნის სამსახურში და ბახმაროს ავკარგიანობის საკითხიც ამ ვითარებაში წამოიჭრა და წარმატებით გადაიჭრა

იური სიხარულიძე

## ჟურნალისტიკა - Журналистика - Journalism

### Постмодернизм и журналистика

*Бондаренко Тамара*

*Грузинский технический университет*

**Ключевые слова:** *постмодернизм, журналистика, , интертекст, цитация, манипуляция.*

Средства массовой информации (СМИ) являются одним из важнейших институтов современного общества. Они выполняют многообразные функции: информируют, просвещают, рекламируют, развлекают. Очевидно, что они играют важную роль в формировании, функционировании и эволюции общественного сознания в целом. Более того, восприятие и интерпретация важнейших явлений и событий, происходящих в стране и в мире в целом, осуществляются через и с помощью СМИ.

Основные социальные и эстетические установки нового времени привели и к иному отношению к журналистике. Современная журналистика стремится к поиску новых средств изображения действительности. Журналисты стали преподносить мир в столкновении контрастов, в преувеличенной резкости реальности. Журналистика рубежа XX – XXI веков строилась на разломах утраченных идеалов. Надо было учиться жить в мире, где нет основы, где надо было существовать вопреки агрессивной сущности мироздания.

После развала Советского Союза и падения железного занавеса вместе с потоком иностранцев, мечтающих увидеть Россию, в журналистику хлынули и течения западной культуры, что не могло не отразиться на развитии журналистики. Около 70 лет журналистика постсоветского пространства жила как-бы во сне, а на Западе развивалась в соответствии с духом своего времени. Постмодернизм как философское направление коснулось и журналистики. Постмодернизм в философии декларируется как «новая философия», которая «в принципе отрицает возможность достоверности и объективности..., а такие понятия как «справедливость» и «право» утрачивают свое значение...». Сегодняшний журналистский текст во многом постмодерничен. Американский философ Ф. Р. Рорти в книге «Случайность. Ирония. Солидарность» (1986) утверждает, что истины вовне нет, она принадлежит высказываниям и потому «там, где нет предложений, нет и истины. Мир не говорит. Говорим только мы на языке, который сами же и сотворили. Языковые тексты имеют отношение только к другим текстам (и так до бесконечности). Они не имеют никакого основания (ни божественного, ни природного) вне языка. Тексты включены в языковую игру и

невозможно говорить об «истинном» их смысле, что обрекает на провал все попытки отыскать истину.»

Основные принципы постмодернизма таковы: объективная сущность — иллюзия; истина неоднозначна, множественна, действительность не есть данность, она формируется под воздействием человеческих желаний и поступков, ориентацию и мотивировку которых нельзя до конца объяснить, а следовательно, невозможно предсказывать и контролировать, человеческое познание не отражает мир, а интерпретирует, истолковывает его и ни одно истолкование не имеет преимуществ перед другими. Скрытая цитатность и травестирирование образов принадлежат к числу таких находок постмодернизма. В этом контексте и следует рассматривать коллизийный параллелизм, характерный для современного журналистского текста. Изменились задачи журналистского текста. Текст не только информирует, главная цель манипулирование массовым сознанием. Спрецированный на множество контекстов, журналистский текст, предстает как комплекс акций, направленных на разные явления жизни. Очень часто при написании текста, журналист использует принцип «цитации текста». (термин Жолковского). У Жолковского под словом «цитируется» следует понимать «используется». Необходимо добавить, что не всегда журналист использует прямое цитирование текста. Чаще встречается прием скрытой цитации. Цитация может быть завуалированной: когда цитация более или менее очевидна, когда сходными являются: общая мысль, перекликающиеся фрагменты. Журналист в одном тексте объединяет схожие темы, встречающиеся в произведениях разных авторов, благодаря чему рождается совсем новый текст, получающий совсем другое звучание. «Особенно расцвела интертекстуальность в наш рефлектирующий век, он же – век беспрецедентного преобладания средств коммуникации, знаков, изображения, кодов». [Жолковский, Блуждающие сны, с. 18] Такие целенаправленные коммуникативные действия, предпринимаются для достижения воздействия на адресат (в широком смысле этого слова) и информационного превосходства над ним. [Винер Н. Кибернетика и общество, с. 276-281].

Атмосфера провокации, составляющая сюжетную пружину текстов постмодернизма, приводит к следующему выводу: то, что описывается журналистами есть не реальность, а глобальная историческая провокация, которая обусловила неразрешимую историческую трагедию сегодняшнего мира, механически воспринявшей «реальное» начало и не сумевшей создать новое органическое единство из смещения в себе «истины» и «обмана». Такой текст, столкнувшись с духовной косностью и разрушительными инстинктами, порождает фантазмагорию, исполненную губительных мистических сил, во власти которой оказываются все участники коммуникативного процесса. И эта фантазмагория становится сегодня «истиной».

Но ничего не происходит случайно. Именно эпоха вызывает к жизни не только тот или иной тип творчества, но и придает тексту свойственные ей особенности. Появление таких текстов является прямым порождением закономерностей развития общественно-исторических отношений. Образы, создаваемые той или иной культурной формацией, сочетая в себе особенности индивидуальной психики и психологические

каркасы своей эпохи, позволяют говорить о социально-психологической типологии, в которой и выявляется «драгоценное бремя всеобщности и преемственности» [Гинзбург О психологической прозе, с. 15]. Исторический характер, встречаясь с индивидуальным, эмпирическим человеком, формирует его на свой лад – с разными поправками на данную индивидуальность. Текст отражает это движение, после чего сам начинает формировать эпохальный характер. В современном мире текст ощущается как явление, живущее самостоятельной жизнью.

Преобладающим чувством сегодня отчаяние. Современные передачи, отличаются усиленно сгущенными красками, нанизыванием однозначных по тональности эпитетов, подчеркивающих безотчетный трагизм, обреченность и неприкаянность, что тоже является характерной чертой постмодернизма. «Герои нашего времени» «столь же реальны, сколь и иносказательны». Трагические стороны жизни порождают кризисные моменты мировосприятия, находящие свое в мотивах всеобщего «развлечения». Огромное количество различного рода ток-шоу, развлекательных передач, все помогает забыть о существующих проблемах. Мотив «маскарада» являлся одной из многочисленных мифологем модернизма и в дальнейшем постмодернизма. Такие передачи и являются «маскарадом», «пиром во время чумы».

Роль постмодернизма в практике создания журналистского произведения, велика из-за ощущения ирреальности слова и деформации словесного мира.

### **Литература:**

1. Гинзбург Л.Я. О психологической прозе. М., 1999.
2. Жолковский А. К. Заметки бывшего пред-постструктуралиста // «Литературное обозрение», №10, 1991.
3. Жолковский А. К. Механизмы второго рождения. – Синтаксис. // «Литературное обозрение», №2, 1990.
4. Жолковский А.К., Щеглов Ю.К. Поэтика выразительности. «Прогресс», 1996.
5. Эпштейн М. От модернизма к постмодернизму: диалектика "гипер" в культуре XX века // Новое литературное обозрение. № 16, 1995.
6. Эпштейн М. После будущего. О новом сознании в литературе. // «Знамя», №1, 1991.

### ***Постмодернизм и журналистика***

***Бондаренко Тамара***

*Грузинский технический университет*

***Ключевые слова:*** *постмодернизм, журналистика, интертекст, цитация, манипуляция.*

*Основные социальные и эстетические установки нового времени привели к иному отношению к журналистике. Современная журналистика стремится к поиску новых средств изображения действительности. Журналисты стали преподносить*

мир в столкновении контрастов, в преувеличенной резкости реальности. Постмодернизм как философское направление коснулось и журналистики. Постмодернизм в философии декларируется как «новая философия», которая «в принципе отрицает возможность достоверности и объективности..., а такие понятия как «справедливость» и «права» утрачивают свое значение...»

### **Postmodernism and journalism**

**Bondarenko Tamara**

Georgian Technical University

**Key words:** postmodernism, journalism, intertext, citation, manipulation.

The basic social and aesthetic settings of the new era have led to a different attitude to journalism. Modern journalism seeks to find new means of depicting reality. Journalists began to present the world in a clash of contrasts, in an exaggerated sharpness of reality. Postmodernism as a philosophical trend touched and journalism. Postmodernism in philosophy is declared as a "new philosophy," which "in principle denies the possibility of reliability and objectivity ..., and such concepts as" justice "and" rightness "lose their meaning ..."

### **პოსტმოდერნიზმი და ჟურნალისტიკა**

**ბონდარენკო თამარ**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**საკვანძო სიტყვები:** პოსტმოდერნიზმი, ჟურნალისტიკის, ინტერტექსტი, ციტირება, მანიპულირება.

ახალი დროის მთავარმა სოციალურმა და ესთეტიკურმა მიზანდასახულობამ მიგვიყვანა ჟურნალისტიკის მიმართ ახალ დამოკიდებულებამდე. თანამედროვე ჟურნალისტიკა მიისწრაფის სინამდვილის ასახვის ახალი საშუალებების ძებნისკენ.

ჟურნალისტებმა დაიწყეს სამყაროს წარმოჩენა კონტრასტების შეხლამშემოხლამში. დეალობის გაზვიადებულ უკმეხობაში.

პოსტმოდერნიზმი, როგორც ფილოსოფიური მიმართულება ჟურნალისტიკასაც შეეხო. ოსტმოდერნიზმი დეკლარირებულია, როგორც “ახალი ფილოსოფია”, რომელიც უარყოფს უტყველობისა და ობიექტიობის შესაძლებლობას, ხოლო ასეთი ცნებები როგორცაა “სამართლიანობა” და “სიმართლე” კარგავენ თავის მნიშვნელობას.

## ქართულ მედიაში ბავშვთა საკითხების ეთიკური გაშუქება

მადინა გაგიევა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*საკვანძო სიტყვები: მედიასაშუალებები, ბავშვთა საკითხები, გაშუქება.*

საქართველოს მედიასაშუალებები საკმაოდ იშვიათად აშუქებენ ბავშვთა საკითხებს, მითუმეტეს, თუ საუბარია პრობლემურ (მაგალითად, სეზუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები) თემებზე. მაშინაც კი, როცა საქმე ბავშვთა დაცვის დღეს ეხება, ქართული მედია გაცილებით მეტ დროს უთმობს სხვა თემებს, ვიდრე მათ უფლებების დაცვის პრობლემატიკას.

იმის გამოსარკვევად, თუ რა დროს უთმობს ქართული მედია ბავშვთა საკითხების გაშუქებას და რამდენად ეთიკურად აკეთებს ამას, ჩვენ ერთი თვის განმავლობაში ვატარებდით მედია-მონიტორინგს. დაკვირვება ხდებოდა 2017 წლის 1-31 იანვარს.

მედია-მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი ტენდენციები. მაგალითად ის, რომ ბავშვთა თემა ყველაზე ხშირად განათლებასა და ქველმოქმედებასთან დაკავშირებით შუქდება.

კერძოდ, თუ 2016 წლის აღნიშნულ პერიოდში 1590 მასალა გამოქვეყნდა ხსენებულ თემატიკის, მიმდინარე წელს ამ მაჩვენებელმა 1421 შეადგინა. რაოდენობის შემცირება დაფიქსირდა როგორც სატელევიზიო, ისე ონლაინ მედიაში. რაც შეეხება პრესას, აქ ბავშვების შესახებ მომზადებული მასალების რაოდენობა მცირედად გაიზარდა.

კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია. მედიის მიერ ბავშვებთან დაკავშირებით გაშუქებული თემებიდან სჭარბობს განათლება (27%) და ქველმოქმედება (16%). შენდევ მოდის ჯანდაცვა (12%), კულტურა (11%), კრიმინალი (13%) და სოციალურ თემატიკა (14%).

აღსანიშნავია, რომ ბავშვების შესახებ მომზადებული მასალების - როგორც ბეჭდური, ისე სამაუწყებლო - მხოლოდ 3% შეადგინა ისეთი ჟურნალისტური პროდუქტი, რომელშიც საკითხი სიღრმისეულად არის შესწავლილი, ნაჩვენებია პრობლემის ყველა ასოექტი და მხარეთა პოზიციები. ხოლო მასალების უმრავლესობა არის ზედაპირული და ფრაგმენტული.

გარდა ამისა, 2016 წლის ინვარტან შედარებით 16-დან 38 პროცენტამდე გაიზარდა იმ მასალების რიცხვი, სადაც ბავშვები თვითონ საუბრობენ. მათი ხმა ყველაზე ხშირად დაფიქსირდა სპორტისა და კულტურის თემებთან დაკავ-



შირებულ მასალებში. თუმცა, მაგალითად, თუ ისეთ სერიოზულ თემას ავიღებთ, როგორც არის ბავშვთა უფლებები, დავინახავთ, რომ მასალების მხოლოდ 14 პროცენტში ისინი თავად საუბრობენ აღნიშნულ პრობლემების შესახებ.

საინტერესო ტენდენციები გამოიკვეთა ამ თემატიკის „პოლიტიკურ კომპონენტში“. მედია-მონიტორინგის თანახმად, ბავშვებთან დაკავშირებული კანონ-პროექტები ძირითადად პოლიტიკოსების დაპირისპირების ჭრილში განიხილება, ხოლო აუდიტორიისთვის გაურკვეველი რჩება, თუ რა გავლენას იქონიებს ცვლილები მოზარდების ცხოვრებაზე.

გარდა ამისა, პოლიტიკოსები / სახელმწიფო უწყებები ბავშვების მძიმე სოციალურ მდგომარეობას ხშირ შემთხვევაში იყენებენ საკუთარი პოპულარიზაციისთვის და ამაში მათ ხელს სწორედ მედია უწყობს. სოციალურ პრობლემებზე მომზადებულ მასალებში ბავშვები ემოციის გასამძაფრებლად გამოიყენება. ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვების საკითხი უმთავრესად ქველმოქმედების ჭრილში შუქდება. პრობლემა იმაშია, რომ მედია ცდილობს თვითონ მოიძიოს სახსრები მათ დასახმარებლად და აქცენტს არ აკეთებს სისტემურ პრობლემაზე, რის გამოც ბავშვებს რიგითი მოქალაქეების დახმარება სჭირდებათ. ამაში ცუდი არაფერი არ არის, თუმცა გაცილებით უკეთესი შედეგი იქნება, თუ მედია მომზადებული მასალების სიმრავლით ეცდება აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტას და ხმას მიაწვლის იმ პოლიტიკოსებს, ვის კომპეტენციაშიც შედის ამ საკითხების გადაწყვეტა.

ასევე პრობლემად რჩება ბავშვების გამოყენება რეკლამისა და ქველმოქმედების ობიექტებად. ასეთ შემთხვევებში ჩვენ ხშირად გვხვდება ერთი და იგივე ტექსტი სხვადასხვა ონლაინ მედიასაშუალებაში. ეს განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც საუბარია სოციალურ მედიაზე.

რაც შეეხება ბავშვებთან დაკავშირებით მომზადებულ მასალებში ეთიკური სტანდარტების დარღვევის ფაქტებს. დაკვირვების პერიოდში რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა, როდესაც მოხდა ძალადობის მსხვერპლის ან სავარაუდო დამნაშავეს იდენტიფიცირება. გარდა ამისა, არაერთი მასალა გამოქვეყნდა, სადაც ბავშვების სხვადასხვა ნიშნით სტიგმატიზება მოხდა. აღსანიშნავია, რომ უკვე წლებია, რაც ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით დაწესებულია რეგულაცია, რათა ბავშვები იყვნენ დაცული ყობელგვარი მანიპულაციისაგან. მაგალითად, სამაუწყებლო მედიის შემთხვევაში მათი სახის გადაფარვა, სახელისა და გვარის შეცვლა და ა.შ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახეზეა პოზიტიური ტენდენციებიც. მაგალითად, მედიასაშუალებების მიერ კრიმინალური შემთხვევების გაშუქებისას ბრალდებულებისა თუ მსხვერპლების კონფიდენციალურობის დაცვა უკვე დამკვიდრებულ პრაქტიკად იქცა.

ცალკე გამოყოფთ საბავშვო არხებს. აღსანიშნავია, რომ მათ ეთერში გასული გადაცემები ვერ სთავაზობს საინტერესო და მრავალფეროვან შინაარსს სხვადასხვა ასაკის არასრულწლოვნებს. საბავშვო არხების მიერ მომზადებული მასალა ვიზუალურად დაბალი ხარისხისაა, არ არის გამოყენებული ამბის გადმოცემის სხვადასხვა ფორმები, ინოვაციური ხერხები აუდიტორიის მოსაზიდად.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. [www.mediacheker.ge](http://www.mediacheker.ge)
2. [www.unicef.ge](http://www.unicef.ge)
3. [www.kids.ge](http://www.kids.ge)

### Этические аспекты освещения вопросов детей в грузинских СМИ

*Мадина Гагиева*

*Грузинский технический университет*

**Ключевые слова:** *медиа, вопросы детей, освещение*

В этой статье мы попытались выяснить, насколько объективно и с этической точки зрения правильно освещают средства массовой информации Грузии вопросы, которые касаются детей и защиты их прав. Для этого мы провели мониторинг грузинских медиа (как телеканалов, так и прессы и интернет - изданий). В течение одного месяца – с 1 по 31 января 2017 года – мы изучали все материалы, которые были показаны / опубликованы в СМИ по указанной тематике.

### Ethical aspects of covering children's issues in Georgian media

*Madina Gagieva*

*Georgian Technical University*

**Key words:** *media, children's issues, coverage*

In this article we tried to find out how objectively and ethically correctly Georgian media covers the issues, which concerns children and the protection of their rights. In order to receive answers on these questions we monitored Georgian media (both TV channels and the press and Internet publications). Within one month - from January 1 to January 31, 2017 - we studied all the materials that were shown / published in the media on this specific topic.

**პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა და შემოქმედებითი  
თავისუფლება – მიზნის მიღწევის ოპტიმალური  
საშუალება**

*ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**საკვანძო სიტყვები:** უმაღლესი სტანდარტები, პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა, შემოქმედებითი თავისუფლება, ეთიკა, თვითრეგულაციის მექანიზმები, საკაცობრიო ღირებულებები.

უდავოა, რომ მასობრივი კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების სურვილი და მოვალეობაა უმაღლესი სტანდარტების დანერგვა, მათი პრაქტიკული გამოყენება და ამით მომხმარებლის ნდობის მოპოვება. მნიშვნელოვანია, რომ მედიის წარმომადგენლებს მიეცეთ საკუთარი პრონციპების, თუკი ის არ ეწინააღმდეგება მორალისა და ზნეობის ნორმებს, დაცვის საშუალება და ასევე ჰქონდეთ შემოქმედებითი თავისუფლება. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ რედაქტორს, ჟურნალისტს, პროგრამის შემქმნელს, არხის ხელმძღვანელს რეპორტიორს ყველაფრის უფლება აქვს, დაარღვევს ჟურნალისტურ სტანდარტებს და პასუხს არავინ მოსთხოვს, აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა სერიოზული დანაშაულია, რომელიც არ დარჩება სათანადო რეაგირების გარეშე. ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, საკუთარი მოვალეობების სრულად გაცნობიერება, ნეიტრალიტეტის დაცვა, ბალანსი განსხვავებულ შეხედულებებს და თვალსაზრისს შორის ცდომილების თავიდან აცილების ქმედითი და საიმედო საშუალებაა.

მაყურებელი, მკითხველი თუ მსმენელი პირველ რიგში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებიდან ელოდება საინტერესო ინფორმაციებს, სიახლეს ამა თუ იმ ფაქტთან ან მოვლენასთან დაკავშირებით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დროულად და ობიექტურად მიწოდებულ ახალ ამბებს, მხოლოდ სანახაობა არ არის საკმარისი მომხმარებლის შესანარჩუნებლად. მიუხედავად იმისა, რომ მედიის წარმომადგენლებს დიდ დახმარებას უწევს ტრეინინგები, რომლებიც საკმაოდ ხშირად ტარდება, სხვების შეცდომების გათვალისწინება, გამოცდილების დაგროვება, თუკი მან კრიტიკულად არ შეაფასა თავისი ნამუშევარი, თვალი დახუჭა საკუთარ ხარვეზებზე, ყურად არ იღო კოლეგების რჩევა და აზრი, გაუჭირდება კარგ ჟურნალისტად ჩამოყალიბება და ნაკლებ სარწმუნოა, რომ მოახერხოს პროფესიული წინსვლა.

რადგან ჟურნალისტებს მნიშვნელოვანი მისია ეკისრებათ, საზოგადოების ინფორმირება და გარკვეულწილად საზოგადოებრივი აზრის შექმნა, მათ უდიდესი ძალისხმევა მართებთ, რომ გაუძღონ ზეწოლას, დაძლიონ უამრავი ხელშემშლელი ფაქტორი, შეეწინააღმდეგონ სიმართლის ჩახშობის ნებისმიერ მცდელობას, ერთი სიტყვით, დაამყარონ სწორი მიმართება თავისუფალ სიტყვას და პასუხისმგებლობას შორის. ამგვარი რთული დავალების

შესრულების პროცესში ფასდაუდებელია ჟურნალისტური ეთიკის კარგი ცოდნა და ასევე თვითრეგულირების მექანიზმების ბოლომდე გაცნობიერება, რომლებიც ჟურნალისტებს მიუთითებენ, როგორ უნდა მოიქცნენ ამა თუ იმ სიტუაციაში, რა უნდა მოიმოქმედონ ექსტრემალური ვითარების დროს, როგორ უნდა მოახერხონ მოვალეობის პირნათლად შესრულება ისე, რომ საკუთარი თავი და კოლეგები დაიცვან, შეინარჩუნონ პიროვნული ღირსება და ა. შ. ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი ბევრ ქვეყანას აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მას განსხვავებული სახელებით მოიხსენიებენ, მაგ. ღირსების კოდექსი, ქცევის კოდექსი, ჟურნალისტიკის კანონი, პრინციპთა ჩამონათვალი, ჟურნალისტთა ქარტია, დეონტოლოგია და ა.შ., ფაქტობრივად, შინაარსის და დანიშნულების მხრივ, მათ შორის დიდი და არსებითი განსხვავება არ არის. არსებობს უნივერსალური სტანდარტები, რომლებიც მსოფლიოს ჟურნალისტებისთვის საერთოა, მაგ. ჟურნალისტმა საზოგადოებას უნდა მიაწოდოს სიმართლე, გადამოწმებული ინფორმაცია. თუ ინფორმაციის წარმომავლობის და სიზუსტის დადგენა შეუძლებელია გარკვეული ვითარების გამო, უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია დაუზუსტებელია, პატივი უნდა სცეს ადამიანთა შეხედულებებს, უნდა დაიცვას ნებისმიერი პირის პატივი და ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, ერთმანეთში არ უნდა აურიოს ფაქტები და მოსაზრებები, ინფორმაციის მოსაპოვებლად ეცადოს მიმართოს მხოლოდ პატიოსან და პირდაპირ მეთოდებს (იშვიათი აუცილებლობის გარდა), არ უნდა გაიტაცოს პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნვამ სხვისი დისკრიმინაციის ხარჯზე, არ უნდა ისარგებლოს პრივილეგიით, არ უნდა აიღოს ქრთამი, არ უნდა გაერიოს საექვო გარიგებებში, ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ პირადმა ინტერესმა ხელი არ შეუშალოს პროფესიულ საქმიანობაში და ა. შ.

მედიის წარმომადგენლისთვის აუცილებელია საკუთარი ქვეყნის კანონების ცოდნა, რათა არ შეექმნას სამართლებრივი პრობლემები არც მას და არც იმ ორგანიზაციას, სადაც მუშაობს. ქვეყნის კანონმდებლობის დაცვა თითოეული ჟურნალისტისთვის მნიშვნელოვანია. სამართლებრივი აქტები აწესრიგებენ ჟურნალისტის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, განსაზღვრავენ მათ უფლებებს და მოვალეობებს; ადგენენ, საჭიროების შემთხვევაში, გარკვეულ შეზღუდვებს ინფორმაციის მოპოვების და გავრცელების მხრივ. ყოველად დაუშვებელია ცილისწამების და უსაფუძვლო ბრალდების გამოქვეყნება, ეს არა მარტო არაეთიკურია, არამედ დასჯადიც არის, რადგან ჟურნალისტიც ჩვეულებრივი მოქალაქეა და ზიანის მომტანი ინფორმაციის გავრცელებისთვის ნებისმიერი ადამიანის მსგავსად მოუწევს პასუხისმგებლობა. ჟურნალისტს, სხვებისგან განსხვავებით, მეტი საშუალება აქვს ინფორმაციის მოპოვებისა და საფრთხილაც მეტი მართებს. მას აქვს სრული უფლება მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი საჯარო დაწესებულებიდან, თუმცა, ყოველისშემძლე მედიის წარმომადგენელიც, ცხადია, არ არის. მისთვის მიუწვდომელია სახელმწიფო, კომერციული და პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციები და ეს ასეც უნდა იყოს. ერთი კი აშკარაა, რადგან მსოფლიოს

ნებისმიერი რეგიონი, მათ შორის ჩვენი ქვეყანაც, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფით, განსხვავებული რელიგიის, რასის, სოციალური კლასის წარმომადგენლებით არის დასახლებული, შესაბამისად, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს მრავალფეროვანი აუდიტორია ჰყავს და მას თანასწორად და მიუკერძოებლად უნდა ემსახურებოდეს. მიუღებელია ისეთი მასალის გამომზეურება, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე. ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, არ შეიძლება ისეთი მასალის გადაცემა ან გამოქვეყნება, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაული, გამოიწვიოს საზოგადოებრივი არეულობა და ანტისოციალური ქმედება. ნებისმიერმა პროფესიონალმა ჟურნალისტმა იცის, რომ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს დანაშაულის, ეროვნული უსაფრთხოების და ჯანდაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას იმის გამო, რომ არ გამოიწვიოს საზოგადოებაში ზედმეტი შემფოთება და პანიკა. იკრძალება იმის ნებისმიერი სახით პროპაგანდა, ისეთი პროგრამები და სტატიები, რომლებიც ქმნის ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური შუღლის გაღვივების და რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის საფრთხეს. ძალზე მნიშვნელოვანია ფაქტისა და კომენტარის მკაფიოდ გამიჯვნა. მიუღებელია მოსაზრებათა ცალმხრივი ან განსხვავებული აზრის არასწორი ინტერპრეტაცია. სასურველია საზოგადოებას მიეწოდოს შეხედულებათა ფართო სპექტრი. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო მოზარდებთან დაკავშირებით. კანონით იკრძალება ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე მავნე ზეგავლენის მომხდენი პროგრამების იმ დროს განთავსება, როცა მათ მიერ ამ პროგრამების ნახვის ან მოსმენის დიდი ალბათობა არსებობს. თვრამეტ წლამდე ასაკის ახალგაზრდებს არ უნდა მოეთხოვოს ისეთ საკითხზე პასუხის გაცემა ან საკუთარი მოსაზრების გამოხატვა, რაც, შესაძლოა აღემატებოდეს მათ ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს. ზოგადად, საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების დაცვის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ მთლიანად საზოგადოება იქნას დაცული შეურაცხმყოფელი, ღირსების შემლახველი, მიუღებელი მასალისგან და პროგრამებისგან. ეს აკრძალვები სულაც არ ეწინააღმდეგება ეთიკის კანონებს და საერთაშორისო დოკუმენტებს; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, რომლის მე-19 მუხლში ნათქვამია, რომ “ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს თავისუფალი მრწამსი და თავისუფლად გამოხატოს ის. ეს უფლება გულისხმობს იმას, რომ მას შეუძლია დაუბრკოლებლად უერთგულოს ამ მრწამსს და თავისუფლად ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებებისა და სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად”. ფაქტობრივად, იგივეა ნათქვამი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-10 მუხლში, სადაც საუბარია გამოხატვის თავისუფლებაზე და აღნიშნულია,

რომ “ყველას აქვს გამოსატყვის თავისუფლების უფლება, ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად”.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ბოლომდე და სრულად გაცნობიერება აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, მორალის და ზოგადად ადამიანური ღირებულებების დასაცავად, საზოგადოებრივი თანხმობის და ტოლერანტობის გასამტკიცებლად.

ჟურნალისტიკისთვის ძალზე მნიშვნელოვანია სრულად ჩამოაყალიბოს საკვლევი თემა, გაიაზროს ის პრობლემები, რაც მას უკავშირდება; გააჩნდეს თავისი დამოკიდებულება იმის მიმართ, რაზეც უნდა უამბოს მკითხველს, მსმენელს თუ მაყურებელს; გაანალიზოს, დასკვნაც გამოიტანოს და თუ თავის სამომავლო ხედვას და პროგნოზსაც შესთავაზებს აუდიტორიას, ეს კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს მის პროფესიონალიზმს. ჟურნალისტს ჯერ თავად უნდა ჰქონდეს სრულად გაცნობიერებული ისეთი კატეგორიები, რომლებსაც მიაკუთვნებენ საკაცობრიო ღირებულებებს: ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, პიროვნული თავისუფლება, აღმსარებლობა, ტოლერანტობა და ა.შ. ჟურნალისტმა უნდა მოძებნოს მასალის შესატყვისი სიტყვა და სტილი, აუდიტორიისთვის გასაგები და იოლად აღსაქმელი, ავტორის სათქმელის ნათლად და სრულად გამომხატველი, სწორად უნდა შეარჩიოს სემიოტიკური და ტექნოლოგიური ასპექტები, უნდა ჰქონდეს სიტუაციაში სწრაფად ორიენტირების უნარი. თუკი ყველაფერ ამასთან ერთად მიწოდებული ინფორმაცია საზოგადოების ინტერესებს შეესაბამება და მისი აღქმის ხარისხიც შესაბამისად მაღალია, ეს უკვე პროფესიული წარმატების საწინდარია. ერთი სიტყვით, ჟურნალისტს თანაბრად მოეთხოვება სპეციალური თეორიული ცოდნაც და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებაც. პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა და შემოქმედებითი თავისუფლება ჟურნალისტიკისთვის მიზნის მიღწევის ყველაზე ოპტიმალური საშუალება, სიძნელეების გადალახვის და წინააღმდეგობების დაძლევის საიმედო გზაა.

### ლიტერატურა:

1. მას-მედისის სამართალი. ინფორმაციის თავისუფლება. თბ. 2011.
2. ჟურნალისტიკა: იდეის ავტორები მარინე ვეკუა, ჟილ რუე. თბ. 2013.
3. ტელეჟურნალისტიკის პრაქტიკული სახელმძღვანელო. თბ. 2009.

პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობა და შემოქმედებითი თავისუფლება –  
მიზნის მიღწევის ოპტიმალური საშუალება

*ქეთევან გიორგობიანი, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ნაშრომში საუბარია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებისთვის უმაღლესი სტანდარტების დანერგვის, მათი პრაქტიკული გამოყენების და ამით მომხმარებლის ნდობის მოპოვების მნიშვნელობის შესახებ, ასევე იმის შესახებაც, თუ რატომ არის საჭირო და აუცილებელი მედიის წარმომადგენლებს მიეცეთ საკუთარი პრინციპების, თუკი ის არ ეწინააღმდეგება მორალისა და ზნეობის ნორმებს, დაცვის საშუალება და ჰქონდეთ შემოქმედებითი თავისუფლება; საუბარია იმაზეც, თუ რა არის კარგ ჟურნალისტად ჩამოყალიბების და პროფესიული წინსვლის საწინდარი და რით არის სასარგებლო მათთვის, ვისაც საზოგადოების ინფორმირება და გარკვეულწილად საზოგადოებრივი აზრის შექმნა ევალება, ჟურნალისტური ეთიკის კარგი ცოდნა და თვითრეგულირების მექანიზმების ბოლომდე გაცნობიერება; ხაზგასმულია ისიც, რომ ჟურნალისტს თანაბრად მოეთხოვება სპეციალური თეორიული ცოდნაც და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებაც.

**Professionalism, responsibility and creative liberty – optimal means for  
achievement of goal**

*Ketavan Giorgobiani, associated professor  
Georgian Technical University*

**Resume**

Introduction of the highest standards of mass communication means, their practical use and importance of gaining faith of a consumer by it, is discussed in the work, as well - why it is necessary and inevitable for representatives of media to protect their own principles, if they do not contradict moral and ethics, and to have creative liberty; It is also discussed what is guarantee for becoming a good journalist and professional achievement and how it is useful for whois obliged to inform the society and make public opinion, good knowledge of journalistic ethic and final confession of self-regulation mechanisms; It is also emphasized that special theoretical knowledge and mastering in practical skills is equally necessary for a journalist.

**Key words:** The highest standards, professionalism, responsibility, creative liberty, ethics, mechanism of self-regulation, human values.

**Профессионализм, ответственность и творческая свобода –  
оптимальное средства достижения цели**

*გიორგობიანი კეთევან, ასოცირირებული პროფესორი  
გურიის ტექნიკური უნივერსიტეტი*

**Резюме**

В работе речь идет о значении внедрения высших стандартов для средств массовых коммуникаций, их практического использования и достижения доверия потребителей, также о том, почему нужно и необходимо дать право представителям медики защитить свои принципы и иметь творческую свободу, если это не противоречит нормам морали и нравственности. Речь идет еще о том, что является началом и причиной для становления хорошего журналиста и прогрессирования профессиональности, и почему необходимо хорошее знание журналистской этики и полное осознание механизмов саморегулирования для тех, кто обязан информировать общество и создавать в определенном размере общественное мнение; подчеркнута также то, что журналисты должны владеть одновременно как специальным теоретическим знанием, так и практическими навыками.

**Ключевые слова:** высшие стандарты, профессионализм, ответственность, творческая свобода, этика, механизмы саморегулирования, человеческие достоинства.



ჟურნალი „ახალი ივერია“/1927–1939/

დათუკიშვილი მანანა, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**საკვანძო სიტყვები:** ჟურნალი, ეროვნულ-დემოკრატიული, პარტია, თავისუფლება, დაჯგუფება.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები იძულებულნი გახდნენ, უცხოეთში გახიზნულიყვნენ და იქიდან ებრძოლათ ქვეყნის თავისუფლებისათვის. იმდროისათვის პარიზში თავი მოიყარეს პარტიის ცნობილმა წარმომადგენლებმა: სპირიდონ კედიამ, რევაზ გაბაშვილმა, შალვა ამირეჯიბმა, ივანე ზურაბიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, დავით ვაჩნაძემ, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, რაფიელ ინგილომ, მიხეილ ქავთარაძემ და სხვებმა, 1925 წელს, სპირიდონ კედიას რედაქტორობით, ჟურნალი „სამშობლოსათვის“ დააარსეს, თუმცა 1925 წლიდანვე ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში თავი იჩინა უთანხმოებამ და პარტია დაჯგუფებებად დაიშალა. პირველად რევაზ გაბაშვილის ჯგუფი დაუპირისპირდა პარტიის ლიდერს, რადგან ჩათვალა, რომ სპირიდონ კედია პარტიებს დაშლისაკენ მოუწოდებდა. ამის შესახებ 1925 წელსვე მათ მიერ დაარსებულ გაზეთ „მამულიშვილშიც“ იყო გაცხადებული. გაზეთი წერდა, რომ სპირიდონ კედიამ პარტიის დაუკითხავად გამოსცა ჟურნალი „სამშობლოსათვის“, რათა პარტიების დაშლა ექადაგაო. სულ მალე საზღვარგარეთულმა კომიტეტმა სპირიდონ კედია თავისი რიგებიდან გარიცხა. ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო ახალი ძალა, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ძველ ტრადიციებს გააგრძელებდა.

ასეთი დაჯგუფება 1929 წლის 28 აპრილს ჩამოყალიბდა. იგი ზურაბიშვილ-გვაზავას სახელითაა ცნობილი. მათი პერიოდული ორგანო გაზეთი „საქართველო“ იყო. მანამდე კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ქართველი ახალგაზრდობის კავშირმა, რომელიც 1927 წელს შეიქმნა, „ახალი ივერია“ დააარსა. ჟურნალი 1927–1939 წლებში გამოდიოდა პარიზში სხვადასხვა პერიოდულობითა და ფორმატით; იბეჭდებოდა უმთავრესად 32 გვერდზე ვენურს მიმსგავსებული პეტიტით. ასევე იყენებდა პარიზულ შრიფტსაც. ღირდა 3 ფრანკი. ჟურნალი სპირიდონ კედიას უჭერდა მხარს და მისი იდეების გამტარებლად მოიაზრებოდა.

„ახალ ივერიას“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა რედაქტორი ჰყავდა. პროფ. გ. შარაძის ცნობით, ესენი იყვნენ: დიმიტრი სინჯიკაშვილი, სევერიან ჭირაქაძე და ალექსანდრე ცომაია.

დიმიტრი სინჯიკაშვილი ადრეული ასაკიდანვე საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაშია ჩაბმული. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებული ხდება უცხოეთში გაიხიზნოს. პარიზში იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის წევრია. სხვებთან ერთად ჟურნალ „ახალ ივერიას“ აარსებს და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელია. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ჯერ იტალიაშია, შემდეგ აშშ-ში. ნიუ-იორკში 1955 წელს ალ. ცომაიასთან, გ. გაბლიანთან, ს. კაიშაურთან და გ. ზალდასტანიშვილთან ერთად აარსებს გაზეთ „ქართულ აზრს“, რომელიც ემიგრანტულ ჟურნალისტიკაში ერთ-ერთი საუკეთესოა. დ. სინჯიკაშვილი გარდაიცვალა 1976 წელს ნიუ-იორკში. დასაფლავებულია საფრანგეთში, ლევილის სასაფლაოზე.

სევერიან ჭირაქაძე თბილისში ჯერ კიდევ სტუდენტობისას რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. არალეგალურმა ცხოვრებამ გადააწყვეტინა მეუღლესა და ვაჟიშვილებთან ერთად საფრანგეთში დასახლებულიყო. პარიზში იგი აქტიურ პოლიტიკურ და ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა. გარდა „ახალი ივერიის“, თანამშრომლობს ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში: „ივერიაში“, „კავკასიონში“, „თავისუფალ აზრსა“ და „თავისუფლების ტრიბუნაში“.

ალექსანდრე ცომაიაც 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებულია პარიზში დასახლდეს. იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრია. ემიგრანტული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე იბეჭდება მისი როგორც მეცნიერული, ასევე პუბლიცისტური წერილები. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებშია, სადაც ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწევა. ნიუ-იორკში მისი რედაქტორობით გამოდის ინგლისურ-ენოვანი ჟურნალი „თავისფალი საქართველოს ხმა“, 1955 წელს კი სხვებთან ერთად აარსებს ყოველთვიურ გაზეთ „ქართულ აზრს“. გარდაიცვალა 1956 წელს. დასაფლავებულია ნიუ-იორკში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ახალი ივერია“ 1927 წელს გამოვიდა. პირველსავე ნომერში გაცხადებული იყო ჟურნალის მრწამსი, მისი სამოქმედო პროგრამა. იგი ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეოლოგიას ეფუძნებოდა. მოწინავე სტატიაში ვკითხულობთ: „ორი თარიღი შეეფარდა „ახალი ივერიის“ გამოცემის დასაწყისს: 50 წლის შესრულება ილიას „ივერიის“ დაწყებიდან და 20 წლისთავი ილიას უმაგალითო ეროვნული მოღვაწეობის შეწყვეტისა, მისი ცხოვრების ტრაგიკული დასრულებით. პირველიც და მეორეც ილიას სახელსა და ღვაწლს უკავშირდება და თვით ეს ჩვენ მიერ დაწყებული პატარა

ეროვნული საქმეც მუდამ იქნება დამყარებული ილიას მოღვაწეობის მტკიცე საფუძველს“.

„ახალი ივერიის“ პირველი ნომრის გარეკანი ილიას პორტრეტითაა დამშვენებული, ხოლო ჟურნალის ფურცლებზე ილიასა და მისი თანამოაზრეების – აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის, სერგეი მესხის, ნიკო ცხვედაძის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილის ფოტოპორტრეტებია დაბეჭდილი. პირველსავე ნომერში ვეცნობით ასევე ილიას ლექსებს: „მესმის, მესმის“, „ტყემ მოისხა ფოთოლი“; ციტატებს „მგზავრის წერილებიდან“, პუბლიცისტურ წერილს „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“. ყოველივე მიანიშნებს, რომ „ახალი ივერია“ ძველი „ივერიისა“ და ილიას გზის გამგრძელებელია. მისი უმთავრესი საზრუნავი ქვეყნის ნათელი მომავალი, მისი თავისუფლებაა.

ჟურნალის მიმართულებას ამყარებს და ილიას დამსახურებას წარმოაჩენს ახალგაზრდა ემიგრანტი ეროვნულ-დემოკრატიის, სევერიან ჭიჭინაძის, სტატია „ეროვნული გზით“, რომელიც 1931 წლის ჟურნალის N3-შია დაბეჭდილი. მასში ვკითხულობთ: „ჩვენი ახალგაზრდობის ყურადღების ცენტრში თავიდანვე ეროვნული საკითხი იდგა. ქართველი ინტელიგენციის მრავალი თაობის დიდი ინტელექტუალური ენერგია და პრაქტიკული ღონისძიებანი შეიწირა ამ საკითხმა. პირველი მუხა მეზრძოლი საქართველოსი იყო ილია ჭავჭავაძე. იგი ბუმბერაზ მთასავით აღიმართა ქართველი ერის ინტერესების სადარაჯოზე. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში იგი მედგრად იგერიებდა შინაურ და გარეშე მტრების იერიშებს. საქართველოს დიდება და სახელი მან კვლავ აღადგინა და ერს მისცა მკვეთრი ეროვნული ფორმულა: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო“. ეს ფორმულა იქნება ყოველი დროის და ყოველი თაობის მისწრაფება და იდეალი“.

ჟურნალში არაერთი პუბლიკაცია დაიბეჭდა. რომელიც ილიას სახელს უკავშირდება. საინტერესოა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კოალიციური მთავრობის წევრის, ილიას დიდი მეგობრის, გიორგი ჟურულის, სტატია „ილია ჭავჭავაძის ხსოვნას“/1938,N11/, ასევე ჟურნალის ახალგაზრდა თანამშრომლის, ალ. ცომიას ბრწყინვალე პუბლიცისტური ნარკვევი „დიდი ილია“/1937,N7;1938,N8/. ეს პუბლიკაციები ილიას საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა. მათში სიღრმისეულად არის შესწავლილი და გაანალიზებული დიდი მამულიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველი ეტაპი. სწორად არის გააზრებული მისი დამსახურება, როლი და მნიშვნელობა ქართველი ერის ცხოვრებაში, ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

„ახალი ივერია“ თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობდა ახალი დროის გმირებსაც. განსაკუთრებით ქაქუცა ჩოლოყაშვილის პიროვნებით, მისი საგმირო საქმეებით ინტერესდება. როგორც ცნობილია, ქართველი ეროვნული გმირი 1931

წელს საფრანგეთში, დევნილობაში გარდაიცვალა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჟურნალში ქვეყნდება დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით განმსჭვალული წერილი – „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“/1931,N3/. პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „ყველაფერი საკვირველია ამ ადამიანში. დაიბადა, როცა 34 წელიწადი შეუსრულდა. დაბადებიდან სამი წლის თავზე უკვე ხელთ ეპყრა ერის სუნთქვა და იმედი და გადარიცხული იყო საქართველოს მარადიულ ფიგურათა შორის.

ხევსურეთის აჯანყებიდან 24 წლის აგვისტომდე – აი, მთელი მანძილი მისი არსებობისა... ქართველმა ერმა გულის სიღრმეში ნუგეზად ჩაისვა და მას სიყვარულისა და თაყვანისცემის ტაძარი დაუდგა...

ამ დღიდან საქართველოში მარტო ქაქუცაა. იგი ბატონია, მბრძანებელი მეფეა. უფრო მეტიც, იგი სასოებაა და იმედი ტანჯული ერისა“.

ჟურნალი არც 1924 წლის აჯანყებაში დაღუპულებს ივიწყებს. დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს ბოლშევიკების მიერ დახვრეტილი ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებს: მიმა ხოფერიას, მიტო გოგნიაშვილს, ვანო სინჯიკაშვილს.

ჟურნალის მესვეურებს სჯერათ, რომ თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა გაკვალულია, ახლა ჯერი ახალ თაობაზეა. იგი შეძლებს ამ გზით სიარულს და ქვეყნის ხსნას ვერაგი მტრისაგან. წერილი 1931 წლის N4-ში ფოტოსურათთან ერთად გამოქვეყნდა. მისი პათოსი იმედისმომცემია.

„ახალ ივერიას“ ჰქონდა მუდმივი რუბრიკები: „წერილი რედაქციის მიმართ“, „ქრონიკა“, „ემიგრაციაში“, „ახალი წიგნი“, „სხვადასხვა ამბავი“ და სხვ. მკითხველი იღებდა როგორც საბჭოთა საქართველოში, ისე ემიგრაციაში განვითარებული მოვლენების შესახებ საინტერესო ინფორმაციებს. ჟურნალი ცდილობდა ყოველივე შეულამაზებლად მიეწოდებინა უცხოეთში გადახვეწილი ქართველებისათვის. ასე რომ, მათ კარგად იცოდნენ საბჭოთა საქართველოში მიმდინარე როგორც დადებითი ძვრების, ისე ტრაგიკული მოვლენების შესახებ. პუბლიკაციათა სათაურების ჩამონათვალად საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ აღნიშნულის სისწორეში. მაგ.: „დახვრეტები საქართველოში“, „ახალი ბეგარა“ „ქართული თეატრი“, „მადნეულობის აღმოჩენა“, „არქეოლოგიური აღმოჩენა“ და მრავალი სხვა.

„ახალი ივერის“ მკითხველმა იცოდა, რომ პარიზში ქართველ სცენისმოყვარეთა მუდმივი დასი დაარსდა შალვა ნებიერიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც 4 ივნისს აკაკის „პატარა კახი“, ხოლო ნოემბერში ალ.სუმბათაშვილის ისტორიული დრამა „ღალატი“ დაუდგამს. ასევე პარიზში ქართული მართლმადიდებელი წმინდა ნინოს ეკლესია დაარსებულა, მღვდლად ბონის უნივერსიტეტის დოცენტი გრიგოლ ფერაძე უკურთხებიათ.

ჟურნალში თანამშრომლობდნენ და საჭირობოროტო საკითხებზე საინტერესო პუბლიკაციებს აქვეყნებდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები: ალ.ასათიანი, სევერიან ჭირაქაძე, ტიტე მარგველაშვილი, აკაკი მეუნარგია, ალ.ცომია, შალვა ნებიერიძე, ვახტანგ ციციშვილი, ნინო დადიანი, სოფიო კეღია, გიორგი ჟურული, გიორგი ყიფიანი, მიხეილ გოგორიშვილი და სხვები. გვხვდება ფსევდონიმებით დაბეჭდილი პუბლიკაციებიც.

„ახალი ივერიის“ თანამშრომელთა შორის გამოირჩეოდა პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი და ფილოლოგი ალ.მანველიშვილი. ჟურნალში გამოქვეყნებულია მისი საყურადღებო გამოკვლევა „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა“. ვფიქრობთ, ეს გამოკვლევა რუსთველოლოგებისათვის ინტერესის შემცველია. ასევე მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია აკაკი მეუნარგიას ისტორიულიტერატურული ხასიათის წერილი „ოქროს ვერძი“, რომელიც მკითხველში ეროვნული სიამაყისა და ჩვენი ისტორიული წარსულის მიმართ პატივისცემის გრძნობას აღძრავს.

„ახალი ივერია“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო იყო და აქედან გამომდინარე, მისთვის ქვეყნის ტერიტორიების დაცვა ერთ–ერთი მთავარი და საჭირობოროტო საკითხი იყო იგი უყურადღებოდ არ ტოვებდა მათ, ვინც საქართველოს საზღვრების საკითხს შეეხებოდა. ჟურნალი ცდილობდა, კომპეტენტური პასუხი გაეცა მოწინააღმდეგისათვის. ამ თემას ეძღვნება ალ. ცომიას გალაშქრება პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიისა“ და მისი რედაქტორის, ბამატის წინააღმდეგ, რომელმაც საქართველოს საზღვრები ეჭვქვეშ დააყენა. პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „ბამატს სურს, რომ კავკასია რუსეთ-ირანს შორის ბრძოლის არენა გახდეს და ჩვენს დროშიც სისხლის წვიმები მოვიდეს. ბამატს რა ეკარგება, თუ ამით კავკასიის ერები დაზარალდებიან, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, დღეს ოსმალეთი და ირანი თავიანთი განვითარების ისეთ საფეხურზე არიან, რომ ბამატის ტიპის ავანტიურისტები დიდი ხანია მოინელებს... დღეს ჩვენ წინაშე ჩრდილოეთის საზღვრების საკითხი დგას, ჩვენ ვებრძვით ჩრდილოეთის სლავიანურ სტიქიას და არა სამხრეთს. ამ ბრძოლაში სამხრეთის მეზობლებს, მათი საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები ჩვენს მოკავშირედ ხდის. ეს კარგად ესმით, სადაც ჯერ არს, ამას აშკარად ხედავს ჩრდილოეთიც. ამიტომ რუსეთი მუდამ ცდილობდა სამხრეთის მეზობლებთან ჩვენი ურთიერთობა გაემწვავებინა და ჩვენი სასიცოცხლო ინტერესების სოლიდარობა დაერღვია. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ მიზნით მომუშავე ბამატიც ჩრდილოეთიდან მოდის“.

ალ.ცომიას პუბლიკაციას წინ უძღოდა პავლე ინგოროყვას სტატია „საქართველოს საზღვრები – მესხეთის პროვინცია“, რომელშიც სამხრეთი საქართველოს საზღვრების რეალური სურათია დახატული.

ჟურნალში ვეცნობით პოლიტიკური სატირის შესანიშნავ ნიმუშებსაც. ყურადღებას იმსახურებს 1939 წლის N12-ში დაბეჭდილი ემიგრანტი პოეტის, გიორგი ყიფიანის ორი ლექსი: „ვაჭრობა“ და „დიდი ქართველი“. ავტორი შეწუხებულია ემიგრაციაში შექმნილი ვითარებით, კერძოდ კავკასიის კონფედერაციის თურქოფილურ ჟურნალ „კავკაზთან“ ზოგიერთი ქართველის კავშირით. პოეტი ამათრახებს მათ, ვისაც სამშობლოს ბედი არ აინტერესებდათ და მტერთან საეჭვო გარიგებებს დებდნენ. მოგვყავს ამონარიდი ლექსიდან:

„ დიდი ხანია ევროპის ბაზარზე დაიწყო ვაჭრობა წვრილად და ბითუმად, გაიყიდება დღეს თუ არ ხვალ...ან ზეგ, ეს არვინ იცის ზლოტად თუ ღირ-თუმნად. იყიდეთ, იყიდეთ დიდი აქვს ღირსება, ღვთისმშობლის ქვეყანა მთებით და მინდვრებით, წითელი ფესვებით ბაზარი ივსება, კლუბებში თამაშობს თათრული ღირები, სამშობლომ დაგვტანჯა პარიზის ქართველნი, გაზეთის ფურცლებზე სიტყვათა სიგრძელით, ალაჰს შევმადლით თუ გვწყალობს თათრები, არქივის უძველეს ყვითელი სიგელით“.

1938 წლის ჟურნალის N11-ში „ყარამანის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ასევე მიხეილ ქავთარაძის სატირული ლექსები – „გამოცანები“ და „მგელი და სოფელი“. „გამოცანებში“ ვის ამათრახებდა ავტორი უცნობია, მაგრამ პროფ. გ.შარაძის ვარაუდით, ესენი უნდა იყვნენ შალვა ამირეჯიბი, ზურაბ ავალიშვილი, გიორგი კვინიტაძე, ვლადიმერ ახმეტელი, რადგან „ახალი ივერია“ იმ დროს ებრძოდა ბამატის „კავკაზს“ და იქ შეფარებულ სწორედ ამ პირებს [1].

მეორე სატირული ლექსით „მგელი და სოფელი“ ავტორი გამოხატავს ეროვნულ-დემოკრატთა პოზიციას სოციალ-დემოკრატებისა და მათი ლიდერის, ნოე ჟორდანიას მიმართ. პოეტი დასცინის პარტიის წარმომადგენლებს, რომელთაც პირადი ინტერესების გამო ნოე ჟორდანიას პარტიიდან გასვლის ნება არ მისცეს. საინტერესოა ამ ლექსიდან ამონარიდი:

„იყო ერთი ავი მგელი, ყურ მოკლე და კბილებ გრძელი, მგელთა ხროვის წინამძღოლი, ბელადი და მბრძანებელი. ვიდრე მუხლში ძალა ჰქონდა და უჭრიდა ქოფაკს კბილი, არ ეღირსა სოფელს მისგან მოსვენება, არცა ძილი.

მაგრამ ბოლოს, როცა იგი ვერა მგლობდა როს დაბერდა, სხვა ხელობა განიზრახა და სხვაგვარად აგვიმღერდა. სთქვა: აწ მგლობა არ შემფერის, აღარ ვიყაჩაღებ მეო, იქნებ სოფლის ხუცესობა ხელთ ჩავიგდო როგორმეო.

მაშინ მგლები აღმუილდნენ: თუ წავიდა, დაგვლუპავსო შინაური საქმე იცის, ვერ დავიცავთ მისგან თავსო.

შეგვიშინდა ბერი მგელი, ვაჰ, თუ ჭკუა წავაგეო,  
თუ სოფელმა არ მიმიღო მერე ვისლა მივადგეო.

ისევ მგლობა ამჯობინა, თავის ლეკვებს დაუჯერა,  
პირველად რომ აპირებდა, გამოცვალა ის სიმღერა.

სოფელს უთხრა: მეგობრებო, არ მოგტაცებთ აწ მე ცხვარსო,  
თქვენს ფარას მე ვუდარაჯებ, მე დავიცავ ყანა-ზვარსო. . .

მგლის ქცევაში თუკი ვინმემ, იცნოს საკუთარი თავი,  
დე, ნუ იტყვის, მაგრამ ბატკნის ქურქშიც ნულა გაეხვევა“.

უცხოეთში ნოე ჟორდანიასა და ქართველი ემიგრანტების საქმიანობა გაკრიკიტებულია მიხეილ ქავთარაძის კიდევ ერთ სატირულ ლექსში: „ერთხელ მე და პაპა ჩემი“/1938,N8/. მასში კარგად ჩანს პოლიტიკურ ემიგრაციაში შექმნილი სამარცხვინო ვითარება:

„ ... მერე ვკითხე პაპა ჩემსა: პაპა ჩემო, ამიხსენი, ვითარ იყო უცხოეთში,  
მამულისთვის ღვაწლი თქვენი, როცა თქვენმა ჟორდანიამ, საქართველო  
მისცა მტერსა,

თქვენც უცხოეთს გაიხიზნეთ, რა უყავით იმ ბებერსა.

-ეჰ, ბალღი ხარ, ვერ გაიგებ პოლიტიკის ბრძნულთა გზათა,  
აღმაშენებლის ღვაწლს ვადრიდით მის საქმეთ და მისთა ცდათა.

-მერე პაპა, როცა ნოემ კიდევ ერთხელ გვიღალატა,  
როს დასთესა თქვენში ღვარძლი, არ მოშორდით მაშინ რათა.

-გეუბნები, რომ ბალღი ხარ, შენ რა იცი ფულის ფასი, რა გინახავს უსუსურო.

-პაპავ, ნუ გამიჯავრდები, ერთი კიდევ გკითხო უნდა:

როცა ფულიც აღარ მოგცათ, მაშინ ვისკენ ვინ მიბრუნდა.

-მაშინ, შვილო, ჩვენც ერთმანეთს დავერიეთ მგლებივითა,  
ვეყფდით და ვილანძღებოდით, გავახარეთ მტერი ჩვენთა. . .

ზოგი ნოეს დაუბრუნდა, თავს ირჩენდა ნასუფრალით,

ზოგმა სომხებს მიაშურა, თავს უშველა ზოგმა ქალით;

ვისაც ნოემ არ-რა მისცა, არც სომეხმა, არცა ქალმა

ისინი ლეკს ყმად გაუხდნენ მოიხვიეს თავზე ჩალმა“.

ჟურნალი „ახალი ივერია“ 1939 წელს დაიხურა. მან 12 წელს იარსება. იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრული ფრთის პერიოდული ორგანო იყო, სპირიდონ კედისას უჭერდა მხარს და მისი იდეების გამტარებლად მოიაზრებოდა. ჟურნალის საზრუნავი საქართველო, მისი ერთიანობა და რუსეთის კომუნისტური რეჟიმისაგან სამშობლოს დახსნა იყო.

ლიტერატურა:

1. შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ.2, 2002.

**ჟურნალი „ახალი ივერია“ /1927–1939/**

*მანანა დათუკიშვილი, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

1927-1939 წლებში პარიზში გამოდიოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ქართველი ახალგაზრდობის კავშირის პერიოდული ორგანო „ახალი ივერია“. იგი სპირიდონ კედიას უჭერდა მხარს და მისი იდეების გამტარებლად მოიაზრებოდა.

პირველსავე ნომერში გაცხადებული იყო ჟურნალის მრწამსი, მისი სამოქმედო პროგრამა. „ახალი ივერია“ გამათავისუფლებელი ბრძოლის ორგანო იყო და იგი ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-გამათავისუფლებელ იდეოლოგიას ეფუძნებოდა. ჟურნალის საზრუნავი საქართველო, მისი ერთიანობა და რუსეთის კომუნისტური რეჟიმისაგან სამშობლოს დახსნა იყო. „ახალ ივერიაში“ დაბეჭდილი ყოველი პუბლიკაცია თანამემამულეებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას ემსახურებოდა.

**Journal “New Iberia”**

*Manana Datukishvili, associated professor  
Georgian Technical University*

**Resume**

**Key words:** journal, national-democratic, liberty, grouping, party.

In 1927-1939, periodic authority “New Iberia” of foreign youth union of National Democratic Party was published in Paris. It was supporting Spiridon Kedia and was considered as enforcer of his ideas.

Belief of the journal, its creative program was shown in the first number of the journal. “New Iberia” was the authority of emancipator war and was founded to national-emancipatory ideology of Ilia Chavchavadze. Care of the journal was Georgia, its integrity



and deliverance from communist regime of Russia. Each publication, printed in it, served to rise of patriotic aspiration between compatriots.

### Журнал «Новая Иверия»

*Манана Датукишвили, Ассоциированный Профессор  
Грузинский Технический Университет*

#### Резюме

**Ключевые слова:** журнал, национально-демократический, свобода, группировка, партия.

В 1827-1939гг. в Париже выходил периодический орган иностранных юных людей национально-демократической партии «Новая Иверия». Он поддерживал Спиридона Кедия и считался распространителем его идей.

В первом номере было объявлено убеждение журнала, его программа действия. Журнал «Новая Иверия» был органом борьбы за свободу и основывался на национально-освободительной идеологии Ильи Чавчавадзе. Заботой журнала являлась Грузия, её единство и освобождение родины от коммунистического режима России. Каждая публикация напечатанная в нем служила повышению патриотического духа среди соотечественников.

## გაზეთი „საქართველო“ /1929–1938 წწ./

*დათუკიშვილი მანანა, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*საკვანძო სიტყვები: ემიგრაცია, ეროვნულ-დემოკრატიული, გაზეთი, დაჯგუფება, პარტია, თავისუფლება.*

როგორც ცნობილია, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ემიგრაციაში ვერ შეინარჩუნა ერთიანობა და 1925 წლიდან დაჯგუფებებად დაიშალა. რევაზ გაბაშვილის პარტიიდან ცალკე გასვლას ივანე ზურაბიშვილი – გიორგი გვაზავას დაჯგუფება მოჰყვა. მასში ძველი თაობის წარმომადგენლები – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი, პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი პავლე თუმანიშვილი, დავით სხირტლამე, ნიკო ჯუღელი, იოსებ სარჯველაძე, დ. აბხაზი და სხვები – გაერთიანდნენ. ახლად შექმნილ დაჯგუფებას გვერდით ახალგაზრდა ემიგრანტი ეროვნულ-დემოკრატები დაუდგნენ. მათ მოწოდებით მიმართეს ემიგრაციაში მყოფ თანატოლებს და პარიზის კომიტეტის გარშემო გაერთიანება სთხოვეს. მიმართვა გაზეთ „საქართველოს“ პირველ ნომერში დაიბეჭდა. მასში ვკითხულობთ: „ახალგაზრდული კომიტეტი ჩვენი პარტიის ერთადერთ კანონიერ ორგანოს – პარიზის კომიტეტს, გვერდით უდგას იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებდა ჩვენს პარტიაზე იერიშის მომტანთა წინააღმდეგ. დღესაც, როდესაც ჩვენი პარტიული შინაგანი მდგომარეობა უნდა გაჯანსაღდეს საბოლოოდ, ახალგაზრდული კომიტეტი ეროვნულ-დემოკრატიულად მოაზროვნე ახალგაზრდობის მოვალეობად თვლის უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს იმ ხაზს, რომელიც ახასიათებს ჩვენი პარტიის სულისკვეთებას საქართველოში: ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და დემოკრატიული წყობილებისათვის...“

ჩვენ მხურვალედ ვესალმებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტის ორგანო „საქართველოს“ გამოსვლას და ვუსურვებთ მას ნაყოფიერ შემოქმედებას“. მიმართვას ხელს აწერენ ახალგაზრდული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის თავმჯდომარე შ. შავლაყაძე, წევრები: ლ. ზურაბიშვილი, გრ. აბულაძე და გრ. ნადარეიშვილი.

ივ. ზურაბიშვილ – გ. გვაზავას დაჯგუფებამ გაზეთი „საქართველო“ 1929 წლის ივნისში დააარსა პარიზში. იგი გამოდიოდა სხვადასხვა პერიოდულობით და ფორმატით. იბეჭდებოდა 4 გვერდზე ვენურს მიმსგავსებული პეტიტით, ასევე ჩვეულებრივი პარიზული შრიფტით. მისი რედაქტორობა გიორგი გვაზავამ ითავა.

გაზეთისათვის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი პერიოდული ორგანოს / გამოდიოდა თბილისში 1915–1921 წწ./ სახელწოდების შერჩევა იმის მანიშნებელია, რომ დამაარსებლები ძველი პრინციპების ერთგულნი არიან, მათთვის უმთავრესი ქვეყნის თავისუფლებაა და ბოლომდე ამ მიზანს ემსახურებიან.

„საქართველოს“ პირველი ნომრის მოწინავეში ვკითხულობთ: „ჩვენ გვინდა რუსის ერთან ძმური და მეგობრული განწყობილება, დამყარებული თანასწორ უფლებებზე და ერთიმეორის პატივისცემაზე. ეს არის პირდაპირი შედეგი თავისუფლების და სამართალისა, ე.ი. იმ პრინციპის, რომელიც ქვაკუთხედად დაუდო ქართველმა ერმა თავის ცხოვრებას და რომლითაც იგი მჭიდროდ გადაწნულია ეხლანდელი კაცობრიობის კულტურულ მოძრაობასთან“.

გაზეთი გამოდიოდა 1929–1938 წლებში. ჩვენამდე მხოლოდ 9 ნომერმა მოაღწია, თუმცა ამ ნომრებიდანაც კარგად ჩანს მისი მრწამსი – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიციის ერთგულება.

„საქართველოს“ ჰქონდა მუდმივი რუბრიკები. ჩვენამდე მოღწეული ნომრების მიხედვით, ეს რუბრიკებია: „საქართველოში“, „პატრიზში“, „წერილები რედაქციას“, „წერილები სპარსეთიდან“, „ქართულილი პრესა“, „ქრონიკა“, „ემიგრაციაში“, „ბიბლიოგრაფია“.

რუბრიკებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, გაზეთი მკითხველს ინფორმაციას აწვდიდა როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ვეცნობით გ. გვაზავას, ე. თაყაიშვილის, პ. თუმანიშვილის, შ. შავლაყაძის, გრ. აბულაძის. ივ. ზურაბიშვილის. ლ. ზურაბიშვილის, გრ. ნადა-რეიშვილის, რაფიელ ინგილოს, აკ. ჩხენკელისა და სხვათა საინტერესო პუბლიკაციებს.

სიღრმისეული ანალიზითა და სწორი პოლიტიკური ხედვით გამოირჩევა გაზეთის რედაქტორის, გიორგი გვაზავას, პუბლიკაციები: „საქართველოს საკითხი პარიზის კონგრესზე“, „საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „რას ემყარება ჩვენი იმედები“, „საქართველო და საერთაშორისო მდგომარეობა“, „ევროპა და საქართველო“ და სხვ.

ავტორი მსჯელობს საინტერესოდ, მოვლენებს აფასებს ობიექტურად და ეს არც არის გასაკვირი, გიორგი გვაზავა ცნობილი პოლიტიკოსია. იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერია; შესანიშნავი პუბლიცისტი, მწერალი და იურისტი. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი და დამოუკიდებელი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტიური მონაწილეა. იგი მთელი თავისი სიცოცხლი განმავლობაში ებრძოდა ანტიქართულ ძალებს, იცავდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, ქართული ლიტერატურისა და კულტურის დიდ ტრადიციებს; იყო

დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მეთაური. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ მას სამშობლოს დატოვება და პარიზში გადასახლება მოუწია. ემიგრაციაშიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთგულია და ქვეყნის თავისუფლებისათვის იბრძვის. თანამშრომლობს ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში, 1926–1939 წლებში გამოსცემს ჟურნალ „პრომეთეს“ ფრანგულ ენაზე, ეწევა აქტიურ ლიტერატურულ-მთარგმნელობით მუშაობას. 1938 წელს პარიზში გამოიცა მის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული ვარიანტი. გარდაიცვალა 1941 წელს. დაკრძალულია ბატინიოლის სასაფლაოზე.

ასეთივე საინტერესო ბიოგრაფიით გამოირჩევა გაზეთის კიდევ ერთი დამაარსებელი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალი დაჯგუფების პოლიტიკური ლიდერი ივანე ზურაბიშვილი. იგი ცნობილი იურისტი, ლიტერატორი და მთარგმნელია. აქტიურად თანამშრომლობდა თბილისის დემოკრატიულ პრესაში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და ქართული დრამატული საზოგადოების კომიტეტებში. წლების განმავლობაში ნაფიც ვექილთა საზოგადოების თავმჯდომარეა, სხვადასხვა დროს არჩეულია კახეთის რკინიგზის გამგეობისა და ტყიბულის ქვანახშირის გამგეობის თავმჯდომარეებად; მონაწილეობს 1900-იანი წლების დასაწყისში წამოწყებულ ეროვნულ მოძრაობაში. 1904 წელს კი, როდესაც ილია ჭავჭავაძემ საადგილმამული ბანკში მოწვეულ ყრილობაზე ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის შექმნის იდეა წამოაყენა, ერთხმად იყო არჩეული თავმჯდომარის პოსტზე. სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, ამ პარტიამ ფეხი ვერ მოიკიდა, თუმცა ივანე ზურაბიშვილს იმედი არ დაუკარგავს, იგი აქტიურად მონაწილეობს უკვე სპირიდონ კედიას მეთაურობით 1917 წელს დაარსებული პარტიის შექმნაში და სიცოცხლის ბოლომდე პარტიისა და მისი იდეების ერთგულია.

1921 წლის მარტიდან ცოლ-შვილთან ერთად ემიგრაციაშია. მიუხედავად რთული პირობებისა, ერთი წუთითაც არ ივიწყებს სამშობლოს და იბრძვის მისი თავისუფლებისათვის. გაზეთში ქვეყნდება მისი ლიტერატურული ხასიათის წერილები. ხშირად სარგებლობს ფსევდონიმებით: „ვინ-ზენ“, „ზ-ლი“, „ჟანზედ“, „დარბაისელი“. საინტერესოა გაზეთში დაბეჭდილი მისი პუბლიკაციები: „პარიზი 26 მაისი, 1929წ. /1929,N1/, „მორიგ უწესობის შესახებ“ /1929,N3/, „ასოციაციის ირგვლივ“/1935, N7/ და მრავალი სხვა. პატრიოტული სულით არის გაჟღენთილი პუბლიკაცია „ორი მღვდელმთავარი“, რომელშიც დიდი სიამაყითა და სითბოთი წარმოჩენილია საქართველოს კათალიკოსის, მამა ამბროსის პიროვნება, მისი თავდადება და ღვაწლი სარწმუნოებისა და ერის წინაშე.

ივ.ზურაბიშვილი პარიზში გამართულ სხდომებზე კითხულობს მოხსენებებს, რომლებიც ეძღვნება ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ცხოვრება-

მოღვაწეობას; 1936 წელს იბეჭდება მისი წიგნი „საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა“. ივ. ზურაბიშვილის პუბლიკაციებიდან ნათლად ჩანს ავტორის განსწავლულობა, ფაქტებისა და მოვლენების სამართლიანი და ობიექტური შეფასების უნარი.

ივ.ზურაბიშვილი გარდაიცვალა 1940 წელს. დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

გაზეთის აქტიური თანამშრომელია ასევე საქართველოს დიდი გულშემატკივარი, ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც 1921 წლის მარტში ემიგრაციაში გაჰყვა ეროვნულ მთავრობას. როგორც ცნობილია, მენშევიკური მთავრობის წევრებმა საქართველოს სიძველეთა საცავი, ისტორიული საგანძური, ბათუმში ჩაიტანეს. დამფუძნებელმა კრებამ საჭიროდ ჩათვალა განძი თან წაეღოთ. დაიწყო მისი მომზადება. განძის მეთვალყურედ ექვთიმე თაყაიშვილი დანიშნეს. მან თავისივე ხელით დაახარისხა ქართული სიძველენი და 39 ყუთში ისე ჩაალაგა, რომ გადატანა უსაფრთხო ყოფილიყო. ემიგრაციაში გაჭირვებაში ცხოვრების მიუხედავად, იგი ნაკლებად აქცევდა ყურადღებას ყოფით პრობლემებს, მისი ზრუნვისა და დარდის საგანი მაინც განძი და შორს დარჩენილი სამშობლიო იყო.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის გაუქმების შემდეგ განძს უამრავი მტერი გამოუჩნდა. არ წყდებოდა დაინტერესებულ პირთა შემოტევები. მათ ცალკეული ძვირფასი ნივთების შეძენა სურდათ, მაგრამ განძის მეთვალყურესა და პასუხისმგებელს ვერანაირად იყოლიებდნენ. იგი სასტიკ უარზე იდგა.

ცნობილია ის ფაქტიც, რომ ექვთიმე თაყაიშვილსა და მის მეუღლეს, ნინო პოლტორაცკაიას, ხშირად საჭმელიც კი არ ჰქონდათ, მაგრამ ასეთი დიდი განძის დროებით, მაგრამ ფაქტობრივ მეპატრონეთ, არც კი უფიქრიათ, თუნდაც ერთი ნივთის მოკლება, პირიქით, ყველგან ეძებდნენ ძვირფას ნივთებს, საქართველოდან გადახვეწილთა ოჯახებში აგროვებდნენ მათ და კოლექციას ავსებდნენ.

ექვთიმე თაყაიშვილმა 25 წელი გაატარა ემიგრაციაში. იგი საქართველოში 1945 წლის 11 აპრილს დაბრუნდა, თან ქართული საგანძურით დატვირთული 39-ვე ყუთი ჩამოიტანა. ჩამოსვლის პირველსავე დღეებიდან აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებათა აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; მუშაობდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე; ქართულ სამეცნიერო პრესაში პერიოდულად აქვეყნებდა საფრანგეთში შექმნილ ნაშრომებს. 1945 წელს იგი უნივერსიტეტის პროფესორად აირჩიეს, 1946 წელს მეცნიერებათა აკადემიის წევრად. იგი აღიარებული მეცნიერი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხის მეხსიერებაში მაინც ქართული განძის გადამრჩენელად, მეთვალყურედ და მომვლელად დარჩა.

გაზეთში გამოქვეყნებულია ექვთიმე თაყაიშვილის პუბლიკაცია „ქართული სიძველენი ევროპიელ ანტიქვარებთან“. უცხო არ არის, რომ გაჭირვებული ემიგრანტები უამრავ ნივთს ყიდდნენ, მათ შორის ხვდებოდა ქართული სიძველეებიც, რომელთაც უცხოელი დაინტერესებული პირნი ყიდულობდნენ. ასე გადადიოდა ქართული სიმდიდრე უცხოთა ხელში. ექვთიმე თაყაიშვილს აღნიშნულ პუბლიკაციაში აღწერილი და დადგენილი აქვს იმ ნივთების წარმომავლობა, მათი მნიშვნელობა ერის კულტურულ საგანძურში, რომლებიც თვით უნახავს, ან სხვათაგან გაუგონია. ვფიქრომ, ამ პუბლიკაციის მიზანი უცხოეთში აღმოჩენილი სიძველეების შექმნა და მათი საქართველოსათვის დაბრუნება იყო. ეს კიდევ ერთი დასტურია ქართველი მამულიშვილის სამშობლოს დიდი სიყვარულის, მზრუნველობისა და ერთგულების.

საინტერესოა გაზეთში დაბეჭდილი ექვთიმე თაყაიშვილის კიდევ ერთი პუბლიკაცია. ეს არის მეცნიერული ნარკვევი „აკადემიკოსი ნიკო იაკობის ძე მარი“. პუბლიკაცია დიდი მეცნიერის გარდაცვალებას ეძღვნება. ავტორს გულმოდგინედ აქვს შესწავლილი ნიკო მარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველი ეტაპი და საინტერესო მოგონება-ნეკროლოგს სთავაზობს მკითხველს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ექვთიმე თაყაიშვილსა და ნიკო მარს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. ამიტომაც, ვფიქრობთ, პუბლიკაციაში მოყვანილი ყოველი ფაქტი სიმართლის შემცველი და ანგარიშგასაწევია.

გაზეთის მესვეურები პატივს მიაგებენ ასევე თანაპარტიელების ნათელ ხსოვნას და მკითხველს მათი ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ პუბლიკაციებს სთავაზობენ. საინტერესო ცნობების შემცველია გიორგი ვაზავეს მიერ დაწერილი ნეკროლოგი, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ძველი წევრისა და დამაარსებლის, პავლე თუმანიშვილის ხსოვნას ეძღვნება /1935,N7/.

გაზეთი მკითხველს აცნობს საქართველოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის საინტერესო მასალას. ისტორიკოსებისა და დაინტერესებულ პირთათვის მნიშვნელოვანია ის ოქმები და ბიულეტენი-მანიფესტები, რომლებიც „საქართველოს“ პირველსავე ნომერშია დაბეჭდილი. წარმოდგენილი დოკუმენტური მასალა ანგარიშგასაწევია. იგი ნაწილობრივ მაინც ნათელს ჰფენს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა უთანხმოებისა და დაჯგუფებებად დაშლის გამომწვევ მიზეზებს.

საინტერესოა „საქართველოს“ კორესპონდენტის, შოთა გედევანიშვილის ინფორმაციები. იგი მკითხველს ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ მოვლენებს აცნობდა. ასე მაგალითად, ერთ-ერთი პუბლიკაცია მკითხველს პარიზში სპორტული მოძრაობა „შევარდენის“ აღორძინებას აუწყებს და მოუწოდებს, რომ ჩაერთოს მის გაძლიერებასა და წინსვლაში/1931,N6/.

გაზეთი „საქართველო“ 1938 წელს დაიხურა. იგი, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხვა პერიოდული ორგანოები, მკითხველს სამშობლოს სიყვარულს უღვივებდა, აცნობდა ემიგრაციასა თუ საქართველოში შექმნილ ვითარებას, ანალიზებდა მას და ეძებდა გზებს რუსეთის კომუნისტური რეჟიმისაგან სამშობლოს დასახსნელად.

#### ლიტერატურა:

1. შარაძე გ., „ ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ.2., 2002..

#### გაზეთი „საქართველო“/1929–1938/

*მანანა დათუკიშვილი, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

#### რეზიუმე

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ემიგრაციაში ვერ შეინარჩუნა ერთიანობა და 1925 წლიდან დაჯგუფებებად დაიშალა. ივანე ზურაბიშვილ – გიორგი გვაზავას ირგვლივ ძველი თაობის წარმომადგენლები გაერთიანდნენ. მათ გაზეთი „საქართველო“ დააარსეს, რომელიც 1929-1938 წლებში გამოდიოდა პარიზში გიორგი გვაზავას რედაქტორობით.

გაზეთის დამაარსებლები ძველი პრინციპების ერთგულნი იყვნენ. მათთვის უმთავრესი ქვეყნის თავისუფლება იყო და ბოლომდე ამ მიზანს ემსახურებოდნენ; გაზეთის საშუალებით მკითხველს ემიგრაციასა თუ საქართველოში შექმნილ ვითარებას აცნობდნენ, ანალიზებდნენ მოვლენებს და ეძებდნენ გზებს კომუნისტური რეჟიმისაგან სამშობლოს დასახსნელად.

#### Newspaper “Georgia” (1929-1938)

*Manana Datukishvili, associated professor  
Georgian Technical Universiti*

#### Resume

**Key words:** Emigration, national-democratic, journal, grouping, party, liberty.

National-Democratic Party was not able to maintain integrity in emigration and in 1925 was disintegrated in groupings. Representatives of old generation were consolidated

around Ivane Zurabishvili – Giorgi Gvazava. They founded the journal “Georgia” which was published in 1929-1938 in Paris under editorship of Giorgi Gvazava.

Founders of the journal were devoted to old principles. Liberty of the country was the most important for them and served this aim till the end. They were giving information about emigration and situation in Georgia to the readers by means of the journal, they were analyzing events and were looking for ways to affranchise motherland from communist regime.

### Газета «Грузия» (1929-1938)

*Манана Датукишвили, Ассоциированный Профессор  
Грузинский Технический Университет*

#### Резюме

**Ключевые слова:** эмиграция, национально-демократический, газета, группировка, партия, свобода.

Национально-демократическая партия не смогла сохранить единство в эмиграции и с 1925 года разделилась на группы. Вокруг Ивана Зурабишвили–Георгия Гвазава объединились представители старого поколения. Они основали газету «Грузия», которая выходила в Париже 1929-1938 гг. Редактором газеты был Георгий Гвазава.

Основатели газеты придерживались старых принципов. Для них самой главной была свобода страны и до конца служили этой цели; с помощью газеты читателям давали информацию о создавшемся обстоятельстве в Грузии и эмиграции, анализировали явления и искали пути спасения родины от коммунистического режима.



## საზღვაო კომუნიკაციის სისტემები, მათი როლი და მნიშვნელობა

ფატიმა კახიძე,  
დოქტორანტი, სტუ

**საკვანძო სიტყვები:** კომუნიკაცია, უსაფრთხოება, განსაკუთრებული როლი, ნავიგაცია.

საზღვაო კომუნიკაცია მოიცავს საზღვაო საქმის მრავალ სფეროს. იგი გულისხმობს, როგორც ვერბალურ, ასევე, არავერბალურ სიგნალთა კომპლექსს. ყოველივე ეს განაპირობებს მის სპეციფიკას და განსაკუთრებულ როლს ასრულებს ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მისი შემადგენელი ნაწილია „საერთაშორისო საზღვაო სიგნალთა რიგი“ (ძირითადად გამოიყენება დროშები, რომლებიც აღიმართება გემის ანძაზე და გამოხატავს გემის სხვადასხვა მდგომარეობას, მუშაობის სპეციფიკას ან უბედურ შემთხვევას). სიგნალები შეიძლება გამოიხატოს შესაბამისი მორზეს ანბანით.

სიგნალების საერთაშორისო რიგი მიღებულ იქნა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის „IMO“-ს მიერ 1965 წელს. თითოეული დროშა აღინიშნება ინგლისური ასოთი და აქვს საკუთარი სახელწოდება.

შუქით გამოხატული სიგნალები იძლევიან გემის ცალკეულ დახასიათებას ცურვისა და სამუშაოს შესრულების შესაბამისად „International Regulations for Preventing Collisions At Sea“.

არსებობს შუქნიშნების საერთაშორისო სიგნალები მცურავი სასიგნალო მოწყობილობით, რომელსაც სხვადასხვა დანიშნულება აქვთ და გააჩნიათ შესაბამისი შეფერილობა, გააჩნიათ სპეციალური ნიშნები და რადიო სიგნალები.

რადიო სიგნალები ნაოსნობაში გამოიყენება ეთერში სხვადასხვა სპეციალური შეტყობინებების გადასაცემად.

რა სახის შეიძლება იყოს საზღვაო კომუნიკაცია?

კომუნიკაცია ანუ გემის კავშირი ნაპირთან ან გემთან ხდება სხვადასხვა რადიონავიგაციური ხელსაწყოებით – საჭიროებისამებრ.

მაგალითად, კოსმოსური კომუნიკაციური სისტემა „Intersant და G. P.S.“ „Inmarsat“ კომუნიკაციური სისტემა გამოიყენება სამაშველო საკოორდინაციო ცენტრისა და სალოცმნო სადგურის დამოკიდებულების განსახილველად. სიგნალების გაგზავნის მიზნებით. თუ თხოულობთ პორტში შესვლას ან გამოსვლას, თხოულობთ, თუ არა გემისათვის საჭირო აღჭურვილობის რეკომენდაციას და ა. შ.

საზღვაო კომუნიკაციური სისტემები მნიშვნელოვან წილად განკუთვნილი არიან ექსპტერემალურ სიტუაციაში უზრუნველსაყოფად.

ნავიგაციაში გამოიყენება მრავალი სახის კომუნიკაციური სისტემა, რომლებსაც სხვადასხვა დანიშნულება აქვთ. ყველას აერთიანებს ერთი ძირითადი მოთხოვნა – მსოფლიო საზღვაო ორგანიზაცია „IMO“ და კომუნიკაციურ სისტემაში გამოყენებულია სტანდარტული საერთაშორისო საზღვაო ენა „Standard Marie Vocabulary“, რაც ნიშნავს, რომ ზღვაში მიღებული კომუნიკაციური ენა გარკვეულწილად განსხვავდება სალიტერატურო ენისაგან.

„Standard Marie Vocabulary“ ეს არის სპეციალური საზღვაო ლექსიკონი, რომელსაც ზღვაოსნები იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის ღია ეთერში კომუნიკაციის ანუ კავშირის დასამყარებლად (გემის პორტში შესვლის ან გამოსვლის დროს, სრუტეებში და არხებში, რაც, ძირითადად ხდება რადიოსადგურების საშუალებით „Standard Marie Vocabulary“), რაც ნიშნავს, რომ ზღვაში მიღებული საკომუნიკაციო ენა რთული სემიოტიკური წარმონაქმნია და გარკვეულწილად განსხვავდება სალიტერატურო ენისაგან. მაგალითად.

საზღვაო ენა	სალიტერატურო ენა
1. ring – რგოლის სარჭო	1. ring – ბეჭედი
2. watch– ვახტზე ყოფნა	2. watch – მაჯის საათი
3. Lobby– ვესტიბული	3. Lobby – კულუარები, ტალანი, პარლამენტში, თეატრში
4. Grew– გემის ეკიპაჟი	4. Grew– რაზმი
5. Plot– გეგმა	5. Plot – შეთქმულება, მიწის ნაკვეთი, სიუჟეტი
6. Device– ხელსაწყო	6. Device – ბოროტი განზრახვა
7. Master– კაპიტანი	7. Master – პატრონი
8. Moor– მავრი	8. Moor – ნაპირზე
9. bow– გემის ცხვირი	9. bow – მისალმება
10. Cabin– კაიუტა	10. Cabin – ქოხი
11. Roll– ბრუნვა	11. Roll – სია

SEA PEAK ALPHABEL

A- Alfa	G- Golf	Y- Yankee
B- Bravo	H- Hotel	M- Mike
C- Charlie	I- India	N- November
D- Delta	J- Juliet	O- Oscar
E- Echo	K- Kilo	P- Papu
F- Fottrot	L- Limo	Q- Quebec
R- Romeo	S- Sierra	U- Uniform
Z- Zulu	T- Tanyo	V- Victor
W- Whisky		
X- X-ray		

ენად ქცევისა, გარკვეულ შესაბამისობაში უნდა იყვნენ მოყვანილი, რაც განაპირობებს მთარგმნელობითი ინტერპრეტაციის აუცილებლობას

ლიტერატურა:

1. C.W. LayTon, F.R.A.S. M.R.I.N.
2. A. assos. R.I.N.A.
3. P. Giissold.
4. O. Bunkin.
5. T. Gorbunova.

საზღვაო კომუნიკაციის სისტემები, მათი როლი  
და მნიშვნელობა

*ფატიმა კახიძე,  
დოქტორანტი, სტუ*

**რეზიუმე**

საზღვაო კომუნიკაცია მოიცავს საზღვაო საქმის მრავალ სფეროს. ეს განაპირობებს მის სპეციფიკას და განსაკუთრებულ როლს ასრულებს ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

## Морские системы связи, их роль и значение

*Фатима Кахидзе, докторант ГТУ*

### Резюме

Морская коммуникация включает в себя множество областей моря. Это определяет его специфику и уникальную роль в обеспечении безопасности судоходства.

**Ключевые слова:** коммуникация, безопасность, уникальную роль, судоходства.

### Maritime communication systems, their role and importance

*Patima Kaxidze*

### Summary

Maritime communication involves many areas of the sea. This determines its specificity and unique role in ensuring the safety of navigation.

**Key words:** communication, safety, unique role, navigation.

## Профессионально- квалификационные требования общества к статусу журналиста

*Козлова Елизавета*

*Ассоциированный профессор*

*Грузинский технический университет*

*Тбилиси, Костава, 7*

*Ключевые слова:* сотрудник прессы, социальный статус, профессиональные характеристики

Любое исследование состояния журналистского корпуса — а они регулярно проводятся в разных странах — непременно отразит большую психическую и физическую нагрузку как атрибут этой профессии. По данным английской газеты «TheSundayTimes», с точки зрения вероятности возникновения стрессовых ситуаций журналисты уступают лишь шахтерам и полицейским. Велика и прямая угроза жизни сотрудников СМИ, особенно в так называемых «горячих точках» и в условиях нестабильности социальных систем. Труд журналиста заслуживает такого же социального признания и такой же охраны со стороны общества, как и выполнение других особо значимых и небезопасных профессиональных обязанностей.

Прежде чем вести речь о социальных гарантиях сотрудникам прессы, надо добиться общественного согласия по вопросу о том, кого отнести к данной категории лиц, определить их социальный статус. Под журналистом обычно понимается лицо, занимающееся редактированием, созданием, сбором или подготовкой сообщений и материалов для редакции зарегистрированного средства массовой информации, связанное с ней трудовыми или иными договорными отношениями, либо занимающееся такой деятельностью по ее уполномочию.[2, с.121] Здесь внимание концентрируется на функциональных атрибутах профессии, а также на правовой стороне дела. В мировом сообществе получило признание и определение, предложенное руководителем одной из комиссий ЮНЕСКО, лауреатом Нобелевской премии Ш. Макбрайдом. Оно в целом совпадает с приведенным выше, но в нем подробнее перечисляются виды деятельности (издатель, репортер, фотограф, кинооператор, техник) и подчеркивается, что журналист должен иметь документ, подтверждающий его профессиональную принадлежность. Оба определения достаточно ясно очерчивают круг лиц, относимых к журналистам. Их сходство, конечно же, не случайно, оно объясняется согласием в понимании социального статуса журналистов, к которому закономерно подвело развитие этой профессии. Труд журналиста обладает незаурядной ценностью для общества, поэтому чаще всего оно стремится создать благоприятные условия для деятельности прессы, но и предъявляет к людям этой профессии строгие требования. Для работников редакций ожидания, которые сложились в обществе по отношению к ним, являются социальным заказом на «оптимального» профессионала и ориентиром в собственной подготовке и практике.

«Заказ» общества на специалиста выражается в профессионально- квалификационных требованиях к нему. Следует учесть, что речь идет не о какой- то второстепенной составляющей массово-информационного производства (в сравнении, например, с технической базой), а о его главной детерминанте. Имеются в виду не те критерии, которыми руководствуется при найме сотрудника в штат конкретный главный редактор, а социально типичные характеристики журналиста. Эти модели могут и не совпадать друг с другом. Для удобства классификации нормативные требования к сотруднику СМИ делятся на несколько групп. Рассмотрим их подробнее:

Идейно-нравственные качества. Они не случайно называются в первую очередь. Журналистика, по объективному своему положению, есть дело сначала общественное, а потом уже производственное или личное. Не осознав себя человеком, у которого в руках находится мощное средство воздействия на современников и потомков, не ощутив полноту ответственности перед обществом и людьми, сотрудник редакции не может считать себя зрелым профессионалом. Это особенно важно усвоить людям, только вступающим в мир прессы. Как показывают многочисленные исследования, абитуриенты факультетов журналистики (наши выпускники школ - не исключение) избирают профессию под влиянием конъюнктурных факторов, таких, как личное стремление интересно жить, советы друзей и знакомых, увлечение литературным творчеством и т.п. Редко, когда выбор определяется знакомством с глубинной природой прессы и социальными требованиями к ее сотрудникам. То же нередко происходит и с гораздо более зрелыми людьми, пришедшими по разным причинам в журналистику. А ведь требования, которые аудитория предъявляет к принципиальности журналиста, например, чрезвычайно высоки. Так, вряд ли заслужит общественное уважение корреспондент, который со сменой места работы резко меняет и свои убеждения, выражает взгляды, отвечающие позиции нового главного редактора.

Деловые качества. В идеале следовало бы говорить о специфических способностях и даже таланте будущего журналиста. Эти качества высоко развиты у признанных мастеров, которые, конечно же, оказывают сильное творческое влияние на своих молодых коллег. Однако мы говорим сейчас о массовом виде занятий, а не об исключительных личностях в прессе. Как замечает немецкий аналитик СМИ Георг Хеллан, «журналисты все еще много говорят о своей профессии как о "профессии для талантливых", хотя опыт свидетельствует о другом: большинство журналистов является всего лишь служащими». [4] Общество не вправе требовать от каждого редакционного сотрудника выдающихся способностей, но оно рассчитывает, что каждый будет обладать хотя бы минимумом квалификации. Университетское образование как раз и направлено на формирование такого специалиста, а диплом отражает его готовность к элементарному участию в редакционном производстве.

В интеллектуальном отношении квалифицированный специалист владеет научными основами своего дела, свободно ориентируется в профессиональных проблемах, понятиях и терминах, а также в источниках пополнения знаний. В этом плане он не отличается от других представителей умственного труда. Однако особенности интеллектуальной деятельности в журналистике связаны с тем, что здесь

приходится многократно переключаться с одного предмета освещения на другой, демонстрируя при этом достаточно глубокое понимание поднимаемых вопросов. Это предполагает особого рода компетентность. По сравнению с профессиональным экспертом в конкретной области знания или практики журналист всегда останется дилетантом. Но уровень его осведомленности о теме публикации должен быть как минимум не ниже, чем у «среднего» читателя. Невежество не просто постыдно, но и невыгодно, поскольку подрывает доверие аудитории. В ряду интеллектуальных качеств выделим также память. Репортеру подчас приходится воспроизводить события, образы, слова собеседника, которые не удалось оперативно зафиксировать на бумаге или пленке. Многие факты он хранит и в долговременной памяти, из которой по мере необходимости извлекает картины минувшего, высказывания, сравнения.

Профессиональные умения. Они складываются из владения широким набором методов, приемов, технических средств труда. Кроме традиционных методов — литературно-описательного изложения событий, например, - современному журналисту требуется освоить основы экономического, психологического, политологического и в особенности социологического подхода к изучению действительности. А диапазон технических навыков простирается от владения редакторской корректурой и диктофоном до умения пользоваться компьютерными хранилищами информации. Вместе с тем, даже самые ошеломляющие технические достижения не избавят журналиста от обязанности развивать культуру речи, ибо литературный язык - основной рабочий инструмент прессы. Забота о языке на прикладном, технологическом уровне сопрягается с выполнением прессой высокой культурной миссии - быть основным в наши дни каналом массового речевого общения. Не случайно в некоторых европейских государствах приняты специальные законы, призванные защищать язык от его коверканья в СМИ. В Италии запрещено использовать в публичной речи иноязычные слова, если имеется собственный эквивалент, а во Франции составлены «черные списки» англицизмов на телеэкранах.

Психологические качества. Конечно, нельзя «заказать» сотруднику редакции те или иные черты характера или темперамента. Тем не менее, можно выделить такие свойства личности, которые либо помогают выполнять профессиональные задачи, либо затрудняют их выполнение. Социологи, изучающие динамику личностных черт журналиста, отмечают, что такие качества, как оперативность, мобильность, коммуникативность, адаптивность, любознательность, находчивость, не подвержены влиянию времени и перемен в политике и общественной жизни. Практически любой журналист имеет дело с людьми, их судьбами, поэтому нормой следует считать не прагматический интерес к ним, а живую заинтересованность в конкретном человеке, искреннее сопереживание ему. В современной психологии осмысление личности журналиста выходит за пределы его врожденных качеств. Так, исследователь психологической культуры журналиста В. И. Кузин, развивая идеи Э. Фромма, различает у сотрудников разных медиа два вида характеров — личностный и социальный, формирующийся условиями жизни и деятельности. [3, с. 177] За последние годы в журналистике увеличилось число работников с, если можно так выразиться, «рыночным» характером.

Его носители руководствуются девизом: «Я стану таким, какой вам нужен». Но речь идёт совсем не об ангажированности работников масс-медиа. Здесь скорее уместно говорить о саморазвитии профессионала, о целенаправленном формировании им у себя необходимых для работы качеств. Да и наш педагогический опыт показывает, что робкие от природы молодые люди со временем могут стать общительнее и настойчивее в своей практике - редакторская жизнь создает отличные условия для такой эволюции.

Должностной статус журналиста. Работа в СМИ относится к сфере интеллектуального труда, и в этом качестве отличается рядом особенностей. Дополним те характеристики, которые упоминались в связи с профессионально-квалификационными требованиями, предъявляемыми к журналисту. В иерархическом списке особенностей работы в СМИ на первых местах стоят оперативность и интенсивность умственной деятельности. Для сравнения: вполне можно представить себе, например, поэта, у которого случился длительный перерыв в работе в силу отсутствия вдохновения. Применительно к журналисту такое допущение исключается. Наоборот, служебные и личные обстоятельства подталкивают его к ежедневному напряженному труду, который, правда, сохраняет свое творческое содержание. Причина заключается в том, что редакторская работа носит общественно-производственный характер, а само производство непрерывно по своему характеру, ибо настроено на регулярный выпуск медийной продукции. К тому жерыночная экономика диктует необходимость постоянного повышения интенсивности журналистского труда. В СМИ в течение последних лет наблюдается сокращение редакторских штатов, использование электронных технологий вместо человеческих ресурсов. Соответственно меняются критерии оценки квалификации сотрудников, возрастает нагрузка на каждого отдельного профессионала. Значительно ужесточилась и конкуренция, образовался необычайно мобильный рынок труда. С производственной точки зрения, журналистский труд стал чрезвычайно многофункциональным. Каждый из входящих в него видов деятельности «распадается» на несколько составляющих. Так, творческая работа включает в себя подготовку информационных, аналитических и художественно-публицистических произведений, а служебная практика представлена выполнением административных, организационных и редакторских (обработка текстов других авторов) обязанностей. Газетчик в случае необходимости выступает или в роли литературного сотрудника, фотокорреспондента или специалиста по техническому оформлению издания. Журналистский труд ориентирован на коллективный выпуск продукции. Даже индивидуально написанные произведения проходят через несколько рук, прежде чем увидят свет: их редактируют, проверяют на точность данных, подвергают корректуре, оформляют на полосе и т.п. Тем более коллективным продуктом является целое издание или вещательная программа. Следовательно, первостепенную важность имеет рациональное разделение труда в редакции. Штатный состав СМИ делится на две основные группы сотрудников: журналистов (то есть людей, непосредственно производящих информационную продукцию) и обеспечивающий персонал (то есть работников, занятых техническими, финансовыми, организа-



ციონными сторонами производства). В свою очередь, каждая из этих групп представлена двумя уровнями компетенции — управленческим и исполнительским.

Итак, профессия журналиста отличается рядом специфических черт, ее отношения с обществом и миром весьма сложны и временами конфликтны. Это обстоятельство должно точно фиксироваться, как при определении социально-профессионального статуса журналиста, так и в самосознании каждого работника этой сферы, закрепляться в характере его подготовки к выполнению профессиональных функций и долга.

### **Использованная литература**

1. *Иванова Е.М.* Психология профессиональной деятельности. М., 2006.
2. *Корконосенко С.Г.* Социология журналистики. Учебное пособие для студентов вузов. — М.: Аспект Пресс, 2004. — 320 с. (в оригинале)
3. *Кузин В.И.* Психологическая культура журналиста: Учеб.пособие. СПб.: СПбГУ, 2004 - 205 с.
4. *Хеллан Г.* Печать, радио и телевидение в Федеративной республике Германии // Basis — info —13, in PRESS, 1996.

### **Professional and qualification requirements of the society to the status of a journalist**

*ElizavetaKozlova,  
Associate professor  
Georgian Technical University*

### **Summary**

The journalist's work has an outstanding value for the society, therefore, most often it seeks to create favorable conditions for the activities of the press, but also makes strict demands on the people of this profession. For the editorial staff, the expectations that have developed in society in relation to them are a social order for an "optimal" professional and a guide in their own training and practice. The "order" of the company for a specialist is expressed in the professional qualification requirements for it

## Влияние средств массовой информации на процессы межкультурной коммуникации

*Сидамонидзе Лиана, Чотулиди Глория  
Грузинский Технический Университет*

**Ключевые слова:** средства массовой информации, культура, межкультурная коммуникация, единое культурное пространство, мультикультурализм, картина мира.

Развивающийся в настоящее время процесс глобализации приводит к расширению взаимосвязей и взаимозависимостей различных стран, народов и их культур. Произошедшие в последние годы политические, экономические, социальные изменения, а также бурное развитие средств информации привели к тому, что все больше людей переступают раньше разделявшие их культурные барьеры и вступают в процесс взаимодействия с представителями иных культур, значительно отличающихся от их собственной. Межкультурное взаимодействие осуществляется в самых различных сферах: в межгосударственных отношениях, в предпринимательской, научной и образовательной деятельности, на уровне межличностного общения. Обращение к проблемам взаимодействия культур и межкультурной коммуникации становится чрезвычайно важным, а различные аспекты межкультурного взаимодействия - межрелигиозный диалог, идентичность культур в эпоху глобализации, диалог как цель культуры, стратегии межкультурного диалога и т.д. - становятся предметом изучения представителей различных областей научного знания.

Многочисленные исследования взаимодействия культур свидетельствуют о том, что содержание и результаты различных межкультурных контактов во многом зависят от способности их участников понимать друг друга и достигать согласия, которое главным образом определяется этнической культурой каждой из взаимодействующих сторон, господствующими ней ценностями. В культурной антропологии эти взаимоотношения разных культур называется межкультурной коммуникацией.

Понятие «межкультурная коммуникация» впервые было сформулировано в 1954 г. в работе Г. Трейгера и Э. Холла «Культура и коммуникация. Модель анализа». В ней под межкультурной коммуникацией понималась идеальная цель, к которой должен стремиться человек в своем желании как можно лучше и эффективнее адаптироваться к окружающему миру. Е. М. Верещагин и В. Г. Костомаров в книге

«Язык и культура» данный феномен понимают как адекватное взаимопонимание двух участников коммуникативного акта, принадлежащих к разным национальным культурам (1).

Сегодня особенности межкультурной коммуникации изучаются на междисциплинарном уровне в рамках таких наук, как культурология, психология, лингвистика, социология, этнология и т. д., каждая из которых использует свои подходы к их рассмотрению и анализу, поэтому, несмотря на то что оба определения межкультурной коммуникации на сегодняшний день являются классическими, «понятно, что проблема межкультурной коммуникации не сводится исключительно к языковой проблеме. Знание языка носителя иной культуры необходимо, но еще недостаточно для адекватного взаимопонимания участников коммуникативного акта. Более того, межкультурная коммуникация предполагает существование не только расхождений между двумя разными языками, но и различия при использовании одного языка»(2).

Общепризнанным можно считать положение о том, что система массовой коммуникации становится доминирующим фактором современной культуры(3). СМИ формируют картину мира современного человека - его ценности, концепты и стереотипы, поэтому в контексте их деятельности диалог культур предстает как процесс "взаимовоздействия" различных картин мира, воплощенных в текстах СМИ. Медиа-тексты, которые сообщают о реалиях других социо-культурных общностей или непосредственно адресованы аудитории иностранных государств, играют самую активную роль в межкультурном диалоге как в плане широты охвата аудитории, так и по силе коммуникативного воздействия.

Средства массовой информации обладают набором характеристик (скорость передачи информации, доступность в любой точке планеты, возможность синхронного перевода с любого языка и т. д.), которые позволяют идею интегральной культуры воплотить в жизнь, однако распространение одинаковых культурных образцов по всему миру, открытость границ для культурного влияния и расширяющееся культурное общение заставляют говорить о процессе глобализации современной культуры. В межкультурных взаимодействиях средства массовой коммуникации являются инструментом распространения одинаковых культурных образцов по всему миру, открытости границ для культурного влияния, транскulturации, формирования глобальных культурных стереотипов, смены символических систем культуры, упрощения трактовки текстов современной культуры.

Современный человек вырабатывает свою культуру не путем целенаправленной деятельности по дальнейшему развитию основ знаний, приобре-

танных им за годы образования, а под воздействием непрерывного потока отдельных элементов культуры, которые накапливаются в общем процессе культурной деятельности. Сегодня благодаря средствам массовой коммуникации в универсальные процессы глобализации вовлечены все культуры. Эти универсальные условия и ситуации в процессе межкультурной коммуникации вынуждают людей проявлять себя если не одинаково, то узнаваемо. Современные средства массовой коммуникации, демонстрирующие изменившиеся формы коммуникации, способствуют формированию общих оценок, общих норм поведения, иными словами, приводят к господству общих стереотипов, обладают возможностью вмешиваться в природу самого человека (4).

Но следует признать, что концепты «мультикультурное общество», «межкультурная коммуникация», «толерантность», дихотомия «СМИ и культура» вызывают сегодня всё больше вопросов и являются серьёзным поводом для размышлений о миссии и функциях прессы в современных условиях, о позиции средств массовой информации относительно сохранения самобытных культур и согласия в трансформирующихся обществах.

Анализируя развитие межкультурной коммуникации в современном мире, можно констатировать, что этот процесс протекает в обществе риска и сегодня перед экспертами, политиками, представителями СМИ стоит вопрос, как управлять этими рисками, как сохранить мир и согласие. Одним из таких рисков остается терроризм, зачастую связанный с религиозным фактором, который является злободневной проблемой.

Трагедия, произошедшая во французской газете Charli Hebdo, еще раз обратила внимание общества на проблемы свободы и ответственности СМИ, их роли в межкультурном диалоге. Очевидно, что создателям сайтов, информационных агентств, изданий, освещающих межэтническую тематику, необходимо помнить, что они несут ответственность за спокойствие и мир. Поэтому профессиональный журналист должен развить в себе способность ставить себя на место представителя другой культуры и тем самым разделять и понимать его отношение к миру. Специалист в области средств массовой информации не может позволить себе коммуникативного разрыва в общении с носителями разных культур, он обязан подавлять в себе неспособность встать на точку зрения другой культуры. Для этого необходима серьезная подготовка – глубокий сравнительный анализ жизненных взглядов, базовых убеждений, основных культурных установок различных национальностей.

**Литература:**

1. Верещагин Е. М., Костомаров В. Г. Язык и культура. М., 1990. С. 26.
2. Головлева Е. Л. Основы межкультурной коммуникации: Учеб. пособие. Ростов н/Д, 2008. С. 27.
3. Качалкин А.Н. Роль СМИ в межнациональном общении. Менталитет и речевой этикет нации // Язык СМИ как объект междисциплинарного исследования. Учебное пособие./ Отв. ред. М.Н.Володина. М., 2003. С. 237.
4. Хорошавцева О. П. Средства массовой коммуникации в системе межкультурных взаимодействий современной России. Диссертация на соискание ученой степени кандидата культурологии. Екатеринбург – 2011.

**Влияние средств массовой информации на процессы  
межкультурной коммуникации**

*Сидамонидзе Лиана, Чотулиди Глория*  
*Грузинский Технический Университет*

**Резюме**

**Ключевые слова:** средства массовой информации, культура, межкультурная коммуникация, единое культурное пространство, мультикультурализм, картина мира.

В статье рассматриваются изменения, происходящие в процессе межкультурной коммуникации, вызванные ростом средств массовой информации, которые играют важную роль в культурной интеграции. Их функция в этом процессе неоднозначна: широкая аудитория, новое культурное пространство оказывают влияние на общественное сознание и характер взаимодействия между культурами.

**The media influence on the processes of intercultural  
communication**

*Sidamonidze Liana, Chotulidi Gloria*

**Summary**

The article considers alterations that take place in the course of intercultural communication, caused by rapid growth of massmedia, playing as significant role in the

cultural integration. Their function in the process is surprisingly ambiguous: wide audience, new cultural space impacts greatly public consciousness and the character of interaction between the cultures.

**Key words:** Mass media, culture, intercultural communication, a whole cultural space, multiculturalism, a picture of the world.

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენა კულტურათაშორის  
კომუნიკაციის პროცესებზე**

*სიდამონიძე ლ., ჩოტუღიძე გ.  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

**საკვანძო სიტყვები:** მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, კულტურა, კულტურათაშორის კომუნიკაცია, ერთიანი კულტურული სივრცე, მულტი-კულტურალიზმი, სამყაროს სურათი.

სტატიაში განხილულია კულტურათაშორის კომუნიკაციის პროცესში მიმდინარე ცვლილებები გამოწვეული მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ზრდით, რომლებიც თამაშობენ მნიშვნელოვან როლს კულტურულ ინტეგრაციაში. მათი ფუნქცია ამ პროცესში არაერთგვაროვანია: ფართო აუდიტორია, ახალი კულტურული სივრცე ახდენენ გავლენას საზოგადოებრივ შეგნებაზე და კულტურათა შორის ურთიერთმოქმედების ხასიათზე.

## მედია და სტერეოტიპები

*ლია ქათამაძე*

*ასოცირებული პროფესორი*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**საკვანძო სიტყვები:** სტერეოტიპები, საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრივი ცნობიერება, მედია, სტერეოტიპების მსხვრევა.

ყველა ეპოქა ძველისა და ახლის გზასაყარზე დგას. თითოეულ მათგანს მოაქვს წინა ეპოქისთვის უცხო და მიუღებელი ფასეულობითი სისტემა. დამკვიდრების-თანავე ის მისგან განსხვავებული, პრინციპულად დაპირისპირებული სისტემის შექმნისთვის ამზადებს ნიადაგს. და როგორც არ უნდა შეეცადონ მეცნიერები კაცობრიობის ისტორიის ეპოქებად დაყოფას და აზროვნების განვითარების მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქცევას, ერთი რამ ცხადია - ყველა საზოგადოებაში აზროვნების დუღილი მიმდინარეობს. დუღილი კი თავისთავად გამორიცხავს გაქვავებული, სისტემას დამორჩილებული ფასეულობების არსებობას. საზოგადოებრივი აზრი, როგორც უმრავლესობის პირობითი და დროებითი შეთანხმება, არც თუ ისე მონოლითურია, როგორც ეს ისტორიული გადმოსახედიდან ჩანს. თითოეულ ეპოქას თავისი მედიუმი (ზეპირი, წერიტი, ბეჭდური თუ ელექტრონული მედიების სახით) ჰყავს, რომელიც ინფორმაციის მეშვეობით ფასეულობათა სისტემას აყალიბებს. მართალია, მედია ზემოქმედებს საზოგადოების ცნობიერებაზე, მაგრამ ნებისმიერ ეპოქაში მას ალტერნატიული მედიაც აქვს. ოფიციალური მედიის მიერ დამკვიდრებულ ღირებულებებს სხვადასხვა ფორმით ებრძოდნენ განსხვავებული იდეოლოგიები. ცენზურის ბატონობის პირობებშიც კი საზოგადოება იღებდა ამ ალტერნატიულ აზრს სხვა მედიების მეშვეობით. თუ ნოელ-ნოიმანის „დუმილის სპირალს“ გავიხსენებთ, ადამიანები, იზოლაციის შიშით დუმილით გამოხატავენ თანხმობას დომინანტური აზრის მიმართ, რომელიც ამ დუმილის წყალობით უმრავლესობის საზოგადოებრივ აზრად იქცევა. კარგად თუ დავაკვირდებით, ეს სულაც არ არის უმრავლესობა და არც საზოგადოებრივი აზრია საზოგადოებრივი. საზოგადოებრივი აზრი - ეს პირობითი ცნებაა, რომელიც პასიურ თანხმობას გამოხატავს. აზრი აზროვნების პროდუქტია. აზროვნება კი გაცილებით ინდივიდუალური და განსხვავებული პროცესია. აზროვნება, უფრო სწორად კი, აზროვნების უნარი მხოლოდ რჩეულებს მიაწერეს, მათ, ვინც თავის ნააზრევს დაუქვემდებარა სხვათა თანხმობა. ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მასა ზუსტად ისე ფიქრობს, რაზედაც თანხმობას აცხადებს და რასაც საზოგადოებრივ აზრად

ნათლავს. იქნებ მასა გაცილებით ინდივიდუალურია, ვიდრე ამის გამოხატვის შესაძლებლობა ეძლევა. ერთი რამ ფაქტია - არსებობს რაღაც ძალა, თუ გინდათ სიმბოლური ძალა, რომელიც ამ „მასობრივ“ ინდივიდუალურ აზროვნებას კოლექტიურად აქცევს. ეს არის მედია - მასობრივი კომუნიკაცია. მასობრივი კომუნიკაციის სპეციფიკური თვისება სწორედ ეს არის - ადამიანური ურთიერთობების მასობრივად გადაქცევა, ინფორმაციის ასიმეტრიულობით, ერთმიმართულებიანობით მასობრივი საზოგადოებრივი აზრის შექმნა, სწორედ ასე ყალიბდება ფასეულობები, ხოლო ალტერნატიული მედიების მეშვეობით ეს ფასეულობებიც იცვლება. ამ მუდმივი ცვალებადობის მიუხედავად, მედია რეალობასთან ერთად ქმნის გარკვეულწილად უცვლელ პოსტულატებს, რომლებიც ბევრ შემთხვევაში სიმყარით სერიოზულ კონკურენციას უწევენ ისეთ ღირებულებით სისტემებს, როგორცაა რელიგიური თუ სხვა იდეოლოგიური მიმდინარეობები. ეს არის სტერეოტიპები. სტერეოტიპული აზროვნება თავისი ჩაკეტილობით ავიწროვებს შემოქმედებით და თავისუფალ აზროვნებას, რომლის გარეშეც პროგრესი შეუძლებელია. სტერეოტიპები გარკვეული ფსიქოლოგიური მექანიზმების შემცველი წარმონაქნია, რომელიც ამა თუ იმ გარეგანი ფაქტორის ზეგავლენით ყალიბდება. ყველაზე ძლიერი გარეგანი ფაქტორი, რომელიც განსაკუთრებული ინტენსივობით აყალიბებს აზროვნების ამ შაბლონებს, არის მედია.

მედიისა და სტერეოტიპების შესახებ საუბარი XX საუკუნის 20-იან წლებში უოლტერ ლიპმანმა დაიწყო თავის სახელგანთქმულ ბესტსელერში „საზოგადოებრივი აზრი“. მისი განმარტებით, „სტერეოტიპები - ესაა კულტურის მიერ შექმნილი სახეები სხვა ჯგუფის ადამიანებისა მათი ქცევის ასახსნელად და შესაფასებლად.“ (1) სტერეოტიპები ახშობენ ადამიანის ინდივიდუალურ ხედვას და აძლიერებენ მის კუთვნილებას სოციალური მასისადმი. სტერეოტიპული მოვლენები მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს კულტურის სოციოდინამიკაში, რამდენადაც ისინი გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე კულტურის ნაწილს წარმოადგენენ.

სტერეოტიპებს საზოგადოებრივი აზრის მძლავრ ინდიკატორად სწორედ მედია აქცევს. ა.მოლი მედიის შესახებ წერდა: „ის ფაქტობრივად აკონტროლებს მთელ ჩვენს კულტურას, ატარებს რა საკუთარ ფილტრში, კულტურული მოვლენების საერთო მასიდან გამოყოფს ცალკეულ ელემენტებს და მათ განსაკუთრებულ წონას ანიჭებს“ (2). ს.გ. ყარამურზას კვლევებში გატარებულია აზრი, რომ მასობრივი საშუალებები ამკვიდრებენ იმ ხატს, რომელიც მასობრივი ცნობიერების მზა სტერეოტიპების საფუძველზე იქმნება (3). მედიის განსაკუთრებულ როლზე სტერეოტიპების დამკვიდრებასა და დომინანტი საზოგადოების დაკვეთის შესახებ ხაზს უსვამს მედიისა საზოგადოების ურთიერთობის ამსახველი სოციალური თეორია, რომელსაც სტერეოტიპების თეორიას უწოდებენ. სტერეო-ტიპები განსაზღვრულია, როგორც „უარყოფითი მნიშვნელობის ნაკრები, რომელიც



რომელიმე კატეგორიის (მაგალითად, უმცირესობების მიმართ) გამოიყენება. ასეთი უარყოფითი მნიშვნელობები დომინანტურ მდგომარეობაში მყოფებს უადვილებს დაქვემდებარებულ პოზიციაში იყოლიონ უმცირესობები. მაგალითად, ვიდრე 1960-იან წლებში სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის მოძრაობა შეიქმნებოდა, თეთრკანიანები იმ აზრს ემხრობოდნენ, რომ აფროამერიკელი მოქალაქეები უზნეოები, უჭკუოები, ზარმაცები და თავგარიანები არიან და ცხოვრებაში ამბიციას არ გააჩნიათ. ასეთი დამოკიდებულებით შესაძლებელი ხდებოდა თეთრკანიანთა შეხედულებების გამართლება, რომ აფროამერიკელებს მონაწილეობა არ მიეღოთ არჩევნებში, მათ უბნებში არ უნდა ეცხოვრათ, მათთან სკოლაში არ უნდა ევლოთ და გარკვეული სამუშაო ადგილების გარდა, სხვაგან არ უნდა ემუშავათ. ამრიგად, თავიანთი უპირატესობის გასამყარებლად დომინანტი მხარე მუდმივად ინარჩუნებდა სტერეოტიპებს აფროამერიკელებისა და ბევრი სხვა რელიგიური და რასობრივი ჯგუფის მიმართ (4).

სტერეოტიპების თეორიის შუქზე, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების როლი განსაკუთრებულია. მედიას შეუძლია შექმნას და დაამსხვრიოს სტერეოტიპები. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომამდე პრაქტიკულად მთელი ამერიკული მასმედია სხვადასხვა კატეგორიის უმცირესობებზე სტერეოტიპების შექმნით იყო დაკავებული. იტალიელებს განგსტერებად, აღმოსავლეთის მაცხოვრებლებს მოღალატეებად და ორპირებად, მექსიკელებს ზარმაცებად წარმოაჩენდნენ. ანალოგიური ვითარება იყო საბჭოთა კავშირშიც, სადაც მედია ოფიციალური იდეოლოგიის რუპორი იყო. მიუხედავად თანასწორობისა და ინტერნაციონალიზმის იდეებისა, ველიკორუსული იმპერიალიზმის მემკვიდრეები ქმნიდნენ კავკასიელების, „გრუზინების“, ჩუქჩების სტერეოტიპებს, როგორც გაუნათლებლობის, უკულტურობის, ველურობის, სიბრიყვისა და ამავედროულად გაიძვერობისა. ეს სტერეოტიპები რუსულ მედიაში ახლაც დამკვიდრებულია და დომინანტი ერის უპირატესობის ხაზგასმას ემსახურება.

სტერეოტიპები რასობრივ-ეთნიკურისა და რელიგიური კონტექსტის გარდა შესაძლებელია ასაკის, სქესის, სოციალური კუთვნილების საფუძველზეც შეიქმნას. აგრეთვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სტერეოტიპების მსხვრევა რთული და ხანგრძლივი პროცესია. მასობრივი ცნობიერება გამყარებულ ხატებს ადვილად არ ელევა და სტერეოტიპების მსხვრევა არა მასობრივად, არამედ ინდივიდუალური ცნობიერების დონეზე ხორციელდება. დარწმუნება უფრო ადვილია, ვიდრე გადარწმუნება. საზოგადოებრივი აზრი, რომელიც საკმაოდ ნელა და მხოლოდ დუმილით თანხმობით თუ იქცევა უმრავლესობის აზრად, სტერეოტიპად ჩამოყალიბების შემდეგ უკვე „საკუთარ“ აზრად იქცევა და მსოფლმხედველობრივ სიმტკიცეს იძენს. ამიტომაც არის სტერეოტიპების მსხვრევა მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის შეცვლის ტოლფასი, რაც ადამიანისთვის მტკივნეული დაზოგჯერ ტრაგიკულიცაა.

ლიტერატურა:

1. Липман Уолт. Общественное мнение. М., 2004. - с. 93
2. Моль А. Социодинамика культуры- М.: Прогресс,1973- с.120
3. Кара-Мурза с. Г. Манипуляция сознанием, - М.:Эксмо, 2009, с. 47
4. დეფლორი /დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის, თბ., საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, 2009წ., გვ. 384

## სტერეოტიპები და მედია

*ლია ქათამაძე*  
ასოც.პროფესორი

### რეზიუმე

სტერეოტიპები ახასიათებს ყველა დროსა და საზოგადოებას. მათი შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან სტერეოტიპები ხელს უშლიან შემოქმედებით პროცესებს და აფერხებენ პროგრესს. განსაკუთრებული როლი სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში ეკუთვნის მედიას. სტერეოტიპები საზოგადოებაში ხშირად ჩაგვრის, ექსპლუატაციის იარაღად იქცევა. სტერეოტიპული უარყოფითი მნიშვნელობები საშუალებას აძლევს დომინანტურ მდგომარეობაში მყოფებს დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იყოლიონ უმცირესობები. მედია ჯერ აყალიბებს სტერეოტიპებს, ხოლო ისტორიული განვითარების ახალ ეტაპზე ებრძვის მათ. სტერეოტიპების მსხვრევა ხანგრძლივი პროცესია და ინდივიდუალური ცნობიერების დონეზე წყდება.

## Stereotypes and Media

*Leah Katamadze*  
Associate professor

**Keywords:** stereotypes, public opinion, minorities, public concept, media, crash of stereotypes

### Summary

Stereotypes are characterized for all times and societies. Their studies are important, because stereotypes prevent from creative processes and impede progress. Media has the special role in creation of stereotypes. Stereotypes are mostly turned into an arm of

oppression and exploitation in society. Stereotypic negative senses allow dominant to have minorities in subordination. Media firstly establishes stereotypes, but fights against it at a new historical development stage. Crash of stereotypes is long process and it is solved at an individual conceptual level.

### Стереотипы и медиа

*Лия Катамадзе*

*Ассоциированный профессор*

**Ключевые слова:** стереотипы, общественное мнение, меньшинства, массовое сознание, крушение стереотипов.

#### Резюме

Стереотипы характерны для всех времен и обществ. Их изучение имеет значение, так как стереотипы мешают творческим процессам и препятствуют общественному прогрессу. Особая роль в формировании стереотипов принадлежит медиа. Часто стереотипы в обществе становятся орудием угнетения и эксплуатации. Негативные значения стереотипов дают возможность тем,кто находится в доминантном состоянии, иметь меньшинства в подчиненном состоянии.

Медиа сперва формирует стереотипы, а потом на определенном этапе исторического развития борется с ними. Рушение стереотипов длительный процесс и решается на индивидуальном уровне сознания.

## საინტერესო ნაშრომი ქართული ზეპირმეტყველების ოსტატობის საკითხებზე

*კატერინე შაკიაშვილი*  
*სტუ ასოც. პროფ.*

ჩვენი თანამედროვეობა, რაც უფრო უახლოვდება ინფორმაციული საზოგადოების ზღურბლს, მით მეტად იზრდება ინტერესი ინფორმაციის ფენომენისადმი და მისი შემოქმედის, რეჟისორის კომუნიკაციური როლისადმი. ამ პროცესების გააქტიურების მაუწყებელია ის გარემოებაც, რომ ენათმეცნიერებამ, როგორც ბუნებრივი (ეროვნული) ენების გრამატიკული სტრუქტურის შემსწავლელმა მეცნიერებამ, ყურადღება ენის სტრუქტურის კვლევიდან მოლაპარაკე ადამიანის ენობრივ მოღვაწეობაზე გადაიტანა, ენობრივი კომუნიკაციების შესწავლა გადააქცია ცენტრალურ პრობლემად და კომუნიკაციური ლინგვისტიკის დამკვიდრება განაპირობა.

ენობრივი კომუნიკაციების პრობლემებისადმი ინტერესი განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-90-იან წლებში გამოიკვეთა. ქართულ სინამდვილეში კი ერთ-ერთი ადრეული მეცნიერული გამოკვლევა XXI საუკუნის ათიან წლებში დაფიქსირდა. ეს იყო პროფესორების თემურ და ივანე ჯაგოდნიშვილების სახელმძღვანელოს გამიზნულობის წიგნი „ვერბალური კომუნიკაციები“, რომელიც გამომცემლობა „ტექნიკურმა უნივერსიტეტმა“ 2009 წელს გამოსცა. ამ პერიოდში გაჩნდა ენობრივი კომუნიკაციების პრობლემატიკის ამსახველი სამეცნიერო წერილები, სტატიები, გამოკვლევები. ამ მხრივ, მიზანმიმართული კვლევები გაიშალა ასევე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. სამეტყველო კომუნიკაციებისადმი მეცნიერული ინტერესის სამყაროს გამოხატულებად იქცა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასპინძლობა. დღეისათვის უკვე ჩატარებულია ხუთი ასეთი კონფერენცია, გამოცემულია კონფერენციების მასალების 6 წიგნი - შრომების კრებულები.

მიუხედავად ვერბალური კომუნიკაციების მიმართულებით კვლევების გაინტენსიურებისა, მაინც აშკარაა ერთგვარი უკმარობა. განსაკუთრებით ეს ითქმის ქართული ზეპირი ენობრივი კომუნიკაციების პრობლემების კვლევაზე. ამ თვალსაზრისით, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის მწვავე დეფიციტს ცხადყოფს ის გარემოებაც, რომ ქართული ზეპირმეტყველების ოსტატობის საკითხები საუნივერსიტეტო აკადემიური განათლების სტრატეგიის ნაწილი გახდა (ისწავლება, მაგალითად, ჟურნალისტიკის სპეციალობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ფორმატში) და ამის მიუხედავად, მეტნაკლებად საფუძვლიანი ქართულენოვანი სახელმძღვანელო არ გაგვაჩნია. ვითარებას ამ მხრივ ვერც ის გარემოება ცვლის, რომ 2001 წელს გამოქვეყნდა მ. ბერიკაშვილის წიგნი

„მეტყველების კულტურის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები (პრაქტიკული სახელმძღვანელო პროფესიონალებისათვის)“, რომელიც ფონდმა „ინტერნიუსმა“ გამოსცა. ეს წიგნი ქართული სასცენო მეტყველების ოსტატობის საკითხების სწავლებას ისახავს მიზნად, თუმცა ითვალისწინებს საჯარო პროფესიონალური მეტყველების პრობლემებსაც (ჟურნალისტების, პოლიტიკოსების... მეტყველების ოსტატობის საკითხებს). მიუხედავად იმისა, რომ მ. ბერიკაშვილმა გაარღვია ქართული სასცენო მეტყველების კვლევების ტრადიციული სივრცე - გასცდა თეატრის (სასცენო) მეტყველების ოსტატობის საკითხებს და საჯარო მეტყველების ცალკეული პრობლემებითაც დაინტერესდა, რაც, უდავოდ, დიდი დამსახურებაა, ქართული ზეპირმეტყველების ბუნების კვლევა, ფაქტობრივ, არ განუხორციელებია, რადგან უმთავრესად ენობრივი (სამეტყველო) დარღვევებისა და ამ დარღვევათა გამოსასწორებელი სავარჯიშოების აღწერა-დახასიათებით შემოიფარგლა. ამით სამეტყველო ოსტატობის საკითხების სწავლება ლოგოპედიის პრობლემების განხილვაში გადაზარდა. ნორმალურად მეტყველი ადამიანის სამეტყველო სტრატეგიებისა და მოდელების კვლევები და თუნდაც აღწერა-დახასიათებები კი მისი ინტერესების მიღმა დარჩა. ამის გამო, ჩვენში მეტყველების პროფესიონალიზმის, საჯარო ზეპირმეტყველების ოსტატობის საკითხების შემცველი სახელმძღვანელო გამიზნულობის ნაშრომის შექმნის საჭიროება კვლავაც მწვავედ იგრძნობა.

აღნიშნული თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორების თემურ ჯაგოდნიშვილისა და ივანე ჯაგოდნიშვილის ახალი სამეცნიერო ნაშრომი „კომუნიკატორის ენობრივი პიროვნება“ (2017 წ.). ამ სახელმძღვანელო გამიზნულობის ნაშრომში, როგორც ავტორები წიგნის ანოტაციაში იუწყებიან, „ენობრივი პიროვნების ლინგვისტიკური კონცეფციის შუქზე აღწერილ-დახასიათებულია ქართული ზეპირმეტყველების ენობრივი მოდელები და სამეტყველო სტრატეგიები“ და დასაბუთებულია, რომ „ენობრივი პიროვნება“ (მეტყველი ადამიანი) ამ მოდელების გადათავისებით იშვება, საკუთარი ენობრივი პრაქტიკით კი ერთი მხრივ, ამ მოდელების უტყუარობას ცხადყოფს, მეორე მხრივ, მათი არსებობის პირობას წარმოადგენს.“

„კომუნიკატორის ენობრივი პიროვნება“, როგორც სამეცნიერო ნაშრომი, სიახლეს და ნოვაციას საკვლევი საკითხებისადმი ამ არატრადიციული მიდგომითაც წარმოადგენს. საკვლევი პრობლემის თანამედროვე მეცნიერულ ტრადიციათა დონეზე გაცნობიერების მაუწყებელია მასობრივი კომუნიკაციის სივრცეში დამკვიდრებული ტერმინის „კომუნიკატორის“ გამოყენება „ჟურნალისტის“ ან „საჯარო მოხელის“, პოლიტიკოსის, პუბლიცისტის და ა.შ. ნაცვლად, კომუნიკატორი მასობრივი კომუნიკაციის სივრცეში არის პროფესიონალი (მეტყველი სუბიექტი), რომელიც მიზნობრივად ზემოქმედებს პარტნიორებზე, მასობრივ აუდიტორიაზე საჭირო რეაქციის, პასუხის, ქცევა-მოქმედების მისაღწევად. „კომუნიკა-

ტორის“ ცნება ტერმინოლოგიური დატვირთვით, ისევე როგორც ენობრივი პიროვნებისა, მოლაპარაკე ადამიანის აღსანიშნავად ჩვენში ნაკლებად გამოიყენება, მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციების, კერძოდ, მასობრივი კომუნიკაციის სფეროში სრულიად გამოკვეთილი როლებრივი შინაარსი შეიძინეს.

„ენობრივი პიროვნება“, როგორც ლინგვისტიკური ტერმინი, გასული საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა, ხოლო 80-იანი წლებიდან კომუნიკაციების პრობლემათა კვლევების ცენტრშიც მოექცა.

პროფესორების თემურ და ივანე ჯაგოდნიშვილების ნაშრომში ქართული საჯარო პროფესიული მეტყველების ბუნება, ენობრივი მოდელები, სამეტყველო სტრატეგიები მეტყველი ადამიანის ანუ ენობრივი პიროვნების პოზიციიდან არის გაანალიზებული. საფუძვლიანად არის შესწავლილი მეტყველების ბუნება, განსაკუთრებით ზეპირმეტყველების არსი, მიმართება ლინგვისტიკურ სტილისტიკასთან; განხილულია მეტყველების ისეთი კატეგორიები, როგორებიცაა: მეტყველების სიტუაციონალურობის კატეგორია, კეთილხმოვანება, იმპროვიზაცია, ემოციურობა, არაენობრივი კომუნიკაციური ელემენტები - „სხეულის ენა“, მეტყველების მიზნობრიობა.

სრულიად ლოგიკურად, დეტალურად არის განხილული მეტყველების ელემენტები: ხმა, ხმის დიაპაზონი, ხმის სიწმინდე, ხმის ტემბრი, მელოდია, ტემპი ანუ მეტყველების სიჩქარე.

ორიგინალურობით იქცევს ყურადღებას და საინტერესო მეცნიერულ სიახლეს შეიცავს მეტყველების ისეთი ასპექტების კვლევა, როგორიცაა შინაგანი მეტყველება და მისი გამოხატვა-გამომეტყველება. დაკვირვებათა სიახლით გამოირჩევა მეტყველების ისეთი პროცესუალური ასპექტები, როგორიცაა სამეტყველო სუნთქვა, ჩვევა, ქცევა, შთაბეჭდილება აქცენტუაცია და სხვ.

სარეცენზიო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტონაციის ფენომენს, მის როლს ზეპირმეტყველებაში. შეიძლება ითქვას, რომ ნ. კიზირიას შემდეგ („სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები, 1987წ.) ქართული ზეპირმეტყველების ინტონაციის საკითხები მსგავსი სიღრმითა და ყოვლისმომცველობით არავის განუხილავს. ამგვარი ინტერესი, ცხადია, ზეპირმეტყველებაში ინტონაციის ფუნქციისათვის ანგარიშგაწევით არის განპირობებული. ადამიანი სიტყვებზე მეტად ინტონაციით გამოხატავს თავის სათქმელს, მეტიც, სიტყვებისა და ფრაზების შეუცვლელად შეუძლია სრულიად განსხვავებული სათქმელის გამოხატვა, ხშირად საპირისპირო შინაარსის ჩადება. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ მეტყველების კომუნიკაციურ დონეზე ენიჭება, რადგან ინტონაციური ნიუანსები ბევრწილად განსაზღვრავს ინფორმაციის მასობრივი აუდიტორიისათვის მიწოდების ადეკვატურობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით და ენობრივი პიროვნებისათვის ინტონაციური მოდელების ცოდნა-გათავისების მნიშვნელობის გააზრებით არის განხი-

ლული ისეთი საკითხები, როგორც არის ინტონაციის არსი, ბუნება, ფუნქციონირების პირობები, გამოვლენის თავისებურებები, ინტონაციის ერთეულები - სინტაგმა, სინტაგმის სტრუქტურა, ინტონემა. დეტალურად არის განხილული ქართული მეტყველების ინტონაციური მოდელები, ემოციური წინადადებები. გამორჩეულად დიდი ადგილი აქვს დათმობილი ინტონაციის კომპონენტების ანალიზს. ამომწურავად არის განხილული ინტონაციის ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა: მახვილი (გრამატიკული, ლოგიკური, ემფატიკური, ქართული რიტმიკული მახვილი), ტემბრი, პაუზა. გაანალიზებულია პაუზის, როგორც სამეტყველო მოვლენის წერიტმეტყველებაში პუნქტუაციის ნიშნებით გამოხატვის საკითხი. უაღრესად საინტერესოა დუმილის (მეტყველი დუმილის) მოვლენის განხილვა და პაუზის ინტონაციურ მოვლენასთან დაკავშირების ფაქტი.

ქართული სამეტყველო სტრატეგიების სპეციფიკის გააზრების საფუძვლიანობის უზრუნველყოფის ფუნქცია აკისრია სარეცენზიო ნაშრომში ქართულ ბგერათა სამეტყველო თავისებურებების აღწერა-დახასიათებას. აქ ის აზრია გატარებული, რომ ბგერის სწორად წარმოთქმას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მისი არსის, წარმოთქმის პროცესუალი ასპექტებისა და გამოთქმის წესის ცოდნა. ამ მიზნის შესაბამისად, დეტალურად არის აღწერილ-დახასიათებული ქართული ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების საწარმოთქმო თავისებურებები.

საგანმანათლებლო-შემეცნებითი დანიშნულება აქვს სარეცენზიო ნაშრომში მე-19 საუკუნის დიდი რეფორმატორის ილია ჭავჭავაძის მიერ ხმარებიდან ამოღებული ასო-ბგერების დახასიათებების შეტანას. ჯერ ერთი, ამ ასო-ბგერათაგან ზოგიერთი ჯერაც იჩენს თავს ჩვენს ენობრივ პრაქტიკაში და მეორეც - ისინი ჩვენი ენობრივი ცნობიერების გამოვლინებებია და მათი ცოდნა აუცილებელია. არადა მე-19 საუკუნეში განხორციელებული ენობრივი რეფორმიდან არც ისე დიდი დროა გასული და ეს ასო-ბგერები, სპეციალისტების გარდა, აღარავის ახსოვს. საგანმანათლებლო-შემეცნებითი ფუნქციით არის შეტანილი სარეცენზიო წიგნში მეტყველების დეფექტების აღწერა-დახასიათებები. განხილულია ისეთი მოვლენები, როგორიცაა: დუდუნა მეტყველება, აჩქარებული მეტყველება, ნელი მეტყველება, არტიკულაციის დარღვევები - ალალია, დისლალია, ლოგონევროზი, სიგმატიზმი, ლამბდაციზმი, როტაციზმი, პარაროტაციზმის სამეტყველო მოვლენები.

მეცნიერული ინტერესებითა და კვლების მიმართულებით „კომუნიკატორის ენობრივი პიროვნება“ თ. და ივ. ჯაგოდნიშვილების მასობრივი კომუნიკაციის პრობლემების შესწავლის გაგრძელებაა. ამ თვალსაზრისით სარეცენზიო წიგნი მათ მიერ 2009 წელს გამოცემული ნაშრომის „ვერბალური კომუნიკაციების“ მეორე ნაწილს წარმოადგენს. ვფიქრობთ, იგი დიდ დახმარებას გაუწევს საჯარო მოხელეებს, პუბლიცისტებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, საერთოდ ქართული საჯარო მეტყველების ოსტატობის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

## ქართული ბეჭდური რეკლამის სათავეებთან

*მამუკა შელეგია*

*ასოც. პროფესორი (სტუ)*

საკვანძო სიტყვები: რეკლამა, პირველი ქართული გაზეთი, “გამოცხადებანი,” ეროვნული აქტივობის გამოსატრეფა, ევროპული.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე, როგორც საშინაო, ისე საგარეო ვითარების გამო, დაქუცმაცებულ, დარბეულ და დაუძღურებულ საქართველოში პერიოდულ გამოცემათა არავითარი შესაძლებლობა არ არსებობდა. ვითარება გარკვეულწილად შეიცვალა ერეკლე მეორის ქართლ-კახეთის სამეფოს სათავეში ჩადგომის შემდგომ. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ერეკლე II დროს, ტფილისში დროგამოშვებით გამოდიოდა გაზეთისმაგვარი პერიოდული ორგანო და მას ხელთ ჰქონდა ერთი ასეთი გაზეთი, რომელსაც “ლეპორტი” ერქვა. რაც შეეხება „ქართველთაგან გაზეთების კითხვას და გაცნობას“ ზაქარია ჭიჭინაძისვე თქმით: ეს მათ აღრიდანვე იცოდნენ: კათოლიკე მისიონერებს ძველთაგანვე მოსდიოდათ რომიდან გაზეთ „მისიონ კატოლიკ“ და ისინი მეფესა და მისი ოჯახის წევრებს უკითხავდნენ სხვადასხვა საინტერესო ცნობებს, რომ „თბილისში მყოფი უცხოელები: აკად. გულდენშტატი, ექიმი რაინგესი, პოლკოვნიკი პეტროვი და სხვ. აქაც იბარებდნენ რუსულ-ევროპულ გაზეთებს, ამრიგად, ქართველთა ჰქონდათ ევროპის გზა და კვალი, თავი და თვალი დასავლურის წინსვლისა და წარმატებისათვის.“ როდესაც პერიოდულ გამოცემათა ისტორიაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ საქართველოში ბეჭდვითი საქმის მდიდარი ტრადიცია არსებობდა ვახტანგ VI მეფობიდან მოყოლებული, მთელი საუკუნის განმავლობაში ადგილობრივი სტამბა, ზოგჯერ ხანგრძლივი ინტერვალით, ზოგჯერ კი მიჯრით უშვებდა წიგნებს. ამდენად, საზოგადოება არა მარტო გარკვეული იდეებსა და შეხედულებებს ეცნობოდა, არამედ თვალსა და გულს აჩვენებდა ნაბეჭდ პროდუქციას. თუმცა ქართული პერიოდული გამოცემა არ არსებობდა.

XIX საუკუნე ეროვნული ტრაგედიით დაიწყო. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან მისი „მიერთების“ შემდეგ ცარისტული ხელისუფლება საქართველოში თავისი სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად და განსამტკიცებლად ძირეულ ცვლილებებს ატარებდა. პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსიისათვის აუცილებელი იყო სამთავრობო კანონების, წესების, განკარგულებებისა თუ განცხადებების ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე გამოქვეყნება. (ცნობილია, იმ დროს არა მარტო ქართველთა, არამედ საქართველოში მცხოვრებ სომეხთა უმთავრეს სალაპარაკო ენას ქართული წარმოადგენდა (პ. გუგუშვილი). ამიტომაც გადაწყდა, თბილისში, რომელიც კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრი ხდებოდა, ქართულ ენაზე გაზეთი გამოცემულიყო (რა თქმა უნდა,



მისი ინიციატორები რუსი სახელმწიფო (სამხედრო) მოხელეები იყვნენ). პირველი ქართული პერიოდული გამოცემა („საქართველოს გაზეთი“ 1819-1821 წლებში გამოდიოდა. 1820 წლიდან მას „ქართული გაზეთი“ ეწოდა). რუსეთის იმპერიაში ეს პირველი არარუსულენოვანი გაზეთი იყო. მისი ისტორია კარგად არის შესწავლილი. ყურადღებას ამჯერად ამ გაზეთის იმ პუბლიკაციებზე შევაჩერებთ, რომელთაც ქართულ ბეჭდურ პრესაში სათავე დაუდეს რეკლამას.

რეკლამა კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია, თავისი დროის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ამსახველი. შეიძლება ითქვას, ის პირველ ქართულ გაზეთშიც არის. გაზეთის დამფუძნებელთა მიერ 1818 წლის მიწურულს (გაზეთის პირველი ნომერი 1819 წლის 8 მარტს გამოვიდა) დაბეჭდილი და გავრცელებული ინფორმაცია („გამოცხადება“) გაზეთის გამოცემის განზრახვის შესახებ, სხვა არა იყო, თუ არა – რეკლამა, მიმართული საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად და ხელისმომწერთა მისაზიდად. ამ განცხადებაში გადმოცემული იყო გაზეთის გამოცემის პროგ-რამა და მიზანი. რეკლამის ელემენტებს შეიცავდა მიმართვის ის ნაწილიც, რომელიც მკითხველს აცნობდა გამოცემის პერიოდულობის, ფასისა და ხელმოწერის პირობების შესახებ. „საქართველოს გაზეთში“ მასალა რამდენიმე განყოფილებაში იყო განთავსებული. სანიმუშოდ ვნახოთ გაზეთის პირველი ნომერი: „სანკტპეტერბურდს“ (მეფის სასახლის საახალწლო ცერემონიალის შესახებ), „უმაღლესი ბრძანებანი“ (სამხედრო მოსამსახურეთა დანიშვნა, გადაყვანა-გადმოყვანის ცნობები), „გამოცხადებანი“, „უცხო ქვეყნის ამბავნი“, „შერეული ამბავი“. ჩვენთვის საყურადღებოა „გამოცხადებანი“, რადგან აქ გამოქვეყნებული მასალა ფაქტობრივად ქართული ბეჭდური პრესის პირველი სარეკლამო ნიმუშებია. ამ განყოფილებაში იბეჭდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებათაგან მიწოდებული მასალა. მაგალითად: „ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან მოწოდებულნი არიან ამ ქვემოხსენებული სყიდვის მოწადენი, რომელნიც საკუთარის ვალების მოუცემლობისათვის დადებულნი არიან საქვეყნო [საჯაროდ] გასასყიდად“... სახლი თბილისში, დეისტვიტელნის სტატსკის თავადის ციციანოვისა... „აზნაურის გრიგოლ დეკანოზოვის ყმა მამუკა გონგაძე მისის შვილით და მისის ძმისწულით ნონიათი, იმ თეთრში, რომელიც ჰმართებს მას მღვდლის ერგემლიძისა...“ (№1. 8 III, 1819 წ.). „საქართველოს გაზეთის“ რედაქცია მთელი წლის განმავლობაში ცდილობდა მასალათა ამგვარი განლაგების შენარჩუნებას. გაზეთთან ერთად, ზოგჯერ გამოდიოდა დამატებითი ფურცელი, რომელიც, შეიძლება ითქვას, მთლიანად სარეკლამო მასალას შეიცავს. ასე მაგალითად, გაზეთის 33-ე ნომრის დამატების ორივე გვერდი უჭირავს საეგზარხოზოს განცხადებას ქართლისა და კახეთის სხვადასხვა საეკლესიო მამულების იჯარით გაცემის შესახებ. იგივე განცხადება გაზეთის მომდევნო ნომერშიც დაიბეჭდა, მაგრამ უკვე როგორც საგაზეთო მასალა. „გამოცხადებანის“ მასალა გაზეთში თანდათან უფრო მეტ ადგილს იკავებს, ხშირად პირველ გვერდზეც ჩნდება და მრავალ-ფეროვანიც ხდება.

ყმა-გლეხებისა და მამულების გაყიდვის გარდა ქვეყნდება სხვა ცნობებიც: ახლადდასტამბული წიგნებისა თუ სიონის სობოროსთან წიგნის დუქნის შესახებ. „სეკდემბრის კბ (22) რიცხვთაგან (რუსეთის ბიბლიის საზოგადოების განყოფილების თბილისის კომიტეტი აცხადებს, რომ სიონის სობოროსთან ახლო გახსნილია დუქანი, სადაც იყიდება წიგნი „სალმრთოისა წერილისანი უცხოდ შეკრულნი“). ამგვარი ცნობები პირველ პერიოდულ გამოცემაში სულ უფრო ხშირად ქვეყნდებოდა. გაზეთის ამავე ნომერში (№2, 14 III) კიდევ ორი ბიბლიოგრაფიული ხასიათის მასალაა დასტამბული, რომელთა მიზანი მკითხველისადმი ინფორმაციის მიწოდებაა: [„პოლიციის სამინისტროს მმართველისაგან წარმოგზავნილ] არიან საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო ღუბერნატორისადმი გასასყიდად დაბეჭდილნი ქართულის თარგმანითურთ წიგნი „კეთილშობილთ დრამოტანი“. აქვე მითითებულია სად და რა ფასად შეიძლება მისი შეძენა [... მსურველი გაცხადდეს კანცელარიაში და შეიტანოს 5 აბაზი თეთრი, ანუ 4 რუბლი ასიგნაცია]. ამგვარად, პირველ ქართულ პერიოდულ გამოცემაში ჩნდება და თავის ადგილს იმკვიდრებს ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია, რომელიც მოგვიანებით ჩამოყალიბდა, როგორც ჩვენი ჟურნალ-გაზეთების აუცილებელი ნაწილი. და კიდევ, გაზეთი იუწყება: „კოლექსი ასესორმა და კავალერმა თავადმა მიხაილ ფალავანდოვმა ჰსთარგმნა რუსულითგან ქართულსა ენასა ზედა წიგნი, რომელსაც ეწოდება ნაკაზი ხელმწიფა იმპერატრიცა ეკატერინა მეორისა მოცემული კომისიისადმი შესადგენად ჰჯულისა...“ ეს მხოლოდ საზოგადოებისათვის მიწოდებული ბიბლიოგრაფიული ფაქტი როდია, ხელისუფლებისათვის მას სხვა დანიშნულებაც ჰქონდა. ამაზე მიახიზნებს იქვე მოთავსებული ინფორმაცია: „ეს თარგმანი ერმოლოვმა იმპერატორს წარუდგინა. უკანასკნელმა კმაყოფილების ნიშნად ფალავანდოვს ძვირფასი ბრილიანტის ბეჭედი უბოძა.“ ანუ, მას ერთგვარი რეკლამის ფუნქციაც მიენიჭა, რომლის მიზანიც ქართველ თავად-აზნაურთა რუსთხელმწიფის სამსახურში ჩადგომის სურვილის წახალისება-გაცხოველება იყო. პირველი ქართული გაზეთი აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა საზოგადოების თვითგანათლების საჭიროებისა და ამ საქმეში ჟურნალ-გაზეთების მნიშვნელობის შესახებ. მაგალითად, „საქართველოს გაზეთის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ: „თითოეულმა უწყის, რომელ განვითარება და განათლება კაცთა დამოკიდებულ არს სწავლათა და კითხვისგან სასარგებლოთა წიგნთასა“. წერილის ავტორი მკითხველს აცნობს: მხოლოდ ღონდონში ყოველდღიურად დილის რვა და საღამოს შვიდი გაზეთი იბეჭდება, კვირაობით მეტიც. ამას მოყვება ქართველი მკითხველისა და პოტენციური ხელისმომწერისადმი მიმართული „დამაინტრიგებელი“ ცნობა: „ფინეთში მალე გამოსცემენ ჩვენი გაზეთის მსგავს გაზეთს. მაგრამ ის სამჯერ მეტი – რვა მანეთნახევარი ეღირება“. რედაქციის ეს მასალა (შეიძლება ითქვას - რეკლამა), არა მხოლოდ გაზეთის ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად იყო მიმართული, არამედ, ეს მოწოდება: „ქართველები ფინელებს არ ჩამოვრჩეთო – ეროვნული აქტივობის გამოხატულებაა და გვიჩვენებს, რომ გაზეთის თაოსანთა შორის

არსებობდა ძალა, რომელსაც საქართველოს ინტერესი ამოძრავებდა“ (ალ. კალანდაძე). იყო თუ არა რეკლამა პირველ ქართულ გაზეთში? რა თქმა უნდა – მაგრამ არა იმგვარი და იმ მასშტაბების, როგორსაც დღეს ვართ შეჩვეულები. ჯერ ერთი, ეს იყო პირველი პერიოდული გამოცემა, ხელისუფლების ხაზის გამტარებელი, კერძო შემკვეთებთან რედაქციის დამოკიდებულებაც არ იყო ჩამოყალიბებული, და რაც მთავარია, ქვეყანაში სოციალ-ეკონომიკური ვითარებაც ძალიან სუსტი იყო. მაგრამ გაზეთის პირველსავე ნომერში ჩნდება რუბრიკა: „გამოცხადებანი“, სადაც სხვადასხვა სახის განცხადებებია მოთავსებული. ის თანდათანობით იხვეწება, მრავალფეროვანი ხდება და სამთავრობო რედაქციების გვერდით სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს (ხშირად პირველ გვერდზეც).

საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი, თანდათან ჩაება ეკონომიკურ პროცესში, გაუმჯობესდა მიმოსვლა, დატრიალდა ფული. რა თქმა უნდა იცვლება განცხადებების (რეკლამის) შინაარსი და ფორმა. ეკონომიკური აქტივობის ნიშანია ის, რომ „ტფილისის უწყებანში“ (გამო-დიოდა 1828-1832 წწ. და რუსული გაზეთის ანალოგი იყო) თითქმის ყველა ნომერში იბეჭდება: „ფულის კურსი ტფილისსა შინა“. აქ გამოქვეყნებულ მასალებში ირეკლება სოციალ-ეკონომიკური ცვლილებანი, წერილი მიეძღვნა ტფილისში გახსნილ „პოკროვსკის იარმუის“ გახსნას. ჩნდება ახალი მოთხოვნილებანი და იცვლება განცხადებათა შინაარსი. მაგალითად, ევროპული კულტურის პროპაგანდის გამოხატულებაა, როდესაც გაზეთი აქვეყნებს ასეთ განცხადებას: „ეკატერინა ფელიესსა.. აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებასა.. ამ მომავალს თთუებში გაიხსნება მის მიერ სწავლების კლასები.. კეთილშობილ ქალთათვის და ასწავლის ენებს, ეგრეთვე საგნებსაცა რუსულათ, ფრანგულათ და ნემეცურათ და მუზიკასაცა.. საჭიროებისას მიუმატებს ტანცაობის კლასსაცა“.

ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებასთან ერთად იწყება თბილისის, შეიძლება ითქვას, ევროპეიზაციაც. 1846 წ. გაზეთი „აკაკაზი“ წერს ქალაქზე, სადაც ცდილობენ ევროპულ მანერაზე ცხოვრებას, სადაც აშენებულია სართულებიანი ქვის სახლები, სხვადასხვა დაწესებულებანი, ბაღები. იგივე გაზეთი იუწყება, რომ ტფილისში შეიძლება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ნაწარმოები საქონლის შექმნა და მითითებულია მისამართები. ასე, თანდათან, ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებთან ერთად ვითარდებოდა რეკლამაც. იხვეწებოდა ტექსტი, მრავალფეროვანი და უფრო დამარწმუნებელი იყო შინაარსი. ამდენად, ის ხელსაყრელი და საჭირო ხდებოდა როგორც მომხმარებლისათვის, ისე მეწარმისათვის და ასე გრძელდებოდა საქართველოს გასაბჭოებამდე.

**ლიტერატურა:**

ზ. ჭიჭინაძე, ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია, თბ. 1916  
 პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, თბ. 1941

ნ. ტაბიძე, პირველი ქართული გაზეთი, თბ. 1969

### ქართული ბეჭდური რეკლამის სათავეებთან

*მამუკა შელეგია*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

#### რეზიუმე

**საკვანძო სიტყვები:** პირველი ქართული გაზეთი, რეკლამა, „გამოცხადებანი“, ეროვნული აქტივობის გამოხატვა, ევროპული.

ნაშრომში აღწერილია და გაანალიზებული პირველ ქართულ პერიოდულ გამოცემაში: „საქართველოს გაზეთის“ (1819-1821 წწ. 1820 წლიდან „ქართული გაზეთი“) რუბრიკაში: „გამოცხადებანი“ გამოქვეყნებული მასალა, რომელიც ფაქტობრივად ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ბეჭდური რეკლამის პირველი ნიმუშებია.

### У истоков Грузинской печатной рекламы

*Мамука Шелегия*

*Грузинский Технический Университет*

#### Резюме

**Ключевые слова:** реклама, первая Грузинская газета, национальная активность, „გამოცხადებანი“, европейский.

В работе представлены описания и характеристика материалов первой Грузинской газеты, которые являются первыми печатными образцами рекламы Грузинской прессы.

### At the origins of the Georgian print advertising

*Mamuka Shelegia*

*Georgian Technical University*

#### Summary

**Key words:** first Georgian newspaper, advertisement, expression of national activity, „gamotskhadebani“, European.

The work provides descriptions and characteristics of the materials of the first Georgian newspaper "Sakartvelos Gazeti" (1819-1821) "Gamotskhadebani" - which are the first printed examples of advertising in the Georgian press.

**მხატვრული ტექსტის მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების  
კომუნიკოლოგიური თავისებურებები  
(ნოდარ დუმბაძის პროზის თარგმანის მიხედვით)**

*ვერიკო ხუციშვილი*

*დოქტორანტი*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**საკვანძო სიტყვები:** მხატვრული ტექსტი, ინტერკულტურული კომუნიკაცია, დისკურსი, მასობრივი აუდიტორია, თარგმანი.

**ძირითადი ნაწილი**

ყოველი ენა უნიკალურ ფენომენს წარმოადგენს, სტრუქტურული თუ ეროვნული მსოფლადქმის თვალსაზრისით. ენა სამყაროს მოდელია. ის არის ადამიანთა ურთიერთობის, აზრთა გაზიარებისა და ურთიერთგაგების საშუალება, თუმცა ენისა და აზროვნების ფენომენები არ შეიძლება მივიჩნიოთ მათ იგივეობად. რადგან ენა ურთიერთობის საშუალებაა, მეტყველების აქტი გულისხმობს მოლაპარაკესა და მსმენელს, ანუ დიალოგთან გვაქვს საქმე: მეტყველება, ჩვეულებრივ, დიალოგურია. თუმცა აქვე უნდა მოვიხსენიოთ მონოლოგის ფაქტორიც, როდესაც ადამიანი შეიძლება ლაპარაკობდეს მარტო, მსმენელის გარეშე. ენა მონოლოგის შემთხვევაშიც სოციალური მოვლენაა. მონოლოგის დროს ინდივიდი არ ქმნის ახალ ენას, ის იმავე ენაზე ლაპარაკობს, რასაც სხვებთან ურთიერთობისას იყენებდა.

მონოლოგს მოგვაგონებს წერითი მეტყველება: აქაც მოსაუბრე არ ჩანს, წერენ იმათთვის, ვინც წერის დროს მწერალთან არ იმყოფება, მაგრამ ამ დაუსწრებელ მოსაუბრეს უფრო მეტად ეწევა ანგარიში, ვიდრე დამსწრეს. ჩვეულებრივ, ორ კომუნიკატს შორის საუბრის დროს ზოგი რამ კონტექსტიდან ირკვევა, ამიტომ საუბარი ისეთ სკრუპულოზურობას არ მოითხოვს, როგორც წერის დროს არის აუცილებელი. წერის დროს ავტორი ცდილობს აზრი ისე გამოთქვას, რომ ნაწერმა გაუგებრობა არ გამოიწვიოს. ეს ნიშნავს, რომ ენის საზოგადოებრივი ფუნქცია აქაც ძალაში რჩება, მკვეთრადაა გამოხატული.

ჰუმბოლდტის აზრით, ენა უნდა განიხილებოდეს როგორც შემოქმედებითი პროცესი. ენა სულის ნების სტიმულატორია. ერის ენა ერის სულია, ხოლო მისი სული კი მისი ენაა. სწორედ ენაში ერწყმის ერთმანეთს სული, გონი და ეროვნულობა.

საზოგადოების გარეშე ენა არ არსებობს, ამიტომ ენა და მისი განვითარების კანონები შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შევისწავლით, როგორც უწყვეტ კავშირს იმ საზოგადოების ისტორიასთან, იმ ხალხის ისტორიასა და კულტურასთან, რომელსაც შესწავლილი ენა ეკუთვნის და რომელიც ამ ენის შემოქმედი და მატარებელია. აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოების განვითარება ენის განვითარების საფუძველს ქმნის.

კომუნიკაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ურთიერთობას, აზრის გაცვლას“. სხვადასხვაენოვანი სოციუმის კომუნიკაცია რთული პროცესია, რადგან ისინი განსხვავებული კულტურის მქონენი არიან. მხატვრული ტექსტის დონეზე ინტერკულტურული კომუნიკაციის თავისებურებების შესახებ მართებული იქნება ვთქვათ, რომ ეს არის საკომუნიკაციო პრობლემების გადატანა ერთი ეროვნულ-კულტურული კოდიდან მეორე ენაში ინტერკულტურული განსხვავებებით. ერთი სიტყვით, მხატვრული თარგმანი - ესაა კოდირებისა და ინფორმაციის გადაცემის ერთმიმართულებიანი პროცესი; მას შეუძლია შექმნას და მიაწოდოს ამა თუ იმ სოციუმს „სამყაროს საერთო ხატი“, ასევე ქმნის გარკვეული საზოგადოების სურათს, გადასცემს კულტურის ფასეულობებს თაობიდან თაობამდე, ირგებს ერთგვარი მეგზურის როლს ინტერკულტურული კომუნიკაციის ფარგლებში. გარდა ამისა, მას შეუძლია მასობრივ აუდიტორიაზე გარკვეული ემოციური მუხტის ან სხვა კულტურიდან განსხვავებულ სოციუმზე ფასეულობების, შეხედულებების თუქცევის ნორმების გადაცემა.

კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს შორის ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა წერიტი კომუნიკაცია, რომელსაც შეტყობინების კოდირების განსაკუთრებული სისტემა აქვს. მხატვრული ნაწარმოების ტექნოლოგია, შეავსოს ადგილისა და სივრცითი მანძილი შეტყობინების გამგზავნასა და მიმღებს შორის, სრულიად უნიკალურია. მასში აღწერილია გარემომცველი სინამდვილის მოვლენები, ინტერპრეტირებულნი მთხრობელის მიერ და შევსებულნი სხვადასხვა პოზიციებიდან, რათა მიმღებისთვის გაადვილდეს ფასეულობების მიღება და გათავისება, ადამიანის გარემომცველი სამყაროს ნორმების შეფასება. აქ ყოველთვის თავს იჩენს ადრესანტის ფსიქოლოგიური ტიპი და მისი ემოციონალური ფაქტორი, ასევე, ეთიკური და ესთეტიკური მოთხოვნილებების ნაკრები.

მხატვრული ნაწარმოებების თარგმანები, როგორც მასობრივი აუდიტორიის ცნობიერებაზე ზემოქმედების საშუალება, პრაგმატულ ასპექტში გარკვეულ თავისებურებებს აწყდება. მართალია, თარგმანი ხელს უწყობს განსხვავებულ კულტურათა სოციუმების ან ეთნიკური ჯგუფების ურთიერთგაგებას, თუმცა პიროვნული იდენტიფიცირების, როგორც თავის გარემოს სრულყოფილი წევრის ფაქტორი ყოველ ინდივიდს საშუალებას აძლევს, მართებულად მიიჩნიოს

სოციალური ფასეულობების მისეული გაგება;იგი ეცნობა უცხო კულტურათა ქცევის ნორმებს, ან მოირგებს თავის საზოგადოებაზე, ან უგულვებელყოფს მას, რათა შეინარჩუნოს ინდივიდუალურობა.

ნაწარმოების აუდიტორიაზე ზემოქმედება განპირობებულია ლიტერატურის კრიტიკოსთა ინტერპრეტაციით და შეფასებით, რაც გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. სწორედ მათგან მომდინარეობს ნაწარმოების მხატვრული კონცეფციის შეფასება, მისი შესაბამისობა იმ ღრმადამიანურ მიზნებთან, რომელიც ეხმიანება საზოგადოების ფუნდამენტალურ მოთხოვნებს. საკმაოდ რთული პროცესია, როცა საქმე ეხება სხვა ეროვნების, სხვა კულტურის სოციუმთან კავშირს, რადგან ყოველი ერი განსხვავებულ ნიშან-თვისებებს ფლობს და გარე სამყაროში მიმდინარე პროცესებს სხვადასხვაგვარად აღიქვამს. თუკი გვსურს სხვა კულტურებთან წარმატებული ურთიერთობების დამყარება, უნდა ვიცნობდეთ მათ მსოფლმხედველობას, აზროვნებასა და მოვლენათა შეფასების სისტემას; ამაში დიდი როლი ენიჭება უცხო ენების ცოდნას, რის საშუალებითაც ვუახლოვდებით ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრე საზოგადოების ცნობიერებას, მენტალობას, აზროვნებასა და ცხოვრების წესს, გარკვეულწილად, მათი ხედვისარეალი განაპირობებს სამყაროს აღქმას, ერთი სიტყვით, მყარდება აქტიური კომუნიკაციური პროცესი ორ განსხვავებულ სოციუმს შორის.

ეთნოკულტუროლოგიის პრობლემათა ტრანსპოზიციას, ამა თუ იმ სოციუმის ენისა და პიროვნების მეტყველების ჩვენებას ემსახურება დისკურსი - ანუ ტექსტი, რომელიც მოიცავს ექსტრალინგვისტურ, პრაგმატიკულ, ფსიქოლოგიურ, სოციოკულტურულ თუ ლინგვოკულტურულ ფაქტორებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისკურსი - ესაა ნებისმიერი ლინგვოკულტურული საზოგადოების კომუნიკაციური მარკერი, ხოლო მხატვრული ტექსტის დისკურსი კი ამ მარკერის ანალოგს წარმოადგენს, დატვირთულს ესთეტიკური და ექსპრესიულ-ემოციური საკომუნიკაციო ფუნქციით. მხატვრული დისკურსი ლინგვისტურ-ესთეტიკური, ემოციონალურ-ფსიქოლოგიური ღირებულებების მქონე დასრულებული ტექსტია, რომელიც სხვადასხვა ენობრივ სოციუმში სახეცვლილია და სოციოლინგვისტურ სახესხვაობებს ავლენს.

ურთულეს პროცესს თარგმანში წარმოადგენს მხატვრულ დისკურსში არსებული ენის, პიროვნებისა და ეთნოკულტუროლოგიის პრობლემათა ტრანსპოზიციაც. თარგმანი, როგორც, ენათაშორისი კომუნიკაციისა და მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების ერთ-ერთი ქვაკუთხედი, ორიგინალში გადმოცემული ემოციურ-შემფასებლური შტრიხების ადეკვატური ანალოგიების მოძიებას ემსახურება.

ნ. დუმბადის მხატვრულ მეტყველებას თან ახლავს სოციალური შეფერილობის მარკერები, რომელთა თარგმანში ადეკვატურად წარმოჩენა

მთარგმნელის ნიჭსა და ინდივიდუალურ მიდგომაზეა დამოკიდებული. დედნის შეპირისპირება რუსულენოვან და ინგლისურენოვან თარგმანთან ხშირად გვაფიქრებინებს, რომ ინგლისელი მთარგმნელის დაშვებული შეცდომები რუსულენოვანი თარგმანის გავლენის შედეგია. სწორედ რუსულ თარგმანში ფიქსირდება ის ლაფსუსები, რაც ასე ჭარბობს ინგლისურენოვან ნიმუშებში:

**„ობოლი ვარ და ჩემი კვერი რომ გამოცხვება, ცოტას მოგიტეხავ- მეთქი“...**

რუსული: „Я несчастный сирота“...ინგლისური: “I was a poor orphan -boy”...

ასევე - „სარკესავით კამკამა ცა“ - Чистое голубое небо - The pure blue sky

მხატვრული დისკურსის უმნიშვნელოვანეს პირობას საკომუნიკაციო გარემო წარმოადგენს, თუ რა სოციალურ გარემოში ექვევა ავტორის ინტენცია, როგორ აღიქვამს მის მიერ მიწოდებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას თუ სიბრძნეს ესა თუ ის ინდივიდი, ანუ პასიური კომუნიკანტი. თუ მხატვრულ ტექსტის რომელიმე მონაკვეთში ავტორის საკომუნიკაციო ფორმა დაკვირვებაა, სიუჟეტის განვითარების შემდგომ ეტაპზე ის დამკვირვებლად გვევლინება, ასევე ვხვდებით აღწერით პასაჟებს ან ფიქრის პროცესს, სადაც მთხრობელი კომენტატორად წარმოჩნდება.

დედნის ენის ემოციურ და ექსპრესიულ პლანს ენაცვლება სათარგმნი ენის სოციოკულტურული არეალის ნორმები, რაც თარგმანში ტრანსპოზიციის მცდარობასა და ხარვეზებს იწვევს.

**„აღდგომა და ხვალეო...“** თარგმანშია - „поживем, увидим...“

**“Well, we’ll see...”**

მხატვრულ დისკურსში კომუნიკაციის სუბიექტები რამდენიმე ჭრილში განიხილება; ერთ-ერთი ასეთ სუბიექტად მთხრობელი - ავტორის ხატი მოიაზრება, მეორე სუბიექტი კი ყოველთვის მკითხველის (მიმღების) მხატვრული ხატის განსახიერებაა. მთხრობელი ავტორის ხატი ორგანულად უკავშირდება მკითხველთა კატეგორიას.

მხატვრული დისკურსი ესთეტიკური ფუნქციით დატვირთული მხატვრული რეალობაა. ტექსტის გაგებისთვის მნიშვნელოვანია კულტურის ტრადიცია, რომლის დონეზეც უნდა ხდებოდეს ნებისმიერი სახის ინტერპრეტაცია. მრავალი მკვლევარი ინტუიციასთან ჰერმენევტიკას (აზრის გაგებისა და ინტერპრეტაციის თეორია) აკავშირებს, რაც ხდება მხატვრული ტექსტის გააზრების საფუძველი, თუმცა ლოგიკურ- ანალიტიკური და სხვადახვა მეთოდოლოგიური ხერხებიც აუცილებელი ფაქტორია ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის პროცესში. სწორედ ამ შემთხვევაში ყალიბდება პიროვნება კულტურის სოციალურ სუბიექტად „იგი თავს შეიმეცნებს სხვათა სულიერების ჭრილში, თუმცა სხვების გაგება ხდება საკუთარი თავიდან გამომდინარე“ (Комиссаров. 1978 :167 )

ცნობილი ლიტერატურათმცოდნე თ. ჯაგოდნიშვილი მიუთითებს, რომ მხატვრული კომუნიკაციის სტრუქტურა სამი სახეობის კომპეტენციათა სინთეზს



წარმოადგენს - პირველი, კომუნიკაციური ინიციატივის სუბიექტი- ავტორი, მეორეა - ინტერნაციონალური კომუნიკაციის ობიექტი, მესამე- ადრესატი (მკითხველი). ეს სამი სახის კომუნიკაცია (კრეაციული, რეფერენტული, რეცეფციული) კულტურის ერთ-ერთ ფუნდამენტურ სახეს წარმოადგენს(თ. ჯაგოდნიშვილი. გვ 331).

ინტერკულტურული კომუნიკაციის დროს განსაკუთრებულად იჩენს თავს ავტორისეული შემეცნების საგანი, როგორცაა ინდივიდის როლი და ადგილი საზოგადოებაში.დუმბაძის რომანები ესთეტიკური ნორმების, სულიერ ღირებულებათა და კულტურულ ფასეულობათა ხედვის ნაზავს წარმოადგენს. ამ, ერთი შეხედვით, თითქოსდა, მარტივ, მსუბუქად საკითხავ, სევდანარევი იუმორით გაჯერებულ რომანებს საფუძვლად უდევს დიალოგი, როგორც მოქმედების სიტყვიერი ფორმა და კომუნიკაციის ყველაზე საინტერესო ასპექტი, რაც ნოდარ დუმბაძის მხატვრული სტილის ძირითადი ფორმა და ტექსტის აგების კომპოზიციური ხერხია.

ნ. დუმბაძის მხატვრული ენის თავისებურებების მიუხედავად, მის ნაწარმოებებში ვხვდებით ისეთ ინტერკულტურულ მარადიულ კონცეპტებს - მზე, მთვარე, სიკვდილი, სიცოცხლე,დღე,ღამე, რომლებიც, კომუნიკოლოგიური თვალსაზრისით მარტივად მისაღები ხდება უცხოენოვანი მკითხველისთვის თარგმანში. სოციოლოგიური მიდგომით, ნაწარმოების გავლენის ძალა მკითხველზე და ამ ზემოქმედების გავრცელება სხვადასხვა სოციალურ წრეებზე ცვლის ამ ნაწარმოების არსსა და მნიშვნელობას, ასევე, ფუნქციონალურ დომინანტს.

### დასკვნა

ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ, ზოგადად, ადამიანებს აქვთ ლოგიკური აზროვნების ერთი საერთო წყობა, სწორედ ეს ერთობა , ლოგიკური ფორმირების საერთო- საკაცობრიო ხასიათი, ისევე, როგორც ენაში არსებული უნივერსალიები, ქმნიან მთარგმნელობითი საქმიანობის საფუძველს და ახორციელებენ ინფორმაციის უწვეტი ნაკადის ეფექტურ მენეჯმენტს ინტერკულტურულ კომუნიკაციაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. დუმბაძე -თხზულებანი ოთხ წიგნად, წიგნი II. 1990. „მარადისობის კანონი“.
2. N.Dumbadze – “The Law of Eternity” – 1990
3. Думбадзе Н.” Закон вечности”. М.1981

4. ლებანიძე გ., ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი, 1998.
5. ლებანიძე გ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი, 2004.
6. ლებანიძე გ., კულტუროლოგიის საფუძვლები. თბილისი, 2004.
7. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი. - ვერბალური კომუნიკაციები, თბ, 2009.
8. ჯაგოდნიშვილი თ., - “ისევ სუნთქავენ ქართულ ოცნებით მესხეთის მთებზე დიდი ტაძრები“.თბილისი, 2016.
9. საყვარელიძე ნ., თარგმანის თეორიის საკითხები. (ლინგვისტური და ექტრალინგვისტური ასპექტები) თბილისი, 2001.
10. ფურცელაძე ვ., „ტექსტი, როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი გაცხადება“, თბილისი, 1998.
11. საყვარელიძე ნ.- თარგმანის თეორიის საკითხები - თბ.1998
12. ფანჯიკიძე დ. - თარგმანის ახალი თეორია და სტილის ეკვივალენტურობის პრობლემა - თბ. 1995
13. ჩხეიძე მ. ტექსტის ლინგვისტიკა. თბ.2005
14. თაბუკაშვილი რ. ტექსტის რეფერირება და ანოტირება. თბ.2004
15. Арутюнова И.Д., Истина и этика. Логический анализ языка. Москва. 1995.
16. Маслова В. Лингвокультурология. М. 2004.
17. Библер В.С.- «От наукоучение к логике культуры» М. 1991.
18. Гадамер Х.-Г.- « Истина и метод.» М. 1988.
19. Макаров М.С. – Основа теории дискурса. М. 2009.
20. Швейцер А.Д. Перевод и лингвистика. М. 1978.
21. Комиссаров. В.Н – Лингвистика перевода– М.“М.О”,1980
22. Комиссаров. В.Н.,„Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике» - М.“М.О“,1978
23. ГАК.В.Г,Львин Ю.И. – Практический курс переводаМ,1985

**მხატვრული ტექსტის მასობრივ აუდიტორიაზე ზემოქმედების  
კომუნიკოლოგიური თავისებურებები (ნოდარ დუმბაძის პროზის თარგმანის  
მიხედვით)**

**საკვანძო სიტყვები:** მხატვრული ტექსტი, ინტერკულტურული კომუნიკაცია, დისკურსი, მასობრივი აუდიტორია, თარგმანი.

## რეზიუმე

მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდება სინამდვილის ინტერპრეტაციის ჭრილში მხატვრული პროზის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. მხატვრული კომუნიკაცია მასობრივი აუდიტორიის დაინტერესებას მრავალმხრივი, ალტერნატიული ტექსტების საშუალებით აღწევს.

მხატვრული კომუნიკაცია ეყრდნობა სინამდვილეს, თუმცა მის რეინტერპრეტაციას ახდენს გაცილებით უფრო რომანტიკულ ჭრილში. ამდენად, ხშირ შემთხვევებში, ვიდრე რეალობა, მხატვრული კომუნიკაციის ზეგავლენა მასობრივ შემეცნებაზე უფრო მეტად ზემოქმედებს და ფართო მასებისთვის გზამკვლევი ხდება.

ინტენსიური ენათაშორისი კომუნიკაციის ფონზე მხატვრული ტექსტის თარგმანი წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც მსოფლიო საზოგადოება თავისუფლად ახერხებს კომუნიკაციის ძირითადი მიზნის-ურთიერთგაგების მიღწევას.

### **Коммуникологические особенности влияния художественного текста на массовую аудиторию (по переводам прозы Нодара Думбадзе)**

*Верико Хуцишвили*

*Докторант*

*Грузинский технический университет*

**Ключевые слова:** Художественный текст, интэркультурная коммуникация, дискурс, массовая аудитория, перевод.

## Резюме

Подача информации читателю в разрезе интерпретации реальности является одной из главных функций художественной прозы. Заинтересованность массовой аудитории художественная коммуникация осуществляет с помощью разносторонних, альтернативных текстов.

Художественная коммуникация основывается на реальности, хотя производит ее реинтерпретацию в более романтическом стиле. Поэтому, часто чем реальность, художественная коммуникация больше влияет на массовое сознание и становится путеводителем широких масс.

На фоне интенсивной межъязыковой коммуникации перевод художественного текста является тем инструментом, с помощью которого мировое сообщество свободно достигает основной цели коммуникации - взаимопонимания.

**Communicative characteristics of fiction's influence on mass audience (Based on translation of prosaic works by Nodar Dumbadze)**

*Veriko Khutsishvili*

*PH-D Studies*

*Georgian Technical University*

**Key words:** Fiction, Intercultural communication, discourse, mass audience, translation

**Abstract**

Conveying the information via interpretation of reality to the readers is one of the main functions of prose fiction. Artistic communication fulfils its goal – attracts mass audience by means of comprehensive, alternative texts.

Artistic communication is based on reality. However, it is re-interpreted in a more romantic way. Therefore, the impact of artistic communication is greater on mass awareness than reality, serving as a guide for the audience.

Within the intensive inter-language communication, translation of fiction represents a tool, enabling the world society to achieve the main aim of communication-understanding.

სოციალური და ზოგადსამეცნიერო დისციპლინები -  
Социальные и общенаучные дисциплины –  
Social and scientific disciplines

პროექტის ღირებულების მართვა

*ნატო ბებიაშვილი*  
*სტუ ასოცირებული პროფესორი*  
*არჩილ გრიგალაშვილი*  
*სტუ ასოცირებული პროფესორი*

**საკვანძო სიტყვები:** პროექტების მართვა, პროექტის ღირებულება, პროექტის მენეჯერი

პროექტის ღირებულების მართვა მოიცავს პროცესებს, რომლებიც სრულდება პროექტის დაგეგმარებისას, ბიუჯეტის დამუშავებისა და ხარჯების კონტროლისას, რაც უზრუნველყოფს პროექტის დამთავრებას დამტკიცებული ბიუჯეტის ჩარჩოებში. ნახ. 1-ზე მოცემულია საერთო სქემა ქვემოთმოყვანილი სამი პროცესისა. პროექტის ღირებულების მართვა მოიცავს შემდეგ სამ პროცესს:

1. ღირებულებითი შეფასება – რესურსების ღირებულების სავარაუდო განსაზღვრა, რაც აუცილებელია პროექტის შესასრულებლად.
2. დანახარჯთა ბიუჯეტის დამუშავება – ცალკეული ოპერაციების ან სამუშაოთა პაკეტების ღირებულების შეფასების დაჯამება და საბაზისო გეგმის ფორმირება ღირებულების მიხედვით.
3. ღირებულების მართვა – იმ ფაქტორებზე ზემოქმედება, რომლებიც იწვევენ ღირებულებიდან გადახრას და პროექტის ბიუჯეტის ცვლილებების მართვა.

პროექტის მოთხოვნის მიხედვით თითოეულ პროცესში შეიძლება მონაწილეობდეს ერთი ან რამდენიმე ადამიანი ან ჯგუფი. ყოველ პროცესს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ერთხელ მაინც თითოეული პროექტის დამუშავებისას, ხოლო თუ პროექტი დაყოფილია ფაზებად – პროექტის ერთ ან რამდენიმე ფაზაში.

პროექტის ღირებულების მართვა უპირველესად ეხება რესურსების ღირებულებას, რაც აუცილებელია გეგმიური ოპერაციების შესასრულებლად. თუმცა პროექტის ღირებულების მართვისას, გათვალისწინებული უნდა იყოს თუ როგორ აისახებიან მიღებული გადაწყვეტილებანი პროექტის ექსპლუა-

ტაციის ღირებულებაზე, მომსახურებასა და ტექნიკურ ხელშეწყობაზე, პროექტის შედეგსა და მომსახურებაზე. მაგალითად საკონტროლო შეფასებების რაოდენობის შემცირებამ დაპროექტების ეტაპზე შეიძლება შეამციროს პროექტის ღირებულება დამკვეთის საექსპლოატაციო დანახარჯების გაზრდის ხარჯზე. პროექტის ღირებულების მართვას ამდაგვარი ფართე გაგებით ხშირად უწოდებენ „დანახარჯთა აღრიცხვას სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში“. ხსენებული აღრიცხვიანობა სარგებლიანობის ოპტიმიზაციის მეთოდებთან შეერთებისას (შეხამებისას), ხელს უწყობს ოპტიმიზაციის პროცესს გადაწყვეტილების მიღებისას. აგრეთვე შეიძლება ხელი შეუწყოს ღირებულების შემცირებას და პროექტის შესრულების ვადის შემოკლებას, პროექტის მიწოდების შედეგის ეფექტიანობის და ხარისხის ამაღლებას.

გამოყენების ბევრ სფეროში პროექტის ფინანსური ეფექტიანობის პროგნოზირება და პერსპექტიული ანალიზი სრულდება პროექტის ჩარჩოებს მიღმა. სხვაში – მაგალითად, კაპიტალური მშენებლობის პროექტებში – პროექტის ღირებულების მართვა ამდაგვარ სამუშაოსაც შეიცავს. იმ შემთხვევაში, როდესაც ამდაგვარი პროგნოზირება და ანალიზი ჩართულია პროექტში, პროექტის ღირებულების მართვა შეიცავს დამატებით პროცესებს და რიგ მეთოდებს საერთო მენეჯმენტის სფეროდან, მაგალითად მოგება ინვესტირებულ კაპიტალზე, ნაღდი ფულის დისკონტირებული ნაკადი და საინვესტიციო საშუალებათა ამონაგების ანალიზი.

პროექტის ღირებულების მართვა ითვალისწინებს სპეციფიკურ მოთხოვნებს ინფორმაციის მიმართ, რომლებსაც მოითხოვენ პროექტის მონაწილეები. ეს უკავშირდება იმას, რომ პროექტის ზოგი მონაწილე პროექტის ღირებულების გაანგარიშებას სხვადასხვა ხერხებით და სხვადასხვა დროს ანხორციელებენ. მაგალითად, მოწოდებლობის შექმნისას მისი ღირებულება შეიძლება შეფასდეს შესყიდვის გადაწყვეტილების მიღების ან შეტყობინების მომენტისთვის ან შეკვეთის გაფორმებისას, ან მიღებისას, ხოლო მისი ფაქტობრივი ღირებულება აღრიცხება ან ფიქსირდება პროექტის ხარჯების აღნუსხვისას.

ზოგიერთ პროექტში, განსაკუთრებით მცირე პროექტებში ღირებულებითი შეფასება და ხარჯვითი ბიუჯეტის დამუშავება იმდენად მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული, რომ განიხილებან, როგორც ერთიანი პროცესი, რომელიც შეიძლება შეასრულოს ერთმა ადამიანმა დროის მცირე მონაკვეთში. ღირებულების ცვლილებები შესაძლებელია უმეტესად პროექტის ადრეულ სტადიებზე, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია პროექტის განსაზღვრა ადრეულ სტადიაზე. სამუშაოებს, რომლებიც შეადგენენ პროექტის ღირებულების მართვის სამ პროცესს, ჩვეულებრივ წინ უსწრებს დაგეგმარების ორგანიზება, რომელსაც ასრულებს პროექტის მართვის ჯგუფი. დაგეგმარების ორგანიზება პროექტის ღირებულების მართვის დამუშავების პროცესის ნაწილია.

პროექტის მართვის გეგმის შემუშავების პროცესი მოიცავს ოპერაციებს, რომლებიც აუცილებელია ყველა დამხმარე გეგმის პროექტის მართვის გეგმაში ინტეგრაციისა და კოორდინაციისათვის. პროექტის მართვის გეგმის შინაარსი იცვლება პროექტის გამოყენების სფეროსა და სირთულიდან გამომდინარე. ამ პროცესის შედეგია პროექტის მართვის გეგმა, რომელიც განახლება და რედაქტირდება ცვლილებების მართვის საერთო პროცესის ფარგლებში. პროექტის მართვის გეგმა განსაზღვრავს თუ როგორ უნდა სრულდებოდეს, კონტროლდებოდეს და იხურებოდეს პროექტი.

ღირებულების მართვის პროცესები და მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტები და მეთოდები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის მიხედვით თუ რომელ სფეროში გამოიყენებიან. ჩვეულებრივ ისინი განისაზღვრებიან პროექტის სასიცოცხლო ციკლის დასაწყისისას და ღირებულების მართვის გეგმაში არიან დოკუმენტალურად დაფიქსირებული.

მაგალითად, ღირებულების მართვის გეგმაში დაფიქსირებული უნდა იყოს:

- \* **სიზუსტის ხარისხი.** გეგმიური ოპერაციების ღირებულებითი შეფასებისას, მონაცემები გარკვეული სიზუსტით მრგვალდება (მაგ. 100 ლარამდე (დოლარამდე ან 1000-მდე) იმის მიხედვით თუ რა ოპერაციები ტარდება და რა სიდიდისაა პროექტი; ამდგვარ ფინანსურ დამრგვალებაში შეიტანება დანახარჯები გაუთვალისწინებელ გარემოებებზე.
- \* **საზომი ერთეულები.** რესურსების ყოველი ტიპისთვის გამოიყოფა საზომი ერთეულები, მაგალითად კაც-საათი, კაც-დღე, კაც-კვირა, ერთდროული გადახდა.
- \* **საორგანიზაციო პროცედურების კავშირები.** პროექტის სამუშაოების იერარქიული სტრუქტურის ყოველი ელემენტი, რომელიც გამოყენება პროექტის ღირებულების კალკულაციისთვის საკონტროლო ანგარიშად იწოდება. ყოველ საკონტროლო ანგარიშს მიეკუთვნება კოდი ან ანგარიშის ნომერი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული შემსრულებელი ორგანიზაციის ბუღალტრულ სისტემასთან. თუ საკონტროლო ანგარიშში შეტანილია დაგეგმილი სამუშაოთა პაკეტის ღირებულებითი შეფასება, იქვე შეტანილ უნდა იქნეს პაკეტების გეგმიური სამუშაოთა ბიუჯეტის დამუშავების მეთოდი.
- \* **საკონტროლო ზღუდეები (საზღვრები).** შეიძლება განისაზღვროს დანახარჯების გადახრათა ან სხვა მაჩვენებელთა ზღვარი (მაგალითად, კაც-დღეების ან პროდუქციის მოცულობა) დროის განსაზღვრულ მომენტებში პროექტის განმავლობაში, რათა დადგინდეს ფაქტობრივი გადახრა წინასწარ დათქმულთან შედარებით.
- \* **ათვისებული მოცულობის გაანგარიშების წესები.** სამი მაგალითი:

- 1) ათვისებული მოცულობის მართვისთვის განისაზღვრება გაანგარიშების ფორმულები, რომლებიც აუცილებელია რათა დასრულებამდე გაკეთდეს პროგნოზი.
- 2) განისაზღვრება ათვისებული მოცულობის კრედიტის კრიტერიუმები (მაგალითად 0-100, 0-50-100 და ა.შ.)
- 3) განისაზღვრება პროექტის სამუშაოების იერარქიული სტრუქტურის დონე, რომელზედაც კეთდება ანალიზი ათვისებული მოცულობის მეთოდის მეშვეობით.

\* **ანგარიშების ფორმატები.** ხარჯთა სხვადასხვა ანგარიშების ფორმატები განისაზღვრება.


\* **პროცესების აღწერა.** ღირებულების მართვის სამივე პროცესის (თითოეულის) აღწერა დოკუმენტურად ფიქსირდება.

ღირებულების მართვის გეგმა, დამუშავდება პროექტის დაგეგმარების ადრეულ სტადიაზე და განსაზღვრავს ღირებულების მართვის სამივე პროცესისათვის ცალ-ცალკე ჩარჩოებს, რათა უზრუნველყოს ამ პროცესების ეფექტიანობა და ურთიერთშეთანხმებულობა.

პროექტის შესრულების ხელმძღვანელობის და მართვის პროცესი მოითხოვს მენეჯერისაგან და პროექტის გუნდისაგან მთელი რიგი მოქმედებების შესრულებას პროექტის მართვის გეგმის შესრულებისათვის, აგრეთვე იმ სამუშაოს შესრულებას, რომელიც განსაზღვრულია პროექტის შინაარსის აღწერაში. ეს მოქმედებებია:

- ოპერაციების შესრულება პროექტის მიზნების მიღწევისათვის.
- შრომითი რესურსების და ფულადი სახსრების დახარჯვა პროექტის მიზნების მიღწევისათვის.
- პროექტის გუნდის წევრების შერჩევა, სწავლება და მართვა.
- პოტენციური მომწოდებლებისაგან წინადადებების მიღება.
- გამყიდველების ამორჩევა პოტენციური მომწოდებლების სიიდან.
- რესურსების, მათ შორის მასალების, ინსტრუმენტების, მოწყობილობების და შენობა-ნაგებობების შექმნა, გამოყენება და მართვა.
- დაგეგმილი მეთოდების და სტანდარტების დანერგვა.
- პროექტის მოწოდების შედეგების შექმნა, კონტროლი, შემოწმება და რეაქტიფიკაცია.
- რისკების მართვა და რისკებზე რეაგირების ზომების განხორციელება.
- გამყიდველების მართვა.
- პროექტის შინაარსის და გეგმების მოწონებული ცვლილებების ადაპტაცია.
- კომუნიკაციის არხების, როგორც გარე, ისე შიდასაპროექტო, შექმნა და მართვა.





ნახ. 1. პროექტის ღირებულების მართვის საერთო სქემა

- პროექტის მონაცემების შეგროვება და დანახარჯების შესახებ ანგარიშების, აგრეთვე მიმდინარე მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა პროგნოზირებისათვის.
- დაგროვებული ცოდნის შეგროვება და დოკუმენტირება და მოწონებული პროცესების გაუმჯობესებისათვის ოპერაციების განხორციელება.

## დასკვნა

პროექტის მენეჯერი პროექტის მართვის გუნდთან ერთად მართავს პროექტის დაგეგმილი ოპერაციების შესრულებას და ასევე სხვადასხვა ტექნიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთკავშირებს, რომლებიც არსებობენ პროექტის ფარგლებში. პროექტის შესრულების მართვის პროცესზე უშუალოდ მოქმედებს პროექტის გამოყენების სფერო. პროექტი და მომსახურება, რომელიც მიიღება პროექტის რეალიზაციისას ხშირად წარმოადგენს მიწოდების მატერიალურ რეზულტატს, მაგალითად შენობები, გზები და ა.შ. თუმცა ასევე შეიძლება გვექონდეს არამატერიალური შედეგებიც, ისეთი, როგორცაა მაგალითად სწავლება.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Руководство к своду знаний по управлению проектами. Project Management Institute, USA, 2004
2. ნატო ბებიაშვილი, ბიუჯეტირება და კონტროლი, კონსპექტი. თბ. 2011, 141გვ.
3. Мазур И. И. Управление проектами. Б М: Экономика, 2001

## პროექტის ღირებულების მართვა

*ნატო ბებიაშვილი  
სტუ ასოცირებული პროფესორი  
არჩილ გრიგალაშვილი  
სტუ ასოცირებული პროფესორი*

## რეზიუმე

**საკვანძო სიტყვები:** პროექტების მართვა, პროექტის ღირებულება, პროექტის მენეჯერი

სტატიაში განხილულია პროექტის ღირებულების მართვის სამი ძირითადი პროცესი: 1. ღირებულებითი შეფასება; 2. დანახარჯთა ბიუჯეტის დამუშავება; 3. ღირებულების მართვა.

პროექტის მენეჯერი პროექტის მართვის გუნდთან ერთად მართავს პროექტის დაგეგმილი ოპერაციების შესრულებას და ასევე სხვადასხვა ტექნიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთკავშირებს.

## УПРАВЛЕНИЕ СТОИМОСТЬЮ ПРОЕКТА

*ნათო ბეზიაშვილი*

*Ассоциированный профессор ГТУ*

*არჩილ გრიგალაშვილი*

*Ассоциированный профессор ГТУ*

### Резюме

**Ключевые слова:** управление проектами, стоимость проекта, менеджер проекта.

В статье рассмотрены три основных процесса управления стоимостью проекта: 1) стоимостная оценка; 2) разработка бюджета расходов; 3) управление стоимостью. Приведена соответствующая схема.

Менеджер проекта вместе с командой менеджмента проекта следит за исполнением запланированных операций проекта. Кроме этого, управляет различными техническими и организационными взаимосвязями.

### Project Management Evaluation

*Nato Bebiashvili*

*GTU, Associate Professor*

*Archil Grigalashvili*

*GTU, Associate Professor*

### Abstract

**Key words:** project management, project evaluation, project manager.

The paper reviews three key processes in project evaluation management: value assessment, cost processing, evaluation management. Project manager, along with the project team, is in charge of operations and coordinates technical and organizational interactions within a project.

## რელიგიურ-ეთიკური პოზიციები და საზოგადოება

*ქეთევან გაფრინდაშვილი*  
*სტუ. ასისტ. პროფესორი*

**საკვანძო სიტყვები:** მომხმარებლური ცივილიზაცია; სიამოვნების პრიზმა; თეოლოგიურ ზნეობა; რელიგიურ-ეთიკური; ეროვნული კონცეფცია; ბასტიონი.

საოცარ ეპოქაში ვცხოვრობთ, მსოფლიოს დიდი ნაწილი თითქოსდა განათლებულია ქრისტიანულად, დედამიწის ყოველ კუნჭულში შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც თავს ქრისტიანებად მიიჩნევენ. მეტიც, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების უმრავლესობა ქრისტიანულია, მათი პრეზიდენტები ინაუგურაციის დროს ბიბლიაზე დებენ საჯაროდ ფიცს და ქრისტიანული მორალის, ზნეობის დაცვას ჰპირდებიან ამომრჩეველს, მათი ჰიმნი ღმერთის ხსენებით იწყება და მათი ლერბები თუ დროშები ქრისტიანული სიმბოლოებითაა შემკული. გარეგნული ნიშნებით თუ ვიმსჯელებთ, ყველაფერი კარგადაა-სახარება ნაქადაგებია და ხალხმაც გააკეთა არჩევანი ღმერთისკენ, მაგრამ რაც არ უნდა სამწუხარო იყოს ყოველივე ეს მოჩვენებითია.

ჩვენი დროება ხასიათდება არა ქრისტეს, სახარების, გამოხსნის, სასუფევლის ნიშნით, არამედ მსოფლიო საზოგადოების მომხმარებლური ცნობიერების დაღით. მომხმარებლური დამოკიდებულება კი ნიშნავს იმას, რომ გარე სამყარო აღიქვა გამოყენების, მოგების, მოხმარების, სიამოვნების პრიზმაში, ყველაფერი პირადი მოხმარების ავკარგიანობაზე დადის საკვებიც, ნივთებიც, მეგობრებიც, თანამოაზრეებიც კი. ადამიანებმა თითქოსდა ახალი განზომილება აღმოაჩინეს-მსოფლიო მათ გარშემო ბრუნავს, ყველა სურვილი, ოცნება, მიდრეკილება პირადი მოხმარების და გამოყენების პრინციპზე დაიყვანება. ჩვენი დროის მომხმარებლური საზოგადოება ყველაფერს შთანთქავს, და ნუ გგონიათ, რომ საქართველო შორსაა ამისგან! ამგვარი აზროვნების გამოვლინების მარტივი მაგალითია ის, რაც ჩვენ ხალხს ემართება, თუნდაც, ელექტროენერჯის გამორთვის დროს... და წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა ასეთ დროს ამერიკაში, ევროპაში! ხალხს ნერვული აშლილობა, ნამდვილი ისტერია დაემართებოდა. ასეთი ცნობიერების შედეგად ჩვენი „პროგრესული“ მომხმარებლური ცივილიზაცია სრულიად დამონებული და დამოკიდებული აღმოჩნდა მოხმარების ობიექტებზე.

შეგნებულმა, მაღალ იდეალებზე აღზრდილმა საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ ფასეულობათა შორის ზეალმატებული ადგილი ბიბლიას, თეოლოგიურ ზნეობას და მასზე დაფუძნებულ სათა-

ნადო სამეურნეო მმართველობით საქმიანობას უკავია. ბიბლიაში ასახულია მთელი სამყაროს და მისი ყოველი შემადგენელი ნაწილის, მათ შორის ეკონომიკის საწყისი, ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი. როგორი საზომებითაც არ უნდა მივუდგეთ ბიბლიას, იგი სრულიად უნიკალური წიგნია. ბიბლიური თხრობა, როგორც ცნობილია, იწყება სამყაროს შექმნით, პირველი ადამიანების ყოფა-ცხოვრებით და მთავრდება ახალი აღთქმით. მისი ყველაზე გვიანდელი წიგნებიც კი ძველი წელთაღრიცხვით თარიღდება. მიუხედავად ასეთი სიძველისა, ბიბლია დღეს უაღრესად აქტუალურია, ასეულობით მილიონი ადამიანი ამ ეპოქაშიც ეწაფება და ცხოვრებაში იყენებს ბიბლიურ სიბრძნეს. ამას საფუძვლად უდევს ღვთაებრივი მოძღვრების ჭეშმარიტება, სიწმინდე, უბერებლობა და ყოვლისმომცველობა. საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის საფუძვლები, ეკონომიკა, სამართალი, სახელმწიფოებრივი მართვა, ბიზნეს მენეჯმენტი, მეცნიერება, დემოკრატიული იდეალები, ადამიანის უფლებათა კონცეფციები, განათლება, კულტურა და სხვა.

ევროპის უდიდესი მოღვაწეების საქმიანობა ბიბლიური იდეებით იყო გამსჭვალულ-შთაგონებული. სამეცნიერო-ტექნიკური წინსვლის ეპოქამ, თითქოს ჩრდილში მოაქცია და მნიშვნელოვნად შეარყია რწმენა, ბიბლია და მისი იდეალები, მაგრამ ცივილიზებულ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები, მეწარმეები და სახელმწიფო მოღვაწეები თვალნათლივ გვიჩვენებენ ასეთი გარემოების მცდარობას. ამერიკის პირველი პრეზიდენტის, ჯორჯ ვაშინგტონის სიტყვებია: „შეუძლებელია მართო ქვეყანა და მსოფლიო ღმერთის და ბიბლიის გარეშე“.

მაქს ბორნი, ცნობილი ფიზიკოსი ამბობს: „მეცნიერება სწავლულს ბევრ მორალურ და ეთიკურ მოთხოვნას უყენებს. მეცნიერს უნდა ჰქონდეს დიდი მოთმინება და მორჩილება, ამ თვისებებს კი მას რელიგია აძლევს“.

უკვე პირველ ადამიანებს ამქვეყნიური საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად ღმერთმა შრომა, სამეურნეო საქმიანობა დაუწესა. ამასთანავე, განსაკუთრებულად არის აღნიშნული ადამიანის მხრიდან დედამიწის და ცოცხალი სამყაროს მართვის, პატრონობის, დამუშავების და დაცვის აუცილებლობა.

გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების წარმატებისა და საქართველოს შემდგომი წინსვლისთვის აუცილებელია რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები. დღის წესრიგში დგას ქართული ტრადიციული მსოფლმხედველობისაკენ შემობრუნება და თანამედროვეობასთან ჰარმონიულად შეხამებული რელიგიური, ეკონომიკური აზროვნებისა და შესაბამისი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის განვითარება. ასეთ საძირკველს ეფუძნებოდა საუკუნეების მანძილზე ჩვენი საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფა, ეროვნული ძალმოსილება, რამაც ისტო-

რიულ ქარტეხილებში ფიზიკურ გადარჩენასთან ერთად, თავის დროზე მსოფლიოში მოწინავე და თვითმყოფადი ეკონომიკური კულტურის ერადაც წარმოგვაჩინა. სწორედ ასეთ გააზრებას უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეროვნული კონცეფცია, რომლის ბაზაზე წარმართება მიზანდასახული, მაღალზნეობრივი სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა ქვეყნის პროგრესისათვის. შრომა აუცილებელია როგორც ჩვენი საკუთარი, ასევე სხვათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. პავლე მოციქული თავად იძლეოდა მაგალითს: „აი ეს ხელები შველოდნენ ჩემს გასაჭირს და მათსაც ვინც იყვნენ ჩემთან, ყოველნაირად გიჩვენეთ თქვენ, რომ ამნაირი შრომით უნდა შეეწიოთ სწულთ, და გახსოვდეთ უფლის იესოს სიტყვები, რადგანაც თავად თქვა: „უმჯობესია გასცე, ვიდრე მიიღო“ (საქმე 20, 34-35). შემოსავლის მქონე ადამიანმა თავისი სახსრებით მოვალეობები და საქმეები უნდა აღასრულოს. ცალკეულ ოჯახს, სამთავრობო თუ სამეწარმეო ორგანიზაციებს, მასმედიას, პარლამენტს, სასამართლოს, მთლიანად სახელმწიფოს და მის ლიდერებს, ეს მეფე იქნება თუ პრეზიდენტი, თვით ეკლესიასაც საგადასახადო და მატერიალური მოვალეობები უფლისმიერად აკისრიათ.

სახელმწიფოს მმართველებმა, მეწარმეებმა, მისმა ორგანიზაციებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი ღვთის ნების, განჩინების საფუძველზე არსებობენ და მისგანვე მოწოდებულნი არიან იზრუნონ ერის, ადამიანის, საზოგადოების, ქვეყნის და ეკლესიის კეთილდღეობისთვის. ასეთი მიდგომებით მიიღწევა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის ეროვნული კონცეფცია, მათი პრაქტიკული განხორციელება უზრუნველყოფს ქვეყნის რეალურ პროგრესს.

ქრისტიანობის ჭეშმარიტი გზა მართლმადიდებლობაა, რომელსაც მსოფლიო ებრძვის შეგნებულად თუ შეუგნებლად, ყოველ წამს ირღვევა ათი მცნება, რომელიც უფლის მიერაა შთაგონებული. ღირსეული მოძღვარი ნდობას და სიყვარულს იმსახურებს მრევლისგან, საზოგადოებისგან. სანდოობაზე აღმოცენებული მუხტი იმსხვრევა მაშინ, როდესაც უღირსი ბერების საქციელი მართული მავანის მიერ, გამოიწვევს სასულიერო პირებისადმი ზიზღს, გაღიზიანებას, უნდობლობას იმგვარს, რაც დაგვაშორებს ეკლესიას, ამაღლებულ, ძლიერ გრძნობას - რწმენას, რამეთუ რწმენა ღმერთია, მართლმადიდებლობა კი ქრისტიანთათვის ჭეშმარიტი გზაა, მისი უკანასკნელი ბასტიონი კი საქართველოა.

ქალაქის ერთ პატარა უბანში, სადაც 15 000-მდე მოსახლეა, იქვე არსებულ ტაძარში საღვთო დღესასწაულებზე 500-700 მორწმუნე იკრიბება, ყოველკვირეულ წირვა-ლოცვაზე კი ასამდე მლოცველი, სულ მოსახლეობის 5-10%.

რელიგიურ-ეთიკური პოზიციები ასაზრდოებს და აყალიბებს საზოგადოების ეროვნულ სულისკვეთებას, ამდლებს მის ღირსებას. ქართველ კაცს არ აქვს უფლება არ დაფიქრდეს, თუ როგორ ვლინდებოდა და რა თვისებების იყო ძველი საქართველოს შინაგანი ენერჯია, მისი სულიერი და ფიზიკური ძალმოსილების, მისი ეროვნული აღმავლობის ეპოქაში, რადგან მასთან არის დაკავშირებული არა მარტო წარსულის მეცნიერული შეცნობის სურვილი, არამედ ღირსეული არსებობის სადღეისო და სამომავლო ფორმები. წარსული წარსულში არ კვდება, შეუვალი კანონის წესით იგი წინაპრებისგან შთამომავლობას გადაეცემა.

რწმენა ეროვნული ძალმოსილების მასაზრდოებელი წყაროა. რელიგია და ეროვნულობა საქართველოში განუყოფელი მცნებაა.

### რელიგიურ-ეთიკური პოზიციები და საზოგადოება

*ქეთევან გაფრინდაშვილი*  
*სტუ. ასისტ. პროფესორი*

**საკვანძო სიტყვები:** მომხმარებლური ცივილიზაცია; სიამოვნების პრიზმა; თეოლოგიურ ზნეობა; რელიგიურ-ეთიკური; ეროვნული კონცეფცია; ბასტიონი.

### რეზიუმე

გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-სამართლებრივი რეფორმების წარმატებისა და საქართველოს შემდგომი წინსვლისთვის აუცილებელია რელიგიურ-ეთიკური პოზიციებიდან გავიაზროთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები.

### Религиозно-этические позиция и общество

*Кетеван Гафриндашвили*  
*ГТУ асист. профессор*

**Узловые слова:** Потребительская цивилизация; Призма удовольствия; Теологическая мораль; Религиозно-этическое; Национальная концепция; Бастион.

### Резюме

В переходной период для успеха, социально-экономических, культурно-правовых реформ, и для дальнейшего развития Грузии, необходимо осмыслить закономерное развития общества с позиций религиозно-этического аспекта.

## From religious and ethical point and people

*Ketevan Gafrindashvili*

*GTU asist. professor*

### Rezume

It is necessary to have deep understanding of natural development of society from religious and ethical point of view for the transitional period of socio-economic, for the success of cultural and legal reforms and further progress of Georgia.

## ორატორის დარიგებანი

*თამაზ ნუცუბიძე*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

**საკვანძო სიტყვები:** დიდსულოვნება, მარადიული ბედნიერება, კალთ-კაგათია, ანტიკური ისტორია, ანტიკური პედაგოგიკა, ორატორის დარიგებანი, ჰარმონიული განვითარება, აღზრდის კომპონენტები, მჭევრმეტყველება, აღზრდა.

აღზრდაში მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების იდეამ ოპტიმალურად განხორციელება ჰპოვა ანტიკური საბერძნეთის დემოკრატიის აყვავების დროს, რაც განსაკუთრებით პერიკლეს მოღვაწეობას ემთხვევა. ამ დროს ათენელმა ბერძნებმა შექმნეს შედეგები ყველა მიმართულებით: არქიტექტურაში, სკულპტურაში, სახვით ხელოვნებაში, პოეზიაში, მხატვრულ ლიტერატურაში, ფილოსოფიასა და მეცნიერების მრავალ დარგში.

როგორც პლუტარქე წერს, პერიკლე თავის ხალხს ასე მოძღვრავდა: „როცა სახელმწიფო საკმაოდ ააღჭურვილი ომისათვის საჭირო აუცილებელი სახსრებით, მისი ქონება იმ საქმეთაც უნდა მოხმარდეს, რომელთა აღსრულება საუკუნო სახელს მოუხვეჭს და რომელთა კეთება მაშინვე ქმნის კეთილდღეობას. თავს იჩენს მრავალგვარი სამუშაო და ნაირნაირი საჭიროება, რომელიც ხელოსნობის ყოველ დარგს ადვილებს, ყოველ ხელს ამოძრავებს, თითქმის მთელი სახელმწიფოს შემოსავალს ქმნის და ამის წყალობით კიდევ ირთვება და კიდევ იკვებება... (პერიკლე) ხალხს შესთავაზა დიად მშენებლობათა გეგმა, რომლის ხორცშესახსმელი პირობა მრავალგვარი ხელობის ხანგრძლივი გამოყენება იყო...



ყველაზე საოცარი გმირში საქმის შესრულების სისწრაფე გახლდათ... სწორედ ამიტომაც კარგად რომ გვაოცებს მცირე დროში, მაგრამ ხანგრძლივი არსებობისათვის შექმნილი პერიკლეს ნაგებობანი. ყოველი ნაგებობა იმთავითვე ძველებური სილამაზისა გახლდათ, მაგრამ მშვენივრითა და სიდიადით ისინი დღემდე ინარჩუნებენ სინორჩეს, თითქოს ახლახანს აუშენებიათო. დროისაგან ხელშეუხებელი ისეთი იერი აქვთ და მუდამ რაღაც ისეთი სიახლით ხასხასებენ, თითქოს ძალუმი სუნთქვა და უბერებელი სული იყოს შერწყმული მათში“.

ანტიკური ისტორიის სახელმძღვანელოებსა თუ დამხმარე სახელმძღვანელოებში ვკითხულობთ: „თვითონ პერიკლე და მისი გარემომცველი განათლებული მეგობრების ჯგუფი მიისწრაფოდნენ – გადაექციათ ქ. ათენი მაშინდელი სამყაროს კულტურის ცენტრად. პერიკლეს დროს გაზრდილმა და გამშვენიერებულმა ქ. ათენის ბრძენვალებამ დაჩრდილა საბერძნეთის ყველა სხვა ქალაქი. ფილოსოფოსები, მწერლები, მეცნიერები, მხატვრები და ა.შ. - ყველა მიეშურება ათენისაკენ და იქ პოულობდნენ თავიანთი მოღვაწეობისათვის ფართე არენას. ჰეროდოტე, სოფისტები პროტაგორა და გორგია და ელინური სამყაროს მრავალი სხვა სახელგანთქმული პირი ნამყოფი იყო ათენში“.

როგორც ვიცით, მოზარდი თაობის აღზრდის ზემოაღნიშნული კლასიკურბერძნული პრაქტიკული გამოცდილება, რომელთან ერთად, პირველად კვინტილიანემ (42-118 ახ. წ.). შექმნა დიდებული პედაგოგიური შრომა 12 წიგნად.

ამ დიდებულ ნაშრომს ლათინურად ჰქვია „Institutio oratoria“ („institutio oratoria“), რასაც ასე თარგმნიან: „ორატორული განათლება“; „ორატორის აღზრდა“... (ყველა სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოში პედაგოგიკის თეორიასა თუ ისტორიაში). ასეთი თარგმანი არ უნდა იყოს სწორი, რადგან ამ ნაშრომში მ. ფ. კვინტილიანეს მიერ წარმოდგენილი აღზრდის მიზანი ვერაგზით ვერ მოთავსდება „მჭერმეტყველის“, „სიტყვაკაზმული მთქმელის“ შედარებით ვიწრო საზღვრებში. აღნიშნული ლათინური სახელწოდების შედარებით სწორი თარგმანი მოცემულია „პედაგოგიურ ლექსიკონში“, „ორატორის დარიგებანი“. უადრესად განათლებული, განსწავლული კვინტილიანე ასევე თავმდაბალი და მოკრძალებულია ფართო მკითხველთა წინაშე.

კვინტილიანე თავის ზემოხსენებულ ნაშრომში აღზრდის მიზნად სახავს „ბერძენი რომაელის მომზადებას. ამისათვის მას საკმარის ნიმუშად არ მიაჩნია არც ციცერონი, დემოსთენე და არც ცეზარი, თუმცა სამივე ბრწყინვალე ორატორები იყვნენ. კვინტილიანე თვლის, რომ რომის იმპერიის სასწავლო-აღმზრდელობითმა დაწესებულებებმა უნდა ცხოვრებისათვის მოამ-

ზადონ ისეთი „ბრძენი რომაელი“, როგორც იყო საბერძნეთისათვის პერიკლე: პერიკლეს გონებრივი განვითარება-განათლება უფრო ფართო იყო.

პერიკლეს დროინდელ ათენში შრომა იყო ქვეყნის სიმდიდრის ძირითადი წყარო. დაუსაქმებელი არ შეიძლება ვინმე ყოფილიყო და ამაზე უწინარეს ყოვლისა ზრუნავდა თვით პერიკლე: დაუსაქმებელთ ქვეყნის გარედ აგზავნიდა და კოლონიებად ჩაასახლებდა ხოლმე მოხერხებულ და ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობების მქონე ადგილებზე, ეხმარებოდა და მხარს უჭერდა მათ.

პერიკლეს მჭევრმეტყველების მსმენელებზე, ხალხზე დიდი ზეგავლენის „მიზეზი უბრალოდ სიტყვის ძალა კი არ გახლდათ, არამედ... პერიკლეს ცხოვრების სიდიადე და ამ კაცისადმი უანგარო ნდობა. ყველასათვის ცხადზე ცხადი იყო მისი უანგარობა და მოუსყიდაობა“. პერიკლე „მრავალ დარბ კაცს შემწეობას უჩენდა“. „ოლიმპიელს ეძახდნენ ესოდენ სათნო ხასიათის კაცს, რომლის ცხოვრება სახელისუფლო ძლიერებაშიაც წმინდა და შეუბღალავი დარჩა“ და ა.შ.

მაღალი იყო პერიკლეს ესთეტიკური გემოვნება, ის ზრდიდა ხალხს მშვენიერების იმ გაგებით, რაც იგულისხმებოდა ტერმინში – „კალოკაგათია“, რაზედაც გვექონდა საუბარი ზემოთ. ათენში ხელოვნების ყველა დარგი ვითარდებოდა პერიკლეს მხარდაჭერითა და ზრუნვით. პერიკლემ „ხმის მიცემით შემოიღო პირველად მუსიკალური შეჯიბრებების გამართვა პანათენურ დღეობებზე... მაშინ და მომდევნო ხანებშიც ოდენონში განუწყვეტლივ იმართებოდა მუსიკალური შეჯიბრებები“.

როგორც ვიცით, პერიკლეს დროს ათენურ სკოლებში ფიზიკური აღზრდა ისეთ დონეზე იყო, რომ ათენელები ამ მხრივ არ ჩამოუვარდებოდნენ და ხშირად სჯობნიდნენ კიდევ სპარტელებს, რაც არაერთხელ დაამტკიცეს პერიკლეს ხელმძღვანელობით. თავად პერიკლე ამ მხრივ „სრულიად უზადო გახლდათ“, „ლაშქობათა უამს მამაცი ვაჟკაცი იყო და საფრთხეს არ გაურბოდა“...

როგორც ვხედავთ, აღზრდის შემადგენელი ყველა კომპონენტია აქ წარმოდგენილი: გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური, რომელთა ერთდროულმა პრაქტიკულმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ჰარმონიული, ყოველმხრივი განვითარება. მ. ფ. კვინტილიანე აღზრდის ერთიანი პროცესის ამ აუცილებელ და ერთმანეთისაგან განუყოფელ კომპონენტებს (ერთი მათგანის უგულებელყოფა ან შეუფასებლობა აღზრდას საბოლოოდ მიცემს ცალმხრივ, მაშასადამე, მცდარ მიმართულებას) ასე გამოკვეთილად და თანმიმდევრობით კარგადაა წარმოდგენილი პერიკლეს თვისებებში, ხოლო თავისუფალი რომაელი მოქალაქე იმთავითვე აღზრდას ბერძნული ენის დაცულობით იწყებდა, კვინტილიანეს დროინდელი რომის იმპერიის თავისუფალი

მოქალაქეები თეორიული საკითხებით დაინტერესებულნი უშუალოდ ბერძნული წყაროებიდან იცნობდნენ.

აღზრდის არსის, მისი შემადგენელი კომპონენტების კვინტილიანესეული გაგების საილუსტრაციოდ ამონაწერები პერიკლეზე გავაკეთეთ უმთავრესად პლუტარქეს „რჩეული ბიოგრაფიებიდან“. ცხადია, გაცილებით მეტი რაოდენობის ფაქტების მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ მოტანილი ამონაწერებიც, ვფიქრობთ, საილუსტრაციოდ საკმარისია.

### ლიტერატურა:

1. ნუცუბიძე თ., „პიროვნების აღზრდა“, თბ., 2012.
2. Жураковский Г. У. «Очерки по истории античной педагогики», М., 1963.
3. საფოდან კაისამდე. თბ., 1990.
4. რჩეული ბიოგრაფიები. პლუტარქე. ნაწ. II, თბ., 1987.
5. გოგებაშვილი ი., თხზულებები. ათტომეული. თბ., 1966-1989.
6. Сергеев В. С., История древней Греции. М., 1948.
7. გელოვანი ა., „მითოლოგიური ლექსიკონი“, თბ., 1963.

### ორატორის დარიგებანი

*თამაზ ნუცუბიძე*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი*

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ანტიკური საბერძნეთის დემოკრატიის აყვავების პერიოდში მოზარდი თაობის ჰარმონიული აღზრდის იდეა.

ჰერაკლე და მისი გარემომცველი განათლებული მეგობრების ჯგუფი მისწრაფოდნენ გადაექციათ ქალაქ ათენი მაშინდელი სამყაროს კულტურის ცენტრად. ათენში ხელოვნების ყველა დარგი ვითარდებოდა ჰერაკლეს მხარდაჭერითა და ზრუნვით.

ანტიკურ პერიოდში ათენში შრომა იყო ქვეყნის სიმდიდრის ძირითადი წყარო. დაუსაქმებელი არ შეიძლებოდა ვინმე ყოფილიყო. ჰერაკლე მრავალ დარიბ კაცს შემწეობას უჩენდა. თავისუფალი რომაელი მოქალაქე იმთავითვე აღზრდას ბერძნული ენის დაცულობით იწყებდა.

სკოლებში ფიზიკური აღზრდა ისეთ დონეზე იყო, რომ ათენელები ამ მხრივ არ ჩამოუვარდებოდნენ სპარტანელებს და ხშირად სჯობდნენ კიდევ.

## Наставления оратора

*Тамаз Нуцубидзе*

*Профессор Грузинского технического университета*

### Резюме

В работе рассмотрена идея гармоничного воспитания подросткового поколения в период расцвета демократии в античной Греции.

Геракл и находящаяся в его окружении группа просвещенных друзей стремились превратить город Афины в центр культуры мира того времени. В Афинах при поддержке и заботе Геракла развивались все области искусства.

В античный период труд в Афинах являлся основным источником богатства страны. Никто не должен был оставаться без дела. Геракл оказывал содействие многим бедным людям. Свободный римский гражданин с самого начала начинал воспитание с сохранения греческого языка.

Физическое воспитание в школах было на таком уровне, что афиняне в этом плане не отставали от спартанцев и часто даже превосходили их.

## Admonishment of the public speaker

*Nutsubidze Tamaz*

*Professor of Georgian Technical University*

### Resume

Through the work there is discussed the idea of youth`s harmonic education during the democratic prosperity period in ancient Greece.

Heracles and a group of his educated friends were striving to transform the city of Athens as the cultural center of the universe of that time. Under Heracles support and care each art branch was developing in Athens.

In ancient Athens, the labor was the main wealth source of the country. There should not be left anyone unemployed. Heracles was supporting many of poor people. The free roman citizen from the very start was starting the education by supporting the Greek language.

The physical education in schools was on such stage, that Athenians were not far away from Spartans in this case and often they were better as well.

## Коммуникации в современных организациях залог успешного маркетинга

*Хахуташвили Элисабед асоц. проф.  
Грузинский технический университет*

**Ключевые слова:** коммуникация, информация, канал, сообщение, маркетинг, менеджмент, сетизация.

Коммуникационный процесс – это процесс обмена информацией между двумя или более людьми. Основная цель процесса – обеспечение понимания информации, которая является предметом обмена, то есть сообщению и имеет главное значение в маркетинге современной организации.

Исходя из этого, **в широком смысле**, коммуникация – процесс обмена информацией, **в узком смысле** – общение людей в процессе их совместной деятельности, обмен идеями, мыслями, чувствами.

Как известно, в процессе обмена информацией выделяется **четыре базовые элемента:** это – **отправитель, сообщение, канал, получатель.**

При обмене информацией отправитель и получатель проходят несколько взаимосвязанных этапов; зарождение идеи; кодирование и выбор канала; передача сообщений; декодирование.

Организации пользуются разными видами коммуникации: **межуровневые** – «вертикальное» перемещение информации: происходит по **нисходящей** (сообщение подчиненным уровням о принятии управленческом решении), по **восходящее** (отчеты, предложения, объяснительные записки), **между различными отделами, или горизонтальные коммуникации:** обмен информацией между множеством подразделений организации нужен для координации задач и действий. Руководство должно добиваться итог, что бы подразделения работали, совместно, продвигая организацию в нужном направлении.

Коммуникации “руководитель - подчиненный” вызваны необходимостью прояснения задач, приоритетов и ожидаемых результатов; вовлеченностью отдела в решение задач; обсуждением проблем эффективности работы; оповещением подчинённого о грядущем изменении; получением сведений об идеях, усовершенствованиях и предложениях подчиненных.

Коммуникации между руководителем и рабочей группой позволяют повысить эффективность действий группы. Существует так же неформальные коммуникации, это канал распространение слухов, когда, информация намного быстрее передается чем формальное сообщения.

**Процесс обмена информацией включает следующие этапы:**

1. Отбор сведений; 2. Кодирование; 3. Передача; 4. Прием информации, ее расшифровка и осмысление.

На восприятие информации действуют разные факторы, среди которых можно выделить **психологические эффекты**: это перенос, обобщение, первое впечатление; идеализация; контраст; ожидание; порядок; опережение. Информационные перезагрузки, вызывают стресс и неспособность их восприятия.

Коммуникации осуществляются при деловом общении. Это процесс речевого взаимодействия людей, в котором происходит обмен деятельностью, информацией и опытом с целью достижения определенного результата. Формы делового общения это: деловая беседа; деловая переписка; деловое совещание; деловые переговоры; публичное выступление.

**Структура маркетинговых коммуникаций состоит из четырех основных средств воздействия. Это реклама, стимулирование сбыта, пропаганда (паблистика PR), личная продажа.**

Для работы со своим окружением предприятию необходимо определить и выявить целевую аудиторию. Целевая аудитория оказывает определяющее влияние на метод коммуникации – **на то, что как, когда, где сказать и от чьего имени.** Целевая аудитория может испытывать благорасположение к товару, к предприятию и т.д. Среди методов обращение можно выделить рекламное обращение, которое хорошо работает на рынке коммуникации. Целевая аудитория может находиться в любом из шести состояний покупательской готовности:

1. Осведомленность; 2. Знание; 3. Благорасположение; 4. Предпочтение; 5. Убежденность; 6. Совершение покупки.

Это иерархия маркетинговой коммуникации, которая имеет ступенчатую форму и психологически завершается покупкой, где коммуникация и PR играет главную роль.

В современных организациях залог успеха зависит главным образом от организации коммуникативной деятельности маркетинговой службы, среди которых можно выделить – **Сетизацию**. Это метод стратегического менеджмента, заключающийся в формировании сети для достижения целей. Сетизация представляет собой по сути отказ от вертикальной иерархии бюрократической

организации, это создание рабочих групп и переход к горизонтальным структурам организации. Она связана с коммуникацией, маркетинговой информационной системой.

Современные маркетинговые информативные системы являются частью корпоративных порталов, связанной с коммуникацией.

Итак, коммуникации в современных организациях – деловые беседы; переписки; совещание – дискуссии; деловые переговоры; публичные выступления, маркетинговые информативные системы, все это способствуют успеха маркетинга современных организациях.

#### Литература

1. Попова. Г. В. Маркетинг “Питер”, 2010.
2. Тимофеев М. И. Маркетинг, М., 2011.
3. Данилов А.В., Маркетинг, М., 2011.
4. Котлер Ф. Основы маркетинга (перевод), М. 2008.

#### Коммуникации в современных организациях залог успешного маркетинга

Хахуташвили Элисабед  
ассоц. проф.

*Грузинский технический университет*

#### Резюме

В статье рассматриваются вопросы коммуникации современных организациях, как залог успешного маркетинга, о роли коммуникации с его окружением, обеспечивающее успешное решение задач в сфере маркетинга.

Коммуникативная политика – это применение инструментов маркетинга на рынок информации. Процесс обмена информацией в маркетинге обусловлен единой главной целью – продвижения фирмы и ее товаров.

Продвижение – это любая форма распространения сообщений, создающих лояльность потребителей и общества к фирме, информирующих, убеждающих или напоминающих о ее деятельности или товарах.

Современные организации осуществляют маркетинговые коммуникации со субъектами.

Комплекс, маркетинговой коммуникации, состоит из четырех основных средств воздействия. Это реклама; стимулирование сбыта; пропаганда (паблисити, RP); личная продажа.

Маркетинговые коммуникации осуществляются: целевая аудитория, которая оказывает определяющее влияние на метод коммуникации и всегда в состоянии покупательской готовности: иметь знание, благорасположение, предпочтение; убежденность; осведомленность и совершение покупки.

Все это является иерархией маркетинговой коммуникацией, что и является залогом успешного маркетинга связанного с коммуникацией.

### კომუნიკაციები თანამედროვე ორგანიზაციების წარმატებული მარკეტინგის საწინდარია

*ბახუტაშვილი ელისაბედ,  
ასოც. პროფ.*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია კომუნიკაციების - ინფორმაციული კავშირების როლის შესახებ მის გარემოცვასთან ორგანიზაციებისათვის წარმატებული მართვისთვის.

კომუნიკაციური პოლიტიკა - ეს არის მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება საინფორმაციო ბაზარზე. ინფორმაციის გაცვლის პროცესი მარკეტინგში განპირობებულია ერთიანი მთავარი მიზნით - ფირმის და მისი პროდუქტის წინ წაწევისთვის, წარმატებული მარკეტინგის გამოყენებით.

თანამედროვე ორგანიზაციები ახორციელებენ მარკეტინგულ კომუნიკაციებს სუბიექტებთან. მარკეტინგული კომუნიკაციების კომპლექსი შედგება ოთხი ძირითადი ზემოქმედების საშუალებისაგან, როგორც არის: რეკლამა, გასაღების სტიმულირება, პროპაგანდა (პაბლისიტი, PR), პირადი გაყიდვა.

მარკეტინგულ კომუნიკაციებს ახორციელებს მიზნობრივი აუდიტორია, ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებებით. ასევე ირჩევენ კომუნიკაციების არხებს. მიზნობრივი აუდიტორია მუდმივად მზადყოფნაშია ყიდვისთვის, ანუ ისინი უნდა იყვნენ გათვითცნობიერებულნი; ჰქონდეთ ცოდნა; კეთილგანწყობილი; დარწმუნება უნდა ჰქონდეთ; და ბოლოს ჩაატარონ ყიდვა, რასაც ეს ყველაფერი წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ეფექტს.



მარკეტინგულ კომუნიკაციებში დაგეგმვა, კონტროლი, მართვა ხელს უწყობს თანამედროვე ორგანიზაციების წარმატებულ მარკეტინგს.

**Communications are base of modern organization's  
successful marketing**

*Khakhutashvili Elisabed*

*as. Professor*

*Georgian technical university*

Resume

In this article we discuss communication's informational connection role about it's surrounding organization's successful govern.

Communication's policy – this is use of marketing tools in informational market. Changing information process in marketing is due to united main goal – firm's and product's promotion by used of marketing.

Modern organizations make marketing communications with subjects. Marketing communication's complex is made of four main means , such as : advertisement , stimulation of key, propaganda (pr) , personal sales.

Marketing communications are made for special purpose of audience by different means. Also they choice communication's channels. Special purpose are always ready for buying , so they should know ; have knowledge; favourable. In the end they they should buy and this is psychological effect.

In marketing communications planning, control, govern promote modern organization's successful marketing .

## საბუნებისმეტყველო დისციპლინები – Естествоведческие дисциплины – Science

### კომპიუტერის გაგრილების საკითხისათვის

*გიორგი ბენაშვილი, Ph.D, უფროსი მასწავლებელი  
ალექსანდრე ბენაშვილი, ასოცირებული პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**საკვანძო სიტყვები:** კომპიუტერის გაგრილება, პროცესორის გაგრილება, რადიატორი, თბოამრინებელი.

კომპიუტერული სისტემის სამუშაო ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფის საკითხებს მომხმარებლები ტრადიციულად ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ, თუ გამოვრიცხავთ აჩქარების (Overclocking) მოყვარულებს. თუმცა გაგრილების სისტემის ეფექტურობის უგულებელგყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, განსაკუთრებით იმ კომპიუტერებისთვის, რომლებიც აწყობილია თანამედროვე მაღალწარმადულ და აქედან გამომდინარე, ენერგოტევად კომპონენტებზე.

გაგრილების სისტემის არასწორმა არჩევანმა, რომელსაც არ შეუძლია სისტემის მოთხოვნილი თბური რეჟიმის უზრუნველყოფა, შეიძლება გამოიწვიოს სისტემის არასტაბილური მუშაობა და კომპონენტების მწყობრიდან ნაადრევი გამოსვლა. რაც შეეხება ცენტრალურ პროცესორს, მისი გადახურება აგრეთვე განაპირობებს კომპიუტერული სისტემის წარმადობის შემცირებას. თანამედროვე პროცესორის თბური დაცვის სისტემა ისე მუშაობს, რომ მომხმარებელი შეიძლება ვერც კი ხვდებოდეს, რომ თბური რეჟიმის დარღვევის გამო სისტემა არ იყენებს მთელ თავის პოტენციურ შესაძლებლობებს.

კომპიუტერების მობილური სეგმენტი გაგრილების სისტემას კიდევ უფრო მეტ მოთხოვნას უყენებს, როგორებიცაა ზომები, მოხმარებული სიმძლავრე, ძაბვა, დენის ძალა, მაქსიმალური ხმაურის დონე და ა.შ.

ამჟამად თბოამრინებლების (Cooler) ორი ძირითადი კლასი გამოიყენება: პასიური და აქტიური.

პასიური თბოამრინებელი მხოლოდ რადიატორისგან შედგება, რომელიც კომპიუტერის ისეთი მაკომპლექტებლების ტემპერატურას არეგულირებს, რომლებიც შედარებით ნაკლებ სითბოს გამოყოფენ.

აქტიური თბომრინებელი რადიატორთან ერთად ფრიალასაც (Fan) შეიცავს და გამოიყენება მძლავრი კომპონენტების ეფექტური გარიღებისთვის.

თუ თბური ნაკადის სიმჭიდროვე (თბური ნაკადი, რომელიც ფართის ერთეულს გაივლის)  $0,5 \text{ მგტ/სმ}^2$ -ს არ აღემატება, კომპონენტის ტემპერატურის ზრდა გარემოსთან შედარებით  $0,5 \text{ }^\circ\text{C}$ -ს არ აჭარბებს (ჩვეულებრივ, მაქსიმუმ -  $50$ - $60 \text{ }^\circ\text{C}$ ). ასეთი აპარატურა თბურად დაუტვირთავად ითვლება და გაგრილების სპეციალური სისტემის არსებობას არ საჭიროებს.

კომპონენტებისთვის, რომლებისთვისაც მოცემული პარამეტრი  $0,5 \text{ მგტ/სმ}^2$ -ს აღემატება, თუმცა სითბოგამოყოფა შედარებით ნაკლებია (სისტემური პლატის მიროქემათა კრებული, ოპერატიული მეხსიერების მოდულები, კვების წრედის ტრანზისტორები და ა.შ.), როგორც წესი, მხოლოდ პასიური თბომრინებლები (რადიატორები) ყენდება.

აქტიური თბომრინებელი რადიატორთან ერთად ფრიალასაც (Fan) შეიცავს და გამოიყენება მძლავრი პროცესორების, ვიდეოადაპტერების, ბრუნვის მაღალი სიჩქარის მქონე ვინჩესტერების, მთლიანი სისტემური ბლოკის ეფექტური გაგრილებისთვის.

თუმცა მობილური სეგმენტის კომპონენტები ამჟამად ისე პროექტირდება, რომ რაც შეიძლება მცირე სითბოს გენერირებას ახდენდეს, მაგალითად, თუ სამაგიდო კომპიუტერების ყველაზე თანამედროვე Skylake Core i5-i7 პროცესორების მოხმარებული სიმძლავრე (TDP)  $65$ - $91 \text{ ვტ}$ -ის ფარგლებშია, რაც აქტიური თბომრინებლის გამოყენების აუცილებლობას განაპირობებს, იგივე კლასის მობილური სეგმენტის Skylake პროცესორების სიმძლავრე (TDP)  $15$ - $45 \text{ ვტ}$ -ს არ აღემატება, რაც შესაძლებელს ხდის სისტემის აწყობას პასიური თბომრინებლით, ხოლო რიგ შემთხვევებში თბომრინებლის გარეშე. თუმცა პროცესორის ფასშიც მნიშვნელოვანი განსხვავებაა - სამაგიდო პროცესორების ფასია  $182$ - $339$  \$, ხოლო მობილური პროცესორებისა -  $393$ - $568$  \$. იწარმოება ულტრაეკონომიური Skylake პროცესორებიც, რომელთა სიმძლავრეც  $4,5$ - $15 \text{ ვტ}$ -ს არ აღემატება.

პასიური თბომრინებელი მეტალის რადიატორს (heatsink) წარმოადგენს. ბუნებრივია, რაც უფრო მეტია თბური კონტაქტის ფართობი, მით უფრო ინტენსიურად ხდება სითბოს გადაცემა. რადიატორის ფართობის გაზრდისთვის ორი მეთოდი გამოიყენება.

1. წიბოების ფართობის გაზრდა რადიატორის ზომის შენარჩუნების პირობებში. წიბოების სიხშირე გაზრდილია, ხოლო თავად წიბოები უფრო თხელია.

ასეთ რადიატორში სითბოგადაცემა უმჯობესდება, თუმცა ჰიდრავლიკური წინაღობა იზრდება. აუცილებელია ჰაერის უფრო დიდი წნევის შექმნა რადიატორის გავლით ჰაერის საჭირო რაოდენობის გადატუმბვისთვის.

2. რადიატორის გეომეტრიული ზომების გაზრდა, რაც თბოგადაცემის პროცესში ჰაერის მეტი მოცულობის ჩართვის საშუალებას იძლევა. ამას გარდა, მცირდება რადიატორის ჰიდრავლიკური წინაღობა.

რაც შეეხება მასალას, უმჯობესია სპილენძის რადიატორის გამოყენება. თუმცა სპილენძი საკმაოდ ძვირია. ამიტომ ხშირად იყენებენ ალუმინის რადიატორებს, ან კომბინირებულ სქემას - ალუმინის რადიატორში ჩაპრესილ სპილენძის გულარს (Core) (სურ. 1). სპილენძი მაქსიმალურად ეფექტურად ანაწილებს სითბოს.



სურ. 1. ალუმინის რადიატორში ჩაპრესილი სპილენძის გულარი

პროცესორის თბოარინების გაუმჯობესებისთვის დიდი ზომის რადიატორებში ხშირად იყენებენ ჰერმეტიკულად შედუღებულ და სპეციალური წესით მოწყობილ სითბურ მილაკებს (Heat Pipes) (სურ. 2). მათ მაქსიმალურად ეფექტურად გადააქვთ სითბო მილაკების ერთი ბოლოდან მეორეზე. ამრიგად, დიდი რადიატორის ყველაზე კიდურა წიბოებიც კი ეფექტურად მონაწილეობენ პროცესორის გაგრილებაში.

სითხე, რომელიც სპილენძის, ან ალუმინის მილებში გაედინება, ეფექტურად აცილებს სითბოს. სითბურ მილებს გააჩნია სამუშაო ტემპერატურის ფართო დიაპაზონი და სითბოს გადაცემის მაღალი სიჩქარე. ეს მას აქცევს მაღალ-ეფექტურ სისტემად მძლავრი და აჩქარებული პროცესორების გაგრილებისთვის.

მუშაობის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: რადიატორი მასზე დაყენებული ფრიალით პროცესორს ეჭირება. რადიატორის საფუძველზე მირჩილულ მილებში მოთავსებულია სამუშაო სითხე - წყალი და ფითილი (Wick) - წვრილი მავთულის რამდენიმე ფენა, ან სპეციალური კერამიკული ნაფხვენი. გარკვეულ

ტემპერატურაზე (25-50°C) წყალი იწყებს აორთქლებას. იმისთვის, რომ წყალი ასეთ დაბალ ტემპერატურაზე აორთქლდეს, მილებიდან წინასწარ ამოტუმბულია ჰაერი (შემცირებულია წნევა). თანამედროვე სითბური მილების შემცველობაა - წყალი (90%), სხვადასხვა მინარევები, როგორცაა აზოტი (0.3%), ამონიუმი (7%) და ალდეჰიდი HC7 (2.7%). ყველაზე უბრალო სითბურ მილებშიც კი სითბოგადაცემის სიმძლავრე რამდენიმე ასეულჯერ მეტია იმავე დიამეტრის მქონე სპილენძის ღეროსთან შედარებით.



სურ. 2. გაგრილების სისტემა სითბური მილებით და ფრიალით

უნდა აღინიშნოს, რომ წყლის აორთქლებამდე პროცესორის გაგრილებაში ძირითად როლს მეტალის რადიატორი და ფრიალა ასრულებენ, თუმცა შემდეგ ძირითად როლს უკვე სითხე თამაშობს, რომელიც აორთქლების პროცესში გაცხელების ადგილიდან ახდენს სითბოს არინებას. გაცხელებული ორთქლი დაბალი ტემპერატურის ზონაში გადაადგილდება, რომელიც ფრიალას მიერ იქმნება. ამის შემდეგ ორთქლი კონდენსირდება და სითხის სახით გაცხელების ადგილს უბრუნდება. პროცესი ციკლურად მეორდება.

თუმცა გაგრილების ასეთ სისტემას თავისი უარყოფითი თვისებები გააჩნია:

- მაღალი ღირებულება;
- კონსტრუქციის სირთულე;
- დაყენების სირთულე, რაც ხშირად არასტანდარტული სამაგრი ელემენტებითაა განპირობებული;
- დიდი წონა;
- სისტემა თავისთავად არ იძლევა აქტიური თბოარინების მაღალი ხარისხის გარანტიას.

თბოამრინებლის შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმს მისი კონსტრუქცია წარმოადგენს, რაც ჰაერის ნაკადის მიმართულებას განაპირობებს.

თბოამრინებლების სამი ძირითადი კონსტრუქციული ტიპი არსებობს:

1. „კომპის“ ტიპი;
2. C - ტიპი;
3. კომბინირებული მოწყობილობა.

„კომპის“ ტიპის თბომრინებელი (სურ. 3) სისტემური პლატის მიმართ რადიატორისა და ფრიალას პერპენდიკულარული განლაგებით გამოირჩევა. რადიატორის ფირფიტები განლაგებულია სისტემური პლატის პარალელურად. გამაგრებელი მილები სისტემური პლატიდან - ქვემოდან ზემოთ მიემართება.



სურ. 3. კომპის ტიპის კონსტრუქცია

კომპის ტიპის თბომრინებლები საუკეთესო გადაწყვეტაა მაღალსიხშირული პროცესორებისთვის, თუმცა მათ ერთი ნაკლი გააჩნიათ - როგორც არ უნდა დამონტაჟდეს კორპუსში თბომრინებელი, პროცესორიდან წამოსული ჰაერის ნაკადი კორპუსის ზემოთ - სახურავისკენ, ან უკანა პანელისკენ მიემართება. ამრიგად, საუკეთესო პირობებშია პროცესორი და ნაწილობრივ კვების ბლოკი (რომელსაც საკუთარი თბომრინებელიც გააჩნია), ხოლო კომპიუტერის დანარჩენი კომპონენტები მხოლოდ ბუნებრივი ვენტილაციის ხარჯზე გრილდება. სისტემურ პლატის მიკროსქემათა კრებულისთვის, ზოგიერთი მიკროსქემისთვის ეს შეიძლება არ იყოს საკმარისი.

C-ტიპის გაგრილების სისტემები (სურ. 4). ნაწილობრივ წყვეტენ ზემოთ-მოტანილ პრობლემას. რადიატორის საფუძველზე მირჩილული მილები გარკვეული კუთხით მიემართება ზემოთ, ხოლო შემდეგ - სისტემური პლატის პარალელურად. მილებზე მაგრდება ფირფიტების ბლოკი, ხოლო ზემოდან ფრიალა მონტაჟდება.

C-ტიპის კონსტრუქციას თვალსაჩინო უპირატესობა გააჩნია - შესაძლებელია ჰაერის ნაკადით პროცესორის გარშემო სივრცის და შესაბამისად სისტემურ პლატაზე განთავსებული მიკროსქემების გაგრილება. თუმცა იმავდროულად პროცესორის გაგრილების ხარისხი მცირდება.



სურ. 4. C-ტიპის თბოამრინებელი

კომბინირებული სისტემა (სურ. 5) თავის თავში აერთიანებს „კოშკის“ და C - ტიპის კონსტრუქციებს, თუმცა დამოკიდებულება „ღირებულება - მარგი კოეფიციენტის ზრდა“ არცთუ ისე მაღალია.



სურ. 5. კომბინირებული თბოამრინებელი სისტემა

რეკომენდაცია: თუ მომხმარებელი დაკავებულია სისტემის ტესტირებით და აჩქარებით (Overclocking), კოშკის ტიპის თბოამრინებელი სისტემა საუკეთესო ვარიანტია, ოღონდ კომპიუტერში დამატებითი ფრიალები უნდა იქნას დაყენებული. კომბინირებული თბოამრინებელი სისტემები ნაკლებადაა გავრცელებული და მხოლოდ კომპიუტერების მძლავრ მოდიფიკაციებში გამოიყენება.

თუ კომპიუტერი ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს, გაგრილების ნებისმიერი სისტემის გამოყენებაა შესაძლებელი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. ბენაშვილი, გ. ბენაშვილი. კომპიუტერული სისტემების ექსპლუატაცია და სერვისი. თბ. „საქართველოს უნივერსიტეტი“. 2016.
2. Scott Mueller. Upgrading and Repairing PCs. 22th Edition. Published by Que. 2015.
3. [https://en.wikipedia.org/wiki/Skylake\\_\(microarchitecture\)](https://en.wikipedia.org/wiki/Skylake_(microarchitecture))
4. <http://ixbtlabs.com/articles2/cpu/pc-cooling-construction.html>
5. <http://www.pcgamer.com/pc-cooling-basics/>

## კომპიუტერის გაგრილების საკითხისათვის

*გიორგი ბენაშვილი, ალექსანდრე ბენაშვილი*  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია დღევანდელი მდგომარეობა კომპიუტერების გაგრილების სფეროში. გამოკვეთილია გაგრილების სისტემის როლი კომპიუტერების სტაბილური და უსაფრთხო მუშაობისთვის. აღწერილია თანამედროვე პასიური თბომრინებლების ტიპები და კონსტრუქციები, მათი დადებითი და უარყოფითი თვისებები. მოცემულია რეკომენდაციები მათ გამოყენებასთან დაკავშირებით.

### К вопросу охлаждения компьютера

*Георгии Бенашвили, Александр Бенашвили,*  
*Грузинский Технический Университет*

### Резюме

В статье проанализировано сегодняшнее состояние в сфере охлаждения компьютеров. Выделена роль системы охлаждения для стабильной и безопасной работы компьютеров. Описаны типы и конструкции современных пассивных теплоотводов, их положительные и отрицательные свойства. Даны рекомендации по их использованию.

### About the Problem of a Computer's Cooling

*Giorgi Benashvili, Alexandrer Benashvili*  
*Georgian Technical University*

### Abstract

The article considers the current situation in the field of computers' cooling. A role of a cooling system for stable and safe operation of computers is underlined. Types and designs of the modern passive heat sinks, as well as their advantages and disadvantages are described. Recommendations for their usage are given.



## აქტიური თბოამრინებლების შერჩევა თანამედროვე კომპიუტერებისთვის

*ალექსანდრე ბენაშვილი, ასოცირებული პროფესორი  
გიორგი ბენაშვილი, Ph.D, უფროსი მასწავლებელი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**საკვანძო სიტყვები:** კომპიუტერის გაგრილება, პროცესორის გაგრილება, ფრიალა, აქტიური თბოამრინებელი.

დღესდღეობით კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროებში, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუ რამდენიმე ათეული წლის წინათ კომპიუტერული ტექნიკა უმეტესად რეალიზებული იყო სამაგიდო (Desktop) კომპიუტერების სახით, ამჟამად ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა სტანდარტის და მონაცემების ნოუთბუქები, ნეთბუქები, პლანშეტები, მობილური ტელეფონები და ა.შ.

კომპიუტერების სხვადასხვა სახეობების ფართო გავრცელებასთან ერთად იცვლება მოთხოვნები გაგრილების სისტემის მიმართ. თუ სამაგიდო (Desktop) კომპიუტერების გაგრილების სისტემებისადმი ძირითადი მოთხოვნა ტრადიციულია და მხოლოდ სისტემის კორექტული თბური რეჟიმის უზრუნველყოფაში მდგომარეობს, მულტიმედია და მობილური ტექნოლოგიები გაგრილების სისტემას დამატებით ისეთ მოთხოვნებს უყენებენ, როგორებიცაა ზომები, მოხმარებული სიმძლავრე, ძაბვა, დენის ძალა, მაქსიმალური ხმაურის დონე და ა.შ.

მაგალითად, სულ უფრო ფართო გავრცელებას ჰპოვებს სახლის და საოფისე პერსონალური კომპიუტერების ახალი მიმართულება - Barebone სისტემები. ისინი განკუთვნილია მომხარებლებისთვის, რომლებსაც არა კომპიუტერის მაღალი წარმადობა, არამედ ისეთი თვისებები სჭირდებათ, როგორებიცაა სასიამოვნო დიზაინი, კომპაქტურობა, უხმაურო მუშაობა. გაგრილების სისტემის მაქსიმალური ხმაურის დონის სტანდარტი განისაზღვრება 27-29 დეციბელით, რაც ბუნებრივი ხმაურის დონეს შეესაბამება.

თანამედროვე კომპიუტერებში თბოამრინებლების (Cooler) ორი ძირითადი კლასი გამოიყენება: პასიური და აქტიური.

პასიური თბოამრინებელი მხოლოდ რადიატორისგან შედგება, ხოლო აქტიური - რადიატორთან ერთად ფრიალასაც (Fan) შეიცავს (სურ. 1). იგი პასიურ ელემენტთან შედარებით კომპონენტის უკეთეს გაგრილებას უზრუნველყოფს, თუმცა დამატებით კვებას მოითხოვს და სამწუხაროდ არც მაღალი საიმედოობით

გამორჩევა. ფრიალებში ხშირად იაფფასიანი ელექტრომექანიზმები გამოიყენება, ამიტომ ისინი ზიანდება, რისი შედეგიცაა მათი ხმაური, პროცესორის გადახურება და სისტემის არასტაბილური მუშაობა.



სურ. 1. ფრიალა

ფრიალა შედგება კორპუსისგან (ჩვეულებრივ ჩარჩოს სახით), ფრთოვანასგან (Impeller), რომლის შიდა დიამეტრის გასწვრივ მოთავსებულია მაგნიტი და ელექტროძრავისგან, რომელიც ამ მაგნიტს ფრთოვანასთან ერთად აბრუნებს. ფრიალას ცენტრში გატარებულია ლილვი (shaft), რომელიც ძრავის შუაშია განთავსებული. ფრთოვანა ძრავასთან ერთად ერთ ღერძზეა დამაგრებული..

ფრთოვანების მდოვრე მოძრაობისთვის სხვადასხვა ტიპის საკისრები (Bearing) გამოიყენება. არჩეული საკისრის ტიპი ფრიალას სხვადასხვა მახასიათებლებს განსაზღვრავს.

1-ელ ცხრილში წარმოდგენილია ფრიალებში გამოყენებული საკისრების ტიპები და მათი საიმედოობის საშუალო მახასიათებლები არახელსაყრელ, „ცხელ“ გარემოში ექსპლუატაციის დროს.


ცხრილი 1

საკისრების ტიპები და მახასიათებლები

საკისრის ტიპი	დრო მტყუნებად (არაუმცირეს, საათი)
მოსრიალე საკისარი (sleeve bearing)	10000
ერთი მოსრიალე საკისარი, ერთი მგორავი საკისარი (ball bearing)	20000
ორი, ან ოთხი მგორავი საკისარი (ball bearing)	30000
ჰიდროდინამიკური საკისარი	60000 და მეტი

მოსრიალე საკისარი (sleeve bearing) - ყველაზე იაფი და არასაიმედო ვარიანტია. გარდა ამისა, მუშაობის დროს იგი საკმაოდ დიდ აკუსტიკურ ხმაურს წარმოქმნის.

მოსრიალე საკისარი წარმოადგენს კორპუსს, რომელსაც ცილინდრული ფორმის ღრეჩო გააჩნია. მასში თავსდება ანტიფრიქციული მასალისგან, უმეტესად ფერადი ლითონისგან დამზადებული მილისი და საპოხი მასალა. ლილვსა და მილისს შორის არის ღრეჩო, რომელიც ლილვის თავისუფალი ბრუნვის საშუალებას იძლევა (სურ. 2).



სურ. 2. მოსრიალე საკისარი

მოსრიალე საკისარში საპოხი მასალის თანდათანობითი გახმობა ჩვეულებრივი პროცესია, რისი თავიდან აცილებაც შეუძლებელია. ამ დროს ფრიალა ნორმალურად ვეღარ ფუნქციონირებს. სწორედ ამიტომ მოსრიალე საკისრის ბაზაზე აგებული ფრიალების მუშაობის ხანგრძლივობა არცთუ დიდია.

თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსრიალე საკისრის ბაზაზე აგებული ფრიალას მუშაობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია არა მარტო საპოხი მასალის ხარისხზე, არამედ სამუშაო ტემპერატურაზეც (ცხრ. 2). ამიტომ არცთუ ისე „ცხელ“ სისტემებში თუ დროდადრო მოვახდენთ ფრიალების გაწმენდას, მათი გამოყენება შეიძლება გამართლებულიც იყოს, განსაკუთრებით მათი დაბალი ფასის გათვალისწინებით.

ერთი მოსრიალე საკისარი, ერთი მგორავი საკისარი (ball bearing) - საკისრის კომბინირებულ ტიპს წარმოადგენს, რომელსაც მუშაობის დაახლოებით ორჯერ მეტი ხანგრძლივობა გააჩნია მოსრიალე საკისართან შედარებით.

მგორავი საკისარი (ball bearing) მოსრიალე საკისართან შედარებით უფრო რთულ კონსტრუქციას წარმოადგენს. იგი შედგება გარე კორპუსისგან და შიდა

მილისისგან, რომლებიც მცირე ზომის ბურთულებით არიან დაკავშირებულნი (სურ. 3). შეერთება შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის, რაც საკისრის ზომასა და დანიშნულებაზეა დამოკიდებული.

ცხრილი 2

მოსრიალე საკისრის საიმედოობის დამოკიდებულება სამუშაო ტემპერატურაზე

ტემპერატურა	დრო მტყუნებამდე, საათი
25 °C	80 000 საათი
40 °C	52 000 საათი
50 °C	40 000 საათი
60 °C	30 000 საათი

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ღია საკისრები, პერსონალური კომპიუტერის ფრიალებში ასეთები არ გვხვდება. რამდენადაც მგორავი საკისარი არაგახსნად კომპონენტს წარმოადგენს, მის შიგნით გამოყენებული საპოხი მასალა არ ისვრება, ხოლო მახასიათებლები ბევრად უფრო ნელა უარესდება მოსრიალე საკისართან შედარებით. ეს მნიშვნელოვნად ზრდის ფრიალას მუშაობის ხანგრძლივობას. მაგალითად, მოსრიალე საკისრით ფრიალას მუშაობის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 50°C-ზე თუ 40000 საათია, მგორავი საკისრის შემთხვევაში იგი 63000 საათს აღწევს (ცხრ. 3).

ცხრილი 3


მოსრიალე საკისრის საიმედოობის დამოკიდებულება სამუშაო ტემპერატურაზე

ტემპერატურა	დრო მტყუნებამდე, საათი
25 °C	95 000 საათი
40 °C	75 000 საათი
50 °C	63 000 საათი
60 °C	54 000 საათი

რაც შეეხება აკუსტიკურ ხმაურს, მგორავი საკისარი მოსრიალე საკისართან შედარებით მეტ ხმაურს ქმნის. თუმცა ეს მტკიცება მხოლოდ ნაწილობრივია კვმმარიტი. როდესაც ფრიალა ახალია და საპოხმა მასალამ ვერ მოასწრო გახმობა- გაჭუჭყიანება, ფრიალები მოსრიალე საკისრით უფრო ჩუმიია. თუმცა დროთა განმავ-

ლობაში მოსრიალე საკისრის ხმაურის დონე იზრდება, ჩნდება ვიბრაციის არასასი-  
 ამოვნო ხმა. რაც შეეხება მგორავ საკისარს, მისი აკუსტიკური მახასიათებელი  
 დროთა განმავლობაში არ უარესდება. ამიტომ დროის ფაქტორის გათვალისწინე-  
 ბით ფრიალა მგორავი საკისრით უფრო ჩუმი მოსრიალე საკისრით აღჭურვილი  
 ფრიალასთან შედარებით.

2, ან 4 მგორავი საკისარი (სურ. 4) - ბევრად უფრო საიმედო კონსტრუქციაა  
 წინა ორთან შედარებით. არეთვე ხმაურის დაბალი დონით გამოირჩევა. თუმცა  
 ასეთი ფრიალები ბევრად ძვირია წინა ორთან შედარებით.




სურ. 3. მგორავი საკისარი



სურ. 4. ორი მგორავი საკისარი

ჰიდროდინამიკური საკისარი (Fluid Dynamic Bearings) მოსრიალე საკისრის  
 მოდიფიცირებულ ვერსიას წარმოადგენს (სურ. 5).



სურ. 5. ჰიდროდინამიკური საკისარი

ინოვაციური იდეა შემდეგში მდგომარეობს: საკისრის მყარი ნაწილი ნაწი-  
 ლობრივი შეცვლილია ზეთით. ლილვი არ ეხება მყარ ნაწილებს, იგი ზეთის აბა-

ზანაში ბრუნავს, რის შედეგადაც იზრდება საკისრის საიმედოობა და მცირდება აკუსტიკური ხმაურის დონე. ფრიალას ორიენტაციას არა აქვს მნიშვნელობა. უმტყუნო მუშაობის დრო 40°C-ზე დაახლოებით 60000 საათია.

დასკვნა: იაფფასიან და შედარებით „ცივ“ სისტემებში შესაძლებელია მოსრი-ალე საკისრის გამოყენება. იგი დაბალი ღირებულებით გამოირჩევა და გამართულ მდგომარეობაში საკმაოდ „ჩუმია“, თუმცა არახელსაყრელ ტემპერატურულ გარემოში მუშაობის დროს საექსპლუატაციო პერიოდი საკმაოდ მცირეა, კერძოდ, მკვეთრად იზრდება ხმაურის დონე ვიბრაციის გამო.

მგორავი საკისარი მოსრიალე საკისართან შედარებით უფრო ხანგრძლივი საექსპლუატაციო პერიოდით გამოირჩევა, განსაკუთრებით, არახელსაყრელ ტემპერატურულ რეჟიმში მუშაობის დროს, თუმცა საექსპლუატაციო პერიოდის გასვლის შემდეგ მისი რემონტი შეუძლებელია. იგი უნდა შეიცვალოს. მოსრიალე საკისრებს შორის მაქსიმალური საექსპლუატაციო პერიოდით (160 000 საათამდე) და მინიმალური ხმაურის დონით კერამიკული მგორავი საკისრები გამოირჩევა, თუმცა ისინი შედარებით ძვირადღირებულია.

საკისრებს შორის ყველაზე მცირე ხმაურის დონით ჰიდროდინამიკური საკისრები გამოირჩევა. აღსანიშნავია აგრეთვე მათი საკმაოდ ხანგრძლივი საექსპლუატაციო პერიოდიც. თუმცა მათი ღირებულებაც შედარებით მაღალია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. ბენაშვილი, გ. ბენაშვილი. კომპიუტერული სისტემების ექსპლუატაცია და სერვისი. თბ. „საქართველოს უნივერსიტეტი“. 2016.
2. [http://www.nix.ru/computer\\_hardware\\_news/hardware\\_news\\_viewer.html?id=164040&page=1](http://www.nix.ru/computer_hardware_news/hardware_news_viewer.html?id=164040&page=1)
3. [http://pcbheaven.com/wikipages/How\\_PC\\_Fans\\_Work/](http://pcbheaven.com/wikipages/How_PC_Fans_Work/)
4. <http://www.tomshardware.com/reviews/power-supplies-101,4193-18.html>

აქტიური თბოამრინებლების შერჩევა თანამედროვე კომპიუტერებისთვის

*ალექსანდრე ბენაშვილი, ასოცირებული პროფესორი  
გიორგი ბენაშვილი, Ph.D, უფროსი მასწავლებელი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

#### რეზიუმე

სტატიაში ჩამოყალიბებულია თანამედროვე მოთხოვნები კომპიუტერის აქტიური თბოამრინებლების მიმართ, რაც განპირობებულია კომპიუტერების

ტიპების და გამოყენების სფეროების მნიშვნელოვანი ზრდით. გაკეთებულია აქტიური თბომრინებლების ტექნოლოგიური ტიპების შედარებითი ანალიზი ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორებიცაა სამუშაო ტემპერატურა, რემონტის შესაძლებლობა, საექსპლუატაციო პერიოდი, ხმაურის დონე. აღწერილია მათი დადებითი და უარყოფითი თვისებები. მოცემულია რეკომენდაციები მათ გამოყენებასთან დაკავშირებით.

### **Выбор активного теплоотвода для современных компьютеров**

*Александр Бенашвили, Георгии Бенашвили*

*Грузинский Технический Университет*

#### **Резюме**

В статье сформулированы современные требования к активным теплоотводам компьютера, что обусловлено значительным увеличением количества типов компьютеров и сфер их использования. Сделан сравнительный анализ технологических типов активных теплоотводов по таким параметрам, как рабочая температура, возможность ремонта, эксплуатационный период, уровень шума. Описаны их положительные и отрицательные свойства. Приведены рекомендации по их использованию.

### **Selection of Active Heat Sinks for the Modern Computers**

*Aleksandre Benashvili, Associate Professor*

*Giorgi Benashvili, Ph.D. Senior Teacher*

*Georgian Technical University*

#### **Abstract**

The article describes the current requirements towards the active heat sinks of computers and these requirements are results of significant growth of number of computer types and usage fields. The comparative analysis of technologic types of active heat sinks are made on the basis of specifications, such as operating temperature, possibility of repair, exploitation period, noise level, etc. Their advantages and disadvantages are described and recommendations of usage are given.

## Цикл Карно

*БОЧОРИШВИЛИ М.М., ассоцир. профессор*

*ГОБРОНИДЗЕ В.В., ассоцир. профессор*

*БИБИЛУРИ М.В. Ассист. Профессор*

*Грузинский Технический Университет*

*Ключевые слова: Тепловое преобразование, механический эквивалент теплоты, закона сохранения энергии.*

Во второй половине XVIII столетия, когда была создана паровая машина, уже было известно, что только часть энергии, подведенная к термодинамической системе в форме тепла  $Q$  может превратиться в механическую энергию.

Карно, который серьезно занимался этими проблемами, сконструировал в 1824 г. простую тепловую машину, работающую по принципу кругового процесса, который, по имени создателя, стал называться циклом Карно. Карно установил, что для того, чтобы такая машина работала с максимальной эффективностью, необходимо, чтобы она работала возвратно-поступательно. Это означает, что все процессы, образующие цикл Карно, могут протекать не только как прямой цикл, но и в обратной последовательности, как цикл реверсивный.

Материальной мимтемой т.е. активным веществом в машине Карно бывает, как правило, газ или пар. Газ, совершающий цикл Карно, принимает энергию в форме тепла из источника тепла, называемого нагревателем, чья температура поддерживается на величине  $T_1$ . Из этой энергии только часть превращается в механическую, тогда как остаток подается в резервуар, работающий как охладитель с постоянной температурой  $T_2 < T_1$ . Газ, образующий собственно термодинамическую систему, замкнут в цилиндре с подвижным поршнем  $P$  (рис. 1) Стенки цилиндра и поршень изготовлены из материала, который является абсолютным термоизолятором (на рисунке заштрихованы). Дно цилиндра, наоборот, изготовлено из идеального проводника (на рисунке закрашено сплошь), чтобы осуществляют полный теплообмен между газом и нагревателем  $\Gamma$  или охладителем  $O$ . Для осуществления адиабатного процесса ко дну цилиндра снаружи крепится вкладыш 1 из идеального термоизоляционного материала.

Цикл Карно образуется из двух изотерм и двух адиабат, составляющих четыре частичных процесса, положим, что они протекают возвратно-поступательно. Далее, положим, что газ, совершающий цикл, это идеальный газ и его количество равно одному молу. Цикл Карно, представленный на диаграмме состояния  $(V, p)$  на рис. 2 составлен следующими четырьмя процессами:






рис.1.




рис.2.

1. Изотермическое расширение. Цилиндр с газом введен в контакт с нагревателем, в начальном состоянии А при объеме  $V_1$  и давлении  $p_1$  газ имеет температуру  $T_1$ . При изотермическом расширении газ переходит в состояние В, чем увеличивает свой объем до величины  $V_2$  и снижает таким образом давление до величины  $p_2$  при неизменной температуре  $T_1$ . При этом расширении газ совершает работы  $W_1$ , которая эквивалентна принятому теплу  $Q_1$  и для которой, согласно

уравнению  $W = RT \int_{v_1}^{v_2} \frac{dv}{v} = RT \ln \frac{V_2}{V_1}$  действительно

$$W_1 = RT_1 \ln \frac{V_2}{V_1} = Q_1 \quad (1)$$

Поскольку  $V_2 > V_1$ , то  $W_1 > 0$  и одновременно  $Q_1 > 0$ . Работа, совершенная газом, дана площадью, ограниченной кривой АВ, координатами  $p_1$ ,  $p_2$  и осью объемов.

2. Адиабатное расширение. Цилиндр с газом изолируем термической таким образом, что к его дну прикрепим изоляционный вкладыш. При адиабатном расширении газ переходит в состояние С.

Процесс протекает так, что газ увеличивает свой объем до величины  $V_3$ , снижает давление до величины  $p_3$  и охлаждается до температуры  $T_2$  охладителя. Поскольку при

этом процессе газ термически изолирован, то работа  $W_2$  газа совершается за счет его внутренней энергии

$$W_2 = -(U_2 - U_1) = -Cv(T_2 - T_1) = Cv(T_1 - T_2)$$

Поскольку  $T_1 > T_2$  то  $W_2 > 0$ . Работу, совершенную газом при адиабатическом расширении, представляет поверхность, ограниченная кривой BC, ординатами  $p_2, p_3$  осью объемов.

3. Изотермическое сжатие. Цилиндр с поршнем приведен в контакт с охладителем. При изотермическом сжатии газ при температуре  $T_2$  переходит в состояние D. Это изменение проявляется в уменьшении объема газа до величины  $V_4$  и увеличении давления  $p_4$  при постоянной температуре  $T_2$ . Для изотермического сжатия газа, должна быть совершена работа

$$W_3 = RT_2 \ln \frac{V_4}{V_3} = -RT_2 \ln \frac{V_3}{V_4}$$

которая эквивалентна теплу, принимаемому газом от охладителя. Тепло, передаваемое газом охладителю, в соответствии с этим равно

$$Q_2 = W_3 = RT_2 \ln \frac{V_3}{V_4} \quad (2)$$

Поскольку  $V_3 > V_4$ , то  $W_3 < 0$ . Отрицательная работа  $W_3$  представлена поверхностью кривой CD, ординатами  $p_3, p_4$  и осью объемов.

4. Адиабатное сжатие. Газ в цилиндре термически изолируем и с помощью адиабатного сжатия переведем его в начальное состояние A. При этом сжатие изменяется объем газа до величины  $V_1$ , давление повышается до величины  $p_1$ , а температура увеличивается до температуры нагревателя  $T_1$ . Работа, совершаемая при адиабатном сжатии, дана соотношением:

$$W_4 = -(U_1 - U_2) = -Cv(T_1 - T_2)$$

Значит, работа  $W_4$  которую газ совершает в одном цикле, получим как сумму работ в отдельных частичных процессах. Значит

$$W = W_1 + W_2 + W_3 + W_4 ?$$

или

$$W = RT_1 \ln \frac{V_2}{V_1} + Cv(T_1 - T_2) - RT_2 \ln \frac{V_3}{V_4} (T_1 - T_2)$$

и отсюда

$$W = RT_1 \ln \frac{V_2}{V_1} - \frac{V_3}{V_4} \quad (3)$$

Процесс Карно завершается только тогда, когда объемы газов в состояниях A-D будут связаны определенным условием. Чтобы цикл завершился B нельзя выбирать объем  $V_4$ , до которого газ изотермически сжимался, произвольно, он должен быть выбран так, чтобы при последующем адиабатном сжатии уменьшился именно до величины  $V_1$ , которую имеет газ в начальном состоянии A. Условие для объема

получаем, например, из уравнений Пуассона (TV), которые для II и IV процессов (адиабатное расширение и сжатие) имеют вид:

$$T_1 V_2^{x-1} = T_2 V_3^{x-1}$$

$$T_2 V_1^{x-1} = T_2 V_4^{x-1}$$

После простого преобразования получим из этих уравнений неполное условие для объема

$$\frac{V_2}{V_1} = \frac{V_3}{V_4}$$

которое указывает, что соотношение в котором газ при изотермическом расширении увеличивает свой объем, то же, в каком он уменьшается при изотермическом сжатии. Если представить это условие в уравнении, получим

$$W = R(T_1 - T_2) \ln \frac{V_2}{V_1} \quad (4)$$

Поскольку  $V_2 > V_1$  и  $T_1 > T_2$ , то и  $W > 0$ . Там самым уравнение (4) доказывает, что цикл Карно завершается усилением работы. Это усиление величины  $W$  выражено на диаграмме (рис. 2) заштрихованной поверхностью ABCD, ограниченны извне на перевода газа в начальное состояние A.

При цикл Карно работа  $W$  усиливается от разницы между теплом  $Q_1$ , которое газ принимает от нагревателя и теплом  $Q_2$ , которое газ отдает охладителю. С точки зрения коэффициента полезного действия любой тепловой машины, значение имеет только тепло, которое система принимает снаружи и превращает в механическую работу, тогда как тепло, отданное среде, с этой точки зрения, интереса не представляет. Поэтому под коэффициентом полезного действия тепловой машины мы понимаем соотношение

$$\eta = \frac{W}{Q_1} = \frac{Q_1 - Q_2}{Q_1} \quad (5)$$

выражающее зависимость усиления работы от тепла, полученного от нагревателя. В соответствии с этим, для эффективности цикла Карно, протекающего реверсивно, действительно

$$\eta = \frac{R(T_1 - T_2) \ln(V_2 / V_1)}{RT_1 \ln(V_2 / V_1)} = \frac{T_1 - T_2}{T_1} \quad (6)$$

без ограничения идеальные газом соотношение дает важный результат, по которому коэффициент полезного действия цикл Карно зависит только от абсолютных температур нагревателя и охладителя. Этот коэффициент полезного действия всегда меньше 1 он достиг бы тогда, когда температура  $T_2$  охладителя стала бы равной абсолютному нулю.

Если цикл Карно протекает в обратной последовательности, то на газ действуют внешние силы той же работы, которую совершал газ в описанном прямом цикле. Охладитель при обратном цикле забирает тепло  $Q_2$  и при использовании внешней

работы  $W=Q_1-Q_2$  подает нагревателю тепло  $Q_1$ . Результатом является отбирание тепла у охладителя. Это означает, что машина с обратным циклом Карно – это холодильная машина.

Обратный цикл Карно служит также для определения так называемой термодинамической шкалы. Из выражений, представляющих его коэффициент полезного действия (уравнения (5) и (6)) следует, что соотношение тепла, принятого и отданного в одном цикле, равно соотношению температур нагревателя и охладителя, значит

$$\frac{Q_1}{Q_2} = \frac{T_1}{T_2}$$

Соотношение температур  $T_1/T_2$  можно определить из замеренной теплоты  $Q_1$  и  $Q_2$ . Термодинамическая шкала очень хорошо соответствует шкале водородного или гелиевого термометра. Небольшие отклонения возникают по той причине, что цикл никогда не протекает точно реверсивно. Преимуществом абсолютной термодинамической шкалы является то, что по первому закону Карно она не зависит от вида газа, с которым производится цикл карно.

Первый закон Карно гласит, что коэффициент полезного действия обратного цикла Карно зависит не от вида рабочего вещества, а только от абсолютных температур нагревателя и охладителя. Это означает, что все циклы карно, работающие реверсивно, между этими температурами имеют одинаковый коэффициент полезного действия.

### Литература

1. Шебалин О. Д. Молекулярная физика. Москва. «Высшая школа». 1978г.
2. Чачхиани З. Б. Основы молекулярной физики. Издательский дом «Технический Университет». Тбилиси. 2009
3. Яворский Б. М., Пинский А. А., Основы физики. том I.
4. Геворкян Р. Г., Шепель В. В. Курс общей физики. Издательство «Высшая школа». Москва. 1972
5. გიგინეიშვილი ა., კუკულაძე გ. ზოგადი ფიზიკის კურსი. I ნაწ. თბილისი. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2006წ.

## კარნოს ციკლი

*მ.ბოჭორიშვილი, ასოცირებული პროფესორი  
ვ. გობრონიძე, ასოცირებული პროფესორი  
მ.ბიბილური, ასისტენტ-პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## რეზიუმე

**საკვანძო სიტყვები:** სითბოს გარდაქმნა, სითბოს მექანიკური ექვივალენტი, ენერჯის მუდმივობის კანონი.

ფრანგი ნიკოლა ლეონარ რადი კარნო, რომელმაც პირველად განიხილა სითბური ძრავის იდეალური მუშა ციკლი.

კარნოს ციკლი არის შექცევადი წრიული პროცესი, რომელშიც სრულდება სითბოს გარდაქმნა მუშაობად (ან მუშაობა სითბოდ).

ისტორიულად კარნოს ციკლმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თერმოდინამიკის და თბოტექნიკის განვითარებაში.

კარნოს ციკლში გაანალიზებულია იდეალური წრიული პროცესი და პირველი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სასარგებლო მუშაობა სრულდება მხოლოდ გახურებული სხეულიდან ცივ სხეულზე სითბოს გადასვლისას.

კარნომ მიახლოებით განსაზღვრა სითბოს მექანიკური ექვივალენტი და ზოგადად გამოთქვა ენერჯის მუდმივობის კანონი.

## Цикл Карно

*БОЧОРИШВИЛИ М.М., ассоцир. профессор  
ГОБРОНИДЗЕ В.В., ассоцир. профессор  
БИБИЛУРИ М.В. Ассист. Профессор  
Грузинский Технический Университет*

## Резюме

Карно Никола Леонид сади – Анализируя идеальный круговой процесс (Карно цикл), впервые пришел к выводу о том, что полезная работа производится только при переходе тепла от нагретого тела к более холодными.

Карно цикл, обратимый круговой процесс в котором совершается превращение теплоты в работу(или работа в теплоту).

Карно приблизительно определил механический эквивалент теплоты и высказал в общем виде закон сохранения энергии.

### Carnot cycle

*Bochorishvili M.M., Assoc. Prof.,  
Gobronidze V.V. Assoc. Prof.,  
Bibiluri M.V. Asis. Prof.,  
Georgian Technical University*

### Summary

**Key words:** Heat conversion, mechanical equivalent of heat, law of conservation of energy.

Nicolas Léonard Sadi Carnot – Analyzing ideal circular process (Carnot cycle), for the first time came to a conclusion, that useful work is performed only during transition of heat from a heated body to colder.

Carnot cycle, reversible circular process in which heat is convert into work.

Carnot approximately defined a mechanical equivalent of heat and in general terms expressed the law of conservation of energy.

## ფსიქოლოგიური თეორიები და ადამიანის რაობა

*ქეთი თელია, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

**საკვანძო სიტყვები:** ფსიქოლოგია, ადამიანი, ფსიქონალიზი, ბიჰევიორიზმი, ეგზისტენციალიზმი

მოგეხსენებათ, რომ ფსიქოლოგია არც თუ იმდენად ძველი მეცნიერებაა. მისი, როგორც ცალკე მეცნიერებად ფორმირება მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მოხდა.

თავისი არსით, იგი ცხადია მრავალ საუკუნეს მოიცავს. მაგალითისთვის, ჯერ კიდევ ჰიპოკრატე ცდილობდა გარკვეული სახე მიეცა ადამიანების ხასიათისთვის და ისინი ოთხ ტემპერამენტად დაყო - სანგვინიკები, ქოლერიკები, მელანქოლიკები და ფლემატიკები.

ადამიანის, როგორც ინდივიდის ინტერესი საკუთარი წარმომავლობისადმი და რაობისადმი მუდამ დაუცხრომელი იყო. მრავალი ფილოსოფოსი ცდილობდა ისეთი ეგზისტენციალური საკითხების არსში ჩაწვდომას, როგორცაა “ვინ არის ადამიანი?”, “რა მისია აკისრია მას ამ სამყაროში?” და მისთანანი. კითხვებზე პასუხები მრავალგვარია, რომელთა შეცნობასაც მხოლოდ ფსიქოლოგები და მწერლები როდი ცდილობდნენ. რიგითი ადამიანის ინტერესიც ხშირად გაჩენილა ამ საკითხების მიმართ.

ფსიქოლოგია ის დარგია, რომელიც ბევრ სკოლას მოიცავს, როგორც ეგზისტენციალურ, ისე ფსიქონალიზურ, ბიჰევიორისტულ და ა.შ.

ეკლექტიკური მიდგომაც არ გახლავთ მისთვის უცხო. და მაინც, ფსიქოლოგიამ, როგორც ნებისმიერმა მეცნიერებამ განიცადა ევოლუცია, მისი ფორმირება თანდათან მიმდინარეობს და ვფიქრობ მისი ამოუწურვადობა ზუსტად რომ მის მიერ შესასწავლი ობიექტის დამსახურებაა - ადამიანი ეს ბიოსოციალური არსება უნიკალურია თავისი არსით და ვერანაირი თუნდაც ათეული სკოლა ვერ მოიცავს სრულად მის რაობას.

რომ მივყვით ქრონოლოგიურად, ცხადია ყველაზე თვალსაჩინო სკოლიდან უნდა დავიწყოთ განხილვა, რომელიც ასევე ადრეულია მის თანამომხმებთან შედარებით. ფსიქონალიზი და მისი ფუძემდებელი ზიგმუნდ ფროიდი დღემდე აქტუალურია ფსიქოთერაპიისთვის. ფსიქონალიზის ნაწილები - “გადატანა”, “განდევნა”, “სუბლიმაცია”, - ის ფსიქოლოგიური ტერმინებია, რომლის გარეშეც

ფსიქოკონსულტირება და ფსიქოთერაპია წარმოდგენილია. ფროიდის ღვაწლი უდავოა ფსიქოლოგიის განვითარების წინაშე.

ახლა კი გამოვკვეთოთ, თუ როგორია ფსიქოანალიზის მიდგომა ადამიანის, როგორც ფენომენის ახსნისას.

ფსიქოანალიზი დგას ფროიდის მიერ ფსიქოლოგიაში შემოტანილ ტერმინ “ქვეცნობიერზე”. რა არის ქვეცნობიერი? დეფინიციურად თუკი განვიხილავთ, - იგი არის ფსიქიკური პროცესებისა და მოვლენების თვითმყოფადობა, რომელიც სუბიექტის (ადამიანის) ცნობიერების სფეროში არ შედის, ანუ ცნობიერის მიერ არ კონტროლირდება. ფროიდის მიხედვით, ადამიანის გონების დაყოფა ხდება სამ ნაწილად - ცნობიერი, წინარეცნობიერი და არაცნობიერი. ცნობიერება თავად ეგოს მომცველი ნაწილია, იგი არის კოგნიტური ქმედებების ერთიანობა, რომელიც ადამიანის მიერ ცნობიერდება. წინარეცნობიერი ეს არის ჩვენი მეხსიერება. მასში ცნობიერიდან ინფორმაციის გადასვლა ხდება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უკან ცნობიერში შეიძლება მისი გადმოტანა სრულად ან ფრაგმენტული ხასიათით. ხოლო ქვეცნობიერის არსი, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ ბუნდოვანია ბევრი ფსიქოლოგიური სკოლის ავტორისთვის, მაგრამ ცხადია რომ იგი დღემდე აქტუალურია. ქვეცნობიერი არის ის ფარული ინსტინქტებითა და მისწრაფებებით სავსე შავი ოთახი, რომელსაც ვერასოდეს გავაცნობიერებთ, თვლიან ფსიქოანალიტიკოსები.

ფროიდი ხაზს უსვამს მე-ს კონცეფციის ქვაკუთხედს, სადაც “მე” იყოფა შემდეგ კატეგორიებად - ეგო ; სუპერ-ეგო ; იდი. აქ ეგო ჩვენს ცნობიერებას უტოლდება, ის რაციონალური ნაწილია. სუპერ-ეგო მოიცავს ჩვენს იდეალებსა და სინდისს, ხოლო იდი არის ქვეცნობიერი, რომელიც ფარულ და აკრძალულ ლტოლვებსა და სურვილებს შეიცავს.

რომ არ წავიდეთ ფსიქოანალიზის ფესვებში, შეგვიძლია აქედანვე დავინახოთ რა როლი აკისრია ადამიანს ფსიქოანალიზური მიდგომის შესწავლისას. აქ ადამიანი განიხილება, როგორც ნეიტრალური ტერიტორია, სადაც სუპერ-ეგო ერკინება იდის, ხოლო ეგო მსაჯის პოზიციაზეა. ეგოს მოვალეობა-ფუნქციაა, სწორად მოახერხოს ფარული ლტოლვებისა და მორალის ბალანსირება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი რომელიმე გადაჯაბნის მეორეს, სახეზე გვექნება ნევროზი ან კიდევ სხვა სახის ფსიქოლოგიური დარღვევები.

ფსიქოანალიზის გადმოსახედიდან ადამიანი დამოკიდებული, სუსტი არსებაა, რომელიც მუდამ ჭიდილშია თავის “მე“-ების დომინანცია-მორჩილებაზე. მოგეხსენებათ, რომ ფსიქოანალიზს საფუძველი ჩაეყარა მეოცე საუკუნის დასაწყისში და შესაბამისად, როგორც ყველა თეორია, ისიც ვერ დარჩა ობიექტური



მაშინდელი დროების წინაშე. ყველა თეორიას ამჩნევია მისი ავტორის ხელი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შემქმნელი თავის ქმნილებას მუდამ გამოცდილებიდან, დაკვირვებიდან აყალიბებს და საკუთარი თავის ნაწილსაც დებს მასში. შემქმნელს გააჩნია ასევე მოტივები და მისწრაფებები. ცხადია, ამას არ დაეთმობა ამ სტატიაში სათანადო ყურადღება, თუმცა კი აღნიშვნის ღირსი ნამდვილად გახლავთ, რადგან ეს მნიშვნელოვანი დეტალი ეხმიანება სტატიის იმ ძირითად ხაზს, რომლითაც ვცდილობთ მკითხველამდე მოვიტანოთ თუ როგორ აისახება მიმდინარე დროება თითოეულ ჩვენს მიერ ნახსენებ ფსიქოლოგიურ სკოლაზე და თავისი სახით შემდგომ უკვე სკოლა როგორ წარმოაჩენს თავისი თეორიიდან გამომდინარე ადამიანს. მეოცე საუკუნის დასაწყისში ადამიანი ერთობ უსუსურად იყო წარმოჩენილი. ფროიდის ერთ-ერთმა მოსწავლემ, ალფრედ ადლერმა, მიუხედავად იმისა რომ გააკრიტიკა ფსიქოანალიზი, როგორც ერთობ სექსუალიზებული თეორია, არ შეცვალა ძირითადი. მან დატოვა ინსტინქტები ადამიანის მმართველად, მხოლოდ სექსუალური ინსტინქტები “ჩაანაცვლა” ძალაუფლების ინსტინქტით.

მეოცე საუკუნე ფრიად ნაყოფიერი გამოდგა ფსიქოლოგიის განვითარების კუთხით.

ერთ-ერთი საგულისხმო ფსიქოლოგიური სკოლა გამოდგა ბიჰევიორიზმი. მისი ფუძემდებელი გახლდათ ჯონ უოტსონი (შემდგომ უკვე მიმდევრები: სკინერი, ჰალი და თორნდაიკი).

ბიჰევიორიზმი გახლავთ ინგლისური სიტყვა behavior-იდან (ქცევა ინგლ.) წარმოებული, რაც სიტყვა-სიტყვით ქცევათმეცნიერებას აღნიშნავს. იგი ფაქტობრივად ღიად დაუპირისპირდა ფსიქოანალიზის ფუნდამენტურ საკითხებს. მისი ავტორები მიიჩნევენ, რომ ქვეცნობიერი პრაქტიკულად არ არსებობს. ისინი განიხილავენ, რომ ადამიანი იბადება “სუფთა დაფად”, ხოლო შემდგომ დასწავლის გზით შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ისეთად, როგორსაც მოვისურვებთ. ბიჰევიორიზმის ინდეტერმინისტული მიდგომა იმთავითვე უარზეა, რომ ადამიანი წარმოაჩინოს დამოუკიდებელ არსებად, რომელსაც გარკვეული თანდაყოლილი ნიჭი ან უნარი გააჩნია. ბიჰევიორიზმისთვის პიკასოებად არ იბადებიან, პიკასოებად ყალიბდებიან. ადამიანი დამეთანხმებით, რომ მეტად მრავალმხრივი არსებაა და შეუძლებელია მისი გონების ალგორითმიზაციაზე საუბარი. დასწავლის მექანიზმი კი ამ თეორიის მიხედვით მეტად მარტივია. გააჩნია სტიმულ-რეაქციის ჯაჭვი. ბიჰევიორიზმის კუთხით, ადამიანი არის არსება, რომელსაც ქცევის ფორმირებისთვის სჭირდება გამღიზიანებელი ფაქტორი. ამ ფაქტორის შედეგად მოხდება სტიმულ-რეაქციის თანხვედრა ანუ, სტიმულზე საპასუხოდ ადამიანი განახორციელებს ქცევას. ეს მიდგომა საკმაოდ პრაგმატულია თავისი არსით და

დღესდღეობით საკმაოდ კარგ შედეგებს იძლევა ფობიებზე და შიშებზე მუშაობისას.

მაგრამ რას ამბობს ეს ფსიქოლოგიური სკოლა, რომელიც ფსიქონალიზის მოწინააღმდეგედ ითვლება? იგი ასევე წარმოაჩენს ადამიანს ისეთ არსებად, რომელიც მხოლოდ შუამავალი რგოლია ამ S-R (Stimulus-Reaction) ჯაჭვში.

როგორც ვხედავთ, ფსიქოლოგიის კუთხით, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ადამიანი დიდად ვერ ცდება საცდელი თეთრი თაგვის სტატუსს (საგულისხმოა, რომ ბიჰევიორიზმის ცდების ნაწილი სწორედ თეთრ თაგვებზე ტარდებოდა, რომელზეც შეისწავლიდნენ გამღიზიანებლისა და მისი შემდგომი რეაქციის დონეებს).

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ფსიქოლოგიაში გაჩნდა ე.წ. “მესამე ძალა”. ეს გახლდათ ჰუმანისტური და ეგზისტენციალური ფსიქოლოგია.

ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში წამყვან ფიგურად შეგვიძლია კარლ როჯერსი მოვიხსენიოთ, რომელიც პიროვნებაზე ცენტრირებული ფსიქოლოგიით გახლავთ ცნობილი (ასევე მიმდევრები: აბრაამ მასლოუ, გორდონ ოლპორტი).

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი ერთგვარ გამოფხიზლებას წააგავს, როცა ფსიქოლოგიამ თითქოს აღიარა ადამიანის მნიშვნელობა და მისი ფიგურა გახდა ცენტრალური ფსიქოლოგების შესწავლისას. თუკი ფსიქონალიზი წლობით საჭიროებდა ადამიანის ქვეცნობიერში მიზეზების ძებნას, ხოლო ბიჰევიორიზმი უკუაგდებდა ადამიანს, როგორც უბრალოდ სტიმულ-რეაქციის წყაროს, ჰუმანისტური ფსიქოლოგია გამოდგა ის თეორიული მოდელი, რომელიც ადამიანზე იყო მორგებული და არ განიხილავდა მას, როგორც პრობლემის დანამატს. იგი ორიენტირებული იყო ისეთ ფსიქოთერაპიაზე, რომელიც ადამიანს მეტ თავისუფლებას მისცემდა და მიანიჭებდა უნარს მიეღო საკუთარი ნაკლოვანებები. სწორედ აქედან მოდის მისი სახელწოდებაც. აქ ფსიქოლოგს არ აქვს დირექტიული მიდგომა, იგი ემპათიით აღჭურვილი ექიმია, რომელიც ამლევს პაციენტს საშუალებას, რომ მისი კორექტირებით, თუმცა დამოუკიდებლად მოახერხოს პაციენტმა საკუთარი პრობლემების ფორმირება და გაგება.

თავისი არსით, ეგზისტენციალიზმი ახლოს დგას ჰუმანისტურ ფსიქოლოგიასთან. იგი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან - existential, რაც არსებობას აღნიშნავს.

იგი უფრო ფილოსოფიის ნაწილია, ვიდრე ფსიქოლოგიის, თუმცა თავისი ვიწრო, თუმცა პერსონალური ადგილი მაინც დაიკავა ფსიქოლოგიაში. ჭეშმარიტ ეგზისტენციალისტებად ითვლებიან როლო მეი, ვიქტორ ფრანკლი. ბევრი მწერალი თუ ფილოსოფოსი გახლდათ ეგზისტენციალისტი.

ფსიქოლოგიური კუთხით, ამ მიმდინარეობას ხშირად “პოეტურ მიებებსაც” უწოდებენ. მან უარყო ბევრი ისეთი ფსიქოლოგიური დეტალი, რომელიც თეორიის სანდოობასა და ვალიდიზაციას განაპირობებს. თუმცა ჩვენი სტატისტიკის იგი აღსანიშნავია, გამომდინარე იქიდან, რომ მან მიანიჭა პაციენტს (კლიენტს) თავისუფლება. მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ადამიანის სურვილები და მიზანსწრაფვები განიხილება, როგორც არა სამყაროდან წამოსული იმპულსები, არამედ როგორც ამ კონკრეტული ადამიანიდან დანახული და აღქმული მოტივები და მიზანსწრაფვები.

ჩვენ დავინახეთ, როგორ იქცა ფსიქოლოგიისთვის ადამიანი არსებად, რომელიც თავადვე არის საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. მეოცე საუკუნე გარდამტეხი აღმოჩნდა ადამიანის რაობის ახსნაში. ოცდამეერთე საუკუნე კი ეკლექტიკურ მიდგომებს ანიჭებს უპირატესობას. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მდგომი, სამწუხარო ფაქტად მივიჩნევ ფსიქოლოგიის ამდენწაირად დაყოფას და ვიწრო-ვიწრო სფეროებად გადაქცევას, რადგან ფსიქოლოგია ყველა დარგსა თუ სპეციალობას სჭირდება, მაგრამ იგი ყველა დარგად ვერ იქცევა.

და საბოლოოდ, დავამატებდი, რომ ჩემი თვალთახედვიდან, ადამიანი არის ბიოსოციალური არსება, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი თავად მის ბიოლოგიურობაზე მოდის. იგი სოციალური ცხოველია. ცხოველი იმ არსით, რომ ინსტინქტები გააჩნია და ფიზიოლოგიური ქმნილებაა, სოციალური კი იმ გაგებით, რომ თითოეული ადამიანი საჭიროებს ადამიანთან ან ადამიანთა ჯგუფებთან მიკუთვნებულობას. ცხოველისგან განმასხვავებელი კი, რაც გაგვაჩნია, ეს არის უმაღლესი გონი. იგი მოიცავს ჩვენს სურვილებს, მიზანსწრაფვებს, იდეალებს, სინდისს, ანალიზის უნარს, მსჯელობას და ა.შ.

თითოეული ადამიანი განსხვავდება ერთმანეთისგან და ამდენადვე ჰგავს კიდევ ურთიერთს. ეს მსგავსება რომ არა, არც ფსიქოლოგიური სკოლები იარსებებდა, რაც გარკვეულ სტატისტიკურ მასალაზე დგას. ხოლო განსხვავებულობა რომ არა, ყველა ინდივიდზე მხოლოდ ერთი ფსიქოლოგიური მოდელი იქნებოდა წარმატებული.

სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში არ ხდება მჭიდრო თანამშრომლობა მედიცინასა და ფსიქოლოგიას შორის, რაც გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს, როგორც ადამიანის შესწავლისას, ისე მისი პაციენტად მიღებისას ფსიქოთერაპიის დროს.

ადამიანი საკმაოდ მრავალმხრივი არსებაა, თანაც წინააღმდეგობრივი. ფსიქოლოგია კი ის შუქურაა, რომელიც საკუთარი თავის შეცნობის გზაზე უნათებს მას ბილიკს.

### ლიტერატურა:

1. ირაკლი იმედაძე - ფსიქოლოგიის ისტორია ანტიკური ხანიდან ჩვენ დრომდე. გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2014.
2. მარინა ბალიაშვილი - სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. გამომცემლობა მწიგნობარი, თბილისი, 2010.
3. ფილიპ ზიმბარდო, რიჩარდ გერიგი - ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009
4. ზიგმუნდ ფროიდი - ფსიქონალიზი. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბილისი, 2011.
5. Barry Schwartz - Behaviorism, Science, and Human Nature. Publisher: W. W. NORTON & Company, 1982.
6. ЖАК ЛАКАН СЕМИНАРЫ (КНИГА 2) - «Я» В ТЕОРИИ ФРЕЙДА И В ТЕХНИКЕ ПСИХОАНАЛИЗА. издательство „Гнозис“, Москва, 2009
7. Фрейд, З. Остроумие и его отношение к бессознательному. Пер. Я.М.Коган, М.В. Вульф. Минск: Харвест, 2006.
8. Ролло Рис Мэй, Абрахам Харольд Маслоу - Экзистенциальная психология. Институт общегуманитарных исследований, Инициатива, 2005

### ფსიქოლოგიური თეორიები და ადამიანის რაობა

*ქეთი თელია, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

მოგეხსენებათ, რომ ფსიქოლოგია არც თუ იმდენად ძველი მეცნიერებაა. მისი, როგორც ცალკე მეცნიერებად ფორმირება მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მოხდა. ფსიქოლოგიამ დიდი გზა განვლო, სანამ მიიღებდა იმ სახეს, რომელიც ახლა აქვს.

მიმდინარე სტატია არის მოკლე მიმოხილვა იმისა, თუ როგორ ხედავდნენ და წარმოაჩენდნენ მეოცე საუკუნის ძირითადი ფსიქოლოგიური სკოლები ადამიანს.

ფსიქოანალიზი, ბიჰევიორიზმი, ეგზისტენციალიზმი, ჰუმანისტური ფსიქოლოგია - ესენია სტატიაში განხილული სკოლები, რომლებსაც მოიცავდა მეოცე საუკუნე.

სტატიაში კარგად ჩანს, რა როლი აკისრია ადამიანს თითოეულ თეორიაში. ფსიქოლოგიური სკოლების განხილვა გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ თუ როგორი მიმართულებით მიდის ეს დარგი და რა გავლენას ახდენს ადამიანზე.

ადამიანის, როგორც ინდივიდის ინტერესი საკუთარი წარმომავლობისადმი და რაობისადმი მუდამ დაუცხრომელი იყო. მრავალი ფილოსოფოსი ცდილობდა ისეთი ეგზისტენციალური საკითხების არსში ჩაწვდომას, როგორცაა “ვინ არის ადამიანი?”, “რა მისია აკისრია მას ამ სამყაროში?” და მისთანანნი. კითხვებზე პასუხები მრავალგვარია, რომელთა შეცნობასაც მხოლოდ ფსიქოლოგები და მწერლები როდი ცდილობდნენ. რიგითი ადამიანის ინტერესიც ხშირად გაჩენილა ამ საკითხების მიმართ.

ეკლექტიკური მიდგომაც არ გახლავთ ფსიქოლოგიისთვის უცხო. და მაინც, ფსიქოლოგიამ, როგორც ნებისმიერმა მეცნიერებამ განიცადა ევოლუცია, მისი ფორმირება კი ახლაც მიმდინარეობს.

**საკვანძო სიტყვები:** ფსიქოლოგია, ადამიანი, ფსიქოანალიზი, ბიჰევიორიზმი, ეგზისტენციალიზმი.

## Психологические теории и сущность человека

*Кети Телия, докторант*

*Грузинский Технический Университет*

### Резюме

Как известно, психология не такая уж древняя наука. Его формирование, как отдельной науки, произошло в конце девятнадцатого века. Психология прошла долгий путь до приобретения сегодняшнего лица. Текущая статья краткий обзор того, как видели и представляли человека главные психологические школы в двадцатом веке. Бихевиоризм, Экзистенциализм, Гуманистическая психология - это рассмотренные в статье школы двадцатого века. В статье хорошо видно какая роль возлагается на человека в каждой теории. Обсуждение психологических школ дает возможность видеть в каком направлении идет этот раздел и как действует на человека. Интерес человека как индивидуума к собственному происхождению и сущности всегда был неутомимым. Многие философы пытались вникнуть в суть

таких экзистенциальных вопросов, как “кто такой человек?”, “Какая миссия возложена на него в этом мире?” и тому подобное. Ответы на вопросы многообразны, познать которых пытались не только философы и писатели. Часто этими вопросами интересовались обычные люди. Эклектический подход тоже не чужд для психологии. Психология как и любая наука претерпела эволюцию и ее формирование длится по сегодняшний день.

**Ключевые слова:** психология, человек, психоанализ, бихевиоризм, экзистенциализм.

### Psychological theories and the essence of a human

*Katie Telia, PhD*

*Georgian Technical University*

#### Summary

As you know, psychology as science is not so old. Its formation, as a separate science, occurred in the late nineteenth century. Psychology has come a long way before acquiring the face it has nowadays.

The current article is a brief overview of how the main psychological schools were seen and represented human being in the twentieth century. Behaviorism, Existentialism, Humanistic psychology – they are schools of the twentieth century which are represented in this article.

The article clearly shows what role is assigned to a person in each theory. Discussion of psychological schools makes it possible to see in which direction this section is going and how it acts on a person. The interest of human, as an individual to his own origin and nature, has always been restless. Many philosophers have tried to understand the essence of such existential questions as "who is a human?", "What mission is entrusted to him in this world?" and etc. The answers to this questions are various and not only philosophers and writers tried to understand it. Often, ordinary people also have such questions. Eclectic approach is also not an unknown to psychology. Psychology as any science has undergone evolution and its formation lasts for today.

**Keywords:** psychology, human, psychoanalysis, behaviorism, existentialism.

## ტექნოლოგიებში გამოყენებული ნატურალური ტყავის მასალებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნები

*კუდავა თამილა, დოქტორანტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*საკვანძო სიტყვები: ნატურალური ტყავი, კონსტრუქცია, ხარისხი, მახასიათებლები, კლასიფიკაცია, დეკორატიული გვირისტი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი.*

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც მწარმოებელს უხდება კონკურენტუნარიან გარემოში მუშაობა, ყოველთვის ცდილობს შექმნას ისეთი მაღალხარისხოვანი ნაწარმი, რომელიც კონკურენციას გაუწევს სხვა საწარმოების მიერ გამოშვებულ პროდუქციას და ამასთან იგი მოთხოვნადი იქნება შესაბამისი სეზონურობის მიხედვით. ეს კი მოითხოვს ისეთი მოდელების შექმნას, რომელიც დააკმაყოფილებს ადამიანთა გაზრდილ მოთხოვნებს.

სამოსის წარმოება შეიძლება ჩაითვალოს უნიკალურ მოვლენად. იგი ერთის მხრივ დინამიურად განვითარებადი დარგია, რომელიც ეყრდნობა თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიებს, მეორეს მხრივ მათი გამოყენება ყოველთვის არ გვადლევს იმის საშუალებას, რომ შევქმნათ მრავალფეროვანი ნაწარმი. ახალი მოდელების შექმნა და კონსტრუქცია უშუალოდ დამოკიდებულია ნაწარმის შესაქმნელად გამოყენებულ მასალებზე და მათ თვისებებზე. მაგ. ნატურალური ტყავის მასალების სამოსში გამოყენებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ მომხმარებელს მისი გამოყენება მოუხდება ხანგრძლივი დროით, ამიტომ მოდა ნატურალური ტყავის სამოსისათვის უნდა იყოს კონსერვატული. ტყავის ნაწარმის მოდელირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მრავალფეროვან კონსტრუქციულ დეტალებსა და ელემენტებს, კონსტრუქციულ-დეკორატიულ ნაკერებს, რომელთა რაოდენობა უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება გამოყენებული მასალების თვისებებითა და ძირითადი მახასიათებლებით. [1].

ნატურალური ტყავის მასალისაგან დამზადებული სამოსი ძალზედ პოპულარულია, იგი გახდა საზოგადოების ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის მოთხოვნადი პროდუქცია. შეიძლება ითქვას, რომ XXI საუკუნეში ნატურალური ტყავის სამოსმა მოდის პიკს მიაღწია. ნატურალური ტყავისაგან ამზადებენ საპალტოე-საკოსტუმე, საკაბე ასოტრიმენტს, ასევე თავსაბურავებს, ტყავსაგალანტერიო ნაწარმს. ფეხსაცმლის წარმოებაში იგი შეუცვლელი მასალაა მოდური

ნაწარმის შესაქმნელად, მოდური ფეხსაცმლის დასამზადებლად შესაძლებელია ტყავის ნედლეულის დამუშავებისას გამოყვანის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება და ასევე ტყავის სხვადასხვა ფერად შეღებვა. ტან-საცმელში გამოყენებული ტყავის მასალა უნდა იყოს რბილი და კარგად დამუშავებული, გლუვზედაპირიანი, ნაოჭებისა და ნაკეცების გარეშე, ერთგვაროვანად შეღებილი. აღსანიშნავია, რომ ნატურალური ტყავის მომზადება გამოსაჭრელად ქსოვილთან შედარებით უფრო შრომატევადია და რთულია, რადგან ნაწარმის დასამზადებლად გამოსაყენებელი ტყავის ფართობის სიდიდეს საზღვრავენ თარგების ფართობებისა და ტყავის გამოყენების არსებული ნორმების მიხედვით [2].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც გავლენას ახდენს ნაწარმის ხარისხზე არის გაჭრის უნარი. ტყავი არის მონოლითური მასალა, რაც გვადლევს ნათლად გამოსახულ ჭრილებს, რაც გავლენას ახდენს ტყავის სიმტკიცის მაჩვენებლებზე. მაგ. ნაკერის ხაზზე გვირისტის მეორეჯერ გატარებისას შეიძლება მოხდეს ნაკერის ხაზზე ტყავის გახევა. ასევე ტყავის ზედაპირზე ნაკერის დარღვევისას რჩება გაჭრილი ადგილების ნაკვალევი, რის შედეგადაც ნაწარმის გარეგნული სახე უარესდება. აღნიშნული უარყოფითი მაჩვენებელი საგრძნობლად ზღუდავს მრავალფეროვანი კონსტრუქციის მქონე ნაწარმის დამზადების შესაძლებლობობებს. ასევე აღნიშნის ღირსია ის, რომ ტყავის ნაწარმი ნაკლებად ემორჩილება თბურ-დანამვით დამუშავებას, რის გამოც მამაკაცისა და ქალის ტანსაცმელში ნატურალური ტყავის გამოყენებისას მათზე ფორმის მიცემა ხდება კონსტრუქტორული გზით. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გასაფორმებელი ნაკერების გატარების შემდეგ დასაშვებია საყელოს, კალთის წინა ნაწილის, ნაწარმის უკუღმა პირის გადაუთოვება  $80^{\circ}$  ტემპერატურაზე, დაუთოების პროცესში ნაწარმზე აფენენ ბიაზის, ფანელის ან ბამბის ქსოვილს. ნატურალური ტყავის მასალის ხარისხის დასადგენად მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს ზედაპირზე არსებული მანკიანი ადგილების ფართობი  $dm^2$ -ში და შესაბამისად დადგინდეს ტყავის სასარგებლო ფართობი [3].

ტყავის სასარგებლო ფართობი % -ში გამოითვლება ფორმულით:

$$Q_{სს} = 100 - \sum Q$$

სადაც,  $\sum Q$  - ტყავის ზედაპირზე არსებული მანკიანი ადგილების ფართობია გამოსახული პროცენტებში.

$Q_{სს}$  - ტყავის სასარგებლო ფართობია გამოსახული პროცენტებში.

ცხრილში 1 მოცემულია ნატურალური ტყავის კლასიფიკაცია ხარისხების გათვალისწინებით.



ცხრილი 1

ტყავის ხარისხი	სასარგებლო ფართობი %-ში
1	100 -დან 95 -მდე
2	94,99 -დან 85 -მდე
3	84,99 -დან 70 -მდე
4	69,99- დან 50 - მდე
5	49,99 -დან 30 -მდე
5	არა ნაკლებ 50% -ისა თუ ტყავის ფართობია 20 დან 40 დმ <sup>2</sup> -მდე

ტექნოლოგიებში გამოყენებული ტყავის მასალებისადმი წაყენებული მოთხოვნები განსხვავებულია. მათი რაოდენობა და მაჩვენებლები უშუალოდ დაკავშირებულია ნაწარმის სახეზე, სიმტკიცეზე, მოხერხებულობაზე, ჰიგიენურობაზე, ერგონომიკურ მაჩვენებლებზე და სხვ. მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა თუ რა დანიშნულებისათვის ხდება შერჩეული მასალის გამოყენება. როგორც ცნობილია, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის დეტალები ზომითი მახასიათებლებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. შესაბამისად შეუძლებელია მასიურად ერთი და იგივე სისქის მასალის გამოყენება ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სხვადასხვა ნაწარმის დასამზადებლად. ტანსაცმლის ნაწარმის დამზადების შემთხვევაში საჭირო ხდება ნატურალური ტყავის მასალის დანაწევრება უფრო მცირე დეტალებად, რაც საშუალებას გვაძლევს კონსტრუქციულ ელემენტებში ამოღებულობების გამოყენებით შევიტანოთ ცვლილებები და მივცეთ ნაწარმს შესაბამისი ფორმა მკერდის, წელის და თემოს არეში.

ადგილობრივი და უცხოური მოდის ჟურნალების რეკომენდაციების დახმარებით დადგინდა, რომ ტყავის მასალებით შეიძლება ვაწარმოოთ ყველა სახის ტანსაცმელი.

ტანსაცმელში გამოყენებული ნატურალური ტყავების ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობებია:

**ველური** – ქრომირებულად დათრიმლული ღორისა და ცხვრის კანი ხაოიანი ზედაპირით. **ნუბუკი** – მიღებული ხბოს, მოზარდის ნახევარტყავების ზედაპირის გახეხვით, მისგან ძირითადად ნატურალური და ნათელი ფერები მზადდება. **ზამში** – მიღებული ცხვრის ტყავის ცხიმოვანი დათრიმლვით, რომელსაც ახასიათებს განსაკუთრებული სირბილე, დაბალი, ხშირი და ბრჭყვიალა ხაო, მომატებული წელვადობა, კარგი ჰაერგამტარობა, წყლისადმი მდგრადობა. **თხის ტყავი მიღებული** სპეციალური დამუშავებით ხასითდება განსაკუთრებული სირბილით,

ღებვის კარგი უნარით და ლამაზი გარეგნული სახით. ხბოს და მოზარდის ტყავი – მიღებული ბოჩოლას და მოზრდილი ბოჩოლას კანისგან, რომელიც ხასიათდება გლუვი სახის ზედაპირით და სასიამოვნო რბილი მერეთით. ტანსაცმელში გამოყენებული ნატურალური ტყავის სახეები და ზომითი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილი 2

ტყავის სახეები	ნედლეული	ფართობი დმ <sup>2</sup>	სისქე მმ	დათიმლვა
შევრეტი თხელი, საშუალო სქელი	ცხვარი	50-120 დმ <sup>2</sup>	0,6 - 0,9 0,9 - 1,2 1,2-ზე მეტი	ქრომით დათრიმლვა
შევრო თხელი, საშუალო სქელი	თხა	60 დმ <sup>2</sup> - დე	0,4 - 0,7 0,7 - 1 1-ზე მეტი	ქრომით დათრიმლვა
თხის თხელი, საშუალო სქელი	თხა	60 დმ <sup>2</sup> - ზე მეტი	0,4 - 0,7 0,7 - 1 1-ზე მეტი	ქრომით დათრიმლვა
თალათინის თხელი, საშუალო სქელი	ხბოს ტყავი	75 -120	0,6 - 0,8 0,8 - 1,1 1,1-ზე მეტი	ქრომით დათრიმლვა
მოზარდის თხელი, საშუალო სქელი	ხბოს ტყავი	90-150	0,7 - 0,9 0,9 - 1,1 1,2-ზე მეტი	ქრომით დათრიმლვა
ნახევარტყავი თხელი, საშუალო სქელი	ხბოს ტყავი	120 -200	0,7 - 0,9 0,9 - 1,1 1,2-ზე მეტი	ქრომით დათრიმლვა
ზურგის ტყავი თხელი, საშუალო სქელი	ღორის ტყავი	60 -200	0,6 - 1,2 1,2 - 1,5 1,5 - 1,8	ქრომით დათრიმლვა

ტყავის ნაწარმი დანიშნულების შესაბამისად უნდა აკმაყოფილებდეს უტილიტარულ, ესთეტიკურ, პროფესიონალურ, პრესტიჟულ და ტრადიციულ მოთხოვნებს. რადგან ნატურალური ტყავის პროდუქციის გამოყენება ხდება

ხანგრძლივი დროით, ამიტომ შერჩეული მასალები ზუსტად უნდა ახავდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ნაწარმის სახეობასთან.

ნატურალური ტყავის მასალების ანალიზი საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ნაწარმის სხვადასხვა დანიშნულების ნაწარმის დამზადებისას მასალების რაციონალური შერჩევა და გამოყენება.

### ლიტერატურა:

1. Л.А. Бекмурзаев, В.Ф. Водорезова, Е.И. Шайкевич. Технология одежды из кожи. Москва. ИД «Форум» 2008.
2. В.Я. Иванова, Материаловедение изделий из кожи. Москва Из-во Алфа-М, Инфра-М. 2010г.
3. Учебники XXI века. «История Костюма» Ростов-на-Дону. 2001г. 416ст.

### ტექნოლოგიებში გამოყენებული ნატურალური ტყავის მასალებისადმი წაყენებული ძირითად მოთხოვნები

*თამილა კუდავა*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

ნატურალური ტყავის მასალისაგან დამზადებული სამოსი ძალზედ პოპულარულია. იგი საზოგადოების ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის მოთხოვნილი პროდუქციაა, რაც განპირობებულია მისი ესთეტიკური, ჰიგიენური და ეკონომიკური მაჩვენებლებით. ნაშრომში განხილულია ტყავის ის ძირითადი სახეები და მათი კლასიფიკაცია, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის დასამზადებლად. მოცემულია ტექნოლოგიებში გამოყენებული ნატურალური ტყავის სხვადასხვა მასალების შედარებითი ანალიზი შესაბამისი სისქისა და ფართობის გათვალისწინებით. დადგენილია, რომ ტექნოლოგიებში მათი რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელია ნაწარმის სახეობის მიხედვით მასალების ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა.

**Основные требования предъявляемые технологиям,  
используемым по отношению к сырью, для натуральной кожи**

*Тамила Кудавა*

*Грузинский технический университет*

Резюме

**Ключевые слова:** натуральная кожа, конструкция, качество, особенности, классификации, декоративные строчки, одежда, обувь.

Основных требований предъявляемых к материалам из натуральной кожи, используемых в технологиях. Одежда, изготовленная из материалов натуральной кожи очень популярна. Она - востребованная продукция среди всех возрастных групп в обществе, что обусловлено ее эстетическими, гигиеническими и экономическими показателями. В данной работе рассмотрены те основные типы кожи и их классификация, которые можно использовать для изготовления одежды и обуви. Здесь приведен сравнительный анализ разных материалов из натуральной кожи, используемой в технологиях с учетом толщины и площади. Выявлено, что для их рационального использования в технологиях обязателен выбор оптимального варианта материалов, исходя из вида продукта.

**Basic requirements of natural leather materials used in the technologies**

*Tamila Kudava*

*Georgian Technical University*

Summary

**Keywords:** natural leather, construction, quality, characteristics, classifications, decorative stitches, clothes, shoes.

Clothes made of natural leather is incredibly popular. Due to its hygienic, aesthetic and economic values it's the most tradable and required product for all age groups. The work discusses all major types and classification that can be used for manufacturing footwear and garment. It deals with comparative analysis of 6 various types of leather used in the technology, considering its thickness and scale. It's estimated that optimal selection of materials according to the types of products in the technology is highly necessary.

## კალადიუმის და კლატინის ჯგუფის იონების

## ეპრ-ის სპექტრები

ზ. ჩახიანი, სტუ. პროფესორი

გ. ტაბატაძე, სტუ. პროფესორი

ლ. დარჩიაშვილი, სტუ. პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:** კრისტალური ველი, გ-ფაქტორი, ეპრ (ელექტრონი პარამაგნიტების რეზონანსი)

მეორე და მესამე გარდამავალი პერიოდების ელემენტთა კომპლექსების არსებით განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის, რომ 4d- და 5d-ელექტრონები ლითონში დაკავშირებული არიან ნაკლებად მყარად, ვიდრე 3d-ელექტრონები. ამის შედეგად გაცილებით უფრო ადვილად წარმოიქმნება მოლეკულური ორბიტალები, ხოლო კრისტალური ველით გახლეჩა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე რკინის ჯგუფის ელემენტების შემცველ კომპლექსებში. სპინ-ორბიტული ურთიერთქმედება მნიშვნელოვან როლს ასრულებს და იგი უკვე აღარ შეიძლება განიხილოს, როგორც შემოთქმულია. ყოველივე ამის გამო სპექტრების ინტერპრეტაცია ძალიან რთულია. ქვემოთ განხილულია ასეთი კომპლექსების სპექტრების ძირითადი განსაკუთრებულობა და მოყვანილია გ-ფაქტორის მნიშვნელობები ზოგიერთი იონისათვის.

1. **ნიობიუმი.** ნიობიუმის ელექტრონული კონფიგურაციაა  $[Kr]4d^45s$ .  $Nb^{2+}$  იონის სპექტრი კონცენტრირებულ  $HCl$ -ში გამოკვლეულია ავტორების მიერ [1], რომლებმაც აღმოაჩინეს გადასვლა  $\Gamma_2 \leftrightarrow \Gamma_5$  2270  $cm^{-1}$ -ის დროს.  $Nb^{4+}$ -ის სპექტრში აღმოჩენილია მაქსიმუმი 13500  $cm^{-1}$ -ზე, რომლის ინტერპრეტირება ვერ მოხერხდა [1]. კრისტალებში  $Nb^{4+}$  იონის ეპრ-ის სპექტრები დამზერილი იყო  $ZnSiO_4$ -ში და  $TiO_2$ -ში. პირველ შემთხვევაში  $Nb^{4+}$  იონები ანაცვლებდნენ მესერში  $Zr^{4+}$ -ის იონებს, რომელთაც აქვთ გარემოცვის ტეტრაგონური სიმეტრია. შედეგად მიღებულია მნიშვნელობები:  $g_{||}=1,862$ ;  $g_{\perp}=1,908$  [2, 3]. ჰექსაგონურ  $TiO_2$ -ში გამოკვლევებით დადგინდა, რომ  $g(||c)=1,948$ ;  $g(||[110])=1,981$ ;  $g(||[1\bar{1}0])=1,973$  [4].

2. **მოლიბდენი.** მოლიბდენის ელექტრონული კონფიგურაციაა  $[Kr]4d^55s$ . [5] ნაშრომში  $MoCl_6^{3-}$  კომპლექსში  $Mo^{3+}$  იონის ეპრ-ის შესწავლისას აღმოჩენილ იქნა სპინის მიხედვით აკრძალული ზოლი 15000  $cm^{-1}$  და ორი ნებადართული ზოლი 19000  $cm^{-1}$  და 24000  $cm^{-1}$ -ის დროს. ეს ზოლები უკავშირდება  $\Gamma_2 \leftrightarrow \Gamma_3$ ,  $\Gamma_2 \leftrightarrow \Gamma_5$  და  $\Gamma_2 \leftrightarrow \Gamma_4$  გადასვლებს.  $K_3MoCl_6$ -ის ფხვნილში ეპრ-ის დაკვირვება მიგვიყვანა მნიშვნელობამდე  $g=1,96$  [6]. ანალოგიურმა გაზომვებმა

$K_2MoCl_5$ -ში და  $KMoF_4$ -ში მოგვცა მნიშვნელობები შესაბამისად  $g=1,76$  და  $g=1,95$  [7]. განზავებული მყარი ხსნარი  $Mo:K_3InCl_3 \cdot 2H_2O$  შეისწავლებოდა [8]-ში, მიღებული მნიშვნელობაა  $g=1,93$ .

სხვადასხვა კრისტალში  $Mo^{5+}$  იონების გამოკვლევის შედეგები მოყვანილია 1 ცხრილში [9].

ცხრილი 1

სხვადასხვა ნაერთებში  $Ir^{4+}$  იონის ეპრ-ის მონაცემები

ფორმულა	g-ფაქტორი	
$Ir:Na_2PtCl_6 \cdot 6H_2O$	$g_x=2,20$ $g_y=2,07$ $g_z=1,05$	[27]
$Ir:K_2PtCl_6$	1,78	[28]
$Ir:(NH_4)_2PtCl_6$	1,775	[29]
$Ir:Na_2PtBr_6 \cdot 6H_2O$	$g_x=2,25$ $g_y=2,21$ $g_z=0,75$	
$Ir:K_2PtBr_6$	$g_{  }=1,60$ $g_{\perp}=1,87$	[27]

**3. ტექნიციუმი.** ტექნიციუმის ელექტრონული სტრუქტურაა  $[Kr]4d^5 5s^2$ . ეს ელემენტი კარგად არ არის შესწავლილი, ფაქტურად ცნობილია მხოლოდ  $Te^{4+}$  იონის ეპრ-ის მონაცემები.  $Pt^{4+}$  იონების ჩანაცვლება  $K_2PtF_6$  კრისტალებში იძლევა იზოტროპიული g-ფაქტორის მნიშვნელობას  $g=3,3884$  [10]. ამავე დროს, ანალოგიური ხსნარის  $Te:K_2PtCl_6$  გამოკვლევამ მიგვიყვანა შედეგამდე  $g=1,99$ , რომელიც ახლოა სუფთა სპინურთან [11]. ეს შედეგები შემოწმებას საჭიროებს.

**4. რუთენიუმი.** ყველაზე კარგად შესწავლილია კომპლექსები  $Ru^{3+}$  (გარე შრის კონფიგურაცია  $4d^5$ ).  $RnCl_6^{3-}$ -ის სპექტრში აღმოჩენილია შთანთქმის ზოლი  $19200 \text{ სმ}^{-1}$  [12], რომელიც მიეკუთვნა  $F_5 \leftrightarrow F_2$  გადასვლას.  $Ru^{3+}$  იონების ეპრ-ის გამოკვლევამ  $YGaG$  და  $YAlG$  დოშების შემთხვევაში მოგვცა g-ფაქტორის მნიშვნელობები  $g_{||}=3,113$ ;  $g_{\perp}=1,148$  და  $g_{||}=2,88$ ;  $g_{\perp}=1,3$  [13].  $Al_2O_3$ -ში  $Ru^{3+}$  იონი წარმოაჩენს “მსუბუქი სიბრტყის” ტიპის ძალზე ძლიერ ანიზოტროპიას:  $g_{\perp}=2,43$ ;  $g_{||}<0,06$  [14]. აღნიშნულ აგრეთვე კუბურ  $MgO$ -ში  $Ru^{3+}$  იონის ეპრ-ის დაკვირვებათა შედეგი. მიღებულია g-ფაქტორის იზოტროპიული მნიშვნელობა  $g=2,17$  [15].

**5. როდუმი.** როდუმის შენაერთებს შორის ყველაზე კარგად გამოკვლეულია  $Rh^{3+}$  იონის შემცველი კომპლექსები [16] (ელექტრონული კონფიგურაცია  $[Kr]4d^6$ ).  $RhCl_6^{3-}$ -ში აღმოჩენილია შთანთქმის მაქსიმუმები  $19300 \text{ სმ}^{-1}$  და  $24300 \text{ სმ}^{-1}$ -ის დროს, რომლებიც ინტერპრეტირებულია, როგორც გადასვლები  $F_1 \leftrightarrow F_4$  და  $F_1 \leftrightarrow F_5$  მდგომარეობებს შორის. ანალოგიური ხაზები მიღებულია  $Rh(NH_3)_6^{3+}$ -ში  $32700 \text{ სმ}^{-1}$  და  $39100 \text{ სმ}^{-1}$ -ის დროს.  $Rh^{2+}$  იონის ეპრ-ის მონაცემე-

ბიდან ალენიშნოთ ნაშრომები [17]. პირველ მათგანში შესწავლილი იყო  $Rh^{2+}$ -ის სპექტრი  $ZnWO_4$  კრისტალში. მიღებულია შედეგები:  $g_x=2,11$ ;  $g_y=2,13$ ;  $g_z=2,375$ .  $(G_5H_5)_2Rh$  კომპლექსის შესწავლისას მიღებულია შედეგები  $g_{||}=2,033$  და  $g_{\perp}=2,003$ , რომლებიც ახლოა სუფთა სპინურ მნიშვნელობასთან.

**6. პალადიუმი.** პალადიუმის ელექტრონული სტრუქტურაა  $[Kr]4d^{10}$ . იონები გამოკვლეულია ფხვნილისებრ  $MgO$  და  $CaO$ -ში [18]. მიღებულია გ-ფაქტორის იზოტროპიული მნიშვნელობები, ტოლი  $g=2,115$  და  $g=2,15$  შესაბამისად.  $Al_2O_3$ -ში  $Pd^{3+}$  იონის ეპრ-ის სპექტრს აქვს მაქსიმუმი, რომელიც შეესაბამება  $g=2,163$ -ს [19]. წყალხსნარში, რომელიც შეიცავს  $Pd^{2+}$  და  $Cl^-$  იონებს, [20]-ის ავტორებმა აღმოაჩინეს შთანთქმის ორი ზოლი 23800  $см^{-1}$  და 21200  $см^{-1}$ -ის დროს, რომლებიც მიაკუთვნეს  $PdCl_4^{2-}$  და  $PdCl_6^{4-}$  კომპლექსებს.  $CaO$  ფხვნილში  $Pd^{2+}$  იონის ეპრ-მა მოგვცა შედეგი  $g=2,202$  [25]. გარდა ამისა, გამოკვლეულია  $Pd^{4+}$ -ის სპექტრები  $MgO$  და  $CaO$ -ში რენტგენის სხივებით დასხივების შემდეგ [21]. ამ ექსპერიმენტით დადგინდა გ-ფაქტორის მნიშვნელობები  $g=2,17$  და  $g=2,15$ .

**7. ვოლფრამი.** ვოლფრამს აქვს ელექტრონული სტრუქტურა  $[Xe]5d^46s^2$ . როგორც ჩანს, ეპრ-ის გამოკვლევები, არის მხოლოდ  $W^{5+}(5d^1)$  იონისათვის.  $W_6Cl_5^{2-}$  კომპლექსის ხსნარს აქვს შთანთქმის ერთი ზოლი 15300  $см^{-1}$ -ის მახლობლად [22]. იქვეა მიღებული  $W(CN)_8^{3-}$  კომპლექსის ეპრ-ის შედეგები და ნაპოვნია გ-ფაქტორის მნიშვნელობა  $g=1,972$ .  $W^{5+}$ -ის მყარი ხსნარი  $TiO_2$ -ში შეისწავლეს [23]-ის ავტორებმა. პარამეტრების მნიშვნელობები, შესაბამისად, ტოლია:  $g_x=1,473$ ;  $g_y=1,446$ ;  $g_z=1,595$ .  $x, y, z$  დერძების არჩევა შემდეგია:  $y||C, x||[110]; z||[\bar{1}\bar{1}0]$ .

**8. რენიუმი.** რენიუმის ( $[Xe]5d^56s^2$ ) იონებს შორის ყველაზე უკეთ შესწავლილია ოთხვალენტიანი  $Re^{4+}$ .  $K_2ReCl_6$ -ის სპექტრში აღმოჩენილია შთანთქმის ოთხი ზოლი:  $\sim 7700$   $см^{-1}$ -ის დროს (გადასვლა  $\Gamma_2 \leftrightarrow \Gamma_4^{(1)}$ ); 9105  $см^{-1}$ -ის დროს  $\Gamma_2 \leftrightarrow \Gamma_3$ ; 9574  $см^{-1}$ -ის დროს  $\Gamma_2 \leftrightarrow \Gamma_4^{(2)}$  და 14180  $см^{-1}$  დროს  $\Gamma_2 \leftrightarrow \Gamma_5$  [24]. ეპრ-ის გაზომვებით დადგინდა 0,5%  $Re$ -ით განსხვავებულ  $K_2PtCl_6$ -ში გ-ფაქტორის მნიშვნელობა, რომელიც ახლოა  $g=1,8$ -სთან [25]. შესწავლილი იყო აგრეთვე  $Re^{6+}$  იონის შემცველი  $ReF_6$  შენაერთის შთანთქმის სპექტრი. აღმოჩენილია ზოლი 5200  $см^{-1}$ -ის დროს, რომელიც მიაკუთვნეს  $\Gamma_8 \leftrightarrow \Gamma_7$  გადასვლას [26].

**9. ირიდიუმი.** ირიდიუმის ელექტრონულ სტრუქტურას აქვს სახე  $[Xe]5d^76s^2$ . სამვალენტიანი ირიდიუმის სპექტრში  $IrCl_6^{3-}$  აღმოჩენილია ორი ხაზი, რომლებიც შეესაბამება  $\Gamma_1$  ძირითადი დონის გადასვლებს ალგზნებულ  $\Gamma_4$  (34100  $см^{-1}$ ) და  $\Gamma_5$ -ზე (28100  $см^{-1}$ ) [21].  $Ir^{4+}$  იონის ეპრ დეტალურადაა შესწავლილი [27] ნაშრომში. ამოკვლეულია კრისტალები  $Na_2PtCl_6 \cdot 6H_2O$ ,  $Na_2PtBr_6 \cdot 6H_2O$

და  $K_2PtBr_6$  განზავებით  $Ir:Pt=1:200$ . გ-ფაქტორის მნიშვნელობები ამ კომპლექსებისათვის მოცემულია 5 ცხრილში. იქვე ნაჩვენებია იმ გ-ფაქტორების მნიშვნელობები, რომლებიც მიღებულია  $K_2PtCl_6$  და  $(NH_4)_2PtCl_6$ -ში ირიდიუმის მყარი ხსნარების შესწავლისას [28]. ირიდიუმის დანარჩენი იონებიდან მხოლოდ  $Ir^{2+}$  შეინიშნება პოლიკრისტალურ  $(C_5H_5)_2Ir$ -ში. ამ შენაერთისათვის მიღებული იყო  $g_{||}=2,033$ ;  $g_{\perp}=2,001$  [29].

### ლიტერატურა

1. Cozzi D., Vivarelli S. *J.Anorg.Chem.*, 1955, V.279, p.165.
2. Винокуров В.М., Зарипов М.М., Степанов В.Г., Чиркин Г.К., Шекун Л.Я. *ФТТ.* 1963, т.5, с.2034.
3. Винокуров В.М., Зарипов М.М., Польский Ю.Е., Степанов В.Г., Чиркин Г.К., Шекун Л.Я. *Геохимия.* 1962. №11, с.1002.
4. Chester P.F. *J.Appl. Phys.*, 1961, V.32, p.866.
5. Hartmann H., Schmidt H.J. *J.Phys.Chem (Frankfurt)*, 1957, V.11, p.234.
6. Griffiths J.H.E., Owen J., Ward I.M. *Proc.Roy.Soc.*, 1953, A219, p.526.
7. Ramaseshan S., Suryan G. *Phys.rev.*, 1951, V.84, p.593.
8. Owen J., Ward J.M. (CM. Bowers K.D., Owen J. *Rep.Progr.Phys.*, 1955, V.18, p.304).
9. Azerbayejani G.H., Merlo A.L. *Phys.Rev.*, 1965, V.137, p.A489.
10. Romelt G., Schwochau K. *Zs.Naturforsch.*, 1967, V.22a, p.519.
11. Low W., Llewellyn P.M. *Phys.Rev.*, 1958, V.110, p.842.
12. Hatmann H., Bushbeck C.Z. *Phys.Chem (Frankfurt)*, 1957, V.11, p.120.
13. Miller I., Offenbacher E.L. *Phys.Rev.*, 1968, V.166, p.269.
14. Kamimura H. *Phys.Rev.*, 1962, V.128, p.1077.
15. Griffiths J.H.E., Owen J., Ward I.M. *Proc.Roy.Soc.*, 1953, V.A219, p.526.
16. Jorgensen C.K. *Acta chem.scand.*, 1957, V,11, p.151.
17. Whiffin P.A.C., Orton J.W., *Brit. J.Appl.Phys.*, 1965, V.16, p.567.
18. Keller H.J., Wawersik H. *J.Organometal. Chem.*, 1967, V.8, p.185.
19. Lacroix R., Hochli U., Muller K.A. *Helv. Phys.Acta*, 1964, V.37, p.627.
20. Sundaram A.K., Sandeli E.B. *J.Am.Chem.Soc.*, 1955, V.77, p.855.
21. Wysling P., Muller K.A., Hochli U. *Helv. Phys.Acta.*, 1965, V.38, p.358.
22. Jorgensen C.K. *Acta chem.scand.*, 1957, V.11. p.73.
23. Chang T. *Bull.Amer.Phys.Soc.*, 1964, V.9, p.568.
24. Eisentein J.C. *J.Chem.Phys.*, 1061, V.34, p.1628.
25. Rahn R., Dorain P.B. *J.Chem.Phys.*, 1964, V.41, p.3249.
26. Liehr A.D. *J.Phys.Chem*, 1960, V.64, p.43.
27. Griffiths J.H.E., Owen J. *Proc.Roy.Soc.*, 1954, V.A226, p.96.
28. Griffiths J.H.E., Owen J., Ward I.M. *Proc.Roy.Soc.*, 1953. V.A219, p.526.
29. Owen W. *J.Appl.Phys.* 1962, V.33, p.355.



პალადიუმის და პლატინის ჯგუფის  
იონების ეპრ-ის სპექტრები

*ზ. ჩაჩხიანი, სტუ, პროფესორი*  
*გ. ტაბატაძე, სტუ, პროფესორი*  
*ლ. დარჩიაშვილი, სტუ, პროფესორი*

**რეზიუმე**

მეორე და მესამე გარდამავალი პერიოდების ელემენტთა კომპლექსების არსებით განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის, რომ 4d- და 5d-ელექტრონები ლითონში დაკავშირებული არიან ნაკლებად მყარად, ვიდრე 3d-ელექტრონები. ამის შედეგად გაცილებით უფრო ადვილად წარმოიქმნება მოლეკულური ორბიტალები, ხოლო კრისტალური ველით გახლეჩა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე რკინის ჯგუფის ელემენტების შემცველ კომპლექსებში.

ქვემოთ განხილულია ასეთი კომპლექსების სპექტრების ძირითადი განსაკუთრებულობა და მოყვანილია გ-ფაქტორის მნიშვნელობები ზოგიერთი იონისათვის.

**Спектры ЭПР ионов групп палладия и платины**

*З.Б. Чачхиани, ГТУ, Профессор*  
*Г.Д. Табатадзе, ГТУ, Профессор*  
*Л.К. Дарчиашвили, ГТУ, Профессор*

**Ключевые слова:** кристаллическое поле, g- фактор, ЭПР (Электро Парамагнитный Резонанс)

**Резюме**

Существенной особенностью комплексов электронов второго и третьего переходного периодов является то, что 4d- и 5d электроны связаны в металле менее прочно, чем 3d – электроны. Вследствие этого гораздо легче образуются молекулярные орбиты, а расщепление кристаллическим полем гораздо более сильное, чем в комплексах, содержащих элементы группы железа.

Ниже рассмотрены основные особенности спектров таких компонентов и приведены значения g-факторов для некоторым ионов.

## The EPR spectra of ions of palladium groups and dams

*Z. Chachkhiani, GTU, Professor*

*G. Tabatadze, GTU, Professor*

*L. Darchiashvili, GTU, Professor*

**Key words:** crystal field, g- factor, EPR (resonance of electro paramagnet)

### Summary

The essential feature of electron systems of the second and third periods of transition is that 4d- and 5d electrons are bound to the metal less durable, than 3d - electrons. As a result, much easier to form the molecular orbital and the splitting of the crystalline field is much stronger than that in the complexes containing the iron group elements.

The following considered the main peculiarities of the spectra of such components and aligning value of g-factors for some ions.

## Array მასივი, როგორც AutoCAD-ის ერთ-ერთი ხელსაწყო


გონა ჩიტაიშვილი,  
ნანა ნოზაძე,  
ნუნუ მუმლაძე,  
ქეთევან ჭკუასელი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: **Divide** (გაყოფა), **Measure** (გაზომვა), **Align Items** (ერთ ხაზზე განლაგება) **Ribbon** ( ზოლი), **Array** მასივი.


**AutoCAD**-ი არის ავტომატიზებული დაპროექტირების სისტემა ორ- და სამ განზომილებიანი პროექტებისა და ხაზვისათვის. თანამედროვე ეტაპზე პროგრამას შეუძლია კომპლექსური სამგანზომილებიანი მოდელირება, მათ შორის ზოგადი ფორმების, სამგანზომილებიანი ზედაპირების მოდელების შექმნა და რედაქტირება.

**Array** მასივი, ეს არის **AutoCAD**-ის ერთ-ერთი საჭირო ხელსაწყო, მისი დახმარებით ხდება ბრძანებების ავტომატიზირება.

განვიხილოთ მასივის რედაქტირების ერთ-ერთი მეთოდი, რომელის საშუალებით ხდება წირის გასწვრივ ელემენტების განაწილება.



სურ.1



სურ. 2



ბრძანება **Divide**-ის საშუალებით შესაძლებელია მასივში შემავალი ელემენტების რაოდენობის რეგულირება. ან ბრძანებაზე **Divide** (გაყოფა) დაწკაპუნების შემდეგ პროგრამა გაყოფს და სწორად გადაანაწილებს საგნებს მარშრუტის სიგრძის გასწვრივ. ელემენტების რაოდენობა მიუვითითოთ პანელი **Items**-ში არსებული ველის **Items**-ის საშუალებით (ელემენტების რაოდენობა მითითებულია 9 (სურ. 1, სურ. 2).




ბრძანება **Measure** (გაზომვა)-ის საშუალებით ხდება ელემენტებს შორის ინტერვალის რეგულირება.




ბრძანება **Align Items** (საგნების ერთ ხაზზე განლაგება) – განსაზღვრავს თითოეული საგნის მდებარეობას. იგი გაასწორებს ელემენტებს ისე, რომ ისინი გახდნენ მარშრუტის მიმართულების მხები (სურ. 3).

გავაგრძელოთ მასივის რედაქტირება ბრძანებების სტრიქონში დავაწკაპუნოთ ქვე ბრძანებაზე **Align Items** (გაასწორე საგნები) ან **A ⇒ Enter**. ბრძანებების სტრიქონი მოგვცემს შემდეგ მითითებას: **Align arrayed items to path? [Yes/No] <Yes>**: (მასივის ელემენტები გავესწორო წირს? [დიახ/ არა] <დიახ>). **Yes** (დიახ) მითითების შემთხვევაში მოხდება ელემენტების წირის მიმართ გასწორება (სურ. 3), ხოლო **No** (არა)-ს მითითების შემთხვევაში არ მოხდება ელემენტების წირის მიმართ გასწორება (სურ. 4).



სურ. 3



სურ. 4



ბრძანება **Z Direction** (**Z** მიმართულება) – მისი დახმარებით ხდება ობიექტების კონტროლი **Z** ღერძის მიმართულებით. **Enter, Esc** კლავიშზე ან



მინიატურაზე დაწკაპუნების შემდეგ **Path Array**-ს (მასივის გზა, მარშრუტი) შექმნისა და რედაქტირების პროცესი დასრულდება.


ნახაზზე მუშაობის დროს ხშირად არის საჭირო მასივის კვლავ რედაქტირება ამისათვის თავუნას მარცხენა ღილაკით დავაწკაპუნოთ მასივის რომელიმე ელემენტზე. ამ შემთხვევაში შეიცვლება **Ribbon**-ი (ზოლი), გამოჩნდება დროებითი ტაბულატორი და ჩანართი **Array**. იგი ოდნავ განსხვავებულია იმ დროებითი ჩანართისაგან რომელიც გამოჩნდა მასივის შექმნის დროს. განვიხილოთ პანელი **Options** (პარამეტრები, ოპციები). ამ პანელში

განთავსებულია სამი ხელსაწყო **Edit Source** (წყაროს რედაქტირება) **Replace Item** (საგნების შეცვლა) **Reset Array** (მასივის აღდგენა) განვიხილოთ ისინი.




სურ. 5

1. **Edit Source** (წყაროს რედაქტირება) – მისი დახმარებით ჩვენ შეგვიძლია საწყისი ობიექტის რედაქტირება ან შევცვალოთ საწყისი ობიექტი. მასზე დაწკაპუნების შემდეგ პროგრამა მოგვცემს შემდეგ მითითებას **Select item in array:** (შეარჩიე საგანი მასივში:) საგნის შერჩევის შემდეგ გამოჩნდება დიალოგური ფანჯარა **Array Editing State** (მასივის რედაქტირების სტრუქტურა) (სურ. 6) **OK** ღილაკზე დაწკაპუნების შემდეგ შესაძლებელი გახდება მონიშნული საგნის რედაქტირება (სურ. 7).




სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9


რედაქტირების დასრულების შემდეგ დავაწკაპუნოთ მინიატურაზე **Edit Array** (მასივის რედაქტირება) (სურ. 8) და ჩამოშლილ მენიუში დავაწკაპუნოთ **Save Changes** (ცვლილებების დამახსოვრება), რის შემდეგაც მოხდება ცვლილებების ასახვა მასივის ყველა ობიექტში და მისი დამახსოვრება (სურ. 9).

2. **Replace Item** (შეცვალე საგანი) - ამავე პანელში არის განთავსებული კიდევ ერთი ხელსაწყო მისი დახმარებით ხდება ცალკე დახაზული ობიექტის


ჩასმა მასივში. დავაწკაპუნოთ მასივის ნებისმიერ ელემენტზე, შემდეგ კი



მინიატურაზე ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება შემდეგი მითითება: **ARRAYEDIT Select replacement objects:** (შეარჩიე შემცვლელი ობიექტი) მოვნიშნოთ წრეწირი. შემდეგი მითითება იქნება: **Select base point of replacement objects or [Key Point] <centroid>:** (შეარჩიე შემცვლელი ობიექტის საბაზო წერტილი ან [ძირითადი წერტილი]<ცენტროიდი>:) დავაწკაპუნოთ წრეწირის ცენტრზე. კვლავ დავაკვირდეთ ბრძანებების სტრიქონს: **Select an item in the array to replace or [Source objects]:** (შეარჩიე შესაცვლელი მასივის ელემენტი ან [საწყისი ელემენტი]) მოვნიშნოთ ერთ-ერთი მართკუთხედი და დავაწვეთ კლავიშს **Enter**. მართალია ოპერაცია დასრულდება მაგრამ ბრძანებების სტრიქონი კვლავ გვაძლევს მასივის რედაქტირების საშუალებას. თუ რედაქტირება აღარ გვჭირდება დავაჭიროთ კლავიშს **Enter** და დავხუროთ მასივი.



სურ. 10



სურ. 11

**3. Reset Array** (მასივის გადატვირთვა, მასივის აღდგენა) - ეს ხელსაწყო გვეხმარება მასივის აღდგენაში, ანუ შეტანილი ცვლილებების გაუქმებაში, როდესაც ეს საჭიროა.


ასოციაციური ნიშნავს, რომ მასივის ელემენტები წარმოადგენენ ერთ ობიექტს, ბლოკის მსგავსად. მასივის ერთი ელემენტის თვისებების რედაქტირება ან თვით ელემენტის მოდიფიცირება ავტომატურად გამოიწვევს ყველა იმ ელემენტის თვისებების რედაქტირებას, ან თვით ელემენტის მოდიფიცირებას, რომელისგანაც შედგება მასივი. ასოციაციურობა საშუალებას გვაძლევს სწრაფად მოვახდინოთ ცვლილებები მასივის ყველა ელემენტში. მასივი შესაძლებელია იყოს ასოციაციური, ან არასოციაციური. არასოციაციურ მასივში საგნები შექმნილია როგორც, დამოუკიდებელი ობიექტები. თითოეული საგნის თვისებების ცვლილება, ან მოდიფიცირება არ ახდენს გავლენას მასივის სხვა საგნებზე.

ყველა განხილული მასივის რედაქტირების ოპერაცია შესაძლებელია მხოლოდ ბრძანებების სტრიქონის გამოყენებით. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი.

**Ar** ⇒ **Enter** ⇒ **Enter array type [Rectangular/PAth/POlar] <Rectangular>**: **PA** ⇒ **Enter** ან **Arraypolar** ⇒ **Enter**

ან **Tabs** ⇒ **Home** ⇒ **Ribbon** ⇒ **Modify** ⇒ **Array**  **Path Array**

**Select objects:** (შეარჩიე ობიექტი) მოვნიშნოთ კვადრატი ⇒ **Enter** ⇒ **Select path curve:** (შეარჩიე მარშრუტისათვის წირი:) კურსორი მიუახლოვოთ წირს და დავაწკაპუნოთ თავუნას მარჯვენა დილაკზე ⇒ **Select grip to edit array or [ASsociative/Method/Base point/Tangent direction/Items/Rows/Levels/Align items/Z direction/eXit]<eXit>**: **M** (შეარჩიე სახელურები მასივის რედაქტირებისათვის ან [ასოციაციური/მეთოდი/ საბაზო წერტილი/მხების მიმართულება/საგნები/სტრიქონი/დონეები/საგნების გასწორება/**Z** მიმართულება/გასვლა]<გასვლა>) მივუთითოთ **(Method** მეთოდი) **M** ან ბრძანებების სტრიქონში პირდაპირ დავაწკაპუნოთ მასზე ⇒ **Enter** ⇒ **Enter path method [Divide/Measure] <Measure>**: **D** (მიუთითეთ მეთოდი მარშრუტისათვის [დაყოფა/ გადაზომვა]) რადგან გვინდა, რომ წირი დაიყოს თანაბარ ნაწილებად. მივუთითოთ **(Divide** დაყოფა) **D** ⇒ **Enter** ⇒ შემდეგი მითითება იქნება **Select grip to edit array or [ASsociative/Method/Base point/Tangent direction/Items/Rows/Levels/Align items/Z direction/ eXit]<eXit>**: **I** (შეარჩიე სახელურები მასივის რედაქტირებისათვის ან [ასოციაციური/მეთოდი/ საბაზო წერტილი/მხების მიმართულება/საგნები/სტრიქონი/ დონეები/საგნების გასწორება/**Z** მიმართულება/გასვლა]<გასვლა>) მივუთითოთ **(Items** საგნები) **I** ⇒ **Enter** ⇒ შემდეგი მითითება იქნება **Enter number of items along path or [Expression] <17>**: **15** (შეიყვანე საგნების რაოდენობა მარშრუტის გასწვრივ ან [გამოსახვა]<17>) მივუთითოთ ხუთი ⇒ **Enter** ⇒, რის შემდეგაც მოხდება 15 ობიექტის განთავსება მარშრუტის (წირის) გასწვრივ. პროგრამა კი მოგვცემს შემდეგ მითითებას **Select grip to edit array or [ASsociative/Method/Base point/Tangent direction/Items/Rows/ Levels/Align items/Z direction/eXit]<eXit>**: (შეარჩიე სახელურები მასივის რედაქტირებისათვის ან [ასოციაციური/მეთოდი/ საბაზო წერტილი/მხების მიმართულება/საგნები/სტრიქონი/დონეები/საგნების გასწორება/**Z** მიმართულება/ გასვლა]<გასვლა>), რადგან პროგრამის მიერ ავტომატურად მითითებულია (**eXit** გასვლა) დავაჭიროთ კლავიშს ⇒ **Enter**, რის შემდეგაც ოპერაცია დასრულდება (სურ. 9).



სურ. 12

განვიხილოთ მასივის შექმნის კლასიკური მეთოდი, რომელიც **AutoCAD**-ს გააჩნდა 2011 წლის ვერსიის ჩათვლით. შევასრულოთ იგივე მაგალითი. კლავიატურის დახმარებით აკრიფოთ **ARRAYCLASSIC** (მასივი კლასიკური), გააქტიურების შემდეგ **AutoCAD**-ის ძველ ვერსიებში გამოჩნდება 12-ე სურათზე ნაჩვენები დიალოგური ფანჯარა. დიალოგური ფანჯრის ფორმირებისას, უპირველეს ყოვლისა, კარგად გავიაზროთ, თუ რისი გაკეთება გვსურს.

1. ვთქვათ, გვინდა შევქმნათ მართკუთხა მასივი (**Rectangular Array**), მოვნიშნოთ ველი **Rectangular Array**-ი, რომელიც მოგვცემს საშუალებას შევქმნათ განსაზღვრული სტრიქონებისა და სვეტების მასივი (სურ. 12).
2. შემდეგ დავაწკაპუნოთ **Select object**-ზე, იგი საშუალებას მოგვცემს მოვნიშნოთ ნიმუში. საწყისი ელემენტის მონიშვნის შემდეგ კლავიატურაზე დავაჭიროთ კლავიშზე **Enter**.
3. შევარჩიოთ რიგების რაოდენობა (ჩვენს შემთხვევაში 5).
4. შევარჩიოთ სვეტების რაოდენობა (ჩვენს შემთხვევაში 3).
5. **Row offset** შევიყვანოთ სტრიქონის ტირაჟირების მნიშვნელობა (ჩვენ შემთხვევაში 100), რაც ნიშნავს მანძილს სტრიქონის ელემენტებს შორის.
6. **Column offset** შევიყვანოთ სვეტის ტირაჟირების მნიშვნელობა (ჩვენ შემთხვევაში 200), რაც ნიშნავს მანძილს სვეტის ელემენტებს შორის.
7. **Angle of array** აქ ნულისაგან განსხვავებული ნებისმიერი დადებითი რიცხვითი მნიშვნელობის შეყვანის შემთხვევაში, მასივი შესაბამისი გრადუსით გადაიხრება მარცხნივ, ხოლო უარყოფითი რიცხვითი მნიშვნელობის შეყვანის შემთხვევაში - მარჯვნივ.
8. **Preview** ამ ღილაკზე დაწკაპუნების შემთხვევაში ვნახავთ შედეგს ოპერაციის დასრულებამდე.



9. ამ ფანჯარაში ჩვენ შეგვიძლია რიგისა და სვეტების რაოდენობის შერჩევას ვადევნოთ თვალი. **Ok** ღილაკზე დაწკაპუნების შემდეგ ოპერაცია დასრულდება (სურ. 12).

შექმნილი მასივი AutoCAD 2013 წლის ვერსიაში გამოიყურება, როგორც ბლოკი (ანუ ასოცირებული) განსხვავებით წინა ვერსიებისაგან. ძველ ვერსიებში სიმრავლის ელემენტები ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებულები ანუ იყვნენ არასოცირებულები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://www.lynda.com/AutoCAD-tutorials/AutoCAD-2017-Essential-Training/437290-2.html>.
2. <http://blogs.autodesk.com/autocad/autocad-2017-its-alive/>
3. <http://mgtuts.com/categories/autocad-tutorials/autocad-2017-interface-review-free-autocad-tutorials>

### Array მასივი, როგორც AutoCAD-ის ერთ-ერთი ხელსაწყო

*გოჩა ჩიტაიშვილი,  
ნანა ნოზაძე,  
ნუნუ მუმლაძე,  
ქეთევან ჭკუასელი*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

AutoCAD-ი არის ავტომატიზებული დაპროექტირების სისტემა ორ და სამგანზომილებიანი პროექტებისა და ხაზვისათვის. თანამედროვე ეტაპზე პროგრამას შეუძლია კომპლექსური სამგანზომილებიანი მოდელირება, მათ შორის ზოგადი ფორმების, სამგანზომილებიანი ზედაპირების მოდელის შექმნა და რედაქტირება. **Array** მასივი, ეს არის **AutoCAD**-ის ერთ-ერთი საჭირო ხელსაწყო, მისი საშუალებით შესაძლებელია მასივის შექმნა, რაც მუშაობის დროს იძლევა დროის ეკონომიას. **Array** მასივთან მუშაობის დროს დიალოგი უნდა ვაწარმოოთ ბრძანებების სტრიქონის ან **Ribbon**-ის (ზოლი) მეშვეობით რაც ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს.

## Array massive as one of the tools of AutoCAD

*Chitaishvili Gocha,  
Nozadze Nana,  
Mumladze Nunu,  
Chkuaseli Ketevan  
Georgian Technical University*

### Summary

**AutoCAD** is an automatized design system for two and three dimensional projects and drawing. For today, the program can be used for complex three-dimensional modelling, including creating and editing general forms, models of three-dimensional surfaces. **Array massive** is one of the necessary tools of **AutoCAD**, that can be used to create massive that saves time during the working process. While working with **Array massive**, the dialogue shall be proceeded through the command line or **Ribbon** (line) and this is one of the new developments.

### Array (массив), как один из инструментов AutoCAD-а

*Гоча Читаишвили,  
Нана Нозадзе,  
Нуну Мумладзе,  
Кетеван Чкуасели*

### РЕЗЮМЕ

AutoCAD, это система автоматизированного проектирования для 2D и 3D черчения и создания проектов. На современном этапе программа позволяет комплексно 3D моделирование, среди них создание и редактирование общих форм и моделей 3D поверхностей.

Array (массив) один из нужных инструментов AutoCAD-а, с его помощью возможно создание массива, который при работе дает возможность сэкономить время. При использовании Array(массив) диалог надо вести с помощью со строчкой команды или Ribbon-а (ленты), который представляет новинку.

## საინჟინრო პრაქტიკაში Array (მასივის) გამოყენებისა და რედაქტირების მაგალითები

გოჩა ჩიტაიშვილი,  
ნანა ნოზაძე,  
ნუნუ მუმლაძე,  
ქეთევან ჭკუასელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


საკვანძო სიტყვები: **Ribbon** (ზოლი), **Array** მასივი, **Base Point** (საბაზო წერტილი), **Associative** (ასოციაციური).

განვიხილოთ ბრძანება **Array** მასივი, რომელის საშუალებით შესაძლებელია მასივის შექმნა. ეს არის **AutoCAD**-ის ერთ-ერთი საჭირო ხელსაწყო, მისი დახმარებით ხდება ბრძანებების ავტომატიზირება. ეს ბრძანება იძლევა დროს ეკონომიას. **AutoCAD**-ის **2012** წლის მომდევნო ვერსიებში აღარ ჩანს დიალოგური ფანჯარა ისე, როგორც ეს ყველა წინა ვერსიაში იყო წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში დიალოგი პროგრამასთან უნდა ვაწარმოოთ ბრძანებების სტრიქონის ან **Ribbon**-ის (ზოლი) მეშვეობით. პირველად მასივი **2012** წლის ვერსიაში გახდა ასოციაციური.

განვიხილოთ ერთ-ერთი სიახლე **Path Array** (მასივის გზა, მარშრუტი), რომელიც პირველად გამოჩნდა **AutoCAD 2012** წლის ვერსიაში. მასივის ეს ახალი ხელსაწყო ნიმუშს განათავსებს ნებისმიერი წინასწარ განსაზღვრული მარშრუტის გასწვრივ. მარშრუტი შესაძლებელია იყოს მონაკვეთი, რკალი, პოლიწრფე, **3D** პოლიწრფე, წრეწირი, ელიფსი, სპირალი ან წირი. **Array**-ის (მასივის) შექმნა შესაძლებელია ასევე **3D**-ში (სამგანზომილებაში), **Path Array**-ს (მასივის გზა, მარშრუტი) მასივის შესაქმნელად საჭიროა ობიექტი მასივისათვის და მარშრუტის მითითება, რის გასწვრივაც უნდა განათავსდეს ობიექტი. ობიექტის გამრავლება შესაძლებელია თავუნას დინამიური გადაადგილებით, ან კონკრეტული მნიშვნელობების შეყვანით ბრძანებების სტრიქონში. განვიხილოთ მაგალითი: განვათავსოთ წირის გასწვრივ **AutoCAD**-ის ბლოკი **Trees-Metric** (სურ. 1).

ასოციაციური და არასოციაციური მასივის შესაქმნელად დავაწკა-


პუნოთ პიქტოგრამაზე




**Tabs** ⇒ **Home** ⇒ **Ribbon** ⇒ **Modify** ⇒ **Path Array**

ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება შემდეგი მითითება: **ARRAYPATH Select objects:** (შეარჩიე ობიექტი) მოვნიშნოთ ნიმუში და დავაჭიროთ კლავიშს **Enter**. შემდეგი მითითება იქნება: **ARRAYPATH Select path curve:** (შეარჩიე მარშრუტის წირი). წირის მონიშვნის შემდეგ პროგრამა ავტომატურად შექმნის

ნიმუშის მასივის ესკიზს, მარშრუტის (**Path**) გასწვრივ (სურ. 1). ამავე დროს შეიცვლება **Ribbon**-ი (ზოლი), გამოჩნდება დროებითი ტაბულატორი და ჩანართი **Array**. მასივის თვისებების მითითების შემდეგ დავხუროთ მასივის ზოლი და მასივის შექმნა დასრულდება (ამ შემთხვევაში გამოყენებული იყო მასივი მარშრუტის გასწვრივ). ასევე შეიძლება კლავიტურის დახმარებით აკრიფოთ **ARRAYPAT** ⇒ **Enter**. ორივე ამ მეთოდის გამოყენებას ექნება ერთი და იგივე შედეგი რადგან პირველ შემთხვევაში გამოყენებული იყო



მარშრუტის გასწვრივ მასივის შექმნის პიქტოგრამა ხოლო მეორე შემთხვევაში მისი ანალოგი ბრძანება **ARRAYRECT** და არა ბრძანება მასივი (**ARRAY**).



სურ. 1

მასივის ნებისმიერ ობიექტს მიუახლოვოთ კურსორი და დავაწკაპუნოთ თავუნას მარცხენა ღილაკზე, **Path Array**-ის (მასივის გზა, მარშრუტი) შემთხვევაში ისევე, როგორც მასივის შექმნის განხილულ წინა ორ შემთხვევაში მოინიშნება მასივში შემავალი ყველა ელემენტი. შეიცვლება პროგრამის ზოლი (**Ribbon**), გამოჩნდება დროებითი ტაბულატორი და ჩანართი **Array**. სადაც განთავსდება **Path Array**-ის მოდიფიცირებისათვის საჭირო თვისებების და ბრძანებების პანელები (სურ. 1). თუ კურსორს მიუახლოვებთ ლურჯ კვადრატის ფორმის სახელურს, იგი შეიცვლის ფერს და მასზე მცირე ხნით დაყოვნების შემდეგ გამოჩნდება კონტექსტური მენიუ დამატებითი თვისებებით და ბოლოს პირველ ოთხ პანელში განთავსებულ ველებში რიცხვითი მნიშვნელობების ცვლილებით ხდება შექმნილი მასივის მოდიფიცირება ზემოთ განხილული **Rectangular** (მართკუთხა) და **Polar** (პოლარული) მასივის მოდიფი-

ცირების მაგალითების ანალოგიურად. რაც შეეხება თვისებების (**Properties**) პანელს, განვიხილოთ მასში განთავსებული ბრძანებები:




1. **Associative** (ასოციაციური) – მისი საშუალებით შესაძლებელია ასოციაციური (თუ პიქტოგრამა აქტიურია) და არაასოციაციური (თუ პიქტოგრამა არა აქტიურია) მასივის შექმნა.




2. **Base Point** (საბაზო წერტილი) – ავავთ მართკუთხედი და ელიფსი (სურ. 2). შევქმნათ მასივი. მასივის შექმნის შემდეგ ელემენტები წირის მიმართ არასწორედ არის ორიენტირებული (სურ. 3). ამიტომ დავაწკაპუნოთ მინიატურაზე **Base Point** (საბაზო წერტილი). ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება შემდეგი მითითება: **Specify base point or [Key point] :** (განსაზღვრე საბაზო წერტილი ან [ძირითადი წერტილი]:) საბაზო წერტილად მიუთითოთ მართკუთხედის გეომეტრიული ცენტრი მასზე დაწკაპუნების შემდეგ მოხდება საწყისი ელემენტის საბაზო წერტილით წირის საწყის წერტილზე მიბმა.




3. **Tangent Direction** (მხების მიმართულება) – განსაზღვრავს თუ როგორ არის მასივის ელემენტები გასწორებული წირის საწყის მიმართულებასთან. დავაწკაპუნოთ მასზე თაგუნას მარცხენა ღილაკით (ამ შემთხვევაში გაქრება შექმნილი მასივი და დარჩება მხოლოდ საწყისი ობიექტი) ბრძანებების სტრიქონი მოგვცემს ახალ მითითებას: **Select grip to edit array or [ASsociative/Method/Base point/Tangent direction/Items/Rows/Levels/Align items/Z direction/eXit]<eXit>: \_T Specify first point of tangent direction vector or [Normal]:** (შეარჩიე სახელურები მასივის რედაქტირებისათვის [ასოციაციური/მეთოდი/ საბაზო წერტილი/მიმართულების მხები/საგნები/ სტრიქონი/დონეები/გაასწორე საგნები/Z მიმართულება/გასვლა] <გასვლა>: **\_T** მიუთითეთ მხები ვექტორის პირველი წერტილი ან [ნორმალი]:} თაგუნას მარცხენა ღილაკით დავაწკაპუნოთ ქვებრძანებაზე **Normal** [ნორმალი] ან **N** ⇒ **Enter**. ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება იგივე მითითება, მხებისა და ნორმალის შერჩევის გარეშე. **Select grip to edit array or [ASsociative/Method/Base point/Tangent direction/Items/Rows/Levels/Align items/Z direction/eXit]<eXit>:** რადგან **<eXit>:** (<გასვლა>) უკვე მითითებულია დავაწვეთ კლავიშს **Enter** და ოპერაცია დასრულდება. (სურ. 4).



სურ. 2






სურ. 3



სურ. 4


როგორც 5-ე და 6-ე სურათებიდან ჩანს მასივის ელემენტებმა მიიღო წირის ნორმალის მიმართულება.

*შენიშვნა: მხები ეწოდება წრფეს, რომელსაც მეორე როგის მრუდთან ერთი საერთო წერტილი აქვს. ნორმალი ეწოდება წრფეს, რომელიც მდებარეობს მრუდის სიბრტყეში და გადის შესების წერტილში მხების მართობულად.*





სურ. 5

**Tangent Direction**-ის (მხების მიმართულება) შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მისაღებად განვიხილოთ მაგალითი: ავაგოთ მართკუთხედი (ნიმუში) და ელიფსი (მარშრუტი) (სურ.7).




სურ. 6

*Tabs* ⇒ **Home** ⇒ *Ribbon* ⇒ **Modify** ⇒ **Path Array**  ⇒ **ARRAYPATH**  
**Select objects:** (მოვნიშნოთ მართკუთხედი) ⇒ **Enter** ⇒ **ARRAYPATH** **Select path curve:** წირის მონიშვნის შემდეგ დავაჭიროთ კლავიშს **Esc** ან **Enter** და ოპერაცია დასრულდება. მგრამ ამ ორ კლავიშიდან ერთ-ერთზე დაჭერამდე გამოჩნდება დროებითი ჩანართი. მისი და ბრძანებების სტრიქონის დახმარებით შესაძლებელია მასივის რედაქტირება (სურ.7). რედაქტირების რამდენიმე გზა არსებობს ზოგიერთი მათგანი უკვე განვიხილეთ. ახლა განვიხილოთ რედაქტირების კიდევ ერთი გზა.



სურ. 7



სურ. 8

**Tangent direction** (მხების მიმართულება). დავაწკაპუნოთ ამ პიქტოგრამაზე ბრძანებების სტრიქონი მოგვცემს ახალ მითითებას: **Select grip to edit array or [Associative/Method/Base point/Tangent direction/Items/Rows/ Levels/Align items/Z direction/eXit]<eXit>: \_T Specify first point of tangent direction vector or [Normal]:** (შეარჩიე სახელურები მასივის რედაქტირებისათვის [ასოციაციური/მეთოდი/საბაზო წერტილი/მიმართულების მხები/საგნები/სტრიქონი/დონეები/ გაასწორე საგნები/Z მიმართულება/გასვლა] <გასვლა>:\_T

მიუთითეთ მხევი ვექტორის პირველი წერტილი ან [ნორმალი]:. დავაწკაპუნოთ 1 წერტილზე (სურ. 7). ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება შემდეგი მითითება **Specify second point of tangent direction vector:** (შეარჩიე მხევი ვექტორის მეორე წერტილი). ეს ორი წერტილი **2 points** განსაზღვრავს (მონაკვეთს), რომლებიც წარმოადგენს წირის მხევის წირის საწყის წერტილში და გადის ელემენტის საბაზო წერტილზე (ანუ საწყისი ელემენტის საბაზო წერტილზე). მეორე წერტილზე დაწკაპუნების შემდეგ ოპერაცია დასრულდება. მაგრამ მასივიდან გამოსვლამდე კვლავ შეგვიძლია მასივის რედაქტირება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://www.lynda.com/AutoCAD-tutorials/AutoCAD-2017-Essential-Training/437290-2.html>.
2. <http://blogs.autodesk.com/autocad/autocad-2017-its-alive/>
3. <http://mgtuts.com/categories/autocad-tutorials/autocad-2017-interface-review-free-autocad-tutorials>

### საინჟინრო პრაქტიკაში Array ( მასივის) გამოყენებისა და რედაქტირების მაგალითები

*გოჩა ჩიტაიშვილი,  
ნანა ნოზაძე,  
ნუნუ მუმლაძე,  
ქეთევან ჭკუასელი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

**Array** მასივი, ეს არის **AutoCAD**-ის ერთ-ერთი საჭირო ხელსაწყო, მისი დახმარებით ხდება ბრძანებების ავტომატიზირება. **AutoCAD**-ის ახალ ვერსიებში აღარ არის დიალოგური ფანჯარა ისე, როგორც ეს ყველა წინა ვერსიაში იყო წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში დიალოგი უნდა ვაწარმოოთ პროგრამასთან ბრძანებების სტრიქონის ან **Ribbon**-ის (ზოლი) მეშვეობით რაც ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს. საინჟინრო პრაქტიკაში გრაფიკული ამოცანების შესრულების დროს ხშირად იყენებენ **Array** მასივს, რადგან ეს ბრძანება იძლევა დროს ეკონომიას.



## Using Array (massive) in engineering practice and examples of editing

*Chitaishvili Gocha,  
Nozadze Nana,  
Mumladze Nunu,  
Chkuaseli Ketevan  
Georgian Technical University*

### Summary

**Array massive** is one of the necessary tools of **AutoCAD** which is used for command automatization. The dialogue box in the new versions of **AutoCAD** is not represented in the same way as it was in the previous versions. In this case, the dialogue shall be proceeded through the command line or **Ribbon** (line), that is one of the new developments. **Array** massive is often used in the engineering practice while performing graphical tasks because this command saves time.

### Применение и примеры редактирования «Array» (массив) в инженерной практике

*Гоча Читаишвили,  
Нана Нозадзе,  
Нуну Мумладзе,  
Кетеван Чкуасели  
Грузинский Технический Университет*

### РЕЗЮМЕ

Array (массив) один из нужных инструментов AutoCAD-а, с его помощью происходит автоматизирование команд. В новых версиях AutoCAD-а нет окно диалога так, как была представлено во всех предыдущих версиях. В этом случае диалог надо вести с программой с помощью со строчкой команды или Ribbon-а (ленты), которая представляет новинку в инженерной практике. При исполнений графических задач часто применяется Array (массив), из-за экономии времени.

## AutoCAD 2017 წლის ვერსიის ახალი ხელსაწყო CENTERLINES (ცენტრის ხაზი)

*გონა ჩიტაიშვილი,  
მაყვალა მჭედლიძე,  
ნანა ნოზაძე*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: CENTERMARK, CENTERLINE, CENTERDISASSOCIATE, RIBBON.



**AutoCAD**-ი **Autodesk**-ის პირველი პროდუქტია რომელიც 1982 წელს შეიქმნა, **AutoCAD**-ი ავტომატიზებული დაპროექტების სისტემაა, რომელიც იმ დროისათვის განკუთვნილი იყო მიკროკომპიუტერისათვის, რომელსაც შემდგომში პერსონალური კომპიუტერი ეწოდა. იგი იძლეოდა ნახაზისა და მოდელების შექმნის საშუალებას. **AutoCAD**-ი მსოფლიოში გამოჩენისთანავე ყველაზე პოპულარული საინჟინრო პროგრამული პაკეტი გახდა, მას შემდეგ გამოდის ახალი გაუმჯობესებული ვერსიები, რომელსაც დამატებული აქვს ახალი ხელსაწყოები.

**CENTERLINES** (ცენტრის ხაზი) – ცენტრის ხაზი ანუ სიმეტრიის ღერძის ხაზი (წვევტილ-წერტილოვანი ხაზი). **AutoCAD 2017** წლის ვერსიაში ნახაზზე ცენტრის ხაზის დატანის ახალი ხელსაწყოა, რომელიც განთავსებულია **RIBBON**-ში (ზოლი, ლენტი).



*Tabs* ⇒ **Annotate** ⇒ *Ribbon* ⇒ **Centerlines** ⇒


ხელსაწყოები **CENTERMARK** (ცენტრის მონიშვნა) და **CENTERLINE** (ცენტრის ხაზი) არიან ასოციაციური ობიექტები. თუ მოვახდენთ იმ ობიექტის გადაადგილებას ან მოდიფიცირებას რომელთანაც დაკავშირებული არის ცენტრის ხაზი და ცენტრის მონიშვნა, მაშინ ისინიც შესაბამისად შეიცვლებიან (ნახ. 1).



ნახ. 1

**CENTERMARK** (ცენტრის მონიშვნა) – ამ ხელსაწყოს დახმარებით შესაძლებელია წრეწირისა და რკალის ცენტრის მონიშვნა (რომელიც ასოცირებული იქნება შესაბამის წრეწირთან ან რკალთან ნახ. 2). ამ ხელსაწყოს გამოძახება შესაძლებელია შემდეგნაირად:

Tabs ⇒ Annotate ⇒ Ribbon ⇒ Centerlines ⇒ Center Mark




ნახ. 2

ბრძანებების სტრიქონში გამოიხატება შემდეგი მითითება: **CENTER-MARK Select circle or arc to add centermark:** (ცენტრის მონიშვნა შეარჩიე წრეწირი ან რკალი ცენტრის მონიშვნის დასამატებლად) წრეწირის ან რკალის მონიშვნის შემდეგ მოხდება მათი ცენტრის მონიშვნა.

ნახ.3-ზე ნაჩვენებია ამ ხელსაწყოს მუშაობის თანმიმდევრობა.

**CENTERLINE** (ცენტრის ხაზი) – მისი დახმარებით შესაძლებელია ორ მონაკვეთს შორის ასოცირებული ცენტრის ხაზის (სიმეტრიის ღერძის ხაზის) გატარება (ნახ. 3).



ნახ. 3


ამ ხელსაწყოს გამოძახება შესაძლებელია:

*Tabs* ⇒ **Annotate** ⇒ *Ribbon* ⇒ **Centerlines** ⇒ **Centerline** 


ამის შემდეგ ბრძანებების სტრიქონში გამოიხატება შემდეგი მითითება: **CENTERLINE Select first line:** (ცენტრის (ღერძის) ხაზი შეარჩიე პირველი ხაზი (მონაკვეთი):) მიუთითოთ პირველი მონაკვეთი (დავაწკაპუნოთ მასზე): შემდეგი მითითება იქნება **Select second line:** (შეარჩიე მეორე ხაზი (მონაკვეთი):) მიუთითოთ მეორე მონაკვეთი, რის შემდეგაც გატარდება ღერძის ხაზი.

ამ ხელსაწყოს მუშაობის თანმიმდევრობა მეოთხე ნახაზზე ნაჩვენებია ციფრებით.

ხელსაწყოები: **CENTERMARK** (ცენტრის მონიშვნა) და **CENTERLINE** (ცენტრის ხაზი) წარმოადგენენ **Autocad**-ის ჩვეულებრივ ობიექტებს, რომელთა მოდიფიცირება შესაძლებელია, როგორც სახელურების ასევე თვისებების პალიტრის (**PROPERTIES**) საშუალებით (ნახ. 4). იმ ობიექტების მოდიფიცირებისას რომელთაც ისინი არიან დაკავშირებული მოხდება მათი ცვლილებაც. მაგალითად მართკუთხედისა და წრეწირის გადაადგილება იწვევს **CENTERMARK**-ის (ცენტრის მონიშვნა) და **CENTERLINE**-ის (ცენტრის ხაზი) გადაადგილებასაც (ნახ. 5).




ნახ. 4




ნახ. 5

შესაძლებელია **CENTERMARK**-ის (ცენტრის მონიშვნა) და **CENTERLINE**-ის (ცენტრის ხაზი) დამოკიდებულების მოხსნაც (ანუ ასოცირებული ცენტრის ხაზისა და ცენტრის მონიშვნის გათიშვა, მოხსნა **DISASSOCIATE**). ამისათვის საჭიროა კლავიატურის დახმარებით აკრიფოთ **CENTERDISASSOCIATE** ⇒ **Enter** რის შემდეგაც ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება შემდეგი მითითება:




ნახ. 6




ნახ. 7

**CENTERDISASSOCIATE Select center objects to disassociate:** (მონიშნე ცენტრის ობიექტები ასოცირების მოსახსნელად) მიუთითოთ ცენტრის ხაზი ან ცენტრის მონიშვნა. მონიშნული ობიექტების რაოდენობა გამოჩნდება ბრძანებების სტრიქონში და დაეჭიროთ კლავიშს **ENTER**, რის შემდეგაც მოხდება დამოკიდებულების მოხსნა და ამავე დროს ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება დამოკიდებულება მოხსნილი ობიექტების რაოდენობა (**2 center object(s) disassociated**) ნახ. 6, ნახ. 7.




ნახ. 8



ნახ. 9


ასევე შესაძლებელია დამოკიდებულების (REASSOCIATE) კვლავ აღდგენა, რისთვისაც საკმარისია კვლავ კლავიატურის დახმარებით აგკრიფოთ **CENTERREASSOCIATE** ⇒ **Enter** რის შემდეგაც ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება შემდეგი მითითება: **CENTERREASSOCIATE Select a center mark or centerline to reassociate:** (მონიშნე **center mark** (ცენტრის მონიშვნა) ან **centerline** (ცენტრის ხაზი). რომ მოხდეს მათი კვლავ ასოცირება მონიშვნების თანმიმდევრობა ნაჩვენებია ციფრებით მეცხრე ნახაზზე. მონიშვნის დამთავრების შემდეგ მოხდება ობიექტების კვლავ ასოცირება.



ნახ. 10

მე-10 ნახაზზე ჩანს, რომ ღერძის ხაზი გადაცილებულია კონტურის ხაზს 3.5 მმ-თ. მანძილის ცვლილება შესაძლებელია ბრძანების **CENTEREXE** საშუალებით. ეს ბრძანება ცენტრის ხაზის ცენტრის მონიშვნის სიგრძის ცვლილების საშუალებას გვაძლევს (კონკრეტულად კი მისი დაგრძელების საშუალებას).


კლავიატურის დახმარებით აკრიფოთ **CENTEREXE** ⇒ **Enter** ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება მითითება **CENTEREXE Enter new value for CENTEREXE <3.5000>: 3,5** (შეიყვანე ახალი მნიშვნელობა) მიუთითოთ ახალი მნიშვნელობა (ჩვენს შემთხვევაში მითითებულია 5) ⇒ **Enter**. შემდეგ კი მოვნიშნოთ ის ორი მონაკვეთი, რომელთა შორისაც გვინდა ახალი ღერძის ხაზის გატარება (ნახ. 10, ნახ. 11). აქ აღვნიშნოთ, რომ შესაძლებელია მხოლოდ დადებითი რეალური ციფრის შეყვანა.




ნახ. 11

ბრძანება **CENTERLTYPE** გამოიყენება მხოლოდ იმ ხაზის ტიპების ცვლილებისათვის, რომლებიც შექმნილია ხელსაწყოების **CENTERMARK**-ის (ცენტრის მონიშვნა) და **CENTERLINE**-ის (ცენტრის ხაზი) საშუალებით.

კლავიატურის დახმარებით აკრიფოთ **CENTERLTYPE** ⇒ **Enter** ბრძანებების სტრიქონში გამოჩნდება შემდეგი მითითება **CENTERLTYPE Enter new value for CENTERLTYPE, or . for use current <"Center2"** (შეიყვანე ახალი მნიშვნელობა ან გამოიყენე მიმდინარე) მიუთითოთ **Center** ⇒ **Enter** (ნახ. 12, ნახ. 13).



ნახ. 12



ნახ. 13

ბრძანება **CENTERLAYER** გამოიყენება მხოლოდ იმ ცენტრის ხაზებისათვის, რომლებიც შექმნილია ხელსაწყოების **CENTERMARK**-ის (ცენტრის მონიშვნა) და **CENTERLINE**-ის (ცენტრის ხაზი) საშუალებით. **CENTERLAYER** ⇒ **Enter** ბრძანებების სტრიქონი მოგვცემს შემდეგ მითითებას **CENTERLAYER Enter new value for CENTERLAYER, or . for use current <"use current">**: (შეიყვანე ახალი მნიშვნელობა ცენტრის ხაზის ფენისათვის ან გამოიყენე მიმდინარე) შეგვიძლია დავტოვოთ იგივე ფენა ან მიუთითოთ ახალი ფენის სახელი.

### ლიტერატურა

1. <https://www.lynda.com/AutoCAD-tutorials/AutoCAD-2017-Essential-Training/437290-2.html>.
2. <http://blogs.autodesk.com/autocad/autocad-2017-its-alive/>
3. <http://mgtuts.com/categories/autocad-tutorials/autocad-2017-interface-review-free-autocad-tutorials>

### AutoCAD 2017 წლის ვერსიის ახალი ხელსაწყო CENTERLINES (ცენტრის ხაზი)

*გოჩა ჩიტაიშვილი,  
მაყვალა მჭედლიძე,  
ნანა ნოზაძე*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### რეზიუმე

**AutoCAD**-ი ავტომატიზებული დაპროექტების სისტემაა, ორგანზომილებიანი ხაზვისა და სამგანზომილებიანი მოდელირებისათვის.



**CENTERLINES** (ცენტრის ხაზი) – ცენტრის ხაზი ანუ სიმეტრიის ღერძის ხაზი **AutoCAD 2017** წლის ვერსიაში, ნახაზზე ცენტრის ხაზის დატანის ახალი ხელსაწყოა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ორ მონაკვეთს შორის ასოცირებული ცენტრის ხაზის გატარება, ასევე ორი მომიჯნავე ხაზის შერჩევის შემთხვევაში შესაძლებელია გაგატაროთ ამ კუთხის ბისექტრისაც.

### **New equipment for the version of Auto Cad 2017**

#### **CENTERLINES (line of the center)**

*Gocha Chitaishvili,  
Makvala Mchedlidze,  
Nana Nozadze  
Georgian Technical University*

#### **Resume**

**Auto Cad** – is an automatized and project system for two-dimensional drawing and three-dimensional modeling.

**CENTERLINES** (line of the center) - Line of the center or Symmetry axis line. In the version of **Auto Cad 2017** is new equipment for affixation a central line on the drawing, through which it is possible to draw a central line associated between two sections, also in case of choosing the two neighboring lines it is possible to draw an angle bisector.

### **AutoCAD по версии 2017 года нового устройства**

#### **CENTERLINES (центральная линия)**

*Гоча Читаишвили,  
Маквала Мчедлидзе,  
Нана Нозадзе  
Грузинский Технический Университет*

#### **РЕЗЮМЕ**

**AutoCAD** – Системой автоматизированных проектов, для создания двухмерных чертежей, трехмерного моделирования.

**CENTERLINES** (центральная линия)- центральная линия или ось симметрии. **AutoCAD – по версии 2017 года**, на чертеже показано нанесение осевых линий нового устройства. Линия позволяющее два участка ассоциированного центра провести линию, а также, для выбора двух соседних линии, можно осуществить этот угол биссектрисы.

## სასურსათო პროდუქციის რისკებისა და უსაფრთხოების შეფასება

*მზია წულუკიძე,  
სტუ პროფესორი  
ლილი ბოლქვაძე,  
პროფესორი*

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის ჩატარება ქვეყნის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის პრეროგატივაა. მისი განხორციელება შესაძლებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კვალიფიციური სპეციალისტებისა და ათწლეულებით გადამუშავებული ინფორმაციული ნაკადის არსებობისას.

ტერმინი „მონიტორინგი“ გაჩნდა 1972 წ. გაეროს სტოკჰოლმის გარემო არის-კონფერენციის ჩატარებამდე, და თავისი არსით იგი, „გარკვეული მიზნით ხარისხისა და უსაფრთხოების ერთი ან რამოდენიმე მაჩვენებლის განმეორებითი ზედამხედველობის სისტემას ნიშნავს“.

**ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი სოციალური და ჰიგიენური მონიტორინგებისაგან შედგება.**

სოციალური მონიტორინგის სისტემა მთელ რიგ ქვეყნებში მოიცავს ანალიზისა და შემდეგი მონაცემების განზოგადობას:

- სურსათის ბალანსური გათვლების შედეგები;
- ოჯახის ბიუჯეტის კვლევის შედეგების მიხედვით, ოჯახში საკვები პროდუქტების მოხმარების შესახებ ცნობები;
- მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების კვებისა და კვების სტატუსის სპეციალური ეპიდემიოლოგიური გამოკვლევა;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მათ შორის ქალების, ბავშვების, ხანდაზმული ასაკის და სხვა პროფესიონალური ჯგუფების დემოგრაფიული სიტუაციების შესახებ ცნობები.

ჰიგიენური მონიტორინგი მოიაზრებს გარემო არის, სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ტოქსიკური და რადიოაქტიური ელემენტებით დაბინძურების ხარისხის განსაზღვრას, ამასთანავე მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ფაქტიური კვების მდგომარეობის შესწავლას დინამიკაში.

სოციალური და ჰიგიენური მონიტორინგის ანალიზის შედეგები ადასტურებენ, რომ დღეისათვის ბავშვთა და მოზრდილი ასაკის მოსახლეობის ჯან-

მრთელობის მაჩვენებლებზე მოქმედ არსებითად მნიშვნელოვან პრიორიტეტულ ფაქტორებს მიეკუთვნებიან, უპირველეს ყოვლისა კვების ხასიათი და აგრეთვე გარემო არის დაბინძურება.

რისკის ანალიზის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს **მიკრობიოლოგიური რისკის შეფასება**, რომელიც კვებითი წარმოშობის ისეთი ფაქტორების შეფასების შესაძლებლობას გვაძლევს, რომლებიც დაკავშირებულია საკვების ჯაჭვში „ფერმიდან მომხმარებლამდე“ მიკროორგანიზმების წარმოშობასა ან არსებობასთან.

კვების პროდუქციის უსაფრთხოების შეფასებისათვის, საკვები პროდუქტების მოხმარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საფრთხეები გაერთიანებულია რამოდენიმე ჯგუფად.

**რისკის შეფასების თითოეული ჯგუფი შეიცავს 3 ძირითად კრიტერიუმს:**

**საფრთხის სიმძიმეს, შემთხვევათა სიხშირეს, საფრთხის დადგომის დროს.**

**საფრთხის სიმძიმე** ახასიათებს გამომწვევი უარყოფითი ეფექტის ტიპს, რომელიც ცვალებადობს მსუბუქად გამოხატულიდან დროებით დისკომფორტამდე; შედარებით სერიოზული, მაგრამ შექცევადი მდგომარეობიდან შეუქცევად შედეგებამდე – სიკვდილის ჩათვლით.

**შემთხვევათა სიხშირე** მიუთითებს შემთხვევების რაოდენობას ან მოცემული უარყოფითი ეფექტის წარმოშობის ინტენსიობას.

**საფრთხის დადგომის დრო.** მიუთითებს უარყოფითი ეფექტების წარმოშობის დროს საფრთხის ზემოქმედების მომენტიდან დაავადების სიმპტომების მყისიერ დადგომამდე.

აღნიშნული სამი კრიტერიუმის რაოდენობრივი შეფასება ხშირ შემთხვევაში ცნობილ სირთულეს წარმოადგენს. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაშია შესაძლებელი ადამიანზე უშუალო დაკვირვება, უმეტეს შემთხვევებში მოცემულია წყვეტილი ან ირიბი მონაცემები, რომლებიც დაფუძნებულია ეპიდემიოლოგიურ და ანალიზის სხვა სისტემებზე. მიუხედავად ამისა შესაძლებელია კვების უსაფრთხოების სხვადასხვა სფეროებისათვის რისკის შედარებითი შეფასება და პრობლემის ზოგადი სურათის მიღება თითოეული ცალკეული სფეროს ანალიზის გზით.

**რისკის შეფასება** – რისკის ანალიზის ერთ-ერთი შემადგენელია – წარმოადგენს პროცესს, რომელიც მრავალი ეტაპისაგან შედგება.

**Codex Alimentarius-ის კომისია საფრთხის ფაქტორების იდენტიფიკაციას განსაზღვრავს** როგორც პირველ ეტაპს. იგი მიმართულია ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური მოქმედი ფაქტორების იდენტიფიკაციისაკენ, რომელთაც შეუძ-

ლიათ ჯანმრთელობისათვის უარყოფითი შედეგების გამოწვევა და შესაძლებელია არსებობდნენ გარკვეულ საკვებ პროდუქტებში ან პროდუქტთა ჯგუფში. Codex Alimentarius-ის სისტემაში ეს კეთდება ან კომისიის წევრი-ქვეყნიდან მითითებული წინადადებების, ან შესაბამის კომიტეტში განსჯის შედეგების საფუძველზე.

**საფრთხის ფაქტორების მახასიათებლების განსაზღვრის ეტაპი Codex Alimentarius-ში აღწერილია შემდეგნაირად:**

- საკვებში სავარაუდოდ არსებული ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ მოქმედ ფაქტორებთან დაკავშირებული, ჯანმრთელობისათვის უარყოფითი ხასიათის შედეგების ხარისხობრივი და (ან) რაოდენობრივი შეფასება;
- ქიმიური ნივთიერებებისათვის სავალდებულოა „დოზა-რეაქციასთან“ დამოკიდებულების შეფასება;
- ბიოლოგიური და ფიზიკური ფაქტორებისათვის – მხოლოდ შესაბამისი წინაპირობის არსებობისას.

**რისკის დახასიათება** Codex Alimentarius-ის კომისიის მიერ აიხსნება, როგორც მოცემული კატეგორიის მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის სიმძიმის ხარისხის წარმოშობის შესაძლებლობის ცნობილი და პოტენციურად უარყოფითი შედეგების ხარისხობრივი და (ან) რაოდენობრივი შეფასება.

ამგვარად, საერთაშორისო ნორმებით რისკის შეფასება ხორციელდება საფრთხის ფაქტორების იდენტიფიკაციის, მათი დახასიათებების განსაზღვრასა და თანამდები ფაქტორების ზემოქმედების შეფასების საფუძველზე. იმისათვის, რომ განისაზღვროს ჯანმრთელობისათვის პოტენციურად უარყოფითი შედეგების სიმძიმე, ზემოქმედების შეფასების შედეგებს ადარებენ ტოქსიკოლოგიურ დასკვნით წერტილთან, რომელიც რეკომენდირებულია საკვები დანამატებისა და კონტამინანტების გაერთიანებული კომიტეტების ექსპერტების მიერ.

რისკების აღმოფხვრის ღონისძიებების ან მინიმიზაციის განსაზღვრა Codex Alimentarios-ის კომისიის მიერ ხასიათდება როგორც პროცესი, რომელიც რისკის შეფასებისგან განსხვავდება. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: პროგრამულ-სტრატეგიული დადგენილებების ალტერნატივების შეჯერება ყველა დაინტერესებული მხარის შეხედულებების გათვალისწინებით, რისკის შეფასების შედეგებისა და სხვა ისეთი ფაქტორების განხილვა, რომელთაც კავშირი აქვთ მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვასთან, კეთილსინდისიერი ვაჭრობის პრაქტიკის განვითარებასთან და აუცილებლობის შემთხვევაში რისკების პროფილაქტიკისა და მათთან ბრძოლის მისაღები ვარიანტების შერჩევასთან.

Codex Alimentarius-ის კომისიის სისტემაში რისკების ამოფხვრისა და მინიმიზაციის ღონისძიებანი ჩვეულებრივ კომისიებს ეკისრება.

### ლიტერატურა

1. კოდექს ალიმენტარიუსი - სურსათის ჰიგიენის ძირითადი ტექსტები. კოდექს ალიმენტარიუსის კომისია. თბილისი 2004. « მამუკა გელიაშვილის » გამოცემა.
2. Л. В. Донченко, В. Д. Надыка. Безопасность пищевой продукции. Москва, ДеЛипринт, 2007. 538 с.
3. И. М. Скурихина, В. А. Тутельян. Руководство по методам анализа качества и безопасности пищевых продуктов. М. : Брандес – Медицина, 1998. 342 с.
4. Potter D. Positive Nutrition – Making it Happen. Food Ingredients Europe. Conference Processing 2005 – p. 180.

### სასურსათო პროდუქციის რისკებისა და უსაფრთხოების შეფასება

*მზია წულუკიძე,  
სტუ პროფესორი  
ლილი ბოლქვაძე,  
პროფესორი*

### რეზიუმე

**სტატიაში განხილულია:** ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი; რისკის დახასიათება; რისკის ანალიზი; რისკის შეფასების კრიტერიუმები; Codex Alimentarius-ის კომისიის მიდგომები საფრთხის ფაქტორების მახასიათებლებთან მიმართებაში; რისკების აღმოფხვრის ღონისძიებების ან მინიმისაციის განსაზღვრის დახასიათება Codex Alimentarius - ის კომისიის მიხედვით.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური და ჰიგიენური მონიტორინგი, რისკის შეფასების ჯგუფები, საფრთხის სიმძიმე, სიხშირე, საფრთხის დადგომის დრო, საფრთხის ფაქტორები, რისკების აღმოფხვრის ღონისძიებანი.

Оценка рисков и безопасности пищевой  
продукции

*Мзия Цулукидзе, Профессор ГГУ*  
*Лили Болквадзе, Профессор*

РЕЗЮМЕ

**В статье изложены:** Мониторинг состояния здоровья; оценка, анализ риска; критерии; характеристика опасных факторов по Codex Alimentarius – устранение или минимизация риска в системе комиссии Codex Alimentarius.

**Ключевые слова:** Социальный и гигиенический мониторинг, группы оценки риска, тяжесть опасности, частота, время наступления опасности, факторы опасности, меры по устранению риска.

Estimation of Food Safety and Risks

*Mzia Tsulukidze, Professor*  
*Lili Bolkvadze, Professor*

Summary

The article analysis: monitoring of health condition; risk qualification, risk analysis, risk estimation criteria; attitude of codex Alimentarius committee in relation with indicators of dangers, Definition of risk eradication or minimalisation measures in accordance with Codex Alimentarius Committee.

**Key words:** Social and hygienic monitoring Risk estimation groups; degree of danger; frequency date of possible danger, Factors of danger; Risk eradication measures.

## ბავშვთა კვება

*მზია წულუკიძე,  
სტუ პროფესორი*

კვება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვთა ანატომიურ-ფიზიოლოგიურ და ნევრო-ფსიქიურ განვითარებაზე მათი დაბადების მომენტიდან. ბავშვობის სხვადასხვა პერიოდში კვებითი და ენერგეტიკული მოთხოვნები იცვლება. ყოველივე ეს, კი დაკავშირებულია ბავშვების ფიზიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების დონის ცვალებადობასთან, კუნთების დატვირთვის მატებასთან, გონებრივი დამაბულობის ზრდასთან და ბავშვის სხვა ინდივიდუალური თავისებურებების განვითარებასთან.

ზრდასრულებისაგან განსხვავებით ბავშვებს მომატებული ნივთიერებათა ცვლა აქვთ. ასე მაგალითად ცხოვრების პირველ წელს ბავშვის სხეულის მასა სამმაგდება, ხოლო ზრდა საშუალოდ 25 სმ-ით მატულობს.

ამიტომ განვითარების ყოველ ეტაპზე საკვების სადღეღამისო კალორიულობამ ენერჯის დანახარჯი უნდა აანაზღაუროს. ოპტიმალურად ითვლება ის რაციონი, რომლის კალორიულობაც მთლიანად შეესაბამება ბავშვის ორგანიზმის ენერგოდანახარჯებს. თუმცა ბავშვთა კვების პროდუქტებს განსაკუთრებული მოთხოვნები აქვთ წაყენებული.

ადრეული ასაკის ბავშვებისათვის (1-3 წ.) რაციონალური კვება დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

- დაბალანსებულობა.
- კვების პროდუქტების მიზანმიმართული შერჩევა,
- საკვები პროდუქციის ხარისხის სრულყოფილი კონტროლი.

ადრეული ასაკის ბავშვების საჭმლის მომწელებელი ორგანოების მაქსიმალურად დაცვისათვის რეკომენდირებულია ფაფისმაგვარი კონსისტენციის ან დაქუცმაცებული სახით საკვების მიღება. ბავშვების ზრდასთან ერთად მისი კუჭის ტევადობა იზრდება. საღეჭი აპარატის განვითარებისათვის კვების რაციონში ერთგვარ ვაშლი, დაჭრილი ბოსტნეული, ხორცის რაგუ. ამასთანავე საკვების ულუფა სამი წლისათვის იმატებს 300 გ-მდე. საკვები პროდუქტების მრავალფეროვნება და მიზანმიმართული შერჩევა ადრეული ასაკის ბავშვებისათვის უნდა უზრუნველყოფდეს მათ მოთხოვნებს საკვებ პროდუქტებსა და ენერჯიაზე (ცხრ. 1)

ადრეული ასაკის ბავშვებისათვის სადღეღამისო მოთხოვნების ნომრები საკვებ ნივთიერებებსა და ენერჯიაზე

ცხრილი 1

საკვები ნივთიერება	ნორმა
ცილები, გ	45
მათ შორის ცხოველური	34
ცხიმები, გ	44
მათ შორის მცენარეული	5-10
ნახშირწყლები, გ	176
ვიტამინები, მგ:	
თიამინი	0,8
რიბოფლავინი	0,9
პირიდოქსინი	0,9
ციანკობალამინი, მკგ	1,0
ფოლაციანი, მკგ	100
ნიკოტინის მჟავა	10
ასკორბინის მჟავა	45
რეთინოლი, მკგ	450
ტოკოფეროლი	7
კალციფეროლი, მკგ	400
მინერალური ნივთიერება, მგ	
კალციუმი	800
ფოსფორი	800
მაგნიუმი	150
რკინა	10

ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების სადღეღამისო ნორმის ენერგეტიკული ღირებულება უნდა შეადგენდეს 1540 კკალ. რაციონალური კვების პრინციპების შესაბამისად ენერგეტიკული ღირებულებისა და საკვები ნივთიერებების შემცველობის მიხედვით პროდუქტების გადანაწილება დღე-ღამის განმავლობაში უნდა იყოს თანაბარზომიერი. ამასთანავე დასაშვებია უფრო მოცულობითი სადილი (35%) და მსუბუქი სამხარი (15%მდე).

სკოლამდელი ასაკის ბავშვების რაციონალური კვების ორგანიზებისას მათ ყოველდღიურ რაციონში ითვალისწინებენ ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს შორის თანაფარდობას, რომელიც უნდა შეადგენდეს 1:1:4. ამასთანავე სადღეღამისო რაციონში რძისა და რძემჟავა პროდუქტების რაოდენობა უნდა შეადგენდეს 500 გ-ს. ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა კვებაში ფართოდ გამო-



იყენება ბურღულები, ახალი ხილი და ბოსტნეული, რაც აუცილებელია საჭმლის მომწოდებელი სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. არ არის რეკომენდირებული ცხარე კერძები, შებოლილი პროდუქტები, ნატურალური ყავა, მდგოვი, ძმარი. ცილების, ცხიმების და ნახშირწყლები სადღეღამისო ნორმების ენერგეტიკული ღირებულება შეადგენს 1750 კკალ.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის სადღეღამისო მოთხოვნის ნორმები საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე მოყვანილია ცხრილში 2.

ცხრილი 2

საკვები ნივთიერებანი	ნორმა
ცილები, გ	60
მათ შორის ცხოველური	37
ცხიმები, გ	60
მათ შორის მცენარეული	11
ნახშირწყლები, გ	240
მინერალური ნივთიერებანი, მგ	
კალციუმი	1200
ფოსფორი	1450
მაგნიუმი	300
რკინა	15
ვიტამინი, მგ	
თიამინი	0,4
რიბოფლავინი	0,5
პირიდოქსინი	0,5
ციანკობალამინი, მკგ	1,5
ნიაცინი	6
ფოლაციანი, მკგ	40
ასკორბინის მჟავა	35
რეთინოლი, მკგ	400
ტოკოფეროლი	10
კალციფეროლი	100

სკოლის მოსწავლეთა რაციონალური კვების ორგანიზებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ასაკობრივი თავისებურებანი. როგორც ცნობილია სასკოლო პერიოდი იყოფა სამ ასაკად: დაბალი – 6-10 წელი, საშუალო – 11-13 წელი

დ მაღალი – 14-17 წელი. მოთხოვნილება ცილებზე, ცხიმებზე და ნახშირწყლებზე იზრდება ასაკთან ერთად. რაციონში ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების მასას შორის თანაფარდობა უნდა შეადგენდეს რაციონის ენერგეტიკული ღირებულების 14:31:55%-ს. მოსწავლეთა ინტენსიური ზრდა და მნიშვნელოვანი ნევრო-ფსიქიკური დატვირთვა განაპირობებს მათ გაზრდილ მოთხოვნილებას ვიტამინებსა და მინერალურ ნივთიერებებზე. რაციონში კალციუმსა და ფოსფორს შორის ოპტიმალური თანაფარდობა 1,2-1,5-ის ტოლი უნდა იყოს. კალციუმის სადღეღამისო მოთხოვნ ილების 60-80% უნდა კმაყოფილდებოდეს რძისა და რძის პროდუქტების ხარჯზე.

ამასთანავე ადვილად შეთვისებადი მონო და დისაქარიდები უნდა შეადგენდნენ მათი მთლიანი მოხმარების არა უმეტეს 20%-ისა კვების რაციონის ენერგეტიკული ღირებულება იზრდება 2000-დან 3000 კკალ-მდე. ამგვარად, ბავშვთა კვებას საკუთარი თავისებურებანი გააჩნია, რომელიც ბავშვის ორგანიზმის ზრდისა და განვითარებისათვის მიღწევადია საკვები ნივთიერებების დაბალანსებით.

### ლიტერატურა

1. Л.В. Донченко, В.Д. Надыка. Безопасность пищевой продукции. М: Делипринт, 2007. 538 с.
2. Г.И. Касьянов, В.А. Ломачинский, А.Н. Самсонова. Технология продуктов для детского питания. – ростов на Дону: Изд.Центр «Мар Т», 2001. 256 с.
3. В.М. Позняковский. Гигиенические основы питания, безопасность и экспертиза пищевых продуктов – Новосибирск: Сибирское Университетское издательство, 2002. 556 с.
4. Ю.В. Вельтищев. Экология и питание детей.// Вопросы питания. 1996. - №5-с. 15-17.

### ბავშვთა კვება

*მზია წულუკიძე,  
სტუ პროფესორი*

### რეზიუმე

**სტატიაში განხილულია:** კვების ზეგავლენა ბავშვთა ანატომიურ-ფიზიოლოგიურ და ნევრო - ფსიქიკურ განვითარებაზე; კვების ოპტიმალური რაციონი ადრეული, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის; საკვების მიღების რეკომენდაციები ბავშვების ზრდასთან ერთად; ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე სადღეღამისო

მოთხოვნების ნორმები; ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად სკოლის მოსწავლეთა რაციონალური კვების ორგანიზება; რაციონის კალორიულობის შესაბამისობა ორგანიზმის ენერგოდანახარჯებთან; განსაკუთრებული მოთხოვნები ბავშვთა კვების პროტუქტებისადმი.

**საკვანძო სიტყვები:** კვების ზეგავლენა, ენერგოდანახარჯი, კალორიულობა, რაციონალური კვების პრინციპები, ადრეული, სკოლამდელი და სასკოლო ასაკი, სადღეღამისო ნორმები, საკვები ნივთიერებების დაბალანსირებულობა.

### Детское питание

*Мзия Цулукидзе,  
Профессор ТГУ*

### Резюме

**В статье изложены:** Влияние питания на анатомо-физиологические и нервно-психическое развитие детей; Оптимальный пищевой рацион для детей раннего, дошкольного и школьного возраста; Рекомендации по применению пищи в связи с ростом ребенка; Нормы суточной потребности в пищевых веществах и энергии детей раннего и дошкольного возраста; Организация рационального питания школьников с учетом возрастных особенностей; Соответствие колорийности энергозатратам детского организма; особые требования предъявляемые к продуктам детского питания.

**Ключевые слова:** Влияние питания, энергозатраты, калорийность, принципы рационального питания, ранний, дошкольный, школьный возраст, суточные нормы, сбалансированность пищевых веществ.

### Child nutrition

*Mzia Tsulukidze,  
Professor*

### Summary

**The article analysis:** Impact of nutrition on child's anatomic – physiological and neurological development; Optimal ration of nutrition for infants, and schoolchildren; Nutrition recommendations parallel to the children growth, Daily requirement on food and energy for infants and schoolchildren; Organization of rational nutrition of schoolchildren according to their age; Correspondence of ration calories to the energy loses of the body. Special requirement to the child food.

**Key words:** Impact of nutrition, energy loses, calories, principles of rational nutrition, infant, schoolchildren, daily ration, balance of food.

## საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ტენდენციები

*ლალი ხუნწარია*  
*სტუ, პროფესორი*  
*ირაკლი კუკავა*  
*სტუ, დოქტორანტი*

**საკვანძო სიტყვები:** ინფორმაციული საზოგადოება, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ინოვაციური მიდგომები, ინფორმაციული კაპიტალიზმი, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

ინფორმაციული საზოგადოება ემყარება „ინფორმაციონალიზმს“, განვითარების წესს, რომლის დროსაც ეფექტურობის ძირითადი წყარო ცოდნისა და ინფორმაციის საფუძველზე წარმოების ფაქტორთა გაერთიანებისა და გამოყენების ოპტიმიზაციის უნარი ხდება.

საინფორმაციო საზოგადოების დამახასიათებელი თვისებებია:

1. ინფორმაციის, ცოდნის და საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის ზრდა საზოგადოებრივ საქმიანობაში;
2. იმ ადამიანთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს;
3. საინფორმაციო პროდუქტის წარმოების ზრდა და სხვადასხვა სფეროს სერვისის გაუმჯობესება;
4. გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნა;
5. ელექტრონული დემოკრატიის, ელექტრონული სახელმწიფოს, ელექტრონული მთავრობის, ინფორმაციული ეკონომიკის განვითარება, ციფრული ბაზრის შექმნა, ელექტრონული სოციალური და საყოფაცხოვრებო ქსელების გაფართოება.

ინფორმაციული საზოგადოების არსება დაკავშირებულია ქსელური ლოგიკით ორგანიზაციების მართვასთან, პროგრესთან, ინტეგრირებული სისტემების ჩამოყალიბებასთან.

საინფორმაციო საზოგადოებაში მთავარი ცოდნის წარმოებაა, რაც იწვევს გონებრივი შრომის გაზრდას. ადამიანისგან მოითხოვს კრეტიულობას, შემოქმედებითი უნარის გამოვლენას, არნახულად იზრდება ინტერესი ცოდნისადმი.

კომპიუტერული სისტემები და კომპიუტერული ქსელები, სატელეკომუნიკაციო კავშირები და საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს საინფორმაციო საზოგადოების მატერიალურ და ტექნოლოგიურ ბაზას.

ინფორმაციული საზოგადოება, იგივე ინფორმაციული კაპიტალიზმია, რამდენადაც მასში კვლავაც მძლავრობს ეკონომიკური ურთიერთობების ჩვეული ფორმები. (მოგებისადმი სწრაფვა, კერძო საკუთრება, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და ა.შ) ინფორმაციული კაპიტალიზმი – კაპიტალიზმის განსაკუთრებით უმოწყალო და უღმობელი, მტაცებლური ბუნების მქონე ფორმაა, რამდენადაც იგი ქსელური კავშირების წყალობით თავის თავში გლობალურ არსებობასთან (რაც წინამორბედ კაპიტალისტურ ეპოქაში არ შეიმჩნეოდა) ერთად არნახულ მოქნილობას (ფლექსიბილურობას) აერთიანებს.

ინფორმაციულ ეპოქაში გადასვლის მთავარი ნიშანი ხდება ქსელი, რომელიც თავის მხრივ ერთმანეთს შორის ადამიანებს, ინსტიტუტებს და სახელმწიფოს აკავშირებს. იგი მზარდ გლობალურ საქმიანობასა და გამწვავებულ სოციალურ დაყოფას შორის გარკვეულწილად განხეთქილების გაღრმავებასაც იწვევს, ანუ ინფორმაციული ეპოქის დამახასიათებელი წესების საფუძველზე გლობალიზაცია ადამიანთა შორის, ერთის მხრივ ინტეგრაციას აძლიერებს, ხოლო მეორეს მხრივ ფრაგმენტაციას და დეზინტეგრაციას უწყობს ხელს. ყველაფერი ეს კი მჭიდროდაა დაკავშირებული გლობალიზაციასთან. ქსელურ საზოგადოებაში კაპიტალისტური საქმიანი აქტივობა მიმდინარეობს რეალურ დროში სივრცული შეზღუდვების გარეშე, ინოვაციური საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შეუქცევადი პროგრესის კვალდაკვალ.

როგორც უკვე ვთქვით, ქსელში ჩართულობა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობის პირობაა. ამით მტკიცდება, რომ იკტ-ს მისაწვდომობა და პირველ რიგში ინტერნეტში ჩართულობა, ინფორმაციულ (საზოგადოებაში) ეპოქაში მოქალაქეობის უფლებას განსაზღვრავს. ადამიანებს შორის კავშირების მზარდი შესაძლებლობების კვალდაკვალ, ამ ურთიერთობების მთავარი შემადგენელი ხშირ შემთხვევაში გართობა, შემოქმედებითი პროცესების და პიროვნებების ინტეგრირება ხდება და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის კულტურული ეფექტი გაცილებით სერიოზული ხასიათს იღებს, ვიდრე კომუნიკაციის მარტივი შესაძლებლობა.

ინოვაციური საქმიანობის ინფორმაციულ უზრუნველყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროდუქციის პოტენციური მწარმოებლებისა და მომხმარებლების დიდ ტერიტორიაზე დაშორიშორების

პირობებში. აღნიშნული საქმიანობის ჩარჩოებში ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია:

- ინფორმაციული ქსელის პროგრამული და აპარატული მხარდაჭერა, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთმოქმედი სტრუქტურების საქმიანობას;
- მონაწილეთა ინფორმაციული ურთიერთქმედება, მათ შორის გლობალური ქსელის (ინტერნეტი) მეშვეობით;
- ინოვაციური პროცესის ძირითადი ნაწილების (პროექტები, ფირმები, კადრები, რესურსები, პროდუქცია და ბაზრის კონიუქტურა და ა.შ) ინფორმაციულ მონაცემთა ბანკების შექმნა;
- ინფორმაციული რეგლამენტებისა და ფორმატების შემუშავება; მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო ანალოგებთან;
- გადაწყვეტილების გამომუშავების უზრუნველყოფისა და მიღებისათვის ინოვაციური სფეროს სტატისტიკური და ანალიტიკური კვლევა;
- სარეკლამო და საპრეზენტაციო საქმიანობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფართო საზოგადოების ინფორმირებას:

ა) კონკრეტული ინოვაციურ-ტექნოლოგიური პროექტების შესახებ, რომელიც მზადაა კომერციალიზაციისთვის;

ბ) ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმებისა და ინოვაციური საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზის შესახებ;

გ) შესაბამისი უწყებების, ფონდების, ინფორმაციული სისტემების, ტექნოპარკების, სასწავლო ცენტრების, ფირმების და ა.შ. შესახებ;

დ) ამ სფეროში კონკრეტულ მიღწევებსა და მასში კონკრეტული პიროვნებების წარმატებების შესახებ;

ე) ინოვაციური საქმიანობის სოციალური მნიშვნელობის (ახალი სამუშაო ადგილების შექმნა) შესახებ.

წამყვანი როლი ამ საკითხში ეკისრება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს: ტელევიზიას, პრესას.

საზოგადოების განვითარებისთვის დიდი როლი ერთმნიშვნელოვნად იკტს დაცულობაა, ინოვაციურ-ტექნოლოგიური უსაფრთხოება კი ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. თანამედროვე სამყაროში ქვეყნის ეკონომიკის საფუძვლიანი გარდაქმნები, წინსვლა და მსოფლიო ცივილიზაციაში რეალური არსებობა წარმოუდგენელია საზოგადოების განვითარების მეცნიერულ-ტექნიკურ და ინოვაციური პარადიგმაზე დამყარების გარეშე. ამიტომ სახელმწიფოს ინოვაციურ-ტექნოლოგიური სუვერენიტეტის შენარჩუნების, უსაფრთხოების და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის კვლავწარმოებისთვის აუცილებელია

ლია უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების საიმედო და ეფექტიანი სისტემის შექმნა და განხორციელება.

ბოლო წლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რთული დინამიკა ნეგატიურად აისახა საქართველოს ინოვაციური-ტექნოლოგიურ სფეროზე. ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია ინტელექტუალური პოტენციალის ემიგრაციის გააქტიურება, მეცნიერულ-საკონსტრუქტორო, საინჟინრო კადრების დენადობა, უმუშევრობა. მიმდინარეობს ინტელექტუალური კოლექტივების დაშლა. შეინიშნება სოციალური პრობლემების მკვეთრი გამწვავება და მეცნიერული კადრების ასაკობრივი ზრდის ტენდენციები. ამჟამად, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, წინასაპენსიო და საპენსიო ასაკში იმყოფება.

მოწინავე ტექნოლოგიების, ინოვაციური პროექტებისა და გამოგონებების წარმოებაში გამოუყენებლობა აიძულებს წარმოება-ორგანიზაციებსა და სამუშაოთა ავტორებს ეძებონ დაფინანსების უცხოური წყაროები. ამავე დროს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სირთულეები, რეფორმების კოორდინაციის არასრულყოფილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების გატარების პირობები განაპირობებენ უცხოეთში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, ინოვაციებისა და სამრეწველო ტექნოლოგიების უკონტროლო გადინებას, ამასთან, ექსპორტზე კონტროლისა და მისი რეგულირების შესახებ საქართველოში მიღებული აქტები და გადაწყვეტილებები შემოიფარგლება მხოლოდ სტრატეგიული ნედლეულისა და ტექნიკური საშუალებების ექსპორტზე კონტროლით, სამოქალაქო დანიშნულების მაღალეფექტიანი ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ექსპორტი კი საერთოდ არ რეგულირდება. მეცნიერულ-ტექნიკურ და ინოვაციური-ტექნოლოგიურ სფეროში შეიქმნა რამდენადმე ურთიერთსაწინააღმდეგო სიტუაცია, რომელიც განპირობებულია, ერთი მხრივ, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ინფორმაციათა გაცვლის ობიექტური აუცილებლობით ამ სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადო ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არარსებობით, რომელიც აუცილებელია მაღალეფექტიანი სამამულო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის ქვეყნის გარეთ არასანქცირებული გადინების აღსაკვეცად. ეკონომიკური და საზოგადოებრივი კავშირების ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის გაძლიერების პირობებში ინოვაციურ-ტექნოლოგიური მიღწევების დაცვისა და ეფექტიანად გამოყენების პრობლემა უნდა გახდეს ქვეყნის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში მისი თანაბარუფლებიანი ჩართვის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი. ამ პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და საკანონმდებლო, სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული

და საკონტროლო ღონისძიებების გატარებაში სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებულ მონაწილეობას.

საერთაშორისო თანამშრომლობის ჩარჩოების ფარგლებში შესამცირებელია ტექნოლოგიურ საიდუმლოებასთან და დოკუმენტურ ინფორმაციასთან უცხოელი პარტნიორების უკონტროლო დაშვება; ინფორმაციული უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია ინფორმაციული რესურსების დაცვა არასანქცირებული შეღწევისგან; ინოვაციურ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებისა და საკუთარი ბაზის გაფართოების მიზნით სახელმწიფოსთან ერთად განსახორციელებელია ინოვაციური ღონისძიებები, მოსახლეობის ინტერნეტიზაცია, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტების ქვეყნიდან გადინების შესამცირებლად მათთვის შრომის ადექვატური პირობების შექმნა.

ეკონომიკური ზრდის დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ყველა ხელშემწყობი ფაქტორი და განხორციელდეს თანამედროვე პროექტები, რაც განამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, ინოვაციურ-ტექნოლოგიური და მეცნიერულ-ტექნიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პარალელურად.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Communications//Artech House Boston·London 2003. 259p.
2. Andreas F. Molisch. Wireless Communications. Wiley. 2011.884.
3. Mihaela Cardei, Ionut Cardei, Ding-Zhu Du. Resource Management in Wireless Networking (Network Theory and Applications). Springer. 2005.p. 695.  
Steven T. Karris. Introduction to Simulink with Engineering Applications.
4. Измерение информационного общества Отчет 2014 года. Брахима Сану

**ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიების ზეგავლენა თანამედროვე საზოგადოების სოციალური ღონის ევოლუციის პროცესზე**

*ლალი ხუნჯარია*  
*სტუ. პროფესორი*  
*ირაკლი კუკავა*  
*სტუ. დოქტორანტი*

#### რეზიუმე

ინფორმაციულ ეპოქაში გადასვლის მთავარი ნიშანი ხდება ქსელი, რომელიც თავის მხრივ ერთმანეთს შორის ადამიანებს, ინსტიტუტებს და სახელ-



მწიფოს აკავშირებს. იგი მზარდ გლობალურ საქმიანობასა და გამწვავებულ სოციალურ დაყოფას შორის განხეთქილების გაღრმავებას იწვევს, ანუ ინფორმაციული ეპოქის დამახასიათებელი წესების საფუძველზე გლობალიზაცია ადამიანთა შორის, ერთის მხრივ ინტეგრაციას აძლიერებს, ხოლო მეორეს მხრივ ფრაგმენტაციას უწყობს ხელს. მეცნიერულ-ტექნიკურ და ინოვაციური-ტექნოლოგიურ სფეროში შექმნილია რამდენადმე ურთიერთსაწინააღმდეგო სიტუაცია, რომელიც განპირობებულია, ერთი მხრივ, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ინფორმაციათა გაცვლის ობიექტური აუცილებლობით ამ სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადო ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის არარსებობით, რომელიც აუცილებელია მაღალეფექტიანი ადგილობრივი ინოვაციებისა და ტექნოლოგიების შესახებ, ინფორმაციის ქვეყნის გარეთ არასანქცირებული გადინების აღსაკვეცად.

**Information and communications technology has an impact on the level of social evolution of modern society**

*Lali Khuntsaria*

*GTU, Professor*

*Irakli Kukava*

*GTU, doctoral*

**keywords:** informative society, informational-communicational technologies, innovative approach, informational capitalism, protection of intellectual property.

The main sign of the transition to the informational age becomes a network that links people, institutes and the state. It results a dissidence between increasingly global activities and social divide. So, based on a rules of globalization, on the one hand it boosts the integration among people and on the other hand it contributes fragmentation. Scientific-technical and innovative-technological field has been created some contradictory situation, which is conditioned, on the one hand, international cooperation and information sharing between the objective necessity in this field, and on the other hand, the lack of a proper legal framework, which is essential for a high performing national innovation and technology of information outside the country, exposing the illegal outflow.

**Влияние которого информационные и коммуникационные технологии оказывает на  
уровень социальной эволюции современного общества**

*Лали Хунцария*  
*ГТУ, Профессор*  
*Иракий Кукава*  
*ГТУ, Докторант*

**Ключевые слова:** информация, технологии, коммуникации, инновационный.

Переход в век информации становится признаком сети, что в свою очередь, являются люди, институты и государственные сшивание. Он усугубило социальный разрыв между все более глобальной деятельности и усугубляет раскол, информационную эпоху, правила глобализации среди людей, с одной стороны, способствует усилению интеграции, а с другой стороны, фрагментация и дезинтеграция. Технические инновации и технологическое поле создали несколько противоречивую ситуацию, что связано, с одной стороны, международного сотрудничества и обмена информацией между объективной необходимостью в этой области информации, а с другой стороны, отмечается отсутствие надлежащей правовой базы.

## არქიტექტურა – Архитектура - Architectura

### ენერგოეფექტური შენობების დაპროექტების განმსაზღვრელი პირობები

*პროფესორი ლევან ბერიძე  
დოქტორანტი მზევინარ გაგაძე*

შენობების ენერგოეფექტურობის ხარისხის ამაღლებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გააზრებული ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტა, განაშენიანების სწორი სტრუქტურის შერჩევა, შენობების სწორ ორიენტაციაზე განთავსება ქვეყნის მხარეების მიმართ, შემომზღუდავი კონსტრუქციების სათანადო თბოიზოლაცია, ქარის გაბატონებული მიმართულების და აერაციის კანონზომიერებების გათვალისწინება. მეტად მნიშვნელოვანია, აგრეთვე, განახლებადი ენერჯის მაქსიმალური გამოყენება. ასეთია ენერგოეფექტურობის ძირითადი პრინციპები.

მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში შენობების ენერგოეფექტურობის მხრივ. არსებული შენობები უმეტესად საბჭოთა პერიოდშია აშენებული, როდესაც ენერჯის დიდი მარაგის და დაბალი ფასების გამო, იგნორირებული იყო კონსტრუქციების სითბოდაცავი ღონისძიებები. ასეთი შენობების გათბობა კი დიდი რაოდენობით ენერჯის დანახარჯს მოითხოვს. დღესაც საქართველოში მასობრივად შენდება ახალი, ძირითადად რკინაბეტონის, კარკასული შენობები, რომელთა საკედლე შემავსებლად არა თბოიზოლირებული ბეტონის ბლოკები გამოიყენება.

რა ნორმატიული დოკუმენტებია საჭირო ენერგოეფექტური შენობების დასაპროექტებლად და რა რესურსი გაგვაჩნია ამისათვის?

**1. პროექტირების ტექნიკური რეგლამენტი „სამშენებლო კლიმატოლოგია“.** მასში მოცემულია საქართველოს კლიმატური დარაიონება და შესაბამისი კლიმატის ელემენტები: ტემპერატურა, მზის რადიაცია, ქარი, ტენიანობა, ნალექები.

ნორმები მოქმედებაშია: საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743; 2008 წლის 25 აგვისტო. ამ დოკუმენტის გამოყენება სავალდებულოა „საქართველოს ტერიტორიაზე ქალაქების და დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების შედგენისას, შენობების დაგეგმა-

რებისა და ადგილზე განლაგების განსაზღვრისას, გათბობის, ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემების დაპროექტებისას, შენობების მდგრადობის და დეფორმაციულობის, აგრეთვე შემომზღუდავი კონსტრუქციების თბოტექნიკური მაჩვენებლების გაანგარიშებისას, სამშენებლო მასალების და ნაკეთობების ხანმდეგობის დადგენისას და მშენებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტის დროს“.

ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო კლიმატოლოგია“ - მოიცავს კლიმატურ პარამეტრებს, რომელთა გათვალისწინება სავალდებულოა ფართო სპექტრის სამშენებლო საქმიანობაში. დასახლებული პუნქტების კლიმატური მახასიათებლები მოცემულია ცხრილებში და რუკა-სქემებში.

დოკუმენტში მოცემულია სამშენებლო-კლიმატური მახასიათებლები: კლიმატური რაიონები; კლიმატური ქვერაიონები; იანვრის საშუალო ტემპერატურა ( $C^0$ ); ზამთრის 3 თვის საშუალო ტემპერატურა ( $C^0$ ); ივლისის საშუალო ტემპერატურა ( $C^0$ ); ქარის საშუალო სიჩქარე (მ/წ); ივლისის ფარდობითი ტენიანობა (%).


კლიმატური სიდიდეები გაწერილია ცალკეული დასახლებული პუნქტებისათვის, შემდეგი პარამეტრებისათვის:

ა) პუნქტების კოორდინატები, ბარომეტრული წნევა; ბ) სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები; გ) სამშენებლო-კლიმატური დარაიონება; დ) ჰორიზონტალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი S და ჯამური რადიაცია Q, კვტ · სთ/მ<sup>2</sup> თვეში; ე) მზის პირდაპირი S და ჯამური Q რადიაცია ჰორიზონტალურ და  $\alpha$  კუთხით დახრილი სამხრეთის ორიენტაციის ზედაპირზე, კვტ · სთ/მ<sup>2</sup> დღეში; ვ) ვერტიკალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი რადიაცია S, კვტ · სთ/მ<sup>2</sup> თვეში; ზ) ვერტიკალურ ზედაპირზე მზის ჯამური რადიაცია Q, კვტ · სთ/მ<sup>2</sup> თვეში; თ) მზის პირდაპირი და გაბნეული რადიაცია ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ზედაპირზე ივლისი, კვტ · სთ/მ<sup>2</sup> ; ი) მზის ამოსვლის (ა) და ჩასვლის (ბ) საშუალო მზიური დრო თვის 15 რიცხვისათვის (საათი, წუთი); კ) მზის სიმაღლე შუადღისას თვის 15 რიცხვისათვის, გრად; ლ) ჰაერის ტემპერატურა; მ) ჰაერის ფარდობითი ტენიანობა; ნ) გარე ჰაერის წყლის ორთქლის პარციალური წნევა, ჰპა; ო) ნალექების რაოდენობა; პ) გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ.

დასახლებული პუნქტებისათვის, რომელთათვისაც ცხრილში კლიმატური მახასიათებლები არ არის მოცემული, მათი განსაზღვრა შესაძლებელია რუკა-სქემების გათვალისწინებით და ცხრილში მოყვანილი უახლოესი მანძილით დაშორებული პუნქტების მახასიათებლების ინტერპოლაციით.

ქვემოთ მოცემულია საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო-კლიმატური დარაიონების რუკა, რომელიც სათანადო ცხრილებთან ერთად, იძლევა საშუალებას

ბას მივიღოთ არქიტექტურული კონცეფციის ჩამოყალიბებისთვის საჭირო საწყისი კლიმატური მონაცემები.



საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო-კლიმატური დარაიონების რუკა

**2. პროექტირების ნორმები „შენობების თბური დაცვა“** (ყოფ. „სამშენებლო თბოტექნიკა“). ნორმები დასამუშავებელია. მასში მოცემული უნდა იყოს შენობების თბური დაცვის ძირითადი მახასიათებლები, საჭირო საანგარიშო მონაცემები, შემომზადავი კონსტრუქციების თბოტექნიკური გაანგარიშების მეთოდი. სპეციალისტების ჯგუფმა მოამზადა მასალა ამ ნორმების შესადგენად, რაც შესაძლებელს ხდის ნორმების დამუშავებას და მის ამოქმედებას.

**3. პროექტირების ნორმები: „ბუნებრივი განათებულობა და ინსოლაცია“.** მასში მოცემულია ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ნორმირების საკითხი; გაანგარიშების მეთოდები (გეომეტრიული და ენერგეტიკული); საქართველოს შუქტექნიკური დარაიონება; ქვეყნის მხარეების სხვადასხვა ორიენტაციის შედარებითი დახასიათება, ინსოლაციის თბური დატვირთვების, ხანგრძლივობისა და ხასიათის მიხედვით; სარეკომენდაციო ორიენტაციები სხვადასხვა ფუნქციონური დანიშნულების სათავსების განლაგებისთვის; რეკომენდაციები ცალმხრივი და ორმხრივი საცხოვრებელი ბინების ორიენტაციის შესარჩევად; მზისგან დამცავი მოწყობილობების კლასიფიკაცია; რეკომენდაციები მზისგან დამცავი მოწყობილობების ტიპების, პარამეტრების და დახრის კუთხეების შესარჩევად ორიენტაციის მიხედვით. ნორმები ამოქმედდა 2001 წლის 21 სექტემბერს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის №59 ბრძანებით. ნორმების მოქმედება შეჩერდა 2008 წლის 10 სექტემბერს საქართველოს

ეკონომიკური განვითარების მინისტრის №1-1/1254 ბრძანებით. ნორმები მზად არის და შესაძლებელია მათი ამოქმედება ნებისმიერ დროს.

პირველ ეტაპზე - ამ სამი დოკუმენტის პაკეტი საკმარისი იქნება ენერგო-ეფექტური შენობების დაპროექტება წარმართოს სწორი მიმართულებით.

შემდეგ ეტაპზე უნდა დამუშავდეს საქართველოს პირობებისთვის შენობების სერტიფიცირების ნორმატიული დოკუმენტაცია, რის გარეშეც შეუძლებელია დამთავრებული შენობების ენერგოეფექტურობის ხარისხის შეფასება.

დასამუშავებელია, აგრეთვე, განახლებადი ენერჯის გამოყენებასთან დაკავშირებით, შესაბამისი ტექნოლოგიური ნორმები.

მდგრადი არქიტექტურის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, აუცილებელია განათლების, ისევე როგორც პროექტირებისა და მშენებლობის არსებული პრაქტიკის რადიკალური ცვლილება. არქიტექტურულ – სამშენებლო პროექტირების თანამედროვე პრაქტიკის ანალიზი, მდგრადი არქიტექტურის კონტექსტში გვიჩვენებს, რომ მას საფუძვლად უდევს ახალი – ინტეგრირებული მიდგომა პროექტირებისადმი.

მაგრამ ამ შემთხვევაში, პროექტირების ინტეგრირებული პროცესი მოითხოვს არქიტექტორისაგან ცოდნას არა მარტო თავის დარგში, არამედ სხვა მომიჯნავე დარგებში. ასეთი ფართო სპექტრის ცოდნის და უნარების ფლობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი უმაღლესი არქიტექტურული განათლების სისტემის არსებობით, რომელიც ორიენტირებულია ყოვლისმომცველ პროფესიულ და დისციპლინათშორის მიდგომებზე.

მდგრადი არქიტექტურის კონცეფციის გაღრმავებული შესწავლა და მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე თანამედროვე სწავლების მეთოდის დანერგვა, იძენს განსაკუთრებულ აქტუალობას.

მოკლედ ჩამოვთვალოთ ცოდნის ის ძირითადი დეფიციტი, რომელიც საქართველოში არსებობს და აუცილებელია იცოდეს არქიტექტორმა პროექტირების ინტეგრირებული პროცესის წარმართვისათვის: მშენებლობის რაიონის ბუნებრივ – კლიმატური პირობების შესწავლა და ანალიზი; ადგილმდებარეობის კლიმატური პასპორტის შედგენა; არქიტექტურულ-გეგმარებითი კონცეფციის ჩამოყალიბება (მდგრადი განვითარების მოთხოვნების გათვალისწინებით); შენობის ფორმისა და ენერგოდამზოგავი სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურის სწორი შერჩევა; შემომზღუდავი კონსტრუქციების შერჩევა და თბოიზოლაციის ტიპის განსაზღვრა; შენობის სწორი ორიენტაციის შერჩევა ინსოლაციისა და ტერიტორიის ქარის რეჟიმის გათვალისწინებით; ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ანგარიშების ჩატარება; ქარის ვარდის აგება; მზისგან დამცავი მოწყობილობების ანგარიში და დაპროექტება; განახლებადი ენერჯის არსებული წყაროების, მათი მოქმედების ფიზიკური პრინციპებისა და მდგრადი

არქიტექტურის სფეროში მათი გამოყენების ცოდნა; მზის ენერჯის მიღების და აკუმულირების პასიური და აქტიური მეთოდების ცოდნა; შემოქმედებითი პროცესის წარმართვა მდგრადი არქიტექტურის კონცეფციაზე დაყრდნობით, გამართლებული, ესთეტიკურად მისაღები არქიტექტურული ფორმის შექმნის, მოცულობით – სივრცითი სწორი გადაწყვეტის შეძლების უნარი.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ.ბერიძე. „საქართველოს სამშენებლო სექტორში ჩასატარებელი გრძელ-ვადიანი (2030 წლამდე) ენერგოეფექტურობის ღონისძიებების შემუშავება ევროგაერთიანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით“, თავი III, 2016.
2. ელექტრონული რესურსი:  
(<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/79210>).
3. ელექტრონული რესურსი: (ლ. ბერიძე, <http://www.gtu.ge/Arch/Pdf/5-186.pdf> გვ. 27-34).

#### ენერგოეფექტური შენობების დაპროექტების განმსაზღვრელი პირობები

*პროფესორი ლევან ბერიძე  
დოქტორანტი მზევინარ გაგაძე*

#### რეზიუმე

სტატიაში ჩამოყალიბებულია ენერგოეფექტურობის ძირითადი პრინციპები და მიმოხილულია, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში შენობების ენერგო-ეფექტურობის მხრივ.

დასმულია საკითხი, თუ რა ნორმატიული დოკუმენტებია საჭირო ენერგო-ეფექტური შენობების დასაპროექტებლად და რა რესურსი გაგვაჩნია ამისთვის. განხილულია სამი ნორმატიული დოკუმენტი და ხაზი გაესვა, რომ პირველ ეტაპზე ეს სამი დოკუმენტი საკმარისი იქნება ენერგოეფექტური შენობების დაპროექტება წარმართოს სწორი მიმართულებით.

ხაზგასმულია, რომ მდგრადი არქიტექტურის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, აუცილებელია განათლების, ისევე როგორც პროექტირებისა და მშენებლობის არსებული პრაქტიკის რადიკალური ცვლილება.

### Summary

The article lists the main principles of energy efficiency and reviewed the situation in Georgia regarding energy efficiency of buildings.

The question is considered: what regulatory documents are needed for the design of energy-efficient buildings. The first necessity in three normative documents was underlined.

It is emphasized that proceeding from the basic principles of sustainable architecture, it is necessary to radically change the existing practice of architectural education, design and construction.

### Резюме

В статье перечислены основные принципы энергоэффективности и проделан обзор положения в Грузии в отношении энергоэффективности зданий.

Рассмотрен вопрос: какие нормативные документы необходимы для проектирования энергоэффективных зданий. Подчеркнута первоочередная необходимость в трех нормативных документах.

Подчеркивается, что исходя из основных принципов устойчивой архитектуры, необходимо кардинальное изменение существующей практики архитектурного образования, проектирования и строительства.



## შენობების მზისგან დაცვა

დოქტორანტი მზევინარ გაგაძე

სამხრეთის ქვეყნებში მზის რადიაციის მნიშვნელოვანი ინტენსივობა, შეთავსებული ზაფხულის მაღალ ტემპერატურებთან და მზიანი დღეების დიდ რაოდენობასთან, ხშირად ხდება სათავსების გადახურების მიზეზი. ამ პირობებში შენობის არასწორმა არქიტექტურულ-გეგმარებითმა ორგანიზაციამ და შემომზადდავი კონსტრუქციების თბოიზოლაციის უგულვებელყოფამ შეიძლება მკვეთრად გააუარესოს სითბური რეჟიმის სიმძიმე.

გადახურებულ სათავსში დიდხანს ყოფნა მძიმედ აისახება ადამიანის საერთო მდგომარეობაზე, თერმორეგულაციის ფიზიოლოგიური მექანიზმების ძალზე დაძაბვის გამო.

შემინული შუქლიობიდან სათავსში შესული ჭარბი ინსოლაციის მოხსნა ხორციელდება მზისგანდამცავი მოწყობილობებით. მათი გამოყენება მიზანშეწონილია, როდესაც გარე ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა .

მზისგანდამცავი მოწყობილობების განთავსება რეკომენდებულია შემინული შუქლიობების გარეთა მხრიდან.

სტაციონარული მზისგანდამცავი მოწყობილობების დაპროექტება მიზანშეწონილია გარემომოზღუდვიდან გარკვეული მანძილის დაცილებით, ჰაერის ცირკულაციის მომატების და ინსოლირებული კედლებიდან გამთბარი ჰაერის მასების მოსახსნელად.


მზისგანდამცავი მოწყობილობები, იმისდა მიხედვით თუ რა ორიენტაციაზე არიან განთავსებული, არიან ჰორიზონტალური, ვერტიკალური და კომბინირებული ტიპის (სურ. 1).

ჰორიზონტალური მზისგანდამცავი მოწყობილობების განთავსება მიზანშეწინილია სამხრეთის მხარეს (სურ. 2), ვერტიკალურის - სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის (სურ. 3), ხოლო კომბინირებული მზისგანდამცავი მოწყობილობების - აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს (სურ. 4).


მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული მზისგანდამცავი მოწყობილობების წარმოების ინდუსტრია. მრავალი ფორმა დაკავებულია ამ პროდუქტის სხვადასხვა ტიპების დამზადებით.

ინოვაციური ტექნოლოგიების დამკვიდრებასთან ერთად, ბოლო დროს გამოჩნდა მზისგანდამცავი მოწყობილობების არასტანდარტული ტიპები.


51



ნახ. 24. კორიზონტალური მზისგანდამცავი მოწყობილობები.



ნახ. 25. ვერტიკალური მზისგანდამცავი მოწყობილობები.



ნახ. 26. კომბინირებული მზისგანდამცავი მოწყობილობები.

სურ. 1 მზისგანდამცავი მოწყობილობების ტიპები



სურ. 2 კორიზონტალური მზისგანდამცავი მოწყობილობები



სურ. 3 ვერტიკალური მზისგანდამცავი მოწყობილობები



სურ. 4 კომბინირებული მზისგანდამცავი მოწყობილობები

საინტერესოა ფირმა **NBBJ**-ს მიერ წარმოდგენილი „ჭკვიანი“ ავტომატიზირებული მზისგანდამცავი ეკრანები, რომელთაც შეუძლიათ კუთხის და განლაგების შეცვლა ყველა მიმართულებით, რის გამოც მათი განთავსება შესაძლებელია სხვადასხვა ორიენტაციის ფასადებზე.



სურ. 5 „ჭკვიანი“ ავტომატიზირებული მზისგანდამცავი ეკრანები


ამავე კომპანიის მკვლევარებმა შეიმუშავეს **Sunbreak**-ი, ინტელექტუალური ავტომატიზირებული სისტემის მზისგანდამცავი ეკრანების პროტოტიპი, რომელიც იმართება სმარტფონის დახმარებით (სურ. 6).



სურ.6 ინტელექტუალური ავტომატიზირებული სისტემის მზისგანდამცავი ეკრანები (იმართება სმარტფონის დახმარებით)

დღესდღეობით ინტელექტუალური საჩრდილობლები ფანჯრებზე უკვე საკმაოდ გავრცელებულია და არ წარმოგვიდგენენ სიახლეს, თუმცა NBBJ-ს კომპანიამ შეძლო დაემტკიცებინა, რომ ამ სფეროში ინოვაციური პოტენციალი ჯერ არ ამოწურულა.

მზისგანდამცავი ეკრანების და „ქოლგების“ ახალი სისტემა Sunbreak-ი, არა მარტო რეაგირებს ღრუბლიანობის ცვლილებაზე დღის განმავლობაში, არამედ შეუძლია განსაზღვროს, თუ რამდენად ახლოს მივიდა მომხმარებელი ფანჯარასთან (სურ. 7).



სურ. 7 მზისგანდამცავი ეკრანების და „ქოლგების“ სისტემა Sunbreak-ი

სათანადო კონსტრუქციის წყალობით, ეკრანებს და „ქოლგებს“ ავტომატურად შეუძლიათ შეიცვალონ კუთხე იმისთვის, რომ გაანათონ შორი კუთხეები ოფისის სიღრმეში, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ პრაქტიკულად მთლიანად დაბლოკონ მზის სხივები.

როგორც ირწმუნება კომპანია NBBJ, განსხვავებით სხვა ჩვეულებრივი, ინტელექტუალური საჩრდილობლებისგან, რომლებიც დაპროგრამირებულია ხილული შუქის მიმართ, ახალ სისტემას შეუძლია გამოავლინოს მზის გამოს-

ხივება და გაითვალისწინოს ტემპერატურული რეჟიმის რეგულირება სათავსების შიგნით.

გარდა ამისა, მზისგანდამცავი ეკრანები 'Sunbreak' იმართება Android-დანართის საშუალებით, რომელიც ჩატვირთულია მობილურის სისტემაში, და ისინი შეიძლება დამატებით იყვნენ აღჭურვილი შუქდიოდებით შენობის ფასადის გარე სახის შესაცვლელად.

### ლიტერატურა

1. ლ.ბერიძე - „არქიტექტურული ფიზიკა“, CD/324. თბილისი, 2010.
2. პროექტირების ნორმები - „ბუნებრივი განათებულება და ინსოლაცია“, თბილისი, 2001.
3. НЕСТАНДАРТНАЯ СОЛНЦЕЗАЩИТА: НА ЧТО СПОСОБНА ФАНТАЗИЯ АРХИТЕКТОРА. ([HTTP://ARCHSPEECH.COM/](http://ARCHSPEECH.COM/)).

### რეზიუმე

სტატიაში, ენერგოეფექტურობის კონტექსტში, განხილულია ინსოლაციის და მზისგან დაცვის საკითხები: შენობების ორიენტაცია ქვეყნის მხარეების მიმართ; მზისგანდამცავი მოწყობილობების სახეები და მათი კლასიფიკაცია; არასტანდარტული და ჭკვიანი მზისგანდამცავი მოწყობილობები. ტექსტი ილუსტრირებულია გრაფიკული და ფოტომასალით.

### Summary

In article, in the context of energy efficiency, questions of insolation and solar protection issues are considered: orientation of buildings in relation to the countries of light; classification and types of sun-protection devices; non-standard and "clever" sun-protection devices. The text is illustrated graphic and photo material.

### Резюме

В статье, в контексте энергоэффективности, рассмотрены вопросы инсоляции и солнцезащиты: ориентация зданий по отношению к странам света; классификация и виды солнцезащитных устройств; нестандартные и «умные» солнцезащитные устройства. Текст иллюстрирован графическим и фото материалом.

## არქიტექტურა ძალაუფლების სამსახურში

პროფ. ნ. იმნაძე

მაგისტრი ლ. ხვიბლიანი

სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკის და  
დიზაინის ფაკულტეტი

**საკვანძო სიტყვები:** ძალაუფლება, პირამიდა, სიმბოლო, იდეოლოგია

ძალაუფლების ინსტიტუტი, წარმოდგენილი მონარქიით თუ იმპერი-ალიზმით, დიქტატურით თუ ხანმოკლე მმართველობით, დასაბამს ანტიკური პერიოდიდან იღებს, რომელსაც ფესვები XXI საუკუნეშიც აქვს გადგმული. მმართველობის ორგანოებს აერთიანებს გარკვეული იდეოლოგია, საკუთარი ან ასეული წლების განმავლობაში, მათი დინასტიის მიერ ჩამოყალიბებული, რომელიც თავის მმართველ სტრუქტურაში უზენაესი და დოგმატურია. მოსახლეობას მოხვეული და გავრცელებული იდეოლოგია, წერილობით წყაროებთან, ქანდაკება-მხატვრობასთან და ფულის ერთეულთან ერთად, კვალს ტოვებენ არქიტექტურულ ნაწარმოებებზე. ვინაიდან რა თუ არა არქიტექტურა, შეძლებდა თითოეული პერიოდის სახელმწიფოს თუ იმპერიის ძალის, მათი იდეოლოგიის და დიდების გადმოცემას, რომელიც არათუ საუკუნეებს, ათასწლეულებსაც კი ამცნობდა და მათ ისტორიას დაწერდა. შესაძლოა ითქვას, რომ არქიტექტურა ძალაუფლების სამსახურში იმ პერიოდიდანაა, როდესაც ამ ორის სიტყვის ჩანასახი კაციბრიობაში გაჩნდა. ამ ორი ფენომენის ურთიერთობა ჩანს ძველ ეგვიპტეში, შუამდინარეთში, ანტიკურ საბერძნეთსა თუ რომის იმპერიაში, XX საუკუნის ფაშისტურ იტალიაში, ნაცისტურ გერმანიაში თუ საბჭოთა კავშირში. არქიტექტურის ეს უწყვეტი სამსახური ძალაუფლებაზე არ წყდება XXI საუკუნეშიც, რომლის მაგალითს ჩვენ ვპოულობთ ჩრდილოეთ კორეაში. ამგვარად ამ ორ მცნებას ერთმანეთთან, საკმაოდ მდიდარი და ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. არქიტექტურას როგორც ძალაუფლების სიმბოლოს, ანტიკურ პერიოდში, ყველაზე მწვავედ სწორედ ეგვიპტეში ვხვდებით. მას ფარაონთა აკლდამები ანუ პირამიდები წარმოადგენენ. ანტიკური რომის იმპერიის ძლიერებას გადმოსცემდა ტრიუმფალური თაღები და ფორუმი.

თუ განვიხილავთ ძალაუფლებას როგორც ხალხის ერთი გაგების, რწმენის ქვეშ გაერთიანებისა და მართვის ინსტრუმენტს, შეგვიძლია ვთქვათ რომ ძალაუფლების ერთ-ერთ ფორმას რელიგია წარმოადგენს. ერთის მხრივ, იგი სახელმწიფოთა და ერთა საერთო, უზენაესი ძალის ქვეშ, გაერთიანების და ჭეშმარიტების გზის სიმბოლოა, მეორეს მხრივ, თუ რელიგია და რწმენა ატარებს

ფანატიკურ ხასიათს, ბინდავს ადამიანის გონებას, მის რაციონალურად აზროვნების უნარს, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში გამოვლენილია რომელიმე ამქვეყნიერი შუამავლის, მისი სულიერი მისიის აუგად, ფარისევლურად ქადაგების შედეგად, კერძო მოტივების საფუძველზე, ამ შემთხვევაში ასეთი ცრუ რელიგია, სექტა, ხალხის გონებრივი მართვის ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს წარმოადგენს. უზენაესი ძალა, რომელიც სამყაროს განაგებს, მისდამი რწმენა, კაცობრიობას მის სულში და გონებაში ჩასახვის დღიდან მოსდევს. ხალხი საკუთარი რელიგიის და რწმენის დიდების საპატივცემულოდ არაერთ გრანდიოზულ ხუროთმოძღვრულ ძეგლს ჰქმნიდა, რომელიც ძირითადად ტაძრების სახით არის აღმართული.

რელიგიური დანიშნულების ხუროთმოძღვრების ძეგლებს, როგორც აღინიშნა, უდიდესი ისტორია აქვს, რომლებიც მათი აღმსარებლობის ფორმის სიმრავლის მიუხედავად, საერთო ნიშნები გააჩნიათ. ეს ნიშნები არქიტექტურის ძეგლებში აღინიშნება დიდებულებით, მონუმენტალობით, გრანდიოზულობით, დიდაქტიკურობით, რაც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის სულიერ, გონებრივ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. მისი გრანდიოზულობისა და დიდებულების წინაშე ადამიანი თავს მცირედ, მოკრძალებულად და რაც მთავარია მშვიდად გრძნობს. ეს ფაქტორები ხელს უწყობენ კავშირის დამყარებას უზენაეს ძალასთან, რომელსაც სხვადასხვა რიტუალების ან უბრალოდ, ლოცვის სახე აქვს. ამგვარად შეგვიძია მოვიაზროთ, რომ რელიგიურ მოტივებზე შექმნილი არქიტექტურაც ძალაუფლების ერთ-ერთი გამოხატულებაა, რომელიც, ძალაუფლების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, შემწყნარებლურ ხასიათს ატარებს და ადამიანის მოთხოვნილებებს, სურვილებს მისი აღმსარებლობის ჩარჩოებში სვამს.

ძალაუფლების გამოვლენის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე ფორმას XX საუკუნეში ვხვდებით. ეს ის პერიოდია, როდესაც რამდენიმე ქვეყანაში ხდებოდა საკუთარი მმართველი ერთეულების იდეოლოგიის, გაგების ჰეგემონია მოსახლეობაზე და მათი ამ პრინციპით მართვა. ამ ქვეყნებიდან გამოირჩეოდა იტალია, გერმანია და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

იტალიური იმპერიალიზმი, რომელმაც დაბადა ფაშისტური დიქტატურა, მისწრაფოდა გარდაექმნა იტალია დიდ კოლონიალურ სახელმწიფოდ. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო საზოგადოებრივი იდეოლოგია - ნებისყოფილი, უგულო, რომელიც შეძლებდა ხოტბა შეესხა შეიარაღებული ძალადობისათვის და ამასთან ერთად, მონურად ემსახურა დიქტატორის პიროვნული კულტისათვის. ცხადია, რომ ასეთი ექსტრემისტული პოლიტიკური განაცხადებით, რომელიც პირდაპირ მიმართული იყო არქიტექტურაზე, ფერწერასა და ქანდაკებაზე, სტილის რადიკალური შეცვლის აუცილებლობას მოასწავებდა. შესაბამისად, იტალიაში ახალი სტილის ადვილად დაიბადა, სადაც რომის იმპერიიდან შენახული მრავალი ძეგლი ცხადად უბიძგებდა იმპერიალური მონუმენტალიზმის ტრადიციებს აღორძინები-



საკენ. არქიტექტურულმა კონცეფციამ „რაციონალიზმის“ სახელწოდება მიიღო, რომლის ნიმუშს ტერმინის ცენტრალური სადგური და იტალიური ცივილიზაციის სასახლე, რომელსაც კვადრატულ კოლიზიუმს ეძახიან წარმოადგენდა. იტალიურმა რაციონალიზმმა თავი ჰპოვა საკულტო შენობებშიც, როგორცაა სან ფრანჩესკო სავერიოს ტაძარი. იტალია თავად გახდა ხელოვნების ერთ-ერთი ახალი მიმართულების, ფუტურიზმის მიმდევარი, რომელიც აღიდეგდა მომავალს, სისწრაფეს, ახალგაზრდობას და ძალას. თუმცა ამ მიმართულებამ დიდი ხნით ადგილი ვერ დაიმკვიდრა. ფუტურისტების უსაფუძვლო ძიებებმა ფიასკო განიცადა, ფუნქციონალიზმი კი თავის მხრივ აღმოჩნდა შეუძლო, იდეურ-პოლიტიკურ ურთიერთობაში და შესაბამისად იტალიელ ხუროთმოძღვრებს დარჩათ მხოლოდ ერთი გამოსავალი - დაბრუნებულიყვნენ წარსულში, კლასიკურ მემკვიდრეობაში. ვინაიდან იტალიელები მუდამ ამაცობდნენ, მათ მიერ შექმნილი ლათინური კულტურით, ხელოვნების მემკვიდრეობის წყაროს შერჩევისას, უპირატესობა მიანიჭეს ანტიკურ რომს. სწორედ ეს, ე.წ „ლათინიზმი“ აღმოჩნდა მთავარი მიმართულება ფაშისტური იტალიის ავტორიტარული სტილის ძიებაში.

იტალიისგან განსხვავებით, მესამე იმპერიის ავტოკრატიული სტილი უფრო მალე განისაზღვრა. სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, გიტლერს სტილისტურ მიმართულების შერჩევაზე დიდხანს არ უფიქრია და ახლის მოფიქრებას უკვე „მზა“ სტილის გამოყენება არჩია. ვინაიდან სასახლეების სტილი და ბავარიული „კლასიციზმი“ შედარებით ცხადად გამოხატავდნენ გერმანული ფაშიზმის ნაციონალისტურ მისწრაფებას, ფიურერმა აღიარა და თავის მფარველობის ქვეშ აიღო ორივე მიმდინარეობა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ნორდიული სტილი. ყველაზე მეტად იგი გამოიხატებოდა ნაცისტური სხდომათა დარბაზების ინტერიერებში. უხეში ქვის წყობა დაბლა დაკიდული რიგელების შეხამებით ნორდიული სტილის არსს ქმნიდა. მაღალი ბუხრები, ნაჭედი სანათები, წითელი ფაშისტური დროშები თეთრ კედლებზე და უზარმაზარი ერთთავიანი არწივი, რომელსაც ბრჭყალებში ფაშიზმის ემბლემა ეკავა, ავსებდნენ ამ შიშის-მომგრელ შენობებს. თუმცაღა, მესამე იმპერიის ოფიციალური სტილის დამახასიათებელი ნიშნები გახდნენ ოთხკუთხა კანელურებიანი სვეტები, რომლებმაც ჩაანაცვლეს მრგვალი კოლონები, კოლოსალური ორდერი შენობის მთელ სიმაღლეზე, აგრეთვე ფორმათა ლაპიდარულობა და მკაცრი სიმეტრია. ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიას, ჰიტლერის ჩანაფიქრით, უნდა მოეცვა არა მარტო გერმანელი ერის ცხოვრების ყველა სფერო, არამედ გამხდარიყო ერთიანი, მსოფლიო იდეოლოგია, რომლის გული დიდი გერმანია იქნებოდა. ხუროთმოძღვრება გიტლერისთვის გახდა პროპაგანდის ეფექტური ინსტრუმენტი. მისი გრანდიოზული პროექტების და ჩანაფიქრების შემსრულებლები იყვნენ არქიტექტორები - პაულ ლუდვიგ ტროოსტი და ალბერტ შპეერი.

როგორც უკვე აღინიშნა, ძალაუფლება არქიტექტურას კვალდაკვალ მოსდევს დროში, შესაბამისად ჩვენი საუკუნეც გამონაკლისს არ წარმოადგენს. XXI საუკუნის ძალაუფლების უმაღლეს ფორას ვხვდებით კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ სახელმწიფოს სახელწოდებაც კი იმდენად სარკასტულ, რამდენადაც ტოტალიტარულ, ჰეგემონურ და სასტიკ სულისკვეთებას ატარებს. არქიტექტურის თვალსაზრისით, თუ ჩვენ აქამდე მივიჩნევდით რომ იგი ძალაუფლების სამსახურში იყო, შესაძლოა ითქვას რომ ამ ქვეყნის შემთხვევაში იგი ძალაუფლების მფლობელობაში იმყოფება. ჩრდილოეთ კორეაში არქიტექტურა, ემსახურება დიქტატორთა კულტს. აქ ბატონობს გიგანტომანია, მსხვილი ფორმები, მკაცრი სიმეტრიულობა, ბელადთა იდეოლოგიის უზენაესობა, რეჟიმისადმი გამოწვეული შიში გადაზრდილი ფანატიკურ და ფსიქიკურ სიყვარულში. ამ ყველაფერს „ნაციონალური სტილი“ ეწოდება. კიმთა დინასტიის მრავალწლიანი ტოტალიტარიზმი და ხალხზე დომინირება ასახულია, როგორც ბელადთა საპატივცემულოდ აღმართულ ძეგლებში, ასევე არქიტექტურაში, რომელიც სწვდება არა მარტო საზოგადოებრივ შენობა ნაგებობებს არამედ საცხოვრებელ შენობებს, ბინებს და ოჯახებს. აქ თითქოსდა ბელადთა პორტრეტები უზრუნველყოფენ მოსახლეობის აღმზრდელობით და კულტურულ - საგანმანათლებლო ყოფას, წერენ კანონებს და ჰქმნიან არქიტექტურას.

ამ ყველაფრის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კაცობრიობის ისტორიაში, მის ყოველ ეპოქაში ძალაუფლებას, სხვადასხვა ფორმით გავლენა ჰქონდა არქიტექტურაზე. ეს ფორმათა ტიპები დამოკიდებული იყო როგორც ეპოქაზე, ასევე სახელმწიფო წყობილებაზე, ხალხთა აღმსარებლობასა და მსოფლმხედველობაზე. არქიტექტურა, თითქოსდა ძალაუფლების მუდმივ სამსახურშია და ამ ორ მცნებას ერთმანეთთან უწყვეტი კავშირი გააჩნია. არქიტექტურა ხომ ძალაუფლების ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს წარმოადგენს თავისი დიდების აღსანიშნავად. ხუროთმოძღვრება ძალაუფლებაში მემატიალის, მთხრობელის როლსაც თამაშობს, როდესაც საქმე ისტორიას და დროს ეხება. აქაც იგი შეუცვლელი ინსტრუმენტია, რომელიც საუკეთესოდ და რაც ყველაზე მთავარია სანდოდ გადმოსცემს ძალაუფლების სათქმელს დროსა და სივრცეში, რადგან არქიტექტურა არ ამბობს ტყუილს. თუ განვიხილავთ ძალაუფლებას როგორც იძულების წყაროს, აიძულოს ადამიანი, მისი გონება პირად მოთხოვნილებებსა თუ კერძო მოტივებზე დაყრდნობით შექმნას არქიტექტურა, დაგვებადება კითხვა: გასჩენია თუ არა ადამიანს სურვილი შეექმნა არქიტექტურა არა ვიღაცის ან საკუთარი თავის იძულებით, გამოწვეული ფიზიკური, ზნეობრივი, სულიერი ან იდეური მოთხოვნილებით, არამედ საკუთარი შინაგანი ძალის კარნახით, რომელსაც არ ექნებოდა არანაირი იძულებითი მოთხოვნილების წინაპირობა. მაშასადამე იგი იქნებოდა უბრალოდ - არქიტექტურა. ეს საფუძველს იძლევა

დავბადოთ კიდევ ერთი, უპასუხო კითხვა: არის თუ არა არქიტექტურა ძალა-  
უფლების გარეშე?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Хмельницкий Д.С. “Сталинская архитектура и сталинская идеология”  
<http://archi.ru/>
2. Рябушин А. В. “Гуманизм советской архитектуры”

### არქიტექტურა ძალაუფლების სამსახურში

*პროფ. ნ. იმნაძე*

*მაგისტრი ლ. ხვიბლიანი*

*სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკის და  
დიზაინის ფაკულტეტი*

#### რეზუმე

განხილული მასალის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ კაცობრიობის ისტორიაში, მის ყოველ ეპოქაში ძალაუფლებას, სხვადასხვა ფორმით გავლენა ჰქონდა არქიტექტურაზე. ეს ფორმათა ტიპები დამოკიდებული იყო როგორც ეპოქაზე, ასევე სახელმწიფო წყობილებაზე, ხალხთა აღმსარებლობასა და მსოფლმხედველობაზე. არქიტექტურა, თითქოსდა ძალაუფლების მუდმივ სამსახურშია და ამ ორ მცნებას ერთმანეთთან უწყვეტი კავშირი გააჩნია. არქიტექტურა ხომ ძალაუფლების ერთ-ერთ უძლიერეს იარაღს წარმოადგენს თავისი დიდების აღსანიშნავად. ხუროთმოძღვრება ძალაუფლებაში მემპტიანის, მთხრობელის როლსაც თამაშობს, როდესაც საქმე ისტორიას და დროს ეხება. აქაც იგი შეუცვლელი ხელსაწყოა, რომელიც საუკეთესოდ და რაც ყველაზე მთავარია სანდოდ გადმოსცემს ძალაუფლების სათქმელს დროსა და სივრცეში, რადგან არქიტექტურა არ ამბობს ტყუილს. თუ განვიხილავთ ძალაუფლებას როგორც იძულების წყაროს, აიძულოს ადამიანი, მისი გონება პირად მოთხოვნილებებსა თუ კერძო მოტივებზე დაყრდნობით შექმნას არქიტექტურა, დაგვებადება კითხვა: გასჩენია თუ არა ადამიანს სურვილი შეექმნა არქიტექტურა არა ვიღაცის ან საკუთარი თავის იძულებით, გამოწვეული ფიზიკური, ზნეობრივი, სულიერი ან იდეური მოთხოვნილებით, არამედ საკუთარი შინაგანი ძალის კარნახით, რომელსაც არ ექნებოდა არანაირი იძულებითი მოთხოვნილების წინაპირობა. მაშასადამე იგი იქნებოდა უბრალოდ - არქიტექტურა. ეს საფუძველს იძლევა

დავბადოთ კიდევ ერთი, უპასუხო კითხვა: არის თუ არა არქიტექტურა ძალაუფლების გარეშე?

### **Архитектура на службе у власти**

*Проф. Н. Имнадзе,*

*магистр Л. Хвиблиани*

*ГТУ, Факультет Архитектуры, Урбанистики и Дизайна*

#### **Резюме**

Анализ материала даёт возможность сделать следующие выводы, в истории человечество, в каждую эпоху влияние власти на архитектуру имели разные формы. Эти типы формы зависли как от государственного строя, так и от мировосприятия и вероисповедания народа. Архитектура, как бы всегда была на службе у власти и оба эти понятия вечно находились во взаимосвязи между собой. Архитектура всегда представляло мощное оружие в руках у власти и этим она выражала свою силу. Зодчество на службе у власти играет роль рассказчика, когда это касается истории и времени. И здесь тоже оно незаменимый инструмент, который передаёт суть власти во времени и пространстве, так как архитектура никогда не обманывает. Если мы будем рассматривать власть как источник насилия, который вынуждает человека, на основе частных мотивов создать архитектуру то возникает вопрос Может ли человек создать архитектуру на основе собственного мнения, у которого не будет предворительно заготовленной установки в таком случае оно будит архитектура для архитектуры. Это дает основу для возникновения дополнительного вопроса, может ли быть орхитектура вне власти.

### **Architecture in the service of the authorities**

*Prof. N. Imnadze*

*Student of Master L. Xvibliani*

*GTU, faculty of Architecture, Urban planning and Design*

#### **Summary**

Analysis of the material makes it possible to draw the following conclusions, In history, humanity, In each era the influence of power on architecture had different forms. These types of form are hanging both from the state system, and from the worldview and the religion of the people. Architecture, as it were always in the service of the authorities,

and both of these concepts have always been in interrelation with each other. Architecture always represented a powerful weapon in the hands of the authorities and by this it expressed its power. Architecture in the service of the government plays the role of the narrator when it is a hodgepodge of history and time. And here it is also an indispensable tool, Which transmits the essence of power in time and space, Because architecture does not once deceive. If we consider power as the source of violence, Which forces a person, on the basis of private motives to create an architecture, then the question arises Can a person create an architecture on the basis of his own opinion, Which will not have a prefabricated installation in which case it awakens the architecture for the architecture. This gives the basis for the emergence of an additional question, whether there can be an architecture out of power.

## უსასრულობა არქიტექტურაში

*დოქტორანტი მარიამ მენაბდე  
სტუდენტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი*

### შესავალი

გუგენჰეიმის მუზეუმი მნახველთა გაოცებასა და აღფრთოვანებას იწვევს. ის თითქოს ესაუბრება მნახველებს და მათთან უშუალო კონტაქტს ამყარებს. სპირალისებრი ფორმა, რომელიც გამოტანილია ფასადზე იზიდავს მაყურებელს.

პიკასოს მუზეუმი კი შესდგება ხუთი ძველი შენობისაგან. ყოველი შენობა ერთიმეორეს საოცრად წააგავს. არც ერთი არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული სტილითა თუ იერსახით. არც მთავარი შესასვლელი აქვს განსაკუთრებული, მხოლოდ მიმავალი ხალხის მიმართულებით თუ მიხვდები მუზეუმში შესასვლელ მთავარ კარს. მუზეუმს ფაქტობრივად არ აქვს ფასადი იგი მთლიანად მიმართულია შიგნით არსებულ მუზეუმზე თითქოს ცდილობს არ დაჩრდილოს თავისი არსი და ხელი არ შეუშალოს მნახველებს, რომელთა ყურადღებაც მხოლოდ იქ წარმოდგენილი ნახატებისკენაა მიბყრობილი.

ყველაზე მნიშვნელოვან როლს კი ამ კომპლექსში შიდა ეზო წარმოადგენს. იმის და მიუხედავად, რომ ეს ორი შენობა ერთმანეთისაგან აბსოლიტურად განსხვავდებიან, მათაც აქვთ მსგავსება, რამაც გამოიწვია ჩემი დაინტერესება გამომეძია შემდგომი.

თუმცა ერთის მხრივ შეგვიძლია ამ ორი შენობის მსგავსებაც დავინახოთ: გუგენჰეიმის არაჩვეულებრივი ატრიუმისა და პიკასოს მუზეუმის ეზოებს შორის.

პიკასოს მუზეუმი ბარსელონა

მუზეუმი მდებარეობს ბარსელონაში, ქალაქის ყველაზე ისტორიულ და ძველ უბანში (სურ. 1). იგი შესდგება ხუთი შენობისაგან, რომლებიც 13-14 საუკუნეებს მიეკუთვნება. საერთო ფართი ამ კომპლექსისა 10 628 კვ.მ გახლავთ. კომპლექსში კარგად არის გამოკვეთილი შუა საუკუნეების გოთიკური არქიტექტურა.



სურ. 1. პიკასოს მუზეუმი

მორთული ფასადი და რაც პირველ რიგში აღსანიშნავია შიდა ეზოები, რომლებიც აერთიანებენ შენობებსა და ერთიან კომპლექსად გარდაქმნიან. დღეს ეს ადგილი ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ და არქიტექტურულ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ პიკასოს მუზეუმის გახსნამ ხელი შეუწყო სხვა მუზეუმებისა და გალერეების განვითარებას და ამ ტერიტორიის კულტურულ მხარედ აღორძინებას. ბარსელონა ტურისტული ქალაქია შესაბამისად ხალხმრავალი და ხმაურიანი. ხალხის მუდმივი მოძრაობა და ფუსფუსი უფრო მეტად ახალისებს და აღამაზებს უძველეს ქუჩებს და თითქოს მათი ნაწილიც კი ხდება. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მუზეუმის თითოეული შენობა საკმაოდ ჰგავს ერთმანეთს და არა მარტო მუზეუმი არამედ მის გვერდით არსებული სხვა შენობებიც. საკმაოდ რთულია გამოიცნო თუ რომელი კარია მუზეუმში შესასვლელი. მხოლოდ ერთი რამ მიგვანიშნებს შესასვლელისაკენ და ეს მუზეუმში მიმავალი ხალხის ნაკადია. შენობის ინტერიერი აბსოლიტურად განსხვავდება გარე ფასადისა და არქიტექტურისაგან (სურ. 2). სუფთა ნათელი და თანამედროვე ინტერიერი. დიდი სივრცეები განათებულია ფართო ფანჯრებიდან შემოსული დღის შუქით. თანამედროვე ინტერიერში ზოგან შეგხვდებათ ძველი კედლებიც, რომელიც სასიამოვნო კონტრასტს გვთავაზობენ თანამედროვეობასთან მიმათებაში.



სურ. 2. პიკასოს მუზეუმის ინტერიერი

სოლომონ გუგენჰეიმის მუზეუმი ნიუ-იორკში

მუზეუმი მდებარეობს ქალაქის ცენტრში და პირდაპირ ცენტრალურ პარკს ესაზღვრება. ცხადია, რომ მუზეუმი თავისი უნიკალური ფორმით რადიკალურად განსხვავდება გვერდზე მდგომი შენობებისაგან. ის თითქოს მონუმენტია. შენობა ფრენკ ლოიდ რაიტს ეკუთვნის. მას სპირალის ფორმა აქვს, რომელიც ცარიელ სივრცეზეა შემოხვეული (სურ. 3). გარედან შენობა თეთრ ჰაეროვან ლენტს მოგვაგონებს, რომელიც თითქოს ცილინდრს არის შემოხვეული.



სურ. 3. გუგენჰეიმის მუზეუმი

ცილინდრი კი ბოლოში თითქოს ფართოვდება. თავდაპირველად არქიტექტორის ჩანაფიქრში მნახველი ლიფტის საშუალებით ჯერ ზემოთ უნდა ასულიყო რის შემდეგაც დახვეულ პანდუსზე ქვემოთ დაეშვებოდა და მიეცემოდა საშუალება მშვიდად დაეთვალიერებინა გამოფენილი ხელოვნების ნიმუშები. თუმცა დროთა განმავლობაში ეს ჩანაფიქრი შეიცვალა და მნახველები შემოსვლისთანავე პანდუსით აღიან მალა. გუგენჰეიმის მუზეუმი განსხვავდება სხვა მუზეუმებისაგან. აქ არქიტექტორმა გამოიყენა მრავალი

გეომეტრიული ფორმები, რომლებიც მის კონცეფციას „ორგანულ არქიტექტურას“ სრულებით შეესაბამება.

შენობის ცენტრში ხშირად ნახავთ გაშეშებულ მნახველებს, რომლებიც გაოცებულნი შესცქერიან უზარმაზარ ატრიუმს, რომელსაც ზეცაში მივყავართ უსასრულობისაკენ. ნებისმიერი რკალიდან ადამიანს შეუძლია თავისუფლად დაინახოს სად იყო, სად არის და საით აპირებს წასვლას. ეს შენობა თითქოს ერთგვარად დროში გვამოგზაურებს ერთ სივრცეში წარსულსა და მომავალს ერთდროულად აღვიქვამთ.

სწორედ აქედან მინდა წარმოვიდგინოთ ცნება სასრული და უსასრულო არქიტექტურაში.


პიკასოს მუზეუმში მკაფიოდაა გამოხატული დასაწყისი და დასასრული. იგი იწყება მხოლოდ ერთი შესასვლელიდან, რადგან სხვა არჩევანი არ არის და სრულდება იმ კართან, რომელიც გარეთ გამოდის.

ეს არის შენობა, რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული საზღვრები და რომელიც ჩემი მოსაზრებით ნათელი მაგალითია სასრულისა.

მეორეს მხრივ კი გუგენჰეიმის მუზეუმი, რომელიც ეწინააღმდეგება სასრულს და მისი უნიკალური სპირალური ფორმით უსასრულოს ხდის შენობას. ზემოთ მოცემულ მოსაზრებებზე დაყრდნობით შევეცადე წარმოვადგინა გუგენჰეიმის მსგავსი უსასრულო შენობა სხვა გარემოში კერძოდ კი ბარსელონაში პიკასოს მუზეუმის ნაცვლად. რატომ არ შეგვიძლია ეს არაჩვეულებრივი უსასრულობის აღმოჩენა, რომელიც ფრენკ ლოიდ რაიტმა გააკეთა ჩვენც გავიმეოროთ პიკასოს მუზეუმის ადგილას? ამიტომ მინდა რამოდენიმე მოსაზრება წარმოვიდგინოთ, რომელიც შეიძლება დაგვეხმროს იგივე ეფექტი მივიღოთ, რასაც გუგენჰეიმის მუზეუმი გვაძლევს.

### ჰორიზონტალური განვითარება

1929 წ. ლე კორბუზიემ წარმოადგინა თავისი პირველი ხელოვნების მუზეუმი, რომელსაც “უსასრულო მუზეუმი უწოდა (სურ. 4) ეს გახლდათ კვადრატული სპირალი, რომელსაც შეეძლო საჭიროებისამებრ გაზრდა.



სურ. 4. ლე კორბუზიეს უსასრულო მუზეუმი



იდეა გახლდათ შემდგომში გუგენჰეიმის მუზეუმის ძირითადი კონცეფცია. ლე კორბუზიეს მრავალი იდეა უტოპიური იყო თუმცა იდეა უსასრულო მუზეუმისა გახლდათ რაიტისათვის შთაგონების წყარო.

თუ ეს იდეა გუგენჰეიმისთვის შთაგონების წყაროდ იქცა, მაშინ რატომ არ შეიძლება ჩვენც ვცადოთ ამ შემოთავაზების გამოყენება ბარსელონაში? პიკასოს მუზეუმი, რომელსაც არ გააჩნია ერთიანი ფასადი და შესდგება ხუთი სხვადასხვა შენობისაგან, რომლებსაც გარშემო ერთიან სწორხაზოვანი ქუჩები აკრავთ. რას მივიღებთ მაშინ თუ ქუჩებს სპირალურად დავახვევთ და უსასრულობისაკენ მივმართავთ? იკარგება მასშტაბი (სურ. 5). სივრცე კი იმდენად გრანდიოზული ხდება, რომ მთელ ქალაქს იტევს და შეიძლება მას გიგანტური მუზეუმიც კი ვუწოდოთ. მუზეუმი თავად ქალაქი ხდება.



სურ. 5. ჰორიზონტალური განვითარება

### ვერტიკალური განვითარება

თუ კი ჩვენ შევეცდებით გუგენჰეიმის მუზეუმის სხვა ადგილას გადატანას და მისი უსასრულობის იდეის განვითარებას მაშინ მოგვიწევს მისი სიმაღლეში აღმართვა თუმცა, როდესაც თვალათლად ვუყურებთ სურათს ჩნდება უამრავი კითხვები. მას აღარ მიყვარათ უსასრულობისაკენ. ის დაემსგავსა ტორნადოს და ქალაქის დომინანტები: საგრადა ფამილია და ჟან ნუველის ტორე აგბარი დაჩრდილა (სურ. 6).

სადამდე უნდა განვითარდეს იმისათვის, რომ იგივე ეფექტი მივიღოთ უსასრულობისა რაც რაიტმა ასე მარტივად და გასაოცრად მიიღო?



სურ. 6. ვერტიკალური განვითარება

### დასკვნა

მინდა თავად იდეა განვიხილოთ, როგორ აისახება არქიტექტურაზე უსასრულობა.

ზოგადად ცნება უსასრულო მეტნაკლებად განსაზღვრულია მათემატიკაში, ფიზიკაში და ა.შ, მაგრამ როგორ შეგვიძლია განვსაზღვროთ ეს არქიტექტურაში?

არქიტექტურა მთლიანად აგებულია საზღვრებზე ლიმიტებზე და მისთვის ცნება უსასრულო წარმოდგენელი და შეუსაბამოა.

უსასრულობას რამოდენიმე სტრუქტურული მნიშვნელობა და განმარტება აქვს: მარადისობა, დასასრულის საპირისპირო, არ აქვს ლიმიტი არ აქვს კიდე და ბოლოს რაღაც, რომელსაც დროში არ აქვს დასასრული.

რომელი განმარტება შეიძლება იყოს ჩართული გუგენჰეიმის მუზეუმში? ის ავტონომიური ობიექტია მას არ აქვს შეხება არც ერთ მუზეუმთან ის არის მიზანმიმართული უსასრულობისაკენ.

თუ გუგენჰეიმს გადავიტანთ ბარსელონაში დაექვემდებარება თუ არა ის ქალაქის ურბანულ სტრუქტურას თუ ავტონომიურობას და ინდივიდუალიზმს შეინარჩუნებს? მე ვცდილობ გავარკვიო არის თუ არა შესაძლებელი სასრულობის ჩანაცვლება უსასრულობით?

მთავარი პრობლემა კი თავად ჩანაფიქრშივეა. პიკასოს მუზეუმი, რომელიც შიდა ეზოს გარშემოა მოწყობილი იმდენად სრულყოფილია და დასრულებული, რომ ამის შეცვლა აბსურდულია. ის არის სივრცე, რომელსაც აქვს საზღვრები და გარს არტყავს კედლები, როგორც ციხესიმაგრეს. ხალხი თავად ქმნის საზღვრებს მეტი კომფიდენციალურობისათვის და თუნდაც უსაფრთხოებისათვის. ჩვენ ჩვენით ვიზღუდავთ თავს და შესაბამისად არ ვაძლევთ საშუალებას თავისუფლებისა და უსასრულობისაკენ. პიკასოს მუზეუმიც ტიპური დასრულებული შენობაა, რომლის განთავისუფლებაც მეტად უცნაურად ჟღერს.

მე მჯერა, რომ ფრენკ ლოიდ რაიტის გუგენჰეიმის მუზეუმი სწორედ ის მონუმენტია, რომელიც ღვთაებრივთან გვაკავშირებს და რომელსაც მარადიულობისაკენ მივყავართ. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ არქიტექტურა შეიძლება იყოს უსასრულო და მარადიული და მისი შექმნა მხოლოდ გენიალურ არქიტექტორებს შეუძლიათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

*Foundation, S. G. (2009). The Guggenheim: Frank Lloyd Wright and making of the modern museum. New York: Guggenheim Museum Publications*

*Kaynar, I. Visibility, movement paths and preferences in open plan museums: An observational and descriptive study of the Ann Arbor Hands-on Museum. Retrieved from <http://www.spacesyntax.tudelft.nl/media/longpapers2/ipekkaynar.pdf>*

*Picasso, T. M. (2008). museupicasso.bcn.cat. 2012, from <http://www.museupicasso.bcn.cat/en/>*

*Psarra, S. Reading the library - architectural, Topological and Narrative Journeys in Borges Library of Babel. Retrieved from <http://www.spacesyntax.tudelft.nl/media/longpapers2/sophiapsarra.pdf>*

*Richard Cleary, N. L., Mina Marefat, Bruce Pfeiffer, Joseph Siry, Margo Stipe. (2009). Frank Loyd Wright - From Within Outward. New York.*

## უსასრულობა არქიტექტურაში

დოქტორანტი მარია მენაბდე  
სტუ. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

**საკვანძო სიტყვები:** უსასრულობა, კაპრიზიო, არქიტექტურული ფანტასია, ომბინაცია.

## რეზიუმე

თემის დასაწყისში მინდა განვიხილო ხელოვნებისათვის კარგად ცნობილი ტერმინი „კაპრიზიო“, რომელიც პირდაპირი თარგმანით თავისუფალ სტილს იმპროვიზაციას ნიშნავს, ან თუნდაც ახირებას. მხატვრობაში კი „კაპრიზიო“ არქიტექტურულ ფანტაზიას, შენობების ერთად შერწყმასა და სხვადასხვა ელემენტების გამოგონილ ან თუნდაც ფანტასტიკურ კომბინაციას ნიშნავს. როგორც ავლნიშნეთ „კაპრიზიო“ არის ერთმანეთისაგან აბსოლუ-

ტურად განსხვავებული ფიგურების კომბინაციას, რომელიც რეალურ ცხოვრებაში შეუძლებელია მოხდეს. სწორედ ეს თემა „კაპრიჩიო“ მინდა განვიხილო და მცირე კვლევა ჩავატარო არქიტექტურაში. რა მოხდება თუ ჩვენ ამ განმარტებას არქიტექტურას მოვარგებთ? და მოხდება თუ ჩვენ ორ ერთმანეთისაგან აბსოლიტურად განსხვავებულ ფორმასა და იდეას ერთად გავაერთიანეთ? როგორ შეცვლიან ერთმანეთს? ან რა მოხდება თუ ჩვენ ერთ შენობას დავრგავთ სხვა ადგილას ისევე, როგორც მცენარეს უკაცრიელ ადგილას?

ზემოთ მოხსენებული იდეის შესაბამისად გადავწყვიტე საკუთარი „კაპრიჩიო“ შემომეთავაზებინა არქიტექტურაში.

შევარჩიე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ორი შენობა: ფრენკ ლოიდ რაიტის გუგენჰაიმის მუზეუმი, პიკასოს მუზეუმი ბარსელონაში. ორი განსხვავებული არქიტექტურული იერსახე, ადგილმდებარეობა და განსხვავებული პერიოდი.

### Infinite in architecture

*Doctoral student Mariam Menabde*

**Keywords:** infinite, capriccio, architectural fantastical, architectural combinations

#### Resiume

In the dictionaries the word capriccio is mostly defined as: an instrumental work with an improvisatory style and a free form, or as a park, a caper or a whim.

In painting, a capriccio means an architectural fantastical combinations.

As mentioned, capriccio is a sort of imaginary prank of combining two or more entites, wich in real life would have never been combined, due to several and/or many reasons. what will happen if we translate this capriccio into architecture? How can we combine two entites and let them grow together? How will they change each other? Will they mutate into one? Or what happen if you plant a building in a foreign location, like a seed in unknown? I decided to make my own Capriccio, to try and answer above questions. For this reason I chose to combine Guggenheim Museum Frank Lloyd Wright and Museum Picasso in Barcelona. Two totally different buildings, in sense of architectural appearance, locations, surrounding environment and tissue of city, style and period when they were built.

## Бесконечность в архитектуре

*Докторант **Мариам Менабде**  
Грузинский Технический Университет*

**Ключевые слова:** бесконечность kargicio архитектурная фантазия, комбинация

### Резюме

В начале темы хочу рассмотреть хорошо известный термин в искусстве "kargicio", который в прямом переводе означает свободный стиль импровизации или каприз.

А в рисовании "kargicio" означает архитектурную фантазию, синтез строения и выдуманный различный элемент или хотя бы фантастическую комбинацию.

Как мы отметили "kargicio" это комбинация абсолютно различных от друг-друга фигур, которые в реальной жизни быть не может.

Именно тему "kargicio" хочу рассмотреть и провести малое исследование в архитектуре.

Что будет если мы это высказывание настроим на архитектуру?, что будет если объединим этих абсолютно различных от друг-друга форму и идею? Как они заменят друг-друга?

Что произойдёт если мы посадим(построим) одно строение в другое место так же как растение в необитаемую среду?

В соответствии выше изложенной идеи, решила предложить собственное мнение о "kargicio" в архитектуре.

Выбрала две радикально отличающиеся от друг-друга здания.

Музей Гугенгеима Френка Лоида Райтса и музей Пикасо в Барселоне.

Отличающиеся по внешнему архитектурному облику, месту расположению и по периоду их постройки.

## გლობალიზაციის პროცესები და ურბანული განვითარება

*დოქტორანტი დონარა მჭედლიძე*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

*არქიტექტურის, ურბანისტიკისა და*

*დიზაინის ფაკულტეტი*

ბოლო ათწლეულის ყველაზე გავრცელებული სიტყვაა გლობალიზაცია, რომელსაც იყენებენ, როგორც პოლიტიკოსები და ბიზნესმენები, ასევე კულტურის დარგის ადამიანები რათა განსაზღვრონ მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელებიც შემოდინან მსოფლიო ეკონომიკაში, პოლიტიკაში და კულტურაში.

რას ნიშნავს გლობალიზაცია? არის ის პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინება? როგორ ნაწილდება გლობალიზაციის სარგებელი სხვადასხვა ქვეყნებში და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში? როგორ უნდა მართონ ეს პროცესი ადამიანებმა?

გლობალიზაციის პროცესი ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურულის განვითარების კომპლექსია, რომელიც გარკვეულწილად დაკავშირებულია უნიფიცირებულ პარადიგმებთან. თუ გადავხედავთ გლობალიზაციის პროცესის განვითარების ისტორიას, შევამჩნევთ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა, ფართოდ იყო გავრცელებული უძველეს, ჯერ კიდევ ანტიკურ მსოფლიოში, მაგალითად მესოპოტომიისა და ეგვიპტის ცივილიზაციებს ეპოქებში. ეს პროცესები უფრო მეტად გაფართოვდა შუა საუკუნეებში, რისი დასტურია საყოველთაოდ ცნობილი „აბრეშუმის გზა“, რომელიც ჩინეთს ევროპის ბაზართან აკავშირებდა, სახელგანთქმული მარკო პოლოს მოგზაურობა და სხვა. ეს მაგალითები ცხადყოფენ ადრეულ პერიოდში გლობალიზაციის პროცესების არსებობას და რომ ამ გზით ვრცელდებოდა მსოფლიოში ვაჭრობა, განათლება და მეცნიერება.

მე-20 საუკუნეში გლობალიზაციის პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კომუნიკაციების განვითარებამ. ამ პერიოდში მრავალ ქვეყანაში დასავლური ტექნოლოგიების წყალობით დაიწყო ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პროცესების სწრაფი გავრცელება. აშკარად იკვეთება გლობალური ეკონომიკის ინტეგრაცია, რომელიც იმართება პოლიტიკური წესების კარნახით, როგორც განვითარებულ, ასევე ტრადიციულ და განვითარებად ქვეყნებში.

გლობალიზაციის პროცესი ხდება ევროპული ღირებულებების გავრცელების ერთ ერთი ხელისშემწყობი ფაქტორი, სადაც მთავარი მოთამაშე ხდება ამერიკული და ევროპული ფასეულობები. მსოფლიო განიცდის ამ ორი გლობალური მოთამაშის მნიშვნელოვან ზეგავლენას. აღსანიშნავია ასევე იაპონია, რომელმაც

შეძლო გლობალიზაციის პროცესების შეთვისება, ეკონომიკურად განვითარდა და ამავე დროს შეინარჩუნა თვითმყოფადი კულტურა და ტრადიციები. დღეს ევროკავშირი, ამერიკა და იაპონია ერთად ქმნიან მსოფლიო ამინდს გლობალიზაციის საერთაშორისო არენაზე. ამ კუთხით, თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირი, რომელმაც ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

არ იქნება მართებული გლობალიზაციის პროცესის ცალსახად დადებითად, ან უარყოფითად შეფასება, რადგან ის შეიცავს, როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ მახასიათებლებს. ერთის მხრივ, თითქოს გლობალიზაცია მიმართულია გაერთვაროვნებისაკენ და ცხოვრების წესის სტანდარტიზაციისაკენ, რაც თავისთავად გულისხმობს კულტურათა ორიგინალობის გაქრობას. მეორე მხრივ, არსებობენ საზოგადოებები, რომელთათვისაც გლობალიზაცია წარმოადგენს განვითარებისა და მსოფლიოში საკუთარი ადგილის დამკვიდრების კარგ საშუალებას. ძირითადად, ეს ეხება მცირე ერების კულტურებს. ამდენად, სასურველია გლობალიზაციისადმი სხვადასხვა საზოგადოების დამოკიდებულების და რეაქციის განხილვა. ეს ხელს შეგვიწყობს, უკეთ გავაანალიზოთ პროცესის არსი, დავინახოთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რადგან ის, რაც მისაღებია ერთისათვის, შეიძლება მიუღებელი იყოს მეორე ქვეყნისათვის. სხვათა გამოცდილების გაანალიზება და შესწავლა საშუალებას მოგვცემს, ჩამოვაცალიბოთ გლობალიზაციის პროცესისადმი საკუთარი მიდგომა.

ზოგადად კი, გლობალიზაცია არის პროცესი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს “მსოფლიოს ერთობა“, სადაც საზოგადოება თავის თავში ინახავს მრავალფეროვნებით გამორჩეულ იდენტობებს და ინტეგრაციას დაუქვემდებარებელ ტრადიციებს, ამასთან ერთად, ინარჩუნებს კომუნიკაციისა და მოქმედების თავისუფლებას.

გლობალიზაციის პროცესი დაკავშირებულია გარკვეულწილად უნიფიცირებულ პარადიგმებთან, რომლებიც ხშირად მისი მთავარი მონაწილენი ხდებიან და ქმნიან ე.წ. გლობალურ ქსელს.

ამ ქსელის დომინანტი ხდება “Global City”-ის გლობალ სითის მოდელი, რომლის მახასიათებელია ეკონომიკური აქტივობის ინტეგრაცია და გასაღების ფაქტორების რეგულირება, რაც მნიშვნელოვანად ზრდის მის ცენტრალურ კორპორაციულ ფუნქციებს. რაც მეტი სხვადასხვა ტიპის მომსახურების განმხორციელებელი ლოკალური ფირმა წყვეტს საქმიანობას მსოფლიოში, მით უფრო ფართოვდება სპეციალიზირებული სერვისის კავშირი გლობალურ ბაზრებთან, რომლებიც ეკონომიკური აგლომერაციის სუბიექტები არიან. სათაო ოფისებისა და ცნობილი ბრენდების პარადიგმები ქმნიან გარკვეული ტიპის ურბანულ გარემოს, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც განსაკუთრებულად

დატვირთული და მობილური ინფორმაციული კვანძი – სითი. სხვადასხვა ფორმების სათაო ოფისების დიდი რაოდენობა განსაზღვრავს სითის გლობალურობას. ამ ფორმებმა შესაძლებელია ისეთ ქვეყნებშიც განათავსონ თავიანთი ოფისები, სადაც ინფრასტრუქტურა მაღალ დონეზეა.

სპეციალიზირებულ ფირმებს სჭირდებათ სერვისების წარმოჩენა, რაც ნიშნავს გლობალური ქსელების, კავშირების განვრცობას. შედეგად, ჩვენ ვიღებთ გლობალურ სერვისს, რომელიც მყარად იკიდებს ფეხს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. როგორც შედეგი, ჩნდება ტრანსნაციონალური კურატორების კლასი. იზრდება კულტურული დანიშნულების ქსელები. იქმნება არაფორმალური სოციალური გაერთიანებები: გარემოს, ადამიანის უფლებების, ცხოველების დაცვა და მრავალი სხვა. ამას თან სდევს უარყოფითი მომენტები, როგორცაა კრიმინალური ქსელი გაფართოება, ე.წ. კიბერშეტევები, ვირუსების გავრცელება და ა.შ. გლობალიზაცია იპყრობს ხალხს, მუშახელს, საზოგადოებას, და მრავალი განსხვავებული კულტურების სივრცეებს. ჩნდება ახალი თემები, ახალი პრიორიტეტები, უზარმაზარი შესაძლებლობები მეცნიერებისა და კვლევის დარგში, რომლებიც სცდება საზღვრებს, ავრცელებს კაპიტალსა და ინფორმაციას.

გლობალიზაციის პროცესში, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული ასპექტი. აღნიშნული პროცესები მსოფლიო კულტურაზე ორი ძირითადი ფაქტორით ზემოქმედებს: მულტიკულტურისა და ჰომოგენიზაციით. ჩვენ ვერ ვუარვყოფთ გლობალური კაპიტალიზმის გავლენას, რის შედეგადაც დედამიწის ყველა კუთხეში ვრცელდება კულტურის პროდუქტი, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლოკალურ კულტურებზე. მაგრამ, შეიძლება დავასაბუთოთ, რომ კულტურული იდენტობა უფრო მეტად გლობალიზაციის პროდუქტია, ვიდრე მსხვერპლი.

გლობალიზაციის ხანის დაწყებამდე, არსებობდა ლოკალური, მკაფიოდ განსაზღვრული დამოკიდებულებები გეოგრაფიულ მდებარეობასა და კულტურულ გარემოს შორის. სწორედ ეს კავშირები ქმნიდნენ ამა თუ იმ ერის კულტურულ იდენტობას, მემკვიდრეობას, ტრადიციებს. 1980-იან წლებში გლობალიზაციის პროცესებმა მკვეთრად იმოქმედა მსოფლიოს მრავალფეროვან კულტურებზე, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგილა ხალხი, დაამკვიდრა ბაზარზე ორიენტირებული გამოცდილება - "ბრენდირებული" ჰომოგენიზაცია. შესაბამისად, შეცვალა ლოკალურად უკვე დამკვიდრებული კულტურები. გლობალიზაციამ შექმნა ერთგვარი საშიშროება კულტურული მრავალფეროვნების დაკარგვისა. ზოგმა უფრო მარჯვედ გაართვა თავი ამ პროცესს, ზოგმა - ნაკლებად. მაგალითად, დასავლეთის, უფრო ზუსტად, კი ამერიკის შეერთებული შტატების კულტურამ ერთგვარი სტანდარტიზაცია განიცადა მსოფლიოში. განსაკუთრე-



ბული საფრთხის წინაშე განვითარებადი მსოფლიოს უფრო "სუსტი" კულტურები აღმოჩნდნენ.

გლობალიზაცია ექვივალენტია მულტიკულტურალიზმისა, ანუ სხვადასხვა კულტურების კომბინაციისა. ძალიან საინტერესოდ განვითარდა ეს პროცესი იაპონიაში. იაპონელებმა თავიანთი ეროვნული კულტურის ელემენტები გლობალური კულტურის ნაწილად აქციეს და დაგვანახეს, რომ გლობალიზაცია და მულტიკულტურალიზმი ერთმანეთს არ გამორიცხავენ და ხშირად ერთმანეთს წარმოაჩენენ.

„იფიქრე ლოკალურად-იმოქმედე გლობალურად“ - ეს არის თანამედროვეობის აქტუალური ფრაზა, რადგან ლოკალური გარემოს გაუთვალისწინებლად, გლობალურ ტენდენციებზე გასვლა წარმოუდგენელია. ეს სიტუაცია, ყველაზე უკეთ სამომხმარებლო ჩვევებზე, ეკონომიკურ და კულტურულ მოთხოვნილებებზე დაკვირვებით ჩანს. გლობალიზაცია არსობრივად არის გლობალურისა და ლოკალურის კომბინაცია, რომელსაც აქვს გლობალური ტენდენციები ლოკალური პირობების გათვალისწინებით.

იცვლება ცხოვრების წესი, ინერგება ტექნოლოგიური ინოვაციები, დინამიურად იცვლება მოთხოვნები ბაზარზე. არქიტექტორმა უნდა გამოიყენოს ყველა სიკეთეები, რასაც გლობალიზაციის პროცესი გვთავაზობს და მოარგოს ადგილობრივ მოთხოვნებს, გლობალური ტექნოლოგიებისა და მოდერნიზაციის მეშვეობით ხელი შეუწყოს ლოკალურ კულტურის შენარჩუნებას. არქიტექტორმა უნდა იფიქროს „გლობალურად“ („glocally“), რომლის მიზანია შევურწყათ ერთმანეთს გლობალური და ლოკალური მიმართულებები და მოვძებნოთ მათ შორის ბალანსი, შევინარჩუნოთ ეროვნული ხასიათი და ამავე დროს კარი გავუღოთ ახალს. მხოლოდ ასეთი - გლობალიზაციით („globalisation“) არის შესაძლებელი მივიღოთ ასიმბლირებული გლობალური და ლოკალური შედეგი. არქიტექტორი უნდა იყოს კომბინირებულად მოაზროვნე, რათა თავის შემოქმედებაში დანერგოს ახალი ტექნოლოგიები, გაანალიზოს და ადაპტირება მოახდინოს უცხო კულტურებისა, ისე რომ არ დაკარგოს საკუთარი იდენტურობა, შესძლოს ლოკალური, დომინირებული სტილის. ამის თვალსაჩინო მაგალითია ევროპის კავშირი, რომელის შემადგენელი ქვეყნებიც გლობალურად არიან ჩართულნი, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკური პროცესების განვითარებაში, მაგრამ ინარჩუნებენ თავის კულტირულ იდენტურობას.

შოტლანდიელი მკვლევრის რონალდ რობერტსონის აზრით - „გლობალიზაცია არის გლობალიზაცია, რომელსაც გააჩნია საზღვრები და აუცილებლად უნდა ადაპტირდეს ლოკალურ რეალობასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაუპირისპირდება საკუთარ თავს, გამოიწვევს გლობალურ საპროტესტო მოძრაობას. რამდენად ირონიულად, ან პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, გლობალიზაცია

ხელს უწყობს ყურადღების კონცენტრირებას ლოკალურ რეალობებზე. მეორეს მხრივ, კი იმისათვის, რომ განვიხილოთ ლოკალური საკითხები, ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს გლობალურზე. მასზე საუბრისას ვარაუდობენ, რომ იგი ფაქტობრივად განსხვავებული სივრცეების გაქრობას იწვევს, აქცევს რა მსოფლიოს ერთ მთლიან სივრცედ, თუმცა ეს არ არის აბსოლუტურად ზუსტი მიდგომა. გლობალიზაციის წყალობით უფრო მეტი აქცენტი კეთდება ლოკალურ საკითხებზე და მისი პრობლემებიც უფრო აქტუალური ხდება”.

### ლიტერატურა:

1. თამაზ ჩხენკელი - „განვემზადოთ ახალი საუკუნისთვის“. გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“, 2014 ივნისი;
2. გ. ბათიაშვილი, მ. ჩხენკელი - „ზოგიერთი წანამძღვარი და განმსაზღვრელი ფაქტორი საქართველოს სივრცითი მოწყობისა და უბანული განვითარების კონცეფცია“, არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები, №4, 2014;
3. Peter Rutland – „GLOBALIZATION AND THE TRANSITION IN EASTERN EUROPE“, Macalester International Vol. 21, Open Media Research Institute, Na Strzi 63, Prague, Czech Republic;
4. Michael E. Zimmerman - „Architectural Ethics, Multiculturalism, and Globalization“, Tulane University; Professional Ethics, Vol. 11, No. 4 (2003), 1-14;
5. Donovan D.Rypkema - „Global Urban Development“, Magazine, Valume 1, 2005;
6. Definition Dr. Nayef– „Program on the Geopolitical Implications of Globalization and Transnational Security Definitions of Globalization“: A Comprehensive Overview and a Proposed R.F.- June 19, 2006;
7. Development and Globalization: Facts and Figures; UNITED NATIONS CONFERENCE ON TRADE AND DEVELOPMENT, New York and Geneva, 2004;
8. United Nations Human Settlements Programme Global Report on HUMAN SETTLEMENTS - 2009 PLANNING; Sustainable Cities –2012;
9. Ibrahim Mostafa Eldemery- „GLOBALIZATION CHALLENGES IN ARCHITECTURE“ - Journal of Architectural and Planning Research, Locke Science Publishing Company, Inc. 2009, Chicago, IL, USA.
10. The Globalisation of Modern Architecture: The Impact of Politics, Economics and Social Change on Architecture and Urban Design since 1990.

## გლობალიზაციის პროცესები და ურბანული განვითარება

დოქტორანტი დონარა მჭედლიძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და  
დიზაინის ფაკულტეტი

### რეზიუმე

ეკონომიკის სტაბილურობა ჩრდილო ატლანტიკურ ეკონომიკაში, რასაც ეწოდა „Great Moderation“ (დიდი მოდერაცია), გახდა გლობალიზაციის საფუძველი და დაერქვა ახალი გლობალური ხანა, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია არქიტექტურასა და ურბანული სივრცის განვითარებაზე.

21-ე საუკუნეში ურბანიზაციის გავრცელება და კონსოლიდაცია გრძელვადიანი პროცესია და მისი ტრანსფორმაცია გაგრძელდება მომავალ, რამოდენიმე ათწლეულში. გამოიკვეთა „Citification“ – «ქალაქის მოსახლეობის მკვეთრი ზრდა», განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. პარალელურად სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ტრანსფორმაცია ხდება სოფელშიც, რომელიც წარმატებით ითვისებს ურბანული ცხოვრების ფორმებსა და წესებს.

ამ პროცესმა შექმნა კომპლექსური სურათი, სადაც იკვეთება მთავარი მოთამაშეები: პოლიტიკოსები და ეკონომისტები, არქიტექტორები და ურბან-დიზაინერები.

### Resume

Stability of the North Atlantic Economics called “Great Moderation”, become base of the new Globalization Age, which effected at Arcitecture and design of the Urbanisation.

21-th century’s development and consolidation of Urbanization is long process and transformation will continue decades. Produces new action “citification“- growth of the population in the cities, especially in development countries. In parallel transformers social-economic and Cultural lifestyle in countryside. Which successfully absorbs regulations and forms of urban.

This process produced complex picture where magor players are politicians and economists, architects and urban designers.

## Резюме

Стабильность в северо-атлантической экономике, так называемый „Great Moderation” – «большая модерация», стала основой глобализации, которая стала новой глобальной эрой и сыграла значительную роль в дизайне урбана и архитектуры.

Расширение и консолидация урбанизации XXI-века, долгосрочный процесс, который продолжается на протяжении нескольких деkad. Выявился т. н. „citification“ –«Рост населения города»б особенно в развивающихся странах. Параллельно происходит трансформация в социально-экономических и культурных сферах сельских населенных мест, где успешно осваиваются формы и правила городского быта.

Этот процесс создал комплексную картину, где проявляются главные участники: политики и экономисты, архитекторы и урбан-дизайнеры.

## ავტორთა საყურადღებოდ!

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალი „განათლება“ რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალია. რეფერირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართულ რეფერატულ ჟურნალში.

სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს (დადგენილება №3, 30.04.2008) და სტუ-ს აკადემიური საბჭოს (დადგენილება №5 „სადისერტაციო საბჭოს შესახებ“) მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხის თანახმად ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მიეწოდება საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებისა და კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ტექნიკურებს და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ, ან ინგლისურ ენაზე;
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (მინიმუმ 150 სიტყვა) სამ ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური). სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სრული სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური;
- ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word-ში;
- ქართული ნაშრომი იწყობა sylfaen, AcadNusx შრიფტებით;
- რუსული და ინგლისური ნაშრომები იწყობა sylfaen, Times New Roman შრიფტებით;
- შრიფტის ზომა უნდა იყოს 12, ინტერვალი - 1,5; ველის ზომა მარჯვენა მხარეს - 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ.
- ნაშრომის მოცულობა ხუთ და ზოგ შემთხვევაში მეტ ნაბეჭდ A4 ზომის გვერდს წარმოადგენს;
- ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის), სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა;
- ნაშრომი უნდა მოგვარდოდეთ CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთ ეგზემპლარად A4 ზომის ქალაქში;
- ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია თავად ავტორი.